

მმართველობითი ანგარიში და  
ფინანსური ანგარიშგებები 2020

აქ

ახალი რეალობის  
კვალდაკვალი

ახლა



თიბისი ბანკი



20  
20



თიბისი ბანკი

თიბისი ბანკი<sup>1</sup> არის უმსხვილესი  
საბანკო ჯგუფი საქართველოში,  
რომელიც ემსახურება ქვეყნის  
ზრდასრული მოსახლეობის  
დაახლოებით **92%-ს**.



# სარჩევი

## მართვითი ანგარიში

### მიმოხილვა

მოკლე მიმოხილვა	4
2020 წლის ძირითადი მაჩვენებლები	6
გენერალური დირექტორის წერილი	8

### სტრატეგია და საქმიანობა

საქართველო	12
ბიზნეს მოდელი და სტრატეგია	16
შედეგების ძირითადი მაჩვენებლები	22
ღივიზიების მიმოხილვა	26
ბიზნესის კეთების პასუხისმგებლობა	52
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	86
რისკის მართვა	100
ფინანსური მიმოხილვა	122

## მართვა


კორპორაციული მართვა	138
სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები	140
ბანკის დირექტორთა საბჭოს ბიოგრაფიები	144

## ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში	148
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	156
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	157
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	158
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	159
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	160
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება	161
კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება	162
ფულადი ნაკადების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება	163
ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები	164

## დამატებითი ინფორმაცია

ლექსიკონი	319
აბრევიატურები	320



დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს [www.tbcbankgroup.com](http://www.tbcbankgroup.com)

1 თიბისი ბანკი გულისხმობს სს „თიბისი ბანკს“ (ბანკი) და მის შვილობილ კომპანიებს (ერთად „ჯგუფი“)

## ვინ ვართ ჩვენ ?

ჩვენ ვართ წამყვანი უნივერსალური ფინანსური ჯგუფი საქართველოში, ვფლობთ ბაზრის წილის 39.0% და 37.2% მთლიანი სესხებისა და დეპოზიტების მიხედვით<sup>1</sup>. ასევე გვიჭირავს დომინანტური პოზიცია ჩვენს ყველა ძირითად ბიზნეს სეგმენტში - საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებში (MSME) და კორპორატიულ ბანკინგში. ჩვენ ასევე ვთავაზობთ ტრადიციული ფინანსური მომსახურებების ფართო სპექტრს ინოვაციურ ციფრულ შეთავაზებებთან ერთად და ვქმნით მომსახურების უმაღლეს დონეს.

**ტრადიციული ფინანსური  
მომსახურებების სრული სპექტრი**

**საუკეთესო ციფრული  
შესაძლებლობები**

**წამყვანი პროვაიდერი გადახდების  
სისტემებში**

## რით გამოვირჩებით ?

**მომხმარებელზე  
ორიენტირებული  
ვიდგომა**

**ბაზარზე წამყვანი  
ციფრული  
გამოცდილება**

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად 31 დეკემბერი 2020

## ჩვენი მისია

### გავუმარტივოთ ადამიანებს ცხოვრება

ეს მიდგომა განსაზღვრავს ყველაფერს, რასაც ვაკეთებთ და როგორც ვაკეთებთ: ყველა ჩვენი პროდუქტი და შეთავაზება შეიქმნა ამ იდეის გათვალისწინებით და ვისწრაფვით გავაერთიანოთ მაღალი ხარისხი სიმარტივესთან.

- › კომერციული საბანკო მომსახურება
- › ლიზინგი;
- › საბროკერო და საინვესტიციო საბანკო საქმიანობა.

- › მონინავე ინტერნეტ და მობილური ბანკინგის აპლიკაციები;
- › ინოვაციური და სრულად ციფრული ბანკი, სფეისი.

- › ჩვენი გადახდების ეკოსისტემა მოიცავს როგორც ტრადიციული გადახდის საშუალებებს, როგორცაა e-commerce, POS და თვით-მომსახურების ტერმინალები, ასევე ინოვაციური გადახდის მეთოდებს, რომელშიც შედის Apple Pay, QR გადახდები და ელ-საფულე.

**საუკეთესო  
მონაცემთა  
ანალიტიკური  
შესაძლებლობები**

**კოლაბორაციული  
და დინამიური  
კორპორატიული  
კულტურა**

**ქლიარი  
და მაღალი  
ნდობის მქონე  
ბრენდი**

სოლიდური კაპიტალი და  
ლიკვიდურობა

საუკეთესო ციფრული  
შესაძლებლობები<sup>1</sup>

მომხმარებლის მომსახურების  
მაღალი დონე

თანამშრომლეთა კმაყოფილების  
მაღალი დონე

ძლიერი ბრენდი<sup>5</sup>

1 მოიცავს Space ტრანზაქციებს  
2 დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის IPM მიერ ჩატარებული გამოკითხვების თანახმად საცალო სეგმენტში 2020 წლის დეკემბერში  
3 Employee Net Promoter Score შეფასდა 2020 წლის ოქტომბერში, დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ ბანკის თანამშრომლებისთვის.  
4 თანამშრომლის ბედნიერების ინდექსი შეფასდა კომპანიის შიგნით, მსოფლიოს წამყვანი საკონსულტაციო ფირმის დახმარებით მომზადებული ყოვლისმომცველი კვლევის საფუძველზე და იკვლევს არის თუ არა თანამშრომელი ბედნიერი და კმაყოფილი თავისი სამუშაოთი. ინდექსი გამოთვლილია 2020 წლის ივლისში ბანკის თანამშრომლებისთვის.  
5 დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის, ACT მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად 2020 წლის დეკემბერში.



₾ **337.3** მლნ

- 38.2% წ/წ

წმინდა მოგება

**12.9%**

- 11.4pp წ/წ

უკუგება კაპიტალზე

**26.4%**

- 2.0pp წ/წ

უკუგება კაპიტალზე მოსალოდნელი საკრედიტო გარალის რეგერვამდე

**1.7%**

- 1.6pp წ/წ

უკუგება აქტივებზე

₾ **15,200.5** მლნ

+ 20.0% წ/წ

მთლიანი სესხები

₾ **12,634.3** მლნ

+ 24.9% წ/წ

მთლიანი დავოვითები

**10.4%**

- 1.6pp წ/წ

ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი მინ. მოთხოვნა 7.4%

**17.1%**

- 2.0pp წ/წ

სულ საგადასმადველო კაპიტალის კოეფიციენტი მინ. მოთხოვნა 13.7%

**134.2%**

+ 24.1pp წ/წ

ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი მინ. მოთხოვნა 100%

**95%**

+ 2pp წ/წ

საცალო ტრანზაქციების განტვირთვის კოეფიციენტი

**50%**

+ 2pp წ/წ

ინტერნეტ და მობაილ ბანკის კანეტრაციის კოეფიციენტი

### საუკეთესო მომსახურების კომპანია საქართველოში<sup>2</sup>

**68%**

ENPS<sup>3</sup>

**85%**

თანამშრომლის ბედნიერების ინდექსი<sup>4</sup>

**95%**

ცნობადი ბრენდი საქართველოს მოსახლეობაში

**46%**

TOP OF MIND საბანკო სექტორში



“**ძვირფასო აქციონერებო,**  
სიამოვნებით მოგახსენებთ, რომ  
ჯგუფმა უზრუნველყო მდგრადი  
ფინანსური მაჩვენებლები წლის  
განმავლობაში და მიაღწია  
საქმიანობის აღსანიშნავ  
შედეგებს მაქსიმალური  
გამოწვევების მქონე გარემოში.

## წლის შეჯამება

2020 წლის შეჯამებისას სამი სიტყვა მომდის თავში: მხარდაჭერა, მოქნილობა და დიჯიტალიზაცია.

მარტში პანდემიის აფეთქების დასაწყისშივე ჩვენ დაუყოვნებლივ მოვახდინეთ მთელი ჩვენი ძალისხმევის მობილიზაცია ჩვენი თანამშრომლების და კლიენტების მხარდასაჭერად და მტკიცედ ამოვუდევით მხარში მთელი წლის განმავლობაში. ჩვენ ვიყავით პირველი ქართული კომპანია, რომელმაც დავნერგეთ დისტანციური სამუშაო პრაქტიკა ჩვენი ბექ-ოფისის თანამშრომლებისთვის და აღვჭურვეთ ჩვენი ფრონტ-ოფისი ყველა საჭირო დამცავი საშუალებით, სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ჩვენი მომხმარებლებისა და თანამშრომლებისთვის. გარდა ამისა, უმაღლესი ხელმძღვანელობა ატარებდა რეგულარულ ონლაინ შეხვედრებს ჩვენს კოლეგებთან ნებისმიერი პრობლემის აღმოსაფხვრელად, რომელიც შესაძლოა ჰქონდეთ თანამშრომლებს, და ჩვენი ფინანსური სტაბილურობის შესახებ გარანტიის უზრუნველსაყოფად. ჩვენ ასევე მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ შეგვენარჩუნებინა მთელი ჩვენი პერსონალი 2020 წლის განმავლობაში, ბიზნეს საქმიანობის შენელების მიუხედავად. ჩვენ ვამაყობთ, რომ შევინარჩუნეთ თანამშრომელთა მაღალი მოტივაცია და ჩართულობის დონე წლის განმავლობაში, ჩვენი თანამშრომლების Employee Net Promoter Score შეადგენდა 68%<sup>1</sup> და ჩვენი ჩართულობის ინდექსმა მიაღწია 91%<sup>2</sup>. გარდა ამისა, აღნიშნულ წელს ჩვენ პირველად გამოვთვალეთ თანამშრომლების ბედნიერების ინდექსი მთელ ორგანიზაციაში, რომელმაც გამოიღო მეტად დამაკმაყოფილებელი შედეგი - 85%<sup>3</sup> ჩვენი თანამშრომლებისა ბედნიერი და კმაყოფილია თავისი სამუშაოთი.

თანაბრად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი მომხმარებლების განსაკუთრებული მხარდაჭერა და ჩვენი ქმედებებით გამოხატვა, თუ რას ნიშნავს ჩვენთვის მომხმარებელზე ორიენტირებულობა. პირველ რიგში, შესაბამის მომხმარებლებს შევთავაზეთ ორი მთავარი სამთვიანი საშეღვათო პერიოდი, განვახორციელეთ სესხის რესტრუქტურირაცია შესაბამის შემთხვევებში, გავაგრძელეთ დაფინანსება და აქტიური მონაწილეობა მივიღეთ სხვადასხვა სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებში.

ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო საქმიანობის წარმოება ჩვეულ რეჟიმში და ჩვენი მომხმარებლის შეუფერხებლად მომსახურება სხვადასხვა არხების მეშვეობით. ბაზარზე წამყვანმა ჩვენმა ციფრულმა შესაძლებლობებმა ჩვენს მომხმარებლებს მისცა საშუალება, რომ საბანკო ტრანზაქციების უმეტესი ნაწილი დისტანციურად ეწარმოებინათ. გარდა ამისა, ჩვენი ქოლ ცენტრი მუშაობდა გაზრდილი დატვირთვით პანდემიის დაწყებისთანავე, მომხმარებლების პრობლემების დროულად აღმოფხვრის მიზნით. ბედნიერები ვართ, რომ ჩვენი ძალისხმევები დააფასეს ჩვენმა მომხმარებლებმა და თიბისი კიდევ ერთხელ იქნა აღიარებული საუკეთესო მომსახურების პროვაიდერად ქვეყანაში 2020 წელს, მომხმარებლის კმაყოფილების გამოკითხვის საფუძველზე, რომელიც ჩაატარა IPM, დამოუკიდებელმა კვლევით კომპანიამ, დეკემბერში.

## მკვლევარებისთვის

მესამე კვარტალში 5.6%-იანი ვარდნის შემდეგ, 2020 წლის ბოლო კვარტალში რეალური მშპ წინა წელთან შედარებით 6.5%-ით შემცირდა. ამის ძირითადი მიზეზი ნოემბრის ბოლოს განმეორებითი ლოქდაუნი იყო. 2020 წლის განმავლობაში მშპ-ის კლება 6.1%-ს შეადგენდა. პანდემიის დაწყებიდან, ტურისტული შემოსავლების დონე თითქმის ნულამდე დაეცა, თუმცა არატურისტული ნაკადები მდგრადი დარჩა. წლის განმავლობაში აშშ დოლარში გამოხატული ექსპორტი 12.0%-ით შემცირდა (რე-ექსპორტის გარეშე კი 3.5%-ით გაიზარდა). იმავე პერიოდში იმპორტი 15.9%-ით შემცირდა. შედეგად, 2019 წელთან შედარებით სავაჭრო ბალანსი დაახლოებით ერთი მილიარდი აშშ დოლარით ან 18.8%-ით გაუმჯობესდა. გარდა ამისა, ფულადი გზავნილები 2020 წელს 8.8%-ით<sup>4</sup> – გაიზარდა, მათ შორის, მეოთხე კვარტალში ძლიერი, 15.7%-იანი ზრდა აღინიშნა.

საბიუჯეტო სტიმულთან ერთად, საკრედიტო აქტივობამ ეკონომიკურ საქმიანობას ასევე ხელი შეუწყო. წლის განმავლობაში სასესხო პორტფელი გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 9.1%-ით გაიზარდა. მნიშვნელოვანი იყო სახელწიფო სუბსიდია, რამაც იპოთეკური დაკრედიტება გაზარდა. წლის განმავლობაში სესხების დაფარვაზე შემოღებულმა ორმა საშელავათო პერიოდმა სესხების ნაშთის ზრდას ასევე ხელი შეუწყო.

თიბისი კაპიტალის ბოლო შეფასებების მიხედვით, 2021 წელს ეკონომიკა, სავარაუდოდ, 4.2%-ით გაიზრდება. მსოფლიო ბანკის ბოლო პროგნოზების თანახმად<sup>5</sup> საქართველოს ეკონომიკა 2021 და 2022 წლებში, შესაბამისად, 4.0%-ით და 6.0%-ით გაიზრდება.

## მდგრადი ფინანსური მაჩვენებლები

2020 წელს ჩვენი საოპერაციო მოგება შეადგინა 1,115 მილიონი ლარი, 2.0%-ით მეტი წინა წელთან შედარებით, რაც განპირობებული იყო წმინდა საპროცენტო შემოსავლის ზრდით. იმავე პერიოდში ჩვენი შემოსავლის გენერირებას ხელი შეუწყო ხარჯის ეფექტურმა მართვამ. წლის განმავლობაში ჩვენ ასევე აღვრიცხეთ ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა მოდიფიკაციის ზარალი 41.0 მილიონი ლარის ოდენობით, ფულადი ნაკადების დაყვანილი ღირებულების შემცირების ასახვის მიზნით, რომელიც წარმოიქმნა მსესხებლებისთვის მიცემული სესხის დაფარვის საშელავათო პერიოდებიდან. შედეგად, ჩვენი უკუგება კაპიტალზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვამდე შეადგენდა 26.4%-ს, წინა წლის 28.4%-თან შედარებით. 2020 წლის განმავლობაში ჩვენი წმინდა საპროცენტო მარჟა შეადგენდა 4.7%-ს, ხოლო ხარჯის შემოსავალთან ფარდობის კოეფიციენტი ჯგუფისთვის შეადგინა 35.1%, რაც გაუმჯობესდა 2.6pp-ით წინა წელთან შედარებით, ხოლო დამოუკიდებელი ბანკისთვის შეადგინა 32.8%. 2020 წელს ჩვენი ინვლად დანაკარგების რეზერვის ხარჯი მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენს მსესხებლებზე კოვიდ-19-ის პანდემიის პოტენციური ზემოქმედების დასაფარად, რის შედეგად რისკის საერთო ფასმა სრული წლის განმავლობაში შეადგინა 2.4%, 2019 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 0.7%-ს. შედეგად, კონსოლიდირებული წმინდა მოგება 2020 წელს შეადგენდა 337.3 მილიონ ლარს, ხოლო ჩვენი უკუგება კაპიტალზე და უკუგება აქტივებზე შეადგენდა შესაბამისად 12.9%-ს და 1.7%-ს.

ჩვენი საკრედიტო პორტფელი გაიზარდა 8.7%-ით წინა წელთან შედარებით უცვლელი სავალუტო კურსით, რაც აისახა 39.0% საბაზრო წილში. იმავე პერიოდში, ჩვენი დეპოზიტები გაიზარდა 13.7%-ით უცვლელი სავალუტო კურსით. შედეგად ჩვენი საბაზრო წილი საერთო დეპოზიტებში შეადგენდა 37.2%-ს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჩვენი ლიკვიდურობის და კაპიტალის პოზიციები დარჩა მყარი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვენი წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) და ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) იყო 126.0% და 134.2%, შესაბამისად. ჩვენი კაპიტალის კოეფიციენტი გაუმჯობესდა კვარტალურად წმინდა მოგების გენერაციის შედეგად (კოვიდ-19-თან დაკავშირებული

1 ჩვენი Employee Net Promoter Score 2020 წლის ოქტომბერში შეფასდა დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ ბანკის თანამშრომლებისთვის.  
 2 ჩვენი ჩართულობის ინდექსი 2020 წლის ოქტომბერში შეფასდა დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ ბანკის თანამშრომლებისთვის და გაიზარდა რამდენი თანამშრომელი გრძნობს ჩართულობას და პასუხისმგებლობის გრძნობას თავისი სამსახურის მიმართ.  
 3 ჩვენი თანამშრომლის ბედნიერების ინდექსი შეფასდა თიბისის მიერ, მსოფლიოს წამყვანი საკონსულტაციო ფირმის დახმარებით მომზადებული ყოვლისშემძველი კვლევის საფუძველზე. ამ კვლევამ შეაფასა, გრძნობს თუ არა თანამშრომელი თავს ბედნიერად და კმაყოფილად თავისი სამუშაოთი. ინდექსი გაიზარდა 2020 წლის ივლისში ბანკის თანამშრომლებისთვის.  
 4 ზრდა გამოწვეული იყო შემცირებული ფულადი ნაკადებით და გაზრდილი ციფრული გადარიცხვებით დახურული საზღვრების შედეგად. ამ კომპონენტის გათვალისწინებით, გადარიცხვების შემოღებები გაიზარდა 5.0%-ით 2020 წელს.  
 5 მსოფლიო ბანკი, Global Economic Prospects, იანვარი 2021

## გენერალური დირექტორის წერილი გაგრძელება

დამატებითი რეზერვი არ იყო შექმნილი მეოთხე კვარტალში, სეზონის რეზერვირების წესების შესაბამისად). ჩვენი ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალის და მთლიანი საზედამხებდველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები შეადგენდა 10.4%, 13.0% და 17.1%, შესაბამისად და შენარჩუნდა გამარტივებული მინიმალური მარეგულირებელი მოთხოვნის ზემოთ 3.0%, 3.8% და 3.4%, შესაბამისად.

### ბიზნეს სიახლეები

ვინაიდან ციფრული გადაწყვეტები გახდა რეალური საჭიროება პანდემიის პერიოდში, ჩვენ დამატებით გავზარდეთ ჩვენი ციფრული ფოკუსი და დავნერგეთ ახალი პროდუქტები და მომსახურებები, მათ შორის სრული ციფრული რეგისტრაციის პროცესი ჩვენს ინტერნეტ და მობილურ საბანკო პლატფორმებში, ციფრული დაკრედიტირების პლატფორმები საცალო სექტორის მომხმარებლებისთვის, მობილური აპლიკაცია კომპანიებისთვის და ციფრული პლატფორმა ფაქტორინგისთვის. ჩვენი საცალო ტრანზაქციების განტვირთვის კოეფიციენტი<sup>6</sup> დარჩა მაღალი და შეადგინა 95% 2020 წელს, ხოლო ციფრული მომხმარებლების რაოდენობამ<sup>7</sup> მეოთხე კვარტალში მიაღწია დაახლოებით 692,000-ს, გაიზარდა 8.7%- ნინა წელთან შედარებით.

2020 წელს ჩვენ შევინარჩუნეთ წამყვანი პოზიცია გადახდების ოპერაციებში, როგორც გადახდების მიღების, ასევე საცალო ტრანზაქციების თვალსაზრისით. ჩვენი საცალო მომხმარებლების მიერ განხორციელდა 76.2 მილიარდი ლარი ოდენობის ტრანზაქციები, 6.3%-ით ნაკლები ნინა წელთან შედარებით, ხოლო ჩვენი გადახდების მიღების მიმართულებით განხორციელდა 14.3 მილიარდი ლარის ოდენობის ტრანზაქციები, რაც არის 8.3%-იანი ზრდა ნინა წელთან შედარებით. ასევე მომსახურება გავუწიეთ 14,750 სავაჭრო ობიექტს და ჩვენმა საბაზრო წილმა ელ-კომერციის და POS მიმართულებით შეადგინა 58%<sup>8</sup> ტრანზაქციების მოცულობით. ჩვენმა შვილობილმა კომპანიამ, თიბისი ფეიმ, გაზარდა თავისი თვითმომსახურების ტერმინალების რაოდენობა 3,905 ტერმინალამდე და შეინარჩუნა წამყვანი პოზიცია კონკურენტებს შორის. 2020 წლის განმავლობაში ჩვენ ორიენტირებული ვიყავით ჩვენი გადახდის სისტემების გამარტივებაზე, ინოვაციური გადახდის მეთოდების დანერგვაზე და რისკის მართვის პრაქტიკების გაძლიერებაზე. საცალო მომხმარებლებისთვის ჩვენ შემოვიღეთ სააბონენტო მომსახურებები, ციფრული ბარათები და ასევე შესაძლებელი გავხადეთ გადახდა თბილისის საზოგადოებრივ ტრანსპორტში. კომპანიებისთვის ჩვენ დამატებით დავაჩქარეთ რეგისტრაციის პროცესები და შემოვიღეთ ციფრული plug-and-play შეთავაზება ელ-კომერციის გადახდებისთვის.

### პარსკაქიძე

2020 წელი იყო ტრანსფორმაციის წელი, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების წესი და ერთმანეთთან ურთიერთობა. ჩვენ მაქსიმალური ზომები მივიღეთ ცვლილებებთან გამკლავებისთვის და გამოწვევების ახალ შესაძლებლობებში გარდაქმნისთვის. დისტანციურმა სამუშაო პრაქტიკამ ჩვენს თანამშრომლებს მეტი მოქნილობა მიანიჭა პირად ცხოვრებასა და საქმიანობას შორის სწორი ბალანსის პოვნაში, ონლაინ შეხვედრები აღმოჩნდა მეტად ეფექტური, ხოლო ჩვენი პროცესების და შეთავაზებების შემდგომი დიჯიტალიზაცია დაეხმარა ჩვენს მომხმარებლებს დროის უფრო მეტად დაზოგვაში.

სამომავლოდ ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენი ციფრული და ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერებას ჩვენი ჯგუფის ყველა დონეზე ჩვენი ხედვის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ცხოვრების გამარტივებას როგორც ჩვენი მომხმარებლებისთვის, ისე ყველა სხვა დაინტერესებული მხარისთვის.

ვახტანგ ბუცხრიკიძე  
გენერალური დირექტორი

26 აპრილი 2021

6 მათ შორის Space ტრანზაქციები.

7 საცალო ინტერნეტ და მობილური ბანკინგის აქტიური მომხმარებლები, მათ შორის Space

8 სეზონის მონაცემების საფუძველზე.




# ეკონომიკური მიმოხილვა

## ეკონომიკური ზრდა

2020 წელს, კოვიდ-19-თან დაკავშირებული ლოქდაუნისა და შეზღუდვების გამო, საქართველოს რეალური მშპ 6.1%-ით შემცირდა. თიბისი კაპიტალის შეფასებით, 2021 წელს რეალური მშპ - 4.2%-ით, ხოლო 2022 წელს 7.4%-ით გაიზრდება.

## მშპ-ს რეალური ზრდა




\*წინასწარი მონაცემები  
წყარო: საქსტატი

## საგარეო საქმეები

2020 წლის განმავლობაში, ტურიზმის სექტორმა მნიშვნელოვანი დარტყმა მიიღო, რაც აშშ დოლარში გამოხატული ტურისტული შემოსავლების 84.0%-იანი შემცირებით გამოიხატა, თუმცა სხვა შემოდინებებმა შედარებითი მდგრადობა გამოავლინა. 2020 წელს საქონლის ექსპორტი 12.0%-ით შემცირდა, მაგრამ რე-ექსპორტის გარეშე, 3.5%-ით გაიზარდა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ეკონომიკა მცირე რაოდენობით (თუკი საერთოდ) აწარმოებს საინვესტიციო საქონელს, რომელზე მოთხოვნაც პანდემიის პერიოდში უფრო მეტად შემცირდა, ვიდრე პირველადი საჭიროების საქონელზე. გარდა ამისა, 2020 წლის განმავლობაში ფულადი გზავნილები 8.8%<sup>2</sup>-ით გაიზარდა. 2019 წელს რუსეთის მიერ ფრენების აკრძალვის მიუხედავად, პანდემიამდე პერიოდის ძლიერი, 20%-იანი, ზრდა, საქართველოს ტურიზმის სტრუქტურაში შორეული და ბიზნეს მოგზაურობების მცირე, შედარებით ახალგაზრდა ტურისტებისა და განმეორებითი ვიზიტების მაღალი წილი და ტურისტული ღია სივრცეების სიმრავლე ტურიზმის სექტორის თანდათანობითი აღდგენის არგუმენტებია. 2021 წელს, საბაზო სცენარის მიხედვით, 2019 წელს მიღებული ტურისტული შემოსავლების 30.0%-ის, ხოლო 2022 წელს 90.0%-ის აღდგენაა ნაგარაუდები.


ნაწილობრივი ლოქდაუნის ხელმეორედ შემოღებამ, ადგილობრივ მოთხოვნაზე უარყოფითი გავლენა იქონია, რამაც 2020 წლის მეოთხე კვარტალში იმპორტი 17.2%-ით შეამცირა, მაშინ როდესაც მესამე კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა 11.3%-ით. მთლიანობაში, 2020 წელს 2019 წელთან შედარებით იმპორტი 15.9%-ით შემცირდა. შემცირება ნაწილობრივ კომპენსირდა უფრო მდგრადი კვების პროდუქტების და სასმელებისა (წ/წ -4.6%) და სამრეწველო მარაგების იმპორტით (წ/წ -6.7%). მეორე მხრივ, 2020 წლის განმავლობაში ყველა სხვა კატეგორიამ მკვეთრი კლება განიცადა: სამომხმარებლო საქონელი (წ/წ -16.3%), კაპიტალური საქონელი (წ/წ -22.1%), სატრანსპორტო მოწყობილობა (წ/წ -25.0%), და საწვავი (წ/წ -27.5%). ვინაიდან ამავე პერიოდში ექსპორტი იმპორტზე უფრო ძლიერი იყო, 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, სავაჭრო ბალანსი 1.075 მილიარდი აშშ დოლარით, ანუ 18.8%-ით, გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი სრული წლისთვის სავარაუდოდ მკვეთრად გაუარესებულია, რადგან აღნიშნული ეფექტები თითქმის ნულამდე დაყვანილი ტურისტული შემოდინებების გამო მომსახურების ბალანსის გაუარესებით გადიონა.

### მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და წმინდა FDI (ფარდობა მშპ-სთან, %)



\*ბოლო ოთხი კვარტალი 2020 წლის 3 კვ მდგომარეობით  
წყარო: სები, საქსტატი

### შემოდინებების და იმპორტის წლიური ზრდა (%)




წყარო: სები, საქსტატი

### ფისკალური სტიმული


2020 წელს ეკონომიკის მხარდაჭერა ძირითადად საგარეო ვალის აღებით დაფინანსებული ძლიერი ფისკალური სტიმულის ხარჯზე მოხდა, რამაც მშპ-ის 9.1% შეადგინა. ფისკალური ხარჯები 2021 წელსაც გაგრძელდება და ფისკალური კონსოლიდაციის ფონზე შემცირებას მხოლოდ მომდევნო წლებში დაიწყებს.

### ფისკალური ხარჯები (% მშპ)



წყარო: ფინანსთა სამინისტრო

### მთლიანი სახელმწიფო ვალი (% მშპ)



წყარო: IMF, WEO ოქტომბერი 2020

1 პანდემიის დაწყებიდან ტურისტული შემოდინებების კლება შეადგინა 95.0% წინა წელთან შედარებით.  
2 გარკვეული ზრდა გამოწვეული იყო შემცირებული ბანკნოტებით და გაზრდილი ციფრული გადარიცხვებით დახურული საზღვრების გამო. ამ კომპონენტის გათვალისწინებით, შემოდინებებმა შეადგინა დაახლოებით 5.0% წინა წელთან შედარებით.


### კრედიტის ზრდა

2019 წლის 16.1%-იანი ზრდის შემდეგ, საბანკო სესხების ზრდამ 2020 წლის ბოლოს, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 9.1% შეადგინა. სეგმენტების კუთხით, კორპორატიული სესხების ზრდამ წინა წელთან შედარებით 6.9% შეადგინა, 2019 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი 28.0%-ის ტოლი იყო. ანალოგიურად, 2020 წლის ბოლოს MSME საკრედიტო პორტფელის მატება 10.5%-მდე შემცირდა, 2019 წელს 18.6%-იან ზრდასთან შედარებით. მეორე მხრივ, საცალო პორტფელმა ზრდის მაღალი მაჩვენებელი გამოავლინა და 2020 წლის ბოლოს 9.9% შეადგინა; 2019 წლის შესაბამის პერიოდში ეს მაჩვენებელი 6.1%-ს გაუტოლდა. საცალო პორტფელის ზრდა ძირითადად იპოთეკურ სესხებზე სახელმწიფო სუბსიდიის პროგრამამ და ასევე 2019 წლის არა-იპოთეკური სესხების დაბალმა საბაზო ეფექტმა განაპირობა, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის პასუხისმგებელიანი დაკრედიტების ამოქმედებით იყო გამოწვეული. ამასთან, სესხებზე საშელავათო პერიოდების დაწესებამ საბანკო პორტფელის ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

### ინფლაცია, მონეტარული პოლიტიკა და გაცვლითი კურსი


2020 წელს ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება დამატებითი გამომწვევა იყო, თუმცა ეროვნულმა ბანკმა საპასუხოდ სავალუტო ბაზარზე აქტიური ინტერვენციები განახორციელა და 873.2 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა, რითიც საგარეო შოკების ნაწილობრივი კომპენსაცია მოხდა. ამასთან, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სიფრთხილე შეინარჩუნა და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი პანდემიამდელი 9.0%-დან წლის ბოლოსთვის 8.0%-მდე თანდათანობით შეამცირა. 2020 წლის ბოლოს, აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსი 3.28-ზე დასტაბილურდა. წლის ბოლოს ფასების ყოველთვიური დინამიკა ინფლაციის გარკვეულ შემცირებაზე მიუთითებდა - დეკემბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსი წლიურად მხოლოდ 2.4%-ით გაიზარდა; თუმცა, ზომიერი ინფლაცია ძირითადად კომუნალურ გადასახადებზე სახელმწიფო სუბსიდიის პროგრამით აიხსნება. ინფლაციაზე გაცვლითი კურსის გაუფასურების დაგვიანებული გადაცემის, გაზრდილი კომუნალური გადასახადებისა და მაღალი სანარმოო ხარჯების გათვალისწინებით, 2021 წელს თავდაპირველად ინფლაციის ზრდაა მოსალოდნელი, სანამ ის სამიზნე მაჩვენებელამდე ეტაპობრივად შემცირდება, რაც, თავის მხრივ, მხოლოდ 2022 წელს იქნება შესაძლებელი.

### სამომხმარებლო ფასების ინდექსის ინფლაცია (წლიდან წლამდე, %) და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)





## შერჩეული ვალუტები აშშ დოლართან მიმართებით\*



\*ინდექსი, 1-იანვარი-20 = 100; ზრდა ნიშნავს გაუფასურებას აშშ დოლართან მიმართებით  
წყარო: სები

## მოლოდინები

მსოფლიო ბანკის უახლესი Global Economic Prospects<sup>1</sup>-ის თანახმად, საქართველოს ეკონომიკა 2021 და 2022 წელს 4.0% და 6.0%-ით აღდგება, შესაბამისად. მსოფლიო ბანკის პროგნოზი მეტწილად შესაბამისობაშია თიბისი კაპიტალის საბაზო სცენართან, რომელიც ეკონომიკის აღდგენას 2021 წელს 4.2%-ით, ხოლო 2022 წელს 7.4%-ით ითვალისწინებს.

მეტი ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკის და ფინანსური სექტორის შესახებ იხილეთ ვებ-გვერდზე [www.tbccapital.ge](http://www.tbccapital.ge).

1 მსოფლიო ბანკი, Global Economic Prospects, იანვარი 2021.

# როგორ ვაშენოთ ღირებულებას - ჩვენი ბიზნეს მოდელი

## ჩვენ ვიყენებთ ჩვენს გამორჩეულ კონკურენტულ უპირატესობებს...

- საუკეთესო ციფრული შესაძლებლობები, შექმნილი წლების განმავლობაში ინოვაციებში უწყვეტი ინვესტიციით;
- სიღრმისეული მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობა, რომელიც გვეხმარება ღირებულებების შექმნაში;
- მაღალი დონის მომხმარებელთა კმაყოფილება ჩვენს მრავალარხიან მომსახურების ქსელში;
- მაღალი ბრენდის ცნობადობა და საუცხოო რეპუტაცია სანდოობის, მაღალი ხარისხის, ინოვაციურობის და საზოგადოების სამსახურისთვის;
- ძლიერი კორპორატიული კულტურა, ორიენტირებული თანამშრომლობაზე და

## ...მომხმარებლის ცხოვრების

### საცალო სეგმენტი

- ემსახურება საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის 92%-ს;
- უმსხვილესი ბანკი შეძლებული კლიენტებისთვის

### მიკრო, მცირე და საშუალო (MSME) სეგმენტი

- უპირატესი ბანკი MSME-თვის საქართველოში, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ფინანსურ, ასევე არა-ფინანსურ მომსახურებებს.

### კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო (CIB) სეგმენტი

- წამყვანი კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მოთამაშე ქვეყანაში,



# ჩვენი სტრატეგია

კოვიდ-19 პანდემიის პირობებში, ჩვენ განვიხილეთ ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტები 2020 წლის მარტში, როგორც კაპიტალსა და ადამიანებზე გაზრდილი ზემოქმედების, ასევე ახალი შესაძლებლობების გათვალისწინებით. შეთანხმებული იქნა, რომ ჩვენი ხედვის - გავუმარტივოთ ადამიანებს ცხოვრება - გათვალისწინებით, ჩვენი მთავარი ფოკუსი წლის განმავლობაში იქნებოდა ჩვენი მომხმარებლების მხარდაჭერა ბაზარზე ჩვენი წამყვანი ციფრული შესაძლებლობების ეფექტური გამოყენებით, მონაცემთა ანალიზით და მომხმარებელთა კმაყოფილების უზრუნველყოფით უმაღლეს დონეზე. პარალელურად ჩვენ ვიცავთ ჩვენს კოლეგებს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნით და ვაძლევთ დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობას. ასევე, ვაგრძელებთ Agile ტრანსფორმაციას კომპანიის ფარგლებში, რადგან ეს ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორცაა ავტონომია, პასუხისმგებლობა და მოქნილობა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კრიზისის დროს.

ფინანსური მაჩვენებლების თვალსაზრისით, ჩვენ პრიორიტეტები მივანიჭეთ ჩვენი კაპიტალისა და ლიკვიდურობის პოზიციების პრუდენტულ მართვას, ჩვენი აქტივების ხარისხის აქტიურ მართვას, ასევე ხარჯების ოპტიმიზაციას. ეკონომიკური კრიზის მიუხედავად, ჩვენ ასევე მოვახდინეთ ჩვენი ძალისხმევების კონცენტრაცია მდგრადი შემოსავლის წყაროების შესანარჩუნებლად ჩვენი მომხმარებლების საჭიროებების ყურადღებიანი განხილვითა და მათთვის ყველაზე შესაფერისი პროდუქტებისა და მომსახურებების შეთავაზებით შესაბამის ფასად..

## ჩვენი 4 მთავარი სტრატეგიული პრიორიტეტი

### 1 — ბაზარზე წამყვანი ციფრული შესაძლებლობების შექმნა

ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი საუკეთესო ციფრული შესაძლებლობების გამოყენებას end-to-end ციფრული გამოცდილების შექმნისთვის ჩვენი მომხმარებლებისთვის. წლის განმავლობაში ჩვენ გავაფართოვეთ ჩვენი ინტერნეტ საბანკო პლატფორმები საცალო და ბიზნეს კლიენტებისთვის ახალი, სასარგებლო ფუნქციონალით და დავამატეთ რამდენიმე განახლებული ელემენტი ჩვენს მობილურ აპლიკაციას საცალო კლიენტებისთვის. გარდა ამისა, დავნერგეთ რამდენიმე ახალი ციფრული დაკრედიტირების პლატფორმა ჩვენი საცალო მომხმარებლებისთვის, რომელიც მორგებულია მომხმარებელზე და ეხმარება ადამიანებს მარტივად და სწრაფად მიიღონ სესხი. სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო უახლესი მობილური საბანკო აპლიკაციის დანერგვა ბიზნესებისთვის. აღნიშნული აპლიკაცია მოიცავს ჩვენი მოწინავე საცალო მობილური საბანკო აპლიკაციის მსგავს ინტერფეისს და ასევე აღჭურვილია სპეციალურად შექმნილი განახლებული ფუნქციონალით, მეწარმეების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. კორპორატიულ სეგმენტში ჩვენ შევექმნით ციფრული პლატფორმა ფაქტორინგისთვის, რომელიც მნიშვნელოვნად ამარტივებს პროცესს ყველა მონაწილე მხარისთვის. გარდა ამისა, ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენი ციფრული გამოცდილების გაუმჯობესება ახალი ციფრული გადახდის სერვისების შემოღებით და ჩვენი ციფრული არხების უფრო მეტად ინტეგრაციით ჩვენს ძირითად საბანკო პროდუქტებთან და მომსახურებებთან.

პარალელურად, ჩვენი დიჯიტალიზაციის ძალისხმევების მხარდაჭერის მიზნით, გავაგრძელებთ ჩვენი შიდა IT კომპეტენციებისა და არქიტექტურის გაძლიერება უახლეს ტექნოლოგიებში ინვესტირებით, IT კადრების განვითარებით და ჩვენი მოძველებული სისტემების განახლებით

## პროგრესი 2020 წელს

**95%** + 2pp 6/6

საცალო ტრანსაქციების განვითარების კოეფიციენტი<sup>1</sup>

**+8.7%** 6/6 დაახ. 692,000

საცალო ციფრული მომხმარებელი<sup>2</sup>

## 2 — ჩვენი მოწინავე მონაცემთა ანალიტიკური შესაძლებლობების გამოყენება

ჩვენი მიზანია წამყვანი პოზიციის გაძლიერება ქვეყანაში ჩვენი მოწინავე მონაცემთა ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერების გზით. ეს დაგვეხმარება შევქმნათ უფრო მიმზიდველი, პერსონიფიცირებული, დროული და ეფექტური შეთავაზებები. ეს თავის მხრივ გამოიწვევს შემოსავლების ზრდას ყველა სეგმენტში.

ამ მიზნით ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი სამწლიანი ანალიტიკური სამოქმედო გეგმის განხორციელებას, რომელიც შემუშავდა 2018 წელს, მსოფლიოს წამყვანი საკონსულტაციო კომპანიის მხარდაჭერით და მოიცავს 23 მონაცემთა ანალიტიკურ პროექტს ბანკის მასშტაბით. ჩვენი მიზანია გამოვიმუშავოთ დამატებითი 100 მილიონი ლარი წლიური წმინდა მოგების სახით 2023 წლისთვის. 2020 წელს ჩვენ წარმატებით შევიმუშავეთ რამდენიმე პროექტი საცალო, კორპორატიულ, MSME და რისკების დეპარტამენტებში, რომლებიც ძირითადად მიზანმიმართული იყო ჩვენს მოხმარებლებზე ორიენტირებულობის გაუმჯობესებაზე.

პარალელურად, ჩვენ ვაგრძელებთ კომპეტენციის ცენტრის შექმნას, რომელიც გააერთიანებს ყველა ბიზნეს მონაცემსა და ანალიტიკურ შესაძლებლობებს და მოგვაპოვებინებს კონკურენტულ უპირატესობას. ჩვენი მონაცემთა ანალიტიკის აკადემიის “Avalanche” ფარგლებში, ჩავუტარეთ სხვადასხვა ტრენინგი 50 თანამშრომლისგან შემდგარ სპეციალურ ჯგუფს, აღნიშნულ სფეროში ახალი ტექნოლოგიური განვითარებების შესახებ ინფორმირების მიზნით. გარდა ამისა, 2020 წლის ივნისში, ჩვენ ჩავატარეთ TIDA (თბილისის საერთაშორისო მონაცემთა ანალიტიკის კონფერენცია), პირველი ბიზნეს მონაცემების და ანალიტიკის კონფერენცია კავკასიაში, ახალი ტალანტების მოზიდვისა და მსოფლიოს ინდუსტრიაში წამყვანი ექსპერტებისგან ცოდნის მიღების მიზნით. ღონისძიებამ მოიზიდა 400 მონაწილე 100 კომპანიიდან და 25 ინდუსტრიიდან. გარდა ამისა, კომპანიის ფარგლებში მონაცემთა ანალიტიკის მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებისა და ბიზნეს საჭიროებების უკეთ გაგების მიზნით, ჩვენი მონაცემთა ანალიტიკის სპეციალისტები რეგულარულად ხვდებიან სხვადასხვა დეპარტამენტების წარმომადგენლებს და წარადგენენ თავიანთ სამუშაოს. წლის განმავლობაში ჩვენ ასევე შევიმუშავეთ Big Data multi-tenancy ტექნოლოგიური შესაძლებლობები სიღრმისეული ანალიტიკის უზრუნველყოფისთვის ბანკის მასშტაბით.

## პროგრესი 2020 წელს

### 9 პროექტი

დასრულდა 2020 წელს

### 20 მლნ ლარი

დაატაბითი შემოსავლება

1 მათ შორის სფეროს ტრანზაქციები  
 2 საცალო ინტერნეტ და მობილური საბანკო აქტიური მომხმარებლები, მათ შორის სფეროს აქტიური მომხმარებლები

### 3 — მომხმარებელთა მაღალი დონის კმაყოფილების მიღწევა

ჩვენ ვისწრაფვით, რომ გავხდეთ მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანია და ვუზრუნველყოთ მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი დონე ქვეყანაში. ეს გახდა უფრო და უფრო რთული მომხმარებლის მოთხოვნების და მოლოდინების ზრდის გამო. აქედან გამომდინარე, ჩვენ შევიმუშავეთ ინოვაციური პროდუქტები და მომსახურებები, რომლებიც არის რელევანტური, პერსონიფიცირებული, მარტივი და ადეკვატური ფასის. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ ყურადღებით ვაანალიზებთ ჩვენი მომხმარებლების უკუკავშირს სხვადასხვა კვლევების და ფოკუს ჯგუფებით, ასევე ვიყენებთ ჩვენს მონინავე ციფრულ და ანალიტიკურ შესაძლებლობებს, რათა შევქმნათ უახლესი და შესაფერისი შეთავაზებები. პარალელურად, ჩვენ დავხვეწთ ჩვენი კლიენტების გამოცდილება ჩვენს არხებში, ფილიალების დიზაინის გაუმჯობესებით, თანამედროვე თანა-სამუშაო სივრცის დანერგვით ჩვენი შექმნილი მომხმარებლებისთვის და ჩვენი ციფრული ბანკინგის ფუნქციონალის გამდიდრებით. ჩვენ ასევე გავამარტივეთ ჩვენი შიდა პროცესები „დანერგვის ვადის“ და „გადაწყვეტილების მიღების დროის“ შემცირების მიზნით ჩვენი პროდუქტებისთვის. კლიენტზე ორიენტირებული კულტურის ხელშეწყობის მიზნით, ჩვენ განვაახლეთ ჩვენი სამოტივაციო სისტემა უშუალოდ კლიენტებთან მომუშავე პერსონალისთვის და განვახორციელეთ სხვადასხვა შიდა მარკეტინგული ღონისძიება მნიშვნელოვან, კლიენტზე ორიენტირებულ პროექტებისთვის. გარდა ამისა, ჩვენ რეგულარულად ვატარებთ „შიდა მომხმარებლის ხმის“ გამოკითხვას, რაც თითოეულ თანამშრომელს აძლევს შესაძლებლობას შეაფასოს სხვა დეპარტამენტების მომსახურების ხარისხი, რაც საბოლოოდ გავლენას მოახდენს გარეშე მომხმარებლის მომსახურებაზე.

### პროგრესი 2020 წელს

**საუკეთესო  
მომსახურების  
კომპანია  
საქართველოში<sup>1</sup>**

მომხმარებლის ხედვით

**80% შეფასება  
კლიენტზე  
ორიენტირებულობის  
კვლევაში<sup>2</sup>**

თანამშრომლის ხედვით

## 4 — სამუშაო მეთოდების ტრანსფორმირება

ჩვენ ვისწრაფვით შევექმნათ კორპორატიული კულტურა, რომელიც იძლევა ჯგუფის ტრანსფორმაციის და დინამიურობის შესაძლებლობას. სტრატეგიის, სტრუქტურისა და პროცესების სწრაფად და ეფექტურად რეკონფიგურაცია, ახალ რეალობასთან მორგების მიზნით, არსებითად მნიშვნელოვანი ხდება დღევანდელ დინამიურ და გამოწვევების მქონე მსოფლიოში. კოვიდ-19 პანდემიამ დაადასტურა, რომ დადგენილი სამუშაო პრაქტიკები შესაძლოა დაირღვეს და კომპანიებმა უნდა იპოვონ გადარჩენის გზები. ბუნებრივია, ეს არის გამოწვევა კორპორატიული კულტურისა და ადამიანების მზაობისთვის, შეეგონ ცვლილებებს, მათთან შეწინააღმდეგების ნაცვლად. ჩვენ მტკიცედ გვჯამს, რომ ჩვენმა Agile კულტურამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩვენი სამუშაო პრაქტიკის სწრაფ ტრანსფორმაციაში პანდემიის პირობებში და ჩვენ მოვახერხეთ ყოველდღიური ოპერაციების განხორციელება მინიმალური შეფერხებით. აქედან გამომდინარე, ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენი Agile სტრუქტურის გაფართოება ბანკის მეტ დეპარტამენტში, ასევე გავუშვებთ Agile სამუშაო პრაქტიკები იმ დეპარტამენტებში, სადაც ის უკვე დანერგილი იყო. წლის ბოლოს სათავო ოფისის delivery function-ების დაახლოებით 86%<sup>3</sup> გახდა Agile ტრანსფორმაციის პროცესის ნაწილი, ასევე ზოგიერთი მხარდაჭერი განყოფილების, მათ შორის ფინანსების და რისკების განყოფილებების ნაწილი. მომდევნო წელს ჩვენ ვგეგმავთ დავამატოთ უფრო მეტი მხარდაჭერი განყოფილება Agile ტრანსფორმაციის პროცესში.

ამავდროულად, გუნდის მაღალი სულისკვეთების შენარჩუნება და ჩვენი თანამშრომლების კეთილდღეობაზე ზრუნვა დარჩა ჩვენი დღის წესრიგის მთავარ საკითხად. ჩვენ განვახორციელეთ რიგი ინიციატივები აღნიშნულთან დაკავშირებით, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დისტანციური სამუშაო პრაქტიკების დანერგვა ბუქ-ოფისის დაქოლცენტრის თანამშრომლებისთვის და, ამავდროულად, ფრონტ-ოფისის თანამშრომლების სრული უსაფრთხოების დაცვა პანდემიის

## პროგრესი 2020 წელს

**+ 30% ნ/ნ**

გაუზოგბანსაბული ორგანიზაციული მოქნილობის მაჩვენებელი<sup>4</sup>

**+ 1.4-ჯერ ნ/ნ**

გაუზოგბანსაბული დანერგვის დრო და სიხშირე<sup>5</sup>

**68% + 27pp**

ENPS<sup>6</sup>

1 IPM-ის, დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის მიერ 2020 წლის დეკემბერში ჩატარებული საცალო სეგმენტის კვლევის საფუძველზე.  
 2 შიდა გამოკითხვის საფუძველზე თიბისი ბანკის თანამშრომლებს შორის 2020 წლის დეკემბერში.  
 3 HQ მიწოდების განყოფილებები მოიცავს პროდუქტის განვითარებას, IT, სეგმენტის მართვას, ცენტრალურ გაყიდვების მართვას, მარკეტინგს, მხარდაჭერის განყოფილებების გარდა, როგორცაა HR, ფინანსური, იურიდიული, რისკის, შესაბამისობის, აღრიცხვის განყოფილებები და სხვა.  
 4 შიდა გამოკითხვის საფუძველზე, რომელიც აფასებს კომპანიის უნარს მოახდინოს რეაგირება სწრაფად ცვალებად გარემოში.  
 5 დანერგვის ვადა აფასებს დროს, რომელიც საჭიროა პროდუქტის გამოსაშვებად იდეის წარმოშობის თარიღიდან გამოშვების თარიღამდე, ხოლო გამოშვების სიხშირე ზომავს რამდენჯერ ახლდება სისტემები დროის მოცემულ პერიოდში.  
 6 Employee Net Promoter Score გაიზომა 2020 წლის ოქტომბერში დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ ბანკის თანამშრომლებისთვის.


# შედეგების ძირითადი მაჩვენებლები

ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით პროგრესს ჩვენი სტრატეგიის შესაბამისად და შევიმუშავეთ შედეგების ძირითადი მაჩვენებლები (KPIs), რომლითაც იზომება ჩვენი ფინანსური და საოპერაციო საქმიანობით მიღწეული შედეგები. საბჭომ განიხილა არსებული KPI-ების შესაბამისობა კოვიდ-19 პანდემიის ფონზე და კმაყოფილი დარჩა, რომ ისინი კვლავ რჩებიან საუკეთესო ინდიკატორები, იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს ჩვენი სტრატეგია და უზრუნველყოფს თუ არა იგი ჯგუფის გრძელვადიან მდგრად განვითარებას.

## ფინანსური KPI

### წმინდა მოგება (მლნ ლარში)


**337.3**



წმინდა მოგება შემცირდა 2020 წელს წინა წლებთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობების შენელებისა და მაღალი შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხარჯების გამო კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებით.

### უკუგება კაპიტალზე<sup>1</sup>


**12.9%**



2020 წელს უკუგება კაპიტალზე შემცირდა წინა წელთან შედარებით, დაბალი წმინდა მოგების გათვალისწინებით, მეტწილად მაღალი შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხარჯების გამო, რომელმაც გადანონა ჩვენი ეფექტური ხარჯების მართვის ღონისძიებების დადებითი ეფექტი.

### უკუგება კაპიტალზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვამდე<sup>1</sup>


**26.4%**



უკუგება კაპიტალზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვამდე დარჩა სოლიდური 2020 წელს, რაც განპირობებული იყო საოპერაციო შემოსავლის გენერაციითა და გაზრდილი ეფექტურობით.

### წმინდა საპროცენტო მარჟა

**4.7%**



2020 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა წმინდა საპროცენტო მარჟაში განპირობებული იყო სესხის საპროცენტო განაკვეთების შემცირებით, ლარში დეპოზიტების ხარჯების გაზრდით პანდემიის, ასევე ვალუტის გაუფასურების გამო.






# საოპერაციო KPIs

## ENPS<sup>1</sup>

68%



Employee Net Promoter Score განსაზღვრავს თანამშრომლის ლოიალობას და ასახავს იმის ალბათობას, გაუწევინ თუ არა ჩვენი თანამშრომლები რეკომენდაციას თავის დამსაქმებელს მეგობრებსა და ოჯახის წევრებში.

2020 წელს ჩვენ მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ ჩვენი ENPS ჩვენი თანამშრომლების აქტიური მხარდაჭერით ამ რთული წლის განმავლობაში.

## მომხმარებლის კმაყოფილება

საუკეთესო მომსახურების კომპანია საქართველოში (პარტნიორ ბანკებთან)<sup>2</sup>

2.9



2020 წელს ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი წამყვანი პოზიცია მომხმარებლის მაღალი დონის კმაყოფილების თვალსაზრისით არამხოლოდ საქართველოს საბანკო სექტორში, არამედ ასევე მსხვილ საცალო ინდუსტრიებს შორის საქართველოში. ამას მივადვინეთ ჩვენი მომხმარებლების ცხოვრების გამარტივებით ჯგუფის ყველა წევრის მნიშვნელოვანი ძალისხმევით წყალობით.

## საცალო ინტერნეტ და მობაილ ბანკის პენეტრაციის კოეფიციენტი<sup>3</sup>

50%



ჩვენი საცალო ინტერნეტ და მობაილ ბანკის პენეტრაციის კოეფიციენტი განაგრძობდა სტაბილურ ზრდას 2020 წლის განმავლობაში, რაც განპირობებული იყო აქტიური ციფრული მომხმარებლების ზრდით, რომელიც გაიზარდა 8.6%-ით წინა წელთან შედარებით.

## საცალო ტრანზაქციების განთვითონების კოეფიციენტი<sup>3</sup>

95%



ჩვენი საცალო ტრანზაქციების განთვითონების კოეფიციენტი განაგრძობდა ზრდას 2020 წელს იმის შედეგად, რომ ჩვენ დამატებით გავაძლიერეთ ჩვენი ციფრული ფოკუსი და დავნერგეთ ახალი ციფრული პროდუქტები და მომსახურებები.

1 ჩვენი Employee Net Promoter Score შეფასდა 2020 წლის ოქტომბერში, დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ მიერ ბანკის თანამშრომლებისთვის.  
 2 საცალო სეგმენტის კვლევის საფუძველზე, რომელიც ჩაატარა IPM, დამოუკიდებელმა კვლევითმა კომპანიამ 2020 წლის დეკემბერში.  
 3 მათ შორის სფისის ტრანზაქციები



# საცალო საბანკო მომსახურება



“ ჩვენი მიზანია ვიყოთ ქართველების პირველი არჩეული საბანკო სექტორში და შევთავაზოთ მათ საუკეთესო ციფრული პროდუქტი, რომელიც არის მომხმარებელზე მორგებული და მარტივი გამოსაყენებელი, ჩვენი მოწინავე ციფრული შესაძლებლობებისა და მონაცემების ანალიტიკის დახმარებით.

**თორნიკე გოგიჩაიშვილი**

## მიმოხილვა

თიბისი ბანკი ლიდერია საქართველოს საცალო საბანკო სექტორში და ემსახურება 2.6 მილიონ კლიენტს მრავალფეროვანი სისტემის მეშვეობით - რომელიც შედგება ფილიალებისგან, ქოლ ცენტრებისა და სხვადასხვა ციფრული არხებისგან. ჩვენი ინოვაციური ციფრული პლატფორმები საქართველოს მოსახლეობის ყოველდღიურობის ნაწილია (ჩვენი ტრანზაქციების 95%<sup>1</sup> -დისტანციურად ხორციელდება). ჩვენ ვამაყობთ მომხმარებლის კმაყოფილების უმაღლესი ინდექსით, საბანკო ინდუსტრიაში კი გვიკავია წამყვანი პოზიცია ყველა მსხვილ საცალო კომპანიებს შორის (არაერთი დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის კვლევებზე დაყრდნობით).

2020 წელს ჩვენი საცალო საკრედიტო პორტფელი შეადგენდა 5,954 მილიონ ლარს და გაიზარდა 8.6%-ით წინა წელთან შედარებით უცვლელი სავალუტო კურსის გათვალისწინებით. ეს ზრდა კი ძირითადად განპირობებული იყო იპოთეკური სესხების ზრდით, რომელიც გაიზარდა 11.4%-ით სავალუტო ეფექტის გარეშე. ამავე პერიოდში ჩვენი დეპოზიტების პორტფელი გაიზარდა 13.8%-ით წინა წელთან შედარებით უცვლელი სავალუტო კურსით და მიაღწია 7,255 მილიონ ლარს. მეტი დეტალი საცალო სეგმენტის ფინანსური შედეგების შესახებ წარმოდგენილია გვერდებზე 122-135.

## ჩვენი მრავალარხიანი პლატფორმა

**155** ფილიალები | **დაახ. 1,570** ბანკომატი<sup>2</sup> | **3,905** თვითმომსახურების თერმინალი

**25,163** POS თერმინალი | **50%** ინტერნეტ და მობაილ ბანკის კანეტრაცია<sup>3</sup>

**1<sup>st</sup>** ბიომეტრიული ხმის ამომცნობი სისტემა ქოლცენტრში |

**1<sup>st</sup>** ქართულ ენაზე მოსაუბრე ჩეთ-ბოტი, TI-BOT ხელმისაწვდომი FACEBOOK MESSENGER-ით

## 2020 ძირითადი მაჩვენებლები

**39.4%**

საცალო სესხების ბაზრის ნაწილი<sup>1</sup>

**39.5%**

საცალო დაკოვნიების ბაზრის ნაწილი<sup>2</sup>

**39.2%**

საცალო სესხების წილი მთლიან კორტფელში

**57.4%**

საცალო დაკოვნიების წილი მთლიან კორტფელში

**დაახ. 2.6 მლნ**

მომხმარებლის რაოდენობა

**95%**

საცალო განვითარების კოეფიციენტი<sup>3</sup>

### საუკეთესო მომსახურების პროვაიდერი საქართველოში<sup>4</sup>

კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში ჩვენ შევინარჩუნეთ სიმტკიცე და სანდოობა ჩვენი მომხმარებლების თვალში და განვახორციელეთ არაერთი ქმედება მათ მხარდასაჭერად. პირველ რიგში, ჩვენ გავაგრძელეთ ფინანსური მხარდაჭერა ჩვენი მომხმარებლებისთვის და შევთავაზეთ სამთვნიანი საშელავათო პერიოდი სესხის ძირისა და პროცენტის გადახდებზე. დამატებითი ინფორმაცია ჩვენი მომხმარებლებისადმი ბენეფიტების და შეთავაზებების შესახებ მოცემულია გვერდებზე 60-63.

ჩვენ ასევე ვუზრუნველყავით რომ საბანკო მომსახურება ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველასთვის შეფერხების გარეშე, მიუხედავად ქვეყანაში არსებული შეზღუდვების და ჩაკეტვების დროსაც კი. რაშიც ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩვენმა წამყვანმა ციფრულმა არხებმა. ჩვენს მომხმარებლებს მიეცათ შესაძლებლობა, განეხორციელებინათ საბანკო ტრანზაქციების უმეტესი ნაწილი დისტანციურად. უწყვეტი და უსაფრთხო ციფრული არხების პოპულარიზაციის მიზნით, რომელიც დაიწყო 2020 წლის მარტში, ჩვენ დროებით უარი ვთქვით ფულადი გადარიცხვების საკომისიოებზე, რომლებიც ხორციელდებოდა ჩვენი ინტერნეტ და მობილურის საბანკო პლატფორმებით სამი თვის განმავლობაში. ასევე გავზარდეთ მაქსიმალური ლიმიტები FX ტრანზაქციებისთვის შეღავათიანი გაცვლითი კურსის მეშვეობით. გარდა ამისა, ჩვენი ქოლ ცენტრი მუშაობდა კიდევ უფრო გაზრდილი დატვირთვით პანდემიის პირველი დღეების განმავლობაში. გარდა ამისა, ინფექციის პრევენციის მიზნით ჩვენ აღვჭურვეთ ჩვენი ფილიალები ყველა საჭირო უსაფრთხოების მექანიზმით ჩვენი თანამშრომლებისა და მომხმარებლების უსაფრთხოებისთვის.

## ჩვენი სტრატეგიული მიმართულებები 2020 წელს

### მომხმარებელზე ორიენტირებული

ჩვენი მიზანია, დავრჩეთ მომხმარებელზე ორიენტირებულ კომპანიად. ჩვენ ვაგრძელებთ მოწინავე ადგილზე ყოფნას მონაცემთა ანალიტიკის გამოყენების მეშვეობით, რათა ვუზრუნველყოთ მომხმარებლის პერსონალური და ეფექტური მომსახურება ჩვენი მრავალარხიანი პლატფორმების გამოყენებით.

2020 წლის განმავლობაში ჩვენ განვახორციელეთ შემდეგი ორი პროექტი საცალო სეგმენტში მონაცემთა ანალიტიკური მართვის მეშვეობით (შეტი ინფორმაცია მონაცემთა ანალიტიკურ მართვაზე იხილეთ გვერდებზე 16-24):

- 1 მათ შორის სფეისის ტრანზაქციები
- 2 თიბისი ბანკის ბანკომატები, მათ შორის პარტნიორი ბანკები
- 3 მათ შორის სფეისის აქტიური კლიენტები
- 4 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე, ამ კონტექსტში საცალო მიუთითებს ინდივიდუალურ მომხმარებლებს.
- 5 საცალო სეგმენტის კვლევის საფუძველზე, რომელიც ჩატარა IPM, დამოუკიდებელმა კვლევითმა კომპანიამ 2020 წლის დეკემბერში.



სა. ახლს 

# გამოიწერე ნაკრები

[WWW.TBCCARD.GE](http://WWW.TBCCARD.GE)

**VISA**



- **მომდევნო პროდუქტის ყიდვა საცალო მომხმარებლებისთვის** - პროექტის მიზანი იყო მოდელის შექმნა, რომელიც ჩვენს საცალო მომხმარებლებს ყველაზე შესაფერის პროდუქტებს შეთავაზებდა მათი საჭიროებიდან გამომდინარე, Netflix და Amazon-ის მსგავსი მიდგომებით. ჩვენ შევიმუშავეთ თანამედროვე სისტემის ალგორითმი, რომელიც თითოეულ მომხმარებელს მასზე მორგებულ შეთავაზებას უკეთებს, მათ შორის ინტერნეტ და მობაილ ბანკის მეშვეობით, ფილიალებსა და ქოლ ცენტრებში. ახალმა მიდგომამ ხელი შეუწყო გაყიდვების ზრდასა და ზედმეტი მომსახურებების შემცირებას ჩვენი მომხმარებლებისთვის რამაც განაპირობა მომხმარებლის კმაყოფილების ზრდა.
- **გამოწერის მოდელი მასიური და შეძლებული მომხმარებლებისთვის** - ეს მოდელი ჩვენს მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა სერვისის პაკეტებს ფიქსირებული ყოველთვიური გადასახადით. გამოწერის მოდელი გვხმარება შევთავაზოთ უფრო მომხმარებელზე მორგებული სერვისი ჩვენს კლიენტებს, გავზარდოთ მათი სტაბილურობა და გამოვიმუშავოთ უფრო გრძელვადიანი და მდგრადი შემოსავალი. ამ მოდელის ჩაშვებიდან დღემდე ჩვენ უკვე 31,000 მომხმარებელი მოვიზიდეთ.

2020 წელს ჩვენ გავაგრძელეთ ჩვენი ფართომასშტაბიანი ლოიალურობის პროგრამა - ერთგული, რომელიც ორიენტირებულია ჩვენს მასიურ საცალო მომხმარებელზე. ერთგული არის საკრედიტო ბარათი წინასწარ დამტკიცებული სესხის ლიმიტით, რომელიც ასევე ჩვენს მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას დააგროვონ ერთგული ქულები შეძენის დროს და ისარგებლონ სპეციალური შეთავაზებებით და ფასდაკლებებით 275-ზე მეტ პარტნიორ კომპანიაში, მათ შორის რესტორნებში, მაღაზიებში, სასტუმროებსა და სხვა პარტნიორ კომპანიებში. ჩვენ უწყვეტად ვზრდით პარტნიორი კომპანიების ჩამონათვალს, დარგის წამყვანი მოთამაშეების დამატებით, როგორც ონლაინ, ასევე ოფლაინ რეჟიმში შენაძენებისთვის და ასევე ვატარებთ სხვადასხვა ლოიალურ კამპანიებს. ერთი მხრივ, ეს პროგრამა გვხმარება კლიენტთან ურთიერთობის გაღრმავებაში და მათი ჩართულობის გაზრდაში, ხოლო მეორე მხრივ ზრდის ჩვენი საკრედიტო ბარათების გამოყენებას. შედეგად ჩვენი ერთგულის ბარათის მფლობელთა რიცხვმა მიაღწია 1.5 მილიონს 2020 წლის ბოლოს, ხოლო POS ტრანზაქციების რაოდენობა შეადგენდა 93 მილიონს 2020 წელს, რომელიც გაიზარდა 21.4%-ით წინა წელთან შედარებით.

## ჩვენი მოწინავე ციფრული შესაძლებლობები

როგორც საქართველოს ბაზარზე ლიდერი ციფრული არხების კომპანია, ჩვენ ვაგრძელებთ უფრო მოხერხებული და მოქნილი ციფრული შეთავაზებების დანერგვას ჩვენი მომხმარებლებისთვის.

ვინაიდან, ჩვენი ინტერნეტ და მობილური საბანკო მომსახურება რჩება ჩვენ მომხმარებლებთან კომუნიკაციის უპირატეს საშუალებად (რომელიც მოიცავს ყველა ტრანზაქციების 56%-ს), ჩვენ მუდმივად ვაგრძელებთ მის გაუმჯობესებას ახალი ფუნქციების დამატებით. წელს ჩვენს მომხმარებლებს შევთავაზებთ სიახლეები, რომელთა შორის იყო:

- სრულიად ციფრული რეგისტრაციის პროცესი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს საქართველოს რეზიდენტებს გაიარონ პირადობის იდენტიფიკაციის პროცესი და გახდნენ თიბისის მომხმარებლები მხოლოდ 90 წამში;
- ვირტუალური ციფრული ბარათი, რომელიც არის ტრადიციული პლასტიკური ბარათის ალტერნატივა;
- გამარტივებული სისტემა ფულადი გადარიცხვებისა და კომუნალური გადახდებისთვის; და
- მობილური საბანკო აპლიკაციის გამოყენება ინტერნეტის ბალანსის გარეშე.

გარდა ამისა, ჩვენ ვავითარებთ ალტერნატიული ონლაინ პლატფორმასაც, რომელიც წარმოადგენს სესხის აღების უფრო მარტივ და სწრაფ საშუალებას და ძალიან მოსახერხებელი აღმოჩნდა პანდემიის პირობებში. ჩვენი არსებული პლატფორმის “თიბისი კრედიტის” ([www.tbccredit.ge](http://www.tbccredit.ge)) გარდა, წელს ჩვენ დავამატეთ ორი, კიდევ უფრო ინოვაციური პლატფორმა:

- იპოთეკური პლატფორმა, [www.tbcmortgage.ge](http://www.tbcmortgage.ge), რომელიც ჩვენს მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ იპოთეკური სესხი ონლაინ რეჟიმში, დაბრკოლების გარეშე. ასეთი სესხის აღების საშუალო დრო შეადგენს მხოლოდ ორ დღეს. პლატფორმა ასევე მოიცავს ბევრ სასარგებლო ინფორმაციას, მათ შორის შეთავაზებებს უძრავი ქონების დეველოპერებისგან.
- განვადების პლატფორმა, [www.tbccanvadeba.ge](http://www.tbccanvadeba.ge), რომელიც ჩვენს მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას იყიდონ სხვადასხვა პროდუქტები ჩვენს პარტნიორ კომპანიებში და ისრგებლონ განვადებით სახლიდან გაუსვლელად.

## ღივიზიების მიმოხილვა გავრცელება

პარალელურად ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი ციფრული საბანკო პლატფორმის „სფეისის“ განვითარებას, რომელიც კონცენტრირებულია ახალგაზრდა თაობაზე და სერვისის სთავაზობს მარტივი, სრულიად განსხვავებული, არა-ტრადიციული საბანკო ფორმით. ასევე, სთავაზობს ბენეფიტებს, რომლებიც სრულად მორგებულია ახალგაზრდა სეგმენტზე, და მოიცავს ფასდაკლებებს სარესტორნო ქსელებსა და სხვა მომსახურებებში, ასევე ქეშბექს ეკოლოგიურად სუფთა ელექტრო სკუტერებით სარგებლობისას.

2020 წელს ჩვენ მივალწიეთ ტრანზაქციების მოცულობისა და რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას წინა წელთან შედარებით, რომელიც გაიზარდა 138% და 157%-ით და შეადგინა 367 მილიონი და 6.5 მილიონი ლარი, შესაბამისად. ეს ზრდა კი ძირითადად განპირობებული იყო როგორც აქტიური მომხმარებლების რაოდენობის ზრდით, ასევე მომხმარებლების ჩართულობისა და აქტიურობის ზრდით. ამავე პერიოდში ჩვენი სასესიო პორტფელი გაიზარდა 22%-ით და შეადგინა 34 მილიონი ლარი (ზრდა შეიზღუდა კოვიდ-19 პანდემიის გამო). წლის ბოლოს „სფეისის“ ჰყავდა დაახლოებით 246 ათასი რეგისტრირებული მომხმარებელი, რომელიც 36%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. მათგან 27% იყო მანამდე არააქტიური მომხმარებელი და 14% ახლად მოზიდული მომხმარებელი. „სფეისის“ მომხმარებლების ასაკი მერყეობს 25-34 წელს შორის. გარდა ამისა 2020 წლის მაისში შექმნა თავისი ვებ-არხი რაც ხელს უწყობს „სფეისის“ მომსახურებებზე წვდომას ფართო ბაზარზე. წლის ბოლოს ვებ პლატფორმამ მოიზიდა დაახლოებით 63 ათასი ახალი მომხმარებელი.

## ჩვენი ახალი პირადი საბანკო მომსახურების მოდელი - თიბისი კონცეპტი

ჩვენ ვართ პირველი ბანკი, რომელმაც დანერგა პირადი საბანკო მომსახურება საქართველოში 14 წლის წინ და განავითარა მომსახურების მაღალი სტანდარტები. ჩვენ მივისწრაფვით დავრჩეთ პირველები პირად საბანკო მომსახურებაში და მომხმარებელს მივანწოდოთ სერვისი მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. ამ მიზნით, ჩვენ მუდმივად ვაუმჯობესებთ მათზე მორგებულ შეთავაზებებს. წელს ჩვენ განვაახლეთ თიბისი სტატუსის ბრენდი თიბისი კონცეფტის სახით და შევიმუშავეთ მომხმარებელთან ურთიერთობის ახალი ფორმატი. ახალ მოდელს ჰქვია „გამოწერის მოდელი“, რომელიც იძლევა შესაძლებლობას თიბისის პირადი საბანკო მომსახურება გახდეს უფრო მოქნილი და უკეთ მორგებული ჩვენს მომხმარებლებზე. ამ კონცეფტით კი ჩვენ ადამიანებს ვაძლევთ შესაძლებლობას მიიღონ პროდუქტებისა და მომსახურებების პერსონალური პაკეტი სტანდარტული პაკეტების ნაცვლად.

ამჟამად ჩვენი პირადი საბანკო სერვისი მოიცავს როგორც პრემიუმ საბანკო მომსახურების პაკეტს, ასევე ინოვაციურ ციფრულ საბანკო მომსახურების მოდელს. მთავარი განმასხვავებელი ამ ორს შორის კი არის პერსონალური ბანკირი, რომელიც მხოლოდ არსებული პაკეტების მფლობელებისთვის არის, იმათთვის, ვინც უპირატესობას ანიჭებენ ტრადიციულ საბანკო მომსახურებას. ჩვენს კლიენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ პერსონალური კონსულტაცია მათი ბანკირისგან სპეციალურად გამოყოფილ სივრცეებში, რომლებიც 24 ფილიალშია წარმოდგენილი საქართველოს მასშტაბით. ასევე, გვაქვს შეთავაზება იმ კლიენტებისთვის, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ფინანსური კონსულტაციის მიღებას ონლაინ რეჟიმში და ამავდროულად სურთ წვდომა ჰქონდეთ ყველა ახალ შეთავაზებასა და ბენეფიტებზე. დიჯიტალიზაციის მიმართულებით ჩვენი მზარდი ტემპის შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ ჩვენი ციფრული მოდელი, (რომელიც ჩავეშით 2019 წლის თებერვალში), ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოს მოსახლეობაში და იზიდავს ახალ კლიენტებს. 2020 წელს ციფრული კლიენტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა და მიაღწია 44,770, რაც წინა წელთან შედარებით 26.9%-ით ზრდას მიაღწინებს.


2020 წელს ჩვენ შევექმენით სრულიად განსხვავებული, მრავალფუნქციური სივრცე ჩვენი პირადი საბანკო მომსახურების კლიენტებისთვის. ეს სივრცე მოიცავს საგამოფენო და საპრეზენტაციო დაარბაზებს, ბიბლიოთეკას, კაფეს, საერთო სამუშაო სივრცეს, თვითმომსახურებისა და პერსონალურ საბანკო ზონებს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ჩვენს მომხმარებლებს მიიღონ საბანკო მომსახურება და ფინანსური კონსულტაციები მაქსიმალური კომფორტით. ჩვენი შეთავაზებების ფარგლებში, ახალი კონცეფტის სივრცე უმასპინძლებს სხვადასხვა ღონისძიებებს, გამოფენებს, შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, რომელთა გამოცდილებაც შესაძლოა ინსპირაციად იქცეს ჩვენი სტუმრებისთვის და ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ განვითარებას.

ჩვენ Global Finance-მა დაგვასახელა საუკეთესო პირად ბანკად 2020 და 2021 წლებში. აღნიშნული პრესტიჟული ჯილდო კი ადასტურებს ჩვენს წამყვან პოზიციას პირად საბანკო სფეროში და კლიენტების მოთხოვნილებების სრულფასოვნად დაკმაყოფილებაში.




### საკრედიტო პორტფელი

(მლნ ლარი)  
**+26.5%**




### დეპოზიტების პორტფელი

(მლნ ლარი)  
**+34.4%**



### მომხმარებლების რაოდენობა

**+16.8%**



## ჩვენი მაღალშემოსავლიანი ფიზიკური პირები (HNWI)

ჩვენ ვემსახურებით დაახლოებით 2,700 რეზიდენტ და არარეზიდენტ მაღალშემოსავლიან ფიზიკურ პირს და ვთავაზობთ მათზე მორგებულ საბანკო სერვისებს. ასევე, კონსულტაციას ვუწევთ სხვადასხვა საინვესტიციო საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენი მაღალშემოსავლიანი კლიენტები სარგებლობენ სპეციალური პირობებით ტრადიციულ საბანკო მომსახურებებსა და სადაზღვეო პროდუქტების ბენეფიტებით, ასევე ექსკლუზიური შეთავაზებებით მსხვილ ღონისძიებებზე ქვეყნის ფარგლებში. ჩვენ ასევე გვყავს წარმომადგენლობა ისრაელში - "თიბისი ინვესტი", რომელიც გვაკავშირებს ისრაელში მყოფ კლიენტებთან და გვაძლევს საშუალებას, მივანვდინოთ ხმა თიბისი ბანკის სერვისის შესახებ.

ვინაიდან ჩვენი მაღალშემოსავლიანი მომხმარებლები აფასებენ ურთიერთობებს ჩვენს პირად ბანკირებთან და უპირატესობას ტრადიციულ საბანკო სერვისის ანიჭებენ, კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში ჩვენ მათ ვემსახურებოდით დისტანციურად მათთვის ყოველგვარი დისკომფორტის გარეშე. ჩვენი პირადი ბანკირები კი ხელმისაწვდომები არიან 24/7 ონლაინ რეჟიმში, მათი მოთხოვნების დაუყოვნებლივ და ეფექტურად დაკმაყოფილების მიზნით. ხოლო იმ შემთხვევაში თუ კლიენტი ჩვენს VIP დარბაზში ამჯობინებდა შეხვედრას, ისინი უზრუნველყოფილნი იყვნენ სრული უსაფრთხოებით.

გარდა ამისა, ჩვენ კვლავ ვთავაზობთ ჩვენს მაღალშემოსავლიან კლიენტებს საბროკერო და საინვესტიციო მომსახურებებს მათი ინვესტიციების დივერსიფიცირების მიზნით, ჩვენივე საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანიის "თიბისი კაპიტალის" დახმარებით.

2019 წელს ჩვენმა მაღალშემოსავლიანმა კლიენტებმა შეიძინეს დაახლოებით 44 მილიონი აშშ დოლარის ობლიგაციები "თიბისი კაპიტალის" მეშვეობით. თიბისი კაპიტალს სანდო პოზიცია უკავია ბაზარზე იმისთვის, რომ სრულად უზრუნველყოს საინვესტიციო შეთავაზებები სხვადასხვა საინვესტიციო მიზნების მიღწევისთვის. 2020 წელს კი ჩვენმა მაღალშემოსავლიანმა მომხმარებლებმა შეიძინეს 74.8 მილიონი ლარის ობლიგაციები და 15 მილიონი ლარის აქციები თიბისი კაპიტალის მეშვეობით, როგორც პირველად, ასევე მეორად ბაზარზე.

## თიბისი კონცეფტის Flagship სივრცე

მოიცავს საგამოფენო და საპრეზენტაციო დარბაზებს, ბიბლიოთეკას, კაფეს, საერთო სამუშაო სივრცეებს, თვითმომსახურებისა და პერსონალური საბანკო მომსახურების ზონებს, რომლებიც განაწილებულია 4 სართულზე 2,400 კვ.მ.-ზე.





მართველობის  
სამსახურე

მართველობის  
სამსახურე

მართველობის  
სამსახურე

მართველობის  
სამსახურე

# კორპორატიული საინვესტიციო საბანკო მომსახურება



“ ჩვენი მიზანია გავხდეთ ნომერ პირველი სტრატეგიული და საიმედო მრჩეველი ჩვენი პარტნიორებისთვის. ჩვენ გამოვირჩევით მომხმარებლებზე მორგებული კორპორატიული, საინვესტიციო საბანკო და საკონსულტაციო მომსახურებებითა და შეთავაზებებით, რაც დაფუძნებულია ჩვენი სექტორული კორპორატიული ბანკირების ანალიტიკურ შესაძლებლობებზე და მოწინავე ციფრულ და მონაცემთა ანალიტიკის შესაძლებლობებზე.

**გიორგი თხელიძე**

## მიმოხილვა

თიბისი ბანკი წამყვანი კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო (CIB) დაწესებულებაა საქართველოს ბაზარზე, როგორც სესხების პორტფელის, ასევე გარანტიებისა და აკრედიტივების კუთხით, ნომერ პირველი პოზიცია გვიკავია. მომხმარებლებს ვუმარტივებთ ყოველდღიურობას, მათ საჭიროებებზე მორგებული პროდუქტებითა და მომსახურებით, რისი შედეგიც ვაღწევთ ჩვენს პარტნიორებთან გრძელვადიან ურთიერთობებს, კმაყოფილება და ვიღებთ დადებით უკუკავშირს. ამასთან ერთად, მომხმარებლებს ვთავაზობთ კომპლექსურ საინვესტიციო საბანკო სერვისებს, ასევე კვლევით და საბროკერო მომსახურებას ჩვენი შვილობილი კომპანიის - თიბისი კაპიტალის დახმარებით, რომელიც ჩვენი კლიენტების სანდო პარტნიორია.

ჩვენ ასევე ვამაყობთ, რომ ვთავაზობთ მომხმარებლებს ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების სრული პაკეტსა და საკონსულტაციო მომსახურებებს, რათა დავეხმაროთ მათ სავაჭრო ოპერაციებში როგორც ადგილობრივად, ასევე საზღვარგარეთ. წლების განმავლობაში ჩვენ ჩამოვაყალიბეთ წარმატებული პარტნიორობა წამყვან საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან. ჩვენი მიღწევები აღიარებული იქნა რიგი პრესტიჟული ჯილდოებით წამყვანი გამოცემების მიერ:

**2020 და 2021 წლის ვაჭრობის დაფინანსების საუკეთესო პროვაიდერი საქართველოში - Global Finance-ის მიერ**

**ბაზრის ლიდერი და საუკეთესო მომსახურების პროვაიდერი საქართველოში - Euromoney-ს მიერ 2020 და 2021 წლებში ჩატარებული Trade Finance Survey-ს მიხედვით**

**ნაყვანი პარტნიორი ბანკი საქართველოში - ADB TSCFP ჭილდოები 2020**

**2020 მაჩვენებლები**

**38.6%**

კორპორატიული სასესხო ბაზრის წილი<sup>1</sup>

**34.5%**

კორპორატიული სადაკოვითო ბაზრის წილი<sup>1</sup>

**37.4%**

კორპორატიული სესხების წილი მთლიან კორტფალში

**31.7%**

კორპორატიული დაკოვითების წილი მთლიან კორტფალში

**52.4%**

კორპორატიული გარანტიების და აკრედიტივის საბაზრო წილი<sup>1</sup>


**3,665**

მომხმარებელთა რაოდენობა

უპრეცედენტო გლობალური პანდემიის და შემდგომი ლოქდაუნის განმავლობაში, ჩვენი მიზანი იყო მომხმარებლების მხარდაჭერა და მორგებული შეთავაზებების მიწოდებით ოპერაციების სამართავად. იმავდროულად, ჩვენ დავეხმარეთ ჩვენს მომხმარებლებს დისტანციურ და ციფრულ არხებზე სწრაფ გადასვლაში მათი ყოველდღიური ტრანზაქციებისა და ძირითადი ოპერაციების უწყვეტი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. გარდა ამისა, ჩვენი თანამშრომლების კეთილდღეობა ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. აქედან გამომდინარე, ჩვენ პროაქტიულად დავწერეთ მოქნილი დისტანციური სამუშაო პრაქტიკა და ვუზრუნველყავით ჩვენი თანამშრომლები ყველა საჭირო ტექნოლოგიური საშუალებით იმისათვის, რომ შეძლონ ეფექტური დისტანციური მუშაობა.

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე; ამ კონტექსტში კორპორაცია გულისხმობს იურიდიულ პირებს.

**მონინავე პოზიცია საქართველოს ეკონომიკის ყველა ძირითად სექტორში ღივიზიფიცირებული კორტფელით**




**კორპორატიული საბანკო მომსახურება**

**ფინანსური და საოპერაციო საქმიანობის შედეგები**

2020 წელს ჩვენი მთავარი მიზანი იყო მომხმარებელთა მხარდაჭერა და მათი აქტივების ხარისხის უზრუნველყოფა პანდემიის პირობებში. გარდა ამისა, ჩვენ მოვიზიდეთ რამდენიმე ახალი მსხვილი კორპორატიული მსესხებელი, ჯანდაცვის სფეროდან და ასევე ერთჯერადი სამედიცინო პირბადეების, სადებიზფექციო ხსნარების და სამედიცინო ფორმების მწარმოებლები. შედეგად, ჩვენმა სასესხო პორტფელმა 5,691 მილიონი ლარი შეადგინა, რომელიც წინა წელთან შედარებით 7.9%-ით გაიზარდა უცვლელი კურსის საფუძველზე, ხოლო CAGR უცვლელიკურსით გაიზარდა 28.2%-ით 2016-2019 წლებში. წელს დეპოზიტების პორტფელმა 4,001 მილიონი ლარი შეადგინა - წინა წელთან შედარებით 16.0%-ით გაიზარდა, უცვლელი კურსით. იმავე პერიოდში, კორპორატიული გარანტიების და აკრედიტივის პორტფელი 2,109 მილიონ ლარს შეადგენდა - წინა წელთან შედარებით 11.2%-ით გაიზარდა კურსის ეფექტის გარეშე.

პანდემიის მიუხედავად, სახელფასო ანგარიშების რაოდენობა შენარჩუნდა და 2020 წელს და 163,191 შეადგინა, იმავე პერიოდში კი სახელფასო ფონდი წინა წელთან შედარებით 4.2%-ით გაიზარდა და 315.2 მილიონი ლარი შეადგინა. ჩვენ შევინარჩუნეთ მონინავე პოზიცია გადახდების ბიზნესშიც, რომლის ტრანზაქციების რაოდენობაც 19.6%-ით გაიზარდა და ჯამში 112.9 მილიონი შეადგინა. ტრანზაქციების მოცულობამ კი 5,034 მილიონი ლარი შეადგინა - წინა წელთან შედარებით 24.0%-ით გაიზარდა. ვირუსის და შემცირებული ეკონომიკური საქმიანობების ფონზე, უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციების მოცულობამ 2020 წელს 10,449 მილიონი ლარი შეადგინა, წინა წელთან შედარებით 7.2%-ით შემცირდა, ხოლო იმავე ტრანზაქციების რაოდენობა კი 5.1%-ით შემცირდა და 114,561 შეადგინა.

დამატებითი ინფორმაცია კორპორატიული სეგმენტის ფინანსური მაჩვენებლების შესახებ წარმოდგენილია ფინანსური მიმოხილვის ნაწილში გვერდებზე - 122-135.



# აქ. ახდა

## ადგილობრივი საწარმოების მხარდაჭერა კანდეიის დროს

### ნოვა

კომპანია **ნოვა** საქართველოს ბაზარზე  
ოპერირებს 2006 წლიდან. ის აწარმო-  
ებს და ახორციელებს სამშენებლო და  
სარემონტო მასალების იმპორტს B2B  
კლიენტებისთვის. ჩვენ გავხდით ნოვას  
პარტნიორი 2017 წელს და მას შემდეგ  
მათ გვერდით ვართ. 2020 წლის გაფხულ-  
ში ჩვენი მხარდაჭერით, ნოვამ გახსნა  
სამშენებლო და სარემონტო მასალების  
ახალი მეგა-ცენტრები თბილისსა და  
ბათუმში, სადაც მომხმარებლებს სთავა-  
ზობს როგორც საერთაშორისო მასშტა-  
ბით აღიარებული ბრენდების მასალებს,  
ასევე ადგილობრივად წარმოებულ  
საქონელს.

## ჩვენი სტრატეგიული მიმართულებები 2020 წელს

### კომერციული წარმატების მიღწევა

წლის განმავლობაში კორპორატიული საბანკო საქმიანობის ფარგლებში, შევიმუშავეთ ფართომასშტაბიანი Commercial Excellence Transformation პროექტი, რომელიც არის სტრატეგიული პასუხი CIB ბანკირების ყოველდღიური საქმიანობის ძირითად გამოწვევებზე. პროექტის მიზანია ყველა მსხვილ პროდუქტში ჩვენი წამყვანი საბაზრო პოზიციის კიდევ უფრო გაძლიერება, მომხმარებელთან ურთიერთობის გაუმჯობესება და მნიშვნელოვანი მომგებიანობის მიღწევა და ასევე CIB თანამშრომლების ბედნიერების ინდექსის ზრდა. პროექტი 3 წლიანი მონაცემთა ანალიტიკური სამოქმედო გეგმის ნაწილია (დამატებითი ინფორმაცია ჩვენი სამოქმედო გეგმის შესახებ იხილეთ ჩვენს სტრატეგიაში გვერდებზე - 16-24).

პროექტის ფარგლებში, დავნერგეთ ახალი ანალიტიკა კომერციული პროცესის საფუძველზე კლიენტის ანგარიშის დაგეგმვისთვის და შევიმუშავეთ IT ინსტრუმენტი ჩვენი კორპორატიული ბანკირებისთვის, რომელიც წარმოადგენს მონაცემების სანდოობის ერთიან წყაროს და ამცირებს ნაკლებად ეფექტურ დავალებებზე დახარჯულ დროს. ინსტრუმენტი იძლევა სტრუქტურირებულ, სრულ წარმოდგენას თითოეული კლიენტზე, ინდისტრიის საუკეთესო პრაქტიკებზე, საჭაროდ ხელმისაწვდომ და შიდა მონაცემებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, მოიცავს სამანქანო სწავლების მოდელს და შესაძლებლობას აძლევს ჩვენს თანამშრომლებს, გამოთვალონ კლიენტების პოტენციური ღირებულება ერთეულ პროდუქტზე. ეს ხელს უწყობს ჩვენი კლიენტების შესაძლებლობის იდენტიფიკაციას, დაგეგმვასა და მიზანმიმართულობას. ინფორმაციის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა შესაძლებლობას მოგვცემს ჩვენი კლიენტების ბიზნეს ღირებულებების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, ყველაზე ოპტიმალური, მონაცემებზე დაფუძნებული შეთავაზებები შევქმნათ.

იმისთვის რომ კლიენტებს კიდევ უფრო ეფექტურად მოვემსახუროთ და მათ კმაყოფილება გავზარდოთ, ჩვენ განვაახლეთ მომხმარებლის მომსახურების მოდელი და გაყიდვების სტანდარტული პროცესები, მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობები თითოეული ტიპის მომსახურებისა თუ პროდუქტის მიმართ - დაწყებული იდენტიფიკაციიდან, გაყიდვების შემდგომ მხარდაჭერამდე. მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობები ხელს უწყობს თანამშრომლის კმაყოფილებისა და ჩართულობის ზრდას და შესაძლებლობას გვაძლევს შევიმუშავოთ მორგებული ტრენინგ პროგრამები და განვსაზღვროთ კონკრეტული კარიერული მიზნები.

### ღირებულების შექმნა ჩვენი მომხმარებლებისთვის


ჩვენი მომხმარებლების მხარდაჭერა და მათი რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა, ჩვენი საქმიანობის მთავარი პრიორიტეტია. კრიზისის პერიოდში, ჩვენი რესურსები ეფექტურად დავგეგმეთ და შევქმენით სპეციალური განყოფილება იმისთვის, რომ კლიენტებს, რომელთა საქმიანობაც პანდემიამ ყველაზე მეტად დააზარალა, მაქსიმალურად დავხმარებოდით. ურყევი მხარდაჭერა გამოვუცხადეთ ჩვენს მომხმარებლებს, რაც გულისხმობდა დაფინანსებას ყველაზე დაზარალებული სექტორებისთვის, როგორცაა HORECA და უძრავი ქონება, სესხის გადავადების შეთავაზებას საჭიროების მქონე მომხმარებლებისთვის, ყოველდღიური საბანკო ოპერაციების შესრულებას შეუფერხებლად, ასევე მათ დროულ ინფორმირებას მაკროეკონომიკური და სექტორული მოვლენების შესახებ. ჩვენ ასევე ხელი მოვანერგეთ გრძელვადიანი პარტნიორობის შემორანდუმს უნივერსიტეტებთან: ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (BTU) და კავკასიის უნივერსიტეტთან (CU), რომელიც ითვალისწინებს ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფას მათი არსებული და სამომავლო პროექტებისთვის, ასევე მოიცავს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებს. გარდა ამისა, ჩვენ აქტიური მონაწილეობა მივიღეთ სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებში, რომელთა მიზანია პანდემიით ყველაზე დაზარალებული სექტორების დახმარება. ჩვენ წვლილი შევიტანეთ სახელმწიფო იპოთეკური სუბსიდიის პროგრამის განხორციელებაში, რომელიც აღმოჩნდა მეტად ეფექტური და უძრავი ქონების დეველოპერებს მისცა საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა. მთლიანობაში, 2020 წლის ივლისიდან ჩვენ გავეციით 235 მილიონი ლარის იპოთეკური სესხები მოცემული პროგრამის ფარგლებში, რაც ჩვენი მთლიანი იპოთეკური სესხების გაცემების 38%-ს შეადგენს. მეტი ინფორმაცია სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების შესახებ მოცემულია ჩვენი მომხმარებლების ნაწილში, გვერდებზე 60-63.



გარდა ამისა, ჩვენი მომხარებლების ცხოვრების გამარტივებისთვის, ჩვენ გამოვუშვით ციფრული პლატფორმა ფაქტორინგისთვის, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მყიდველებისთვის, ასევე გამყიდველებისთვის მარტივ და დაცულ წვდომას სრულ ინფორმაციაზე მათ ფაქტორინგულ ოპერაციებთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ განაპირობებს ტრანზაქციების განხორციელების დაჩქარებას. პლატფორმა ხელმისაწვდომია არამხოლოდ ჩვენი კლიენტებისთვის, არამედ ასევე ნებისმიერი კომპანიისთვის, რომელიც ოპერირებს ბაზარზე, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ.

აქ. ახდა 

**კოვიდ-19-ის  
საკვანძოს  
საქმიანობების  
მხარდაჭერა**





## ეკო ბოჰემია

ეკო ბოჰემია არის მაღალი ხარისხის ანტისეპტიკური და სადებიინფექციო საშუალებების მწარმოებელი სამხრეთ კავკასიის რეგიონში. კოვიდ-19 პანდემიის შემდეგ კომპანიამ თავისი წარმოება გააფართოვა და გახსნა ახალი ქარხანა საქართველოში თბილისი ბანკის მხარდაჭერით. საწარმოში წარმოებული ანტისეპტიკური ხსნარები ეკოლოგიურად სუფთა, უამღლესი ხარისხის უსაფრთხო პროდუქტს წარმოადგენს და წარმოების პროცესში გამოყენებულია უმადლესი ხარისხის ფრანგული ეთერზეთები. ამჟამად კომპანიის წარმადობა თვეში 400 ტონა პროდუქტია და სამომავლოდ იგეგმება მისი გაფართოება უცხოური ბაზრების მომარაგებისთვის. კომპანიას აქვს ISO სერტიფიკატი და აქტიურად თანამშრომლობს ლუგარის ლაბორატორიასთან და სხვა აკრედიტირებულ ცენტრებთან.



## დოქტორ გუდსი

ჯანდაცვის სფეროში სამედიცინო ტანსაცმელზე გაზრდილი მოთხოვნის პასუხად, დოქტორ გუდსი ბაზარზე შემოვიდა 2020 წელს და დაიწყო სამედიცინო და ქირურგიული ხალათების წარმოება. ამჟამად მისი ყოველთვიური წარმადობა შეადგენს 450 ათას პროდუქტს. სტარტაპ საქართველოსთან და საპარტნიორო ფონდთან ერთად ჩვენ დავებმართე კომპანიას თავისი საქმიანობის დაწყებაში..



## მედიაფარმა / ნიუ ტექნოლოჯი იმპექსი

თბილისი ბანკის მხარდაჭერით, ორი ახალი საწარმო, მედიაფარმა და ნიუ ტექნოლოჯი იმპექსი, შეიქმნა 2020 წლის გაზაფხულზე, მაღალი ხარისხის სამედიცინო პირბადეების წარმოებისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. აღნიშნულ პროდუქტებს არსებითი მნიშვნელობა აქვს არამხოლოდ ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის, არამედ ასევე მაღალი ხარისხის ეროვნული პროდუქციის განვითარებისთვის. მედიაფარმას და ნიუ ტექნოლოჯი იმპექსის მწარმოებულობამ მიაღწია დაახლოებით 5.4 მილიონ პირბადეს თვეში.

## საინვესტიციო საბანკო მომსახურება

### საუკეთესო საინვესტიციო ბანკი საქართველოში 2021 წელს

Global Finance-ის მიერ

„თიბისი კაპიტალი“ არის თიბისი ბანკის მიერ სრულად ფლობილი შვილობილი, საინვესტიციო და ლიცენზირებული საბროკერო კომპანია. თიბისი კაპიტალი 1999 წელს დაფუძნდა და ქვეყანაში საინვესტიციო, საბროკერო და კორპორატიული ფინანსების კუთხით, წამყვანი კომპანიაა. კომპანიას აქვს უნიკალური შესაძლებლობები დაეხმაროს კლიენტებს ფინანსური მიზნების მიღწევაში - გარიგებების სტრუქტურირებიდან განხორციელებამდე, ასევე კონსულტაციებს უწევს რთულ კორპორატიულ ტრანზაქციებში. თიბისი კაპიტალი საქართველოს საფონდო ბირჟის აქციონერია, წვლილი შეაქვს ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაში და ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის საერთაშორისო ბაზრებზე ინტეგრაციაში.

2020 წელს თიბისი კაპიტალმა შეინარჩუნა ლიდერის პოზიცია საქართველოს ბაზარზე გამოშვებული ობლიგაციების თვალსაზრისით. მაშინ, როდესაც პანდემიის გამო მოთხოვნა მნიშვნელოვნად შემცირდა, ჩვენ გზავხორციელებთ რამდენიმე ტრანზაქცია, მათ შორის: თიბისი კაპიტალი იყო ერთადერთი წამყვანი ორგანიზატორი თიბისი ლიზინგის ობლიგაციებთან დაკავშირებით 58.4 მილიონი ლარის ოდენობით, ასევე ორი კერძო განთავსებისთვის მთლიანობაში 25.0 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თიბისი კაპიტალი, რაც წამყვან საერთაშორისო საინვესტიციო ბანკებთან ერთად, მოქმედებდა Georgian Global Utilities-ის 250 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის მწვანე ობლიგაციის თანა-მენეჯერად. ეს არის საქართველოს პირველი მწვანე ობლიგაციის გამოშვება, რომელიც დაილისტა ირლანდიის საფონდო ბირჟაზე. შედეგად თიბისი კაპიტალის მიერ საჭაროდ გამოშვებულმა და დალისტულმა ობლიგაციებმა წლის განმავლობაში 834 მილიონი ლარი შეადგინა და საქართველოს საფონდო ბირჟაზე 2020 წელს გამოშვებული და დალისტული საერთო ობლიგაციების 93.0%-ს იკავებს. ამასთანავე, მხარს ვუჭერთ მეორადი ობლიგაციების ბაზრის აქტივაციას ჩვენი კლიენტებისთვის, რაც საკუთარი სახსრების მართვაში მათ მეტ მოქნილობას ანიჭებს.



GGU

**250,000,000 აშშ დ.**

5 წელი  
საჭარო განთავსება  
7.75% მწვანე ობლიგაცია

ივლისი 2020  
თანა-მენეჯერი



TBC ლიზინგი

**58,400,000 ლარი**

3-წელი  
საჭარო განთავსება

მარტი 2020  
განთავსების აგენტი



კერძო განთავსება  
საბანკო  
ინფორმირიდან

**15,000,000 აშშ დ.**

3-წელი  
კერძო განთავსება

მაისი 2020  
განთავსების აგენტი



კერძო განთავსება  
საბანკო  
ინფორმირიდან

**10,000,000 აშშ დ.**



3-წელი  
კერძო განთავსება

მარტი 2020  
განთავსების აგენტი

თიბისი კაპიტალის კვლევის განყოფილება მსხვილი კორპორატიული კლიენტებისათვის და ინვესტორებისთვის ამომწურავი ინფორმაციის და ანალიტიკური მაჩვენებლების წყაროა. კვლევები მოიცავს რეგულარულ მაკრო, სექტორულ და ფასიანი ქაღალდების მიმოხილვას, ასევე სიღრმისეულ ანალიტიკურ პუბლიკაციებს მნიშვნელოვან მოვლენებზე. წლის განმავლობაში, კოვიდ-19-ის ზემოქმედება საქართველოს ეკონომიკაზე და ბიზნეს გარემოზე სრულად იქნა გაშუქებული რეგულარულ ონლაინ ღონისძიებებზე და პუბლიკაციებში. სხვა პუბლიკაციებმა დაფარა ფასიანი ქაღალდები საქართველოში, სხვადასხვა ეკონომიკური სექტორები და მაკროეკონომიკური მოვლენები. მთლიანობაში, 2020 წელს, თიბისი კაპიტალმა გამოაქვეყნა 140-ზე მეტი პუბლიკაცია, რითიც დაინტერესებულ აუდიტორიას ყოველთვის აწვდიდა ახალ მონაცემებს მნიშვნელოვანი მაკრო-სექტორული განვითარების და ძირითადი პარამეტრების პროგნოზების შესახებ. პუბლიკაციების სრული ჩამონათვალი წარმოდგენილია ვებ-გვერდზე [www.tbccapital.ge](http://www.tbccapital.ge).

ჩენი პუბლიკაციების გაშუქება მნიშვნელოვნად გაიზარდა გასული წლიდან, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ინვესტორებსა და ანალიტიკოსებს შორის. დამატებით, ჩვენი მაკრო მონაცემები შუქდება ყოველკვირეულად ბიზნეს მედია ონლაინ არხებზე. ასევე, მარტის თვიდან, თიბისი აწარმოებს სექტორული და მაკრო მონაცემების განახლებებს კორპორატიული კლიენტებისთვის ყოველთვიურად. დაახლოებით 300 კორპორატიული კლიენტი ესწრება აღნიშნულ ღონისძიებებს. გარდა ამისა, წლის განმავლობაში ჩვენ მოვახდინეთ რამდენიმე მსხვილმასშტაბიანი ონლაინ კონფერენციის ორგანიზება ჩვენი მომხმარებლებისთვის, სადაც ვისაუბრეთ ტურიზმის სექტორებში გამომწვევების და ტენდენციების შესახებ როგორც მაკრო, ასევე სექტორული თვალსაზრისით.

ჩვენი მიზნები ითვალისწინებს საუკეთესო საინვესტიციო საბანკო შეთავაზებებს ბაზრისთვის, რისთვისაც ჩვენ ვვგებავთ შეთავაზებების დივერსიფიცირებას ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების დანერგვით საცალო და ინსტიტუციური კლიენტებისთვის, ასევე ჩვენი პოზიციონირებით, როგორც ინფორმაციის სარწმუნო წყარო, ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბით, საქართველოს ეკონომიკის სიღრმისეული სექტორული კვლევებით და რეგულარული განახლებებით.



ჩვენი პუბლიკაციების სრული ჩამონათვალი იხილეთ ჩვენს ვებ-გვერდზე: <https://tbccapital.ge/publications>

# მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესები (MSME)



ჩვენი მიზანია ვიყოთ საიმედო პარტნიორი და მხარდაჭერი ბიზნეს საზოგადოებისთვის განვითარების ყველა ეტაპზე, ყველაზე მარტივი და მოსახერხებელი საბანკო და სხვა ინტეგრირებული პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზებით, მათი ბიზნესების მართვისა და განვითარებისთვის.

**ნიკოლოზ ქურდიანი**

## მიმოხილვა

თიბისი ბანკი არის მოწინავე პარტნიორი ბანკი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის (MSME) ქვეყანაში. ახლად რეგისტრირებული იურიდიული პირების 59%<sup>1</sup> ირჩევს სწორედ თიბისი ბანკს. წლების მანძილზე ჩვენ გამოგვარჩევს მომხმარებლების მომსახურება საუკეთესო სადისტრიბუციო არხებით, ინოვაციური და ხელმისაწვდომი პროდუქტების შეთავაზება და ფართო არაფინანსური სერვისების შეთავაზება მათი ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად.

კოვიდ-19 პანდემიის განმავლობაში, ჩვენი ციფრული არხები მეტად სასარგებლო აღმოჩნდა და მოგვცა ჩვენი კლიენტების შეუფერხებლად მომსახურების შესაძლებლობა. შედეგად, ჩვენმა განტვირთვის კოეფიციენტმა<sup>2</sup> მიაღწია 96%-ს 2020 წელს. 2019 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 93%-ს. ჩვენ დამატებით გავაძლიერეთ ჩვენი ციფრული არხები სრულიად ახალი მობილური საბანკო აპლიკაციის გამოშვებით MSME კლიენტებისთვის და ასევე ჩვენი არსებული ინტერნეტ საბანკო მომსახურებების გაუმჯობესებით. შედეგად, ციფრული MSME მომხმარებლების<sup>3</sup> რაოდენობამ მიაღწია 34,500-ს 2020 წელს.

2020 წელს, ჩვენს ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პანდემიამ და ჩვენი მთავარი მიზანი გახდა ჩვენი კლიენტების ფინანსური სტაბილურობის მხარდაჭერა. შედეგად, ჩვენი MSME საკრედიტო პორტფელი გაიზარდა 9.9%-ით წინა წელთან შედარებით უცვლელი სავალუტო კურსის საფუძველზე და შეადგინა 3,556 მილიონი ლარი. იმავე პერიოდში სადეპოზიტო პორტფელი გაიზარდა 7.5%-ით უცვლელი სავალუტო კურსის საფუძველზე და მიაღწია 1,378 მილიონ ლარს. დამატებითი ინფორმაცია MSME სეგმენტის ფინანსური მაჩვენებლების შესახებ წარმოდგენილია ფინანსური მიმოხილვის ნაწილში, გვერდებზე 122-135.

მომხმარებლის მხარდაჭერის თვალსაზრისით, MSME კლიენტებზე კოვიდ-19-ის უარყოფითი ზემოქმედების შერბილების მიზნით, ჩვენ შემოვიღეთ სამთვლიანი საშუალო პერიოდი ორ ძირითად ეტაპად, ასევე მთავრობასთან პარტნიორობით ჩვენს ყველაზე მონყვლად ბიზნესებს შევთავაზებთ სპეციალური პროგრამები. დეტალური ინფორმაცია აღნიშნული ინიციატივების შესახებ მოცემულია ჩვენი მომხმარებლის ნაწილში, გვერდებზე 74-76.

## 2020 მარკეტინგული

**59%**

ახლად რეგისტრირებული იურიდიული  
პირები ირჩევენ თიბისი ბანკს<sup>1</sup>

**160,311**

მომხმარებელი

**23.4%**

MSME-ის წილი მთლიან საკრედიტო  
პორტფელში

**10.9%**


MSME-ის წილი მთლიან სადაკომოციო  
პორტფელში

**96%**

MSME-ის განტვირთვის კოეფიციენტი<sup>2</sup>

### დღევანდური MSME პორტფელი მყარი კომპონენტით სასტუმროების და დასვენების, სოფლის მეურნეობის და სავაჭრო სექტორებში

- სასტუმროები და დასვენება
- სოფლის მეურნეობა
- ვაჭრობა
- მშენებლობა
- კვების მრეწველობა
- უძრავი ქონება
- მომსახურებები
- ჯანდაცვა
- ლომბარდები
- ტრანსპორტირება
- ავტოტექ. მომს.
- წარმოება
- ფიზ. პირები
- ნავთობი & გაზი
- ფინანსური მომსახურებები
- ენერჯეტიკა & კომ. მომს.
- ლითონები & სამთო მომს.
- კომუნიკაცია
- სხვა



1 მონაცემები ეხება 2020 სრულ წელს. წყარო: [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო  
 2 ფულადი ოპერაციების გარდა  
 3 ბიზნესის ინტერნეტ და მობილური საბანკო მომსახურებების აქტიური მომხმარებლები, მათ შორის TBC Business App

## ჩვენი სტრატეგიული მიმართულებები 2020 წელს

### ჩვენი ციფრული არხების გაუმჯობესება

კოვიდ-19-ის შემდგომ რეალობაში, მაშინ როდესაც მკვეთრად გაიზარდა დისტანციური და ციფრული სერვისების საჭიროება, ჩვენი საბანკო მომსახურებები უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდა. დღეის ბიზნეს მომხმარებლებისთვის უახლესი მობილური საბანკო აპლიკაციის გაშვებით. აპლიკაცია, რომელიც გამოშვებულია როგორც iOS ასევე Android-თვის, მოიცავს იმავე მახასიათებლებსა და შესაძლებლობებს, რასაც ინტერნეტ ბანკი, და ამავდროულად არის უფრო მოქნილი, რადგან ჩვენს კლიენტებს აძლევს შესაძლებლობას გამოიყენონ ჩვენი მომსახურებები ნებისმიერ ადგილას. ახალ ბიზნეს მობაილ ბანკს აქვს ჩვენი აღიარებული საცალო მობილური საბანკო აპლიკაციის მსგავსი ინტერფეისი, რაც ამარტივებს მის გამოყენებას. ის ასევე მოიცავს სპეციალურად შექმნილ ფუნქციებს ბიზნესის მფლობელების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, აღნიშნული აპლიკაცია საშუალებას აძლევს ახალ ბიზნესებს, რომ სწრაფად და მარტივად გახდნენ ჩვენი მომხმარებლები, სრულიად დისტანციურად. ახალი კომპანიის რეგისტრაციის შემდეგ, კომპანიის მფლობელს შეუძლია ჩამოტვირთოს აპლიკაცია, გახდეს თიბისის კლიენტი, შექმნას ანგარიში და დაინყოს ოპერაციები ფილიალში ვიზიტის ყოველგვარი საჭიროების გარეშე. 2020 წლის ბოლოს დაახლოებით 30,000 მომხმარებელმა ჩამოტვირთა აპლიკაცია მისი გაშვებიდან ივლისში, ხოლო მომხმარებლის ბაზა მუდმივად იზრდება თვიდან-თვემდე. აპლიკაციის შემდგომი განვითარება დაეფუძნება მომხმარებლებთან უკუკავშირს, რომელსაც მოვიპოვებთ ხშირი გამოკითხვებითა და გასაუბრებებით, რათა კიდევ უფრო დავხვეწოთ ჩვენი მომსახურება.

ვინაიდან ჩვენი ინტერნეტ საბანკო მომსახურება ყველაზე პოპულარული საკომუნიკაციო არხია ჩვენს მომხმარებლებთან, ჩვენ კვლავ ვაუმჯობესებთ მას ახალი შესაძლებლობებით. წელს ჩვენ დავნერგეთ შემდეგი ფუნქციები:

- > მონაცემთა ანალიტიკური შესაძლებლობები, როგორცაა გაყიდვების ანალიზი კვირის დღეების მიხედვით და დღის დროის მიხედვით, გაყიდვებზე ფასდაკლებების ეფექტის და მომხმარებლის ლოიალურობის შეფასება. აღნიშნული ფუნქციები დაეხმარება კლიენტებს განახორციელონ ბიზნესის მომგებიანობის ანალიზი და შეიმუშაონ სამომავლო სტრატეგია.
- > ინტეგრირებული ინვოისების მართვის ფუნქცია, რომელიც შექმნილია Invoice.ge – ინვოისების მართვის ონლაინ პლატფორმის მეშვეობით და შესაძლებლობას აძლევს მომხმარებლებს მართონ თავიანთი ინვოისები დამატებითი მცირე საფასურის სანაცვლოდ..

მოხარული ვართ, რომ ჩვენი ბიზნეს ინტერნეტ ბანკი აღიარებულ იქნა საუკეთესო კორპორატიულ/ინსტიტუციურ ციფრულ ბანკად საქართველოში, ასევე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში 2020 წელს და ყველაზე ინოვაციურ კორპორატიულ/ინსტიტუციურ ციფრულ ბანკად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში 2020 წელს Global Finance Magazine მიერ. გარდა ამისა, ჩვენ SME Banking Club -მა დაგვასახელა საუკეთესო ონლაინ/ინტერნეტ ბანკად ბიზნესებისთვის საქართველოში.

### ღირებულების შექმნა მომხმარებლისთვის


როგორც მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანია, ჩვენ აქტიურად ვაღივებთ თვალს საბანკო ტენდენციებს და ყურადღებას ვაქცევთ ყველაზე უმნიშვნელო ცვლილებებსაც კი ჩვენი მომხმარებლის ქცევაში. შედეგად, მუდმივად ვცდილობთ რომ ჩვენს მომხმარებლებს შევთავაზოთ მათთვის შესაფერისი პროდუქტები და მომსახურებები. წელს ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება პანდემიას დაეთმო. ჩვენი მიზანი იყო მომსახურებების განწევა შეუფერხებლად და ამავდროულად ჩვენი კლიენტების დახმარება ახალ რეალობასთან შეგუებაში.

ჩვენი პირველი ნაბიჯი აღნიშნულთან დაკავშირებით იყო ციფრულად შეთავაზებული მომსახურებების რაოდენობის გაზრდა, რამაც ჩვენს მომხმარებლებს მისცა ოპერაციების უმეტესი ნაწილის დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა, ხოლო ფილიალში ვიზიტი გახდა იშვიათი აუცილებლობა ან კლიენტის არჩევანი. ამავდროულად ჩვენს ყველაზე დატვირთულ ფილიალებში მომხმარებლებს დახვდებოდა ბიზნეს გზამკვლევები - ადამიანები, რომლებიც გააცნობენ დაინტერესებულ პირებს ინფორმაციას ჩვენი არსებული და ახალი პროდუქტების შესახებ, ასევე დაეხმარებოდათ მათ საჭიროებებზე მორგებული, ინდივიდუალური მომსახურებების შერჩევაში.

პარალელურად ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენი შიდა პროცესების ოპტიმიზაციას მომხმარებლის კმაყოფილების გაზრდის მიზნით როგორც ციფრულ, ასევე ტრადიციულ არხებში:



- ჩვენ შემოვიღეთ სრული ხარისხის მართვის მიდგომა MSME დეპარტამენტში. ეს მიდგომა მოიცავს რეგულარული ინფორმაციის მიღებას ჩვენი კლიენტებისგან, ასევე ჩვენი შიდა პროცესების უწყვეტ ანალიზს. შედეგად, ჩვენ შეგვიძლია ეფექტურად აღმოვფხვრათ ჩვენი კლიენტების ნებისმიერი პრობლემა და გავუწიოთ მათ მომსახურება უმაღლეს დონეზე.
- ჩვენ ასევე გავაუმჯობესეთ ჩვენი სესხის ავტომატური დამტკიცების პლატფორმა, რომელიც გაეშვა გასულ წელს და შესაძლებლობას გვაძლევს დავამტკიცოთ სესხები მოწინავე შეფასების მოდელის საფუძველზე. ეს პლატფორმა ავტომატურად ამუშავებს სესხის განაცხადს და ითვლის საკრედიტო ლიმიტებს თითოეული მომხმარებლისთვის სულ რაღაც წუთების განმავლობაში. ის ასევე ამარტივებს და აჩქარებს „time to yes“ და „time to money“ პერიოდს. 2020 წელს შესაძლებელი იყო 100,000 ლარამდე სესხების სრულად ავტომატურად დამტკიცება აღნიშნული პლატფორმის გამოყენებით და ჩვენი მიზანია ლიმიტის გაზრდა 250,000 ლარამდე.



## ქართული ბიზნესის მხარდაჭერა

ჩვენ კვლავ ვუჭერთ მხარს ბიზნესის განვითარებას საქართველოში. აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენს MSME მომხმარებლებს ვთავაზობთ უნიკალურ სრულმასშტაბიან ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამას, რომელიც მოიცავს განათლებას, ბიზნეს ბლოგს, ბიზნესის მხარდაჭერის სხვადასხვა საშუალებებს, წლიურ ბიზნეს დაჯილდოებასა და სტარტაპების პროგრამას. ყველა აღნიშნული მომსახურება გაერთიანებულია ერთ პლატფორმაზე: [www.tbcbusiness.ge](http://www.tbcbusiness.ge).

წელს, კოვიდ-19-ის გავრცელების შედეგად, გაციფრულება გახდა უმაღლესი პრიორიტეტი ბიზნესების უმეტესობისთვის საქართველოში. ჩვენ აქტიურად დავუჭირეთ მხარი ჩვენს კლიენტებს ამ პროცესში, მათთვის სხვადასხვა პროგრამების და პარტნიორობების შეთავაზებით. აღნიშნული პროექტები მოცემული მიმართულებით მოიცავს:

- > 200 ონლაინ მაღაზიის შექმნა უფასოდ Visa-თან პარტნიორობით; და
- > 100 MSME-თვის ციფრული მარკეტინგული სტრატეგიის შექმნა საქართველოს კრეატიული სააგენტოსთან - ვინდფორსთან - პარტნიორობით და EFSE-ის მხარდაჭერით.

საქართველოს ბიზნეს საზოგადოების გაერთიანებისა და განვითარების მიზნით, 2020 წლის ნოემბერში ჩვენ შევექმნით ბიზნეს კლუბი, საწევრო პლატფორმა, რომელიც თავის წევრებს სთავაზობს სხვადასხვა ფინანსური მომსახურების პაკეტს და არაფინანსურ ბენეფიტებს, ასევე ქმნის საერთო სივრცეს სოციალიზაციისთვის. ბიზნეს კლუბი შეიქმნა B-COM-ის საფუძველზე, რომელიც ბიზნეს კლიენტებს აწვდიდა საწევრო მომსახურებას და გაეშვა 2019 წელს. B-COM-ის მიერ მანამდე შეთავაზებული ფინანსური მომსახურებების გარდა, ბიზნეს კლუბის წევრებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა შეღავათები და პრივილეგიები მათი ბიზნესების განსავითარებლად. მაგალითად, კლუბის წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ინდივიდუალურ და კითხვა-პასუხის რეჟიმის შეხვედრებში სხვადასხვა სფეროს ექსპერტებთან, ასევე მიიღონ საუკეთესო შეთავაზებები ჩვენი პარტნიორი კომპანიებისგან. გარდა ამისა, ბიზნეს კლუბი არის მენარმეებისთვის და ბიზნესის მფლობელებისთვის სოციალიზაციის და სხვადასხვა დისკუსიებსა და ტრენინგებში მონაწილეობის პლატფორმა, მათი პროფესიული უნარების გაუმჯობესების და ბიზნეს კავშირების გაღრმავების მიზნით. ჩვენს კლიენტებს შეუძლიათ გახდნენ ბიზნეს კლუბის წევრები სამი არსებული საწევრო გეგმიდან ერთ-ერთის გამოწერით მცირე ყოველთვიური საფასურის სანაცვლოდ. 2020 წლის ბოლოს ჩვენ გვყავდა დაახლოებით 860 ბიზნეს კლუბის წევრი.

ჩვენ ვზრუნავთ ბიზნესის მფლობელების სხვადასხვა კუთხით განათლებაზე, რაც დაეხმარება მათ თავიანთი ბიზნესების უფრო ეფექტურად მართვაში. წელს ჩვენ მათ შევთავაზეთ ონლაინ ტრენინგ კურსები, გამოცდილი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით, სხვადასხვა საკითხზე. ტრენინგმა მოიზიდა 1,500-ზე მეტი მსურველი ლოქდაუნის პერიოდში. გარდა ამისა, ჩვენ გავამრავალფეროვნეთ ჩვენი საგანმანათლებლო რესურსები მოკლე, ონლაინ ლექციებით მენარმეებისთვის მათი ბიზნესის მართვის, ფინანსური აღრიცხვისა და მომგებიანობის საერთო პრინციპების შესახებ. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ ტრენინგებზე დასასწრებად და მიიღონ წვდომა აღნიშნულ რესურსებზე ჩვენი ბიზნეს მხარდაჭერის პლატფორმის გამოყენებით [www.tbcbusiness.ge](http://www.tbcbusiness.ge) სრულიად, უფასოდ.

საქართველოში მენარმეობის ხელშეწყობისთვის, 2016 წლიდან ჩვენ, EFSE-სთან პარტნიორობის ფარგლებში ასევე ვატარებთ ყოველწლიურ ბიზნეს დაჯილდოების ცერემონიას. წლების მანძილზე კონკურსმა მოიზიდა 2,400 მონაწილე და გახდა წლის მთავარი ბიზნეს მოვლენა ქვეყანაში, რამაც კომპანიებს მისცა მთელი ქვეყნის მასშტაბით თავიანთი წარმატების ისტორიების გაზიარების და სხვადასხვა პრიზების მოგების შესაძლებლობა. წელს ჩვენ გავაფართოვეთ ჩვენი საპრიზო კატეგორიების ჩამონათვალი კოვიდ-19-ის პირობებში ახალი რელევანტური კატეგორიის დამატებით - „ახალ რეალობასთან ადაპტაცია“. შედეგად მონაწილეებს შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ შემდეგ 5 კატეგორიაში:

- > წლის პროდუქტი / მომსახურება;
- > ახალ რეალობასთან ადაპტაცია;
- > განსაკუთრებული კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა;
- > წლის ინოვაცია; და
- > წლის სტარტაპი.

ღონისძიება გაშუქდა პრესაში და სოციალურ მედიაში და მოიზიდა 26 მილიონი მნახველი, ხოლო დამოუკიდებელი კვლევითი სააგენტოს, ACT, კვლევის მიხედვით გამოვლინდა, რომ პროექტის ცნობადობამ 2020 წელს მიაღწია 74%-ს.



**BUSINESS AWARD 2020**

Entrepreneurship Academy  
powered by EPE

## დადასტურებული მხარდაჭერა სტარტაპებისთვის და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის

წელს ჩვენ კვლავ განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ ჩვენს გრძელვადიან პრიორიტეტულ კლიენტებს - სტარტაპებს და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს - მათთვის ხელსაყრელი პირობების შეთავაზებით მათი ბიზნესების განვითარებისთვის.

ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ დამწყები ბიზნესების მხარდაჭერა, ასევე მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2017 წლიდან ჩვენ გვაქვს პროექტი „სტარტაპერი“, ინოვაციური პროგრამა, რომელიც სტარტაპებს სთავაზობს როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ დახმარებას. ჩვენ ვთავაზობთ მეწარმეებს ზოგადი დანიშნულების სესხებს, ასევე სპეციალურ სესხებს რესტორნებისთვის, სასტუმროებისთვის და აგრო-ბიზნესისთვის. გარდა ამისა, წელს ჩვენ შემოვიღეთ „სტარტაპ საწარმოს“ სესხი, რომელიც სთავაზობს ადგილობრივ საწარმოებს სესხებს შეღავათიანი პირობებით. სხვა ფინანსური შეთავაზებები მოიცავს ლიზინგს, ბიზნეს ბარათებს, უფასო ინტერნეტ ბანკინგს და დიჯიტალის რეგისტრაციას. არაფინანსურ მომსახურებებთან დაკავშირებით, პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებს, ღონისძიებებსა და ინდივიდუალურ კონსულტაციებს. „სტარტაპერი“ ასევე განსაკუთრებულ შესაძლებლობებს აძლევს კლიენტებს ბიზნესის განვითარებისთვის. ერთ-ერთი ასეთი შესაძლებლობა იყო „სტარტაპერის აპლიკაციების კონკურსი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 40-მა გუნდმა. პროექტი, რომელიც მხარდაჭერილი იყო FMO-ს მიერ და ჩატარდა მეორედ, დაეხმარა სამ გამარჯვებულ გუნდს მათი იდეების განხორციელებაში და აპლიკაციების შექმნაში. დაწყებიდან, „სტარტაპერის“ პროგრამამ მოიზიდა დაახლოებით 47,000 კომპანია, საერთო პორტფელი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა 600 სესხს, 185 მილიონი ლარის ოდენობით.

ასევე ჩვენი მიზანია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებების მხარდაჭერა ადგილობრივი ბიზნესებისთვის ხელმისაწვდომი ფინანსირების უზრუნველყოფით. 2020 წელს სახელმწიფო პროგრამებთან პარტნიორობით განხორციელებული პროექტების ფარგლებში - „აწარმოე საქართველოში“ და „შეღავათიანი აგრო კრედიტი“ - ჩვენ დავეხმარეთ დაახლოებით 12,000 მსესხებულს ადგილობრივი ბიზნესის დაწყებაში ან განვითარებაში. აღნიშნული პროგრამების ფარგლებში, მსესხებლებს შეუძლიათ სახელმწიფოს მიმართონ სუბსიდიის მოთხოვნით საპროცენტო ხარჯის შესამცირებლად. 2020 წელს ჩვენ გავეცით 1,800 ასეთი სესხი, 191 მილიონ ლარის ოდენობით. მთლიანობაში რურალური სესხების პორტფელმა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგინა MSME საკრედიტო პორტფელის 42%, ხოლო უმსხვილესი სექტორები იყო სასტუმრო და დასვენება, სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა, რომელთა წილებმა შეადგინა შესაბამისად 15%, 15% და 12%.

**თიბისის ბიზნეს კლუბი** აერთიანებს ქართულ ბიზნესებს საერთო სივრცის შექმნით, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ფინანსურ და არაფინანსურ მომსახურებებსა და ბენეფიტებს,





მართვადობითი უმცირესობის  
სამსახურში

მართვადობითი უმცირესობის  
სამსახურში

მართვადობითი უმცირესობის  
სამსახურში

მართვადობითი უმცირესობის  
სამსახურში

# გადახდების ოპერაციები



ჩვენი მისიის შესაბამისად: გავუმარტივოთ ცხოვრება ჩვენს მომხმარებლებს, ჩვენ მივისწრაფით, რომ შევთავაზოთ ფიზიკურ პირებსა და ბიზნესებს გამარტივებული გადახდების სერვისების სრული სპექტრი.

საქართველოში წარმოდგენილი ვართ სამი კომპანიით: თიბისი ბანკი - უმსხვილესი ფინანსური ინსტიტუტი ქვეყანაში, თიბისი ფეი - გადახდების სისტემის მომსახურებების წამყვანი პროვაიდერი და გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია (UFC) - უმსხვილესი საპროცესინგო ცენტრი ქვეყანაში.

**+11.6% წ/წ**

**330 მლნ**

ტრანზაქციების რაოდენობა  
2020 წელს<sup>1</sup>

**+6.2% წ/წ**

**116 მლრდ ლარი**

ტრანზაქციების მოცულობა  
2020 წელს<sup>1</sup>


ჩვენ ვართ წამყვანი გადახდების მომსახურებების პროვაიდერი საქართველოში, ვფლობთ უდიდეს საბაზრო წილს ელ-კომერციისა და POS ტრანზაქციებში. გარდა ამისა, ჩვენ ვართ პირველები ყველაზე ინოვაციური პროდუქტების დანერგვაში ქართულ ბაზარზე, როგორცაა სტიკერები, ბანკომატიდან QR თანხის განაღდება, უკონტაქტოდ თანხის განაღდება და გადახდის სამაჭურები.

ჩვენ გვაქვს თანამედროვე გადახდის ინფრასტრუქტურა, რომელიც არის 100% უკონტაქტო და მოიცავს ჩვენს ბანკომატებს, POS ტერმინალების და თვითმომსახურების ტერმინალების საკუთარ ფართო ქსელს, ასევე რვა მეგობრული ბანკის ქსელს, რომლებსაც საერთო გადახდის არხები აქვს ჩვენთან. ჩვენი გადახდების სისტემები აღჭურვილია მომხმარებლის აუთენტიფიკაციის და უსაფრთხოების სტანდარტებით, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო გადახდის გარემოს.

ჩვენი გადახდების სერვისები მოიცავს შემდეგ ძირითად სფეროებს: ბარათის გაცემა, ბარათის ექვივალენტი, ნაღდი ანგარიშსწორება და ტრანზაქციური პროდუქტები.

<sup>1</sup> მათ შორის, თიბისი ბანკის გადახდის ბიზნესი, თიბისი ფეი და UFC

# თიბისის გადახდების რუკა



## საცალო სეგმენტი

- > ვიზა/მასტერქარდი/ადგილობრივი/ციფრული ბარათებით და საფულით გადახდები;
- > **ტრადიციული საგადახდო სისტემები** - ანგარიშის ნომერზე გადარიცხვები, მობილურის შევსება, კომუნალური, საბიუჯეტო და ჭარიმების გადახდები, სესხის დაფარვები, საერთაშორისო სწრაფი ფულადი გადარიცხვები და ა.შ.
- > **ავტომატური გადახდები** - პირდაპირი სადებეტო და მუდმივი საგადახდო დავალებები;
- > **ინოვაციური საგადახდო სისტემები** - გადარიცხვები მობილური ტელეფონის ნომრით ან პირადი ნომრით, ბარათიდან ბარათზე გადარიცხვები, QR გადახდები; და
- > **ნაღდი ანგარიშსწორება** - TBC Pay თვითმომსახურების ტერმინალებში.

## ბიზნეს სეგმენტი

- > **ელ-კომერცია და POS ექვაირინგი;**
- > **ტრადიციული საგადახდო სისტემები** - ანგარიშის ნომერზე გადარიცხვები, მობილურის შევსება, კომუნალური, საბიუჯეტო, ჭარიმების გადახდები;
- > **ავტომატური გადახდები** - პირდაპირი სადებეტო და მუდმივი საგადახდო დავალებები;
- > **ფულადი სახსრების ინკასაციის ტერმინალები;** და
- > **ბიზნეს გადახდების აგრეგაციის სერვისი.**

## ბარათების გაცემა

**1.6 მლნ**

გაცემული ბარათი

**92%**

ჩვენი საბარათო გადახდების არის უკონტაქტო

საბარათო გადახდების კუთხით, ჩვენს კლიენტებს ვთავაზობთ პროდუქტების მრავალფეროვან ასორტიმენტს რომელიც შედგება ტრადიციული ბარათებისგან ასევე სტიკერების, სამაჭურებისა და ციფრული ბარათების ჩათვლით. კლიენტებს ასევე შეუძლიათ მიამაგრონ მათი ბარათები სმარტფონებს ან სმარტსაათებს და გამოიყენონ სხვა გადახდის საშუალებები, როგორცაა Apple Pay, TBC wallet ან Garmin Pay. დეკემბერში ჩვენს მომხმარებლებს შევთავაზეთ დიდი სიახლე - საზოგადოებრივ ტრანსპორტში ჩვენი ბარათებით გადახდა. ჩვენს კლიენტებს აღარ სჭირდებათ სპეციალური სამგზავრო ბარათის ტარება, ამის ნაცვლად შეუძლიათ გადახდა თიბისი ბარათით. გარდა ამისა, იმისათვის, რომ დავეხმაროთ ჩვენს მომხმარებლებს მათთვის ყველაზე შესაფერისი ბარათის შერჩევაში, განვახორციელეთ ახალი პროექტი მომხმარებლის ქცევის შესწავლისთვის და აქტიურად შევთავაზეთ არსებული ბარათების შეცვლა მაღალი კლასის ბარათებით, სპეციალური პირობებით. პროექტის გაშვებიდან სექტემბერში, 27,000 ბარათი ჩავანაცვლეთ.

## ბარათების ექვირიონგი

**58%**

ელ-კომერციის და POS ბაზრის წილი ტრანზაქციების მოცულობით

**51%**

ელ-კომერციის და POS ბაზრის წილი ტრანზაქციების რაოდენობით

ჩვენი ექვირიონგის ბიზნესი მოიცავს POS და ელექტრონული კომერციის მომსახურებებს. 2020 წელს ჩვენ ვიყავით ლიდერები ბაზარზე POS და ელ-კომერციის ტრანზაქციების რაოდენობის და მოცულობის მიხედვით, რომელიც შეადგენს 51% და 58% შესაბამისად.

ჩვენს მომხმარებლებს ვთავაზობთ სხვადასხვა ტიპის POS ტერმინალებს, როგორც ავტონომიურ ტერმინალს, ასევე ინტეგრირებულ და ორი-ერთში POS + სალარო აპარატებს და მუდმივად ვაუმჯობესებთ მათ შესაძლებლობებს ახალი მოხერხებული ფუნქციებით. წელს ჩვენ დავამატეთ რამდენიმე ახალი ფუნქცია, მათ შორის „tip“-ის დატოვება POS გადახდებისას და გადარიცხვები დისტრიბუტორებისთვის სპეციალური ბარათების გამოყენებით ბიზნესის მფლობელებისთვის. სხვა ინოვაციური შესაძლებლობები მოიცავს QR გადახდებს და ვალუტის კონვერტაციის დინამიურ დინამიურ საშუალებას.

რაც შეეხება ელ-კომერციას, ჩვენ ვთავაზობთ ბიზნესებს დაცულ, მოხერხებულ და მომხმარებელზე ორიენტირებულ შეტავაზებებს მათი ოპერაციების მხარდასაჭერად ციფრულ სივრცეში. წელს ჩვენ შევქმენით ახალი ელ-კომერციის პლატფორმა, TBC Checkout. TBC Checkout-ის ერთ-ერთი სარგებელი არის ის, რომ შესაძლებლობას აძლევს მომხმარებლებს გააკეთონ არჩევანი სხვადასხვა გადახდის მეთოდებს შორის. მომხმარებელს შეუძლია გადაიხადოს პირდაპირ ბარათით ან გამოიყენონ სხვა ინოვაციური გადახდის საშუალებები, როგორცაა მობილური საბანკო QR გადახდები, Apple Pay ან გადახდები ინტერნეტ ბანკინგის მომხმარებლებისთვის. დამატებით TBC Checkout-ს აქვს გამოსაყენებლად მარტივი საინფორმაციო პანელი, რომელიც ეხმარება ბიზნესებს აკონტროლონ და მართონ ტრანზაქციები შეუფერხებლად.

ბიზნესებს შეუძლიათ მიიღონ დეტალური ინფორმაცია ყველა ჩვენი POS და ელ-კომერციის სერვისებზე, ასევე შეუკვეთონ ისინი ჩვენს ახალ ონლაინ პლატფორმაზე [www.tbcpayments.ge](http://www.tbcpayments.ge).



## ტრანზაქციული პროდუქტები და ნაღდი ანგარიშსწორება

**24/7**

მომენტალური გადახდები კლიენტის ანგარიშსწორების შორის თიბისის ფარგლებში

**50%**

ბანკომატიდან ნაღდი ფულის გამოტანისა არის უკონტაქტო

ჩვენ ვთავაზობთ ბიზნეს და საცალო კლიენტებს ტრანზაქციული პროდუქტების ფართო ასორტიმენტს, რომელიც მოიცავს ანგარიშის ნომერზე გადარიცხვებს, გადარიცხვებს მობილური ნომრით, ბარათიდან ბარათზე გადარიცხვებს, მობილურის შევსებას, კომუნალურ გადახდებს, საბიუჯეტო გადახდებს, პირდაპირ სადებეტო და მუდმივ საგადახდო დავალებებს. ჩვენ ასევე ვამაყობთ, რომ გვაქვს საუკეთესო კომუნალური გადახდების პლატფორმა, სადაც რეალურ დროში ისახება კლიენტების დავალიანების თანხები და რომელსაც აქვს მომენტალური გადახდის შესაძლებლობები. წელს ჩვენ დავნერგეთ რამდენიმე ინოვაცია, მათ შორის მომენტალური გადარიცხვები მხოლოდ პირადი ნომრით, ასევე შესაძლებელი გავხადეთ მობილური საბანკო აპლიკაციის გამოყენება ინტერნეტის გარეშე.

ნაღდი ანგარიშსწორებები წარმოადგენს ჩვენი გადახდების ბიზნესის მნიშვნელოვან ნაწილს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო რჩება ნაღდ ანგარიშსწორებაზე ფართოდ დაყრდნობილ საზოგადოებად. ჩვენი ქსელი შედგება 1,570 ბანკომატისა<sup>2</sup> და 3,905 თვითმომსახურების ტერმინალისგან ქვეყნის მასშტაბით. 2020 წელს ჩვენი გადახდის ოპერაციების საერთო რაოდენობის 21% განხორციელდა ბანკომატებისა და თვითმომსახურების ტერმინალის გამოყენებით.

## ჩვენი შვილობილი კომპანიები გადახდების სფეროში

ჩვენი გადახდების ეკოსისტემა კიდევ უფრო ფართოვდება ჩვენი შვილობილი კომპანიებით, რომლებიც ჩვენს კლიენტებს სთავაზობენ უფრო დივერსიფიცირებულ მომსახურებებს.



**თიბისი ფეი**

### 2020 მაჩვენებლები

**3,905**

აქტიური თვითმომსახურების ტერმინალების რაოდენობა

**+24.8% 5/5 4,034 მლნ ლარი**

საგადახდო ოპერაციების მოცულობა 2020 წლის განმავლობაში<sup>3</sup>

„თიბისი ფეი“ არის საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი გადახდების კომპანია, რომელიც აკავშირებს მომხმარებლებსა და მიმწოდებლებს ციფრული გადახდის ოპერაციების მარტივად განსახორციელებლად.

კომპანია დაფუძნდა 2008 წელს თიბისი ბანკის მიერ და არის მის სრულ საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანია. „თიბისი ფეი“ ემსახურება მილიონზე მეტ მომხმარებელს და ამუშავებს ასობით გადახდებს წუთში.

1 წყარო: სებ

2 მათ შორის აპრტნიორი ბანკები

3 მოიცავს ტრანზაქციებს, რომლებიც განხორციელდა თვითმომსახურების ტერმინალებში, ინტერნეტ და მობილური საბანკო მომსახურების აპლიკაციები და ფულადი სახსრების მართვის ტრანზაქციები.

## ღივიზიების მიმოხილვა გავრცელება

„თიბისი ფეი“ მართავს თვითმომსახურების ტერმინალების ფართო ქსელს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც საშუალებას აძლევს ფიზიკურ პირებს განახორციელონ სხვადასხვა სახის ყოველდღიური გადახდები მომენტალურად, ინტერაქციულ რეჟიმში, 24 საათის განმავლობაში. გადახდები შეიძლება განხორციელდეს როგორც ნაღდი ფულით, ისე თიბისის სადებეტო ან საკრედიტო ბარათის გამოყენებით. „თიბისი ფეი“ -ს ასევე აქვს ონლაინ პლატფორმა ([www.tbcpay.ge](http://www.tbcpay.ge)), რომელიც შესაძლებლობებს აძლევს მომხმარებლებს გადაიხადონ ონლაინ საქართველოს და საერთაშორისო ბანკების საკრედიტო / სადებეტო ბარათების გამოყენებით.

გარდა ამისა, 2019 წელს ჩვენ გამოვეშვიტოთ თიბისი ფეის მობილური აპლიკაცია, რომელიც დადებითად მიიღო ჩვენმა მომხმარებლებმა და 2020 წლის ბოლოს ჩვენ მივაღწიეთ 100,000-ზე მეტ ჩამოტვირთვას და 4.9 და 4.8 ვარსკვლავის რეიტინგებს Apple store და Google play-ში შესაბამისად.

კომპანია ასევე სთავაზობს ფულადი სახსრების მართვის მომსახურებებს კომპანიებს რომლებსაც აქვთ ნაღდი ფულის დიდი ბრუნვა. ჩვენ სპეციალურად შევქმენით Cash Box-ები ასეთი ტრანზაქციებისთვის, რომლის მეშვეობით მომხმარებლები გადიან მაღალი დაცულობის მქონე აუთენტიფი-



კაციის პროცესს. ამის შემდეგ მათ შეუძლიათ ადვილად განათავსონ ფული თავიანთ ანგარიშებზე, ასევე წარადგინონ შესაბამისი ტრანზაქციის აღწერილობები. ფული მომენტალურად გადაირიცხება მათ საბანკო ანგარიშზე, ობიექტის დატოვების გარეშე.

2020 წლის განმავლობაში, ტრანზაქციების მოცულობა თვითმომსახურების ტერმინალებში გაიზარდა 23%-ით წინა წელთან შედარებით და მიაღწია , 2,719 მილიონ ლარს, ხოლო ტრანზაქციების რაოდენობა თვითმომსახურების ტერმინალებში შემცირდა 8%-ით წინა წელთან შედარებით და მიაღწია 41.2 მილიონ ლარს. ტრანზაქციების რაოდენობის შემცირება დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ უფრო და უფრო მეტი მომხმარებელი გადავიდა ინტერნეტ და მობილური საბანკო მომსახურების აპლიკაციებზე კომუნალური გადახდებისთვის. წლის ბოლოსთვის თიბისი ფეის ექსპლუატაციაში ჰქონდა 3,905 თვითმომსახურების ტერმინალი, წინა წელთან შედარებით, როდესაც ეს რიცხვი 3,671 შეადგენდა. იმავე პერიოდში, ტრანზაქციების რაოდენობა ჩვენს ვებ პლატფორმაზე და მობილურ აპლიკაციაში გაიზარდა 61%-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 1.8 მილიონი, ხოლო ტრანზაქციების მოცულობა გაიზარდა 63%-ით წინა წელთან შედარებით და მიაღწია 80 მილიონ ლარს. ფულადი სახსრების მართვის ბიზნესის თვალსაზრისით, ჩვენ მივალწიეთ ტრანზაქციების რაოდენობის და მოცულობის ზრდა თითო ტერმინალზე გაანგარიშებით. ფულადი სახსრების მართვის ტრანზაქციების მოცულობამ შეადგინა 1,244 მილიონი ლარი 2020 წელს, გაიზარდა 26%-ით წინა წელთან შედარებით, ხოლო ასეთი ტერმინალების რაოდენობა გაიზარდა 18%-ით 454-დან 534-მდე.

შედეგად 2020 წელს ჩვენმა წმინდა მოგება მიაღწია 36.7 მილიონ ლარს, გაიზარდა 5%-ით წინა წელთან შედარებით, ხოლო ჩვენმა EBITDA-მ შეადგინა 21.1 მილიონი ლარი და გაიზარდა 15%-ით წინა წელთან შედარებით.

ოპერაციული კუთხით, ჩვენ დავიწყეთ Agile ტრანსფორმაცია და სრულად მოვახდინეთ ჩვენი IT და პროდუქტის გუნდების სტრუქტურების სახეცვლილება შიდა პროცესების დასაჩქარებლად და ასევე იმისთვის, რომ გავხდეთ უფრო მოქნილები და დაუყოვნებლივ მოვახდინოთ რეაგირება ბაზრის საჭიროებებზე.

## მოლოდინები

ჩვენი სურვილია გავხდეთ წამყვანი ფინანსურ-ტექნოლოგიური კომპანია საქართველოში ყველაზე ინოვაციური გადახდის საშუალებების წარდგენით, ჩვენი არსებული ციფრული არხების გაუმჯობესებით, ასევე ჩვენი IT ინფრასტრუქტურის გაძლიერებით უახლესი ტექნოლოგიური გადაწყვეტებით. გარდა ამისა, ჩვენ ვგეგმავთ გავაფართოვოთ ჩვენი სამომხმარებლო ბაზა აუთენტიკელი მცირე, საშუალო და მიკრო ბიზნესებს შორის, ასევე გავხდეთ უმსხვილესი გადახდის აგრეგატორი საქართველოში, რომელიც სთავაზობს მომსახურებებს ბაზარზე არსებულ ბანკებს და სხვა ფინანსურ დაწესებულებებს.



გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია (UFC) არის პირველი და უმსხვილესი ბარათების საპროცესინგო ცენტრი როგორც საქართველოში, ასევე რეგიონში<sup>1</sup>. როგორც წამყვან გადახდის სისტემის ოპერატორს, UFC-ს აქვს 1,200 ბანკომატისა და, 28,000 POS ტერმინალისგან შემდგარი ქსელი და ამუშავებს 500 მილიონზე მეტ ტრანზაქციას და ავტორიზაციას წელიწადში. თიბისი ბანკი ამ კომპანიაში 99.5%-იან წილს ფლობს.

UFC ამუშავებს და მართავს საბარათე ტრანზაქციებს ყველა გადახდის ტერმინალში, ახორციელებს ბარათის პერსონალიზაციას და მხარს უჭერს მერჩანტებს ბარათთან დაკავშირებულ მომსახურებებში. ამჟამად UFC ემსახურება 10 ბანკს და 14 ფინანსურ ორგანიზაციას ბაზარზე. UFC თავის კლიენტებს სთავაზობს ინოვაციურ გადაწყვეტებს და ტექნოლოგიურად უახლეს პროდუქტებს და მომსახურებებს, რომლებიც ხორციელდება უახლესი უსაფრთხოების სტანდარტების და საერთაშორისო დონეზე აღიარებული გადახდის სისტემების რეკომენდაციების შესაბამისად.

1 რეგიონი - აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო

# მსხვილი შვილობილი კომპანია



2020 მარკენაბლები

**72%**

საბაზრო წილი

**280 მლნ ლარი**

სალიზინგო კორტფელი

**2,846**

მომხმარებლების რაოდენობა

თიბისი ლიზინგი არის წამყვანი სალიზინგო კომპანია საქართველოში და თიბისი ბანკის მთლიანად საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანია, რომელიც დაფუძნდა 2003 წელს. თიბისი ლიზინგი ემსახურება როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე იურიდიულ პირებს და სთავაზობს მათ სრულფასოვან სალიზინგო გადაწყვეტილებებსა და საკონსულტაციო მომსახურებებს, მათ შორის ფინანსურ ლიზინგს, საოპერაციო ლიზინგს, გაყიდვებსა და დაგირავებას, რომლებიც მორგებულია მომხმარებლის საჭიროებებზე. ლიზინგის პორტფელის დაახლოებით 88%-ს შეადგენს იურიდიული პირები, რომელთა შორის მომსახურებების სფერო, ჯანდაცვა და წარმოება უმსხვილეს სექტორებს წარმოადგენს. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ უმსხვილეს მომწოდებლებთან საქართველოში, რათა ხელი შევეწყოთ ახალი სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობების გაყიდვებს და დაფინანსებას, რომელიც გამოიყენება ტრანსპორტირებაში, მშენებლობასა და წარმოებაში. ჩვენი საცალო პორტფელი შედგება ახალი და მეორადი ავტომობილებისგან, რომელთა წილი მთლიან საცალო პორტფელში შეადგენს შესაბამისად 42%-ს და 58%-ს. საცალო მომხმარებლები მომსახურებებს იღებენ სერვის-ცენტრებში, ხოლო MSME-სა და კორპორატიული კლიენტების მომსახურებისთვის გამოიყენება თიბისი ბანკის არხები.

კოვიდ-19 პანდემიაზე საპასუხოდ, 2020 წლის მარტში ჩვენს მომხმარებლებს შევთავაზეთ სამთვიანი საშელავათო პერიოდი. 2020 წლის ივნისში და დეკემბერში ჩვენ გავაგრძელეთ საშელავათო პერიოდი მომდევნო სამი თვით მხოლოდ ჩვენი მოწყვლადი მომხმარებლებისთვის. გარდა ამისა, ჩვენ დავინყეთ ციფრული მომსახურებების აქტიური შეთავაზება ჩვენი მომხმარებლებისთვის, რაც ჩვენს ერთ-ერთ ძირითად ფოკუსად დარჩება მომდევნო წელსაც, და ჩვენს მომხმარებლებს მისცემს ლიზინგის მომსახურებაზე დისტანციურად წვდომის შესაძლებლობას.

2020 წელს ლიზინგის პორტფელის ზრდა იყო ზომიერი პანდემიის გამო და შეადგინა 280 მილიონი ლარი. ჩვენ მტკიცე პოზიციები შევინარჩუნეთ სამშენებლო, სოფლის-მეურნეობის, ჯანდაცვისა და ტელეკომუნიკაციების სექტორებში. ჩვენი მთავარი ფოკუსი წლის განმავლობაში იყო აქტივის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და ჩვენი კლიენტების დახმარება კოვიდ-19-თან დაკავშირებულ სირთულეებში. თიბისი ლიზინგი ასევე აქტიურად მონაწილეობს მწვანე, განახლებადი და ენერჯი-ეფექტური აქტივების დაფინანსებაში. 2020 წელს კომპანიამ მონაწილეობა მიიღო მზის პანელების მწარმოებელი ქარხნის მშენებლობის დაფინანსებაში დასავლეთ საქართველოში, AE Solar

მიერ, რომელიც არის ერთ-ერთი წამყვანი მწარმოებელი განახლებადი ენერჯის ინდუსტრიაში მსოფლიო მასშტაბით. გარდა ამისა, სექტემბერში ჩვენ მოვიპოვეთ საკრედიტო რესურსი 16.4 მილიონი ლარის ოდენობით Green For Growth Fund-დან (GGF), რომელიც ჩვენს SME მომხმარებლებს მისცემს წვდომას მწვანე დაფინანსებაზე ადგილობრივ ვალუტაში.

2020 წლის იანვარში, თიბისი ლიზინგმა მიიღო “BB-“საკრედიტო რეიტინგი Fitch საკრედიტო რეიტინგის სააგენტოსგან და მიაღწია უმაღლეს საკრედიტო რეიტინგს საქართველოს არასაბანკო დაწესებულებებს შორის. გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი “BB-“ კვლავ განმტკიცდა Fitch Ratings-ის მიერ 2021 წლის იანვარში. ეს მნიშვნელოვნად ზრდის კომპანიის კრედიტუნარიანობას და მისცემს შესაძლებლობას გაზარდოს თავისი ბონდების მფლობელთა ბაზა, ასევე შეამციროს დაფინანსების ხარჯი. 2020 წლის განმავლობაში, კომპანიამ წარმატებით განათავსა თავისი საჯარო ბონდები ლარში საქართველოს საფონდო ბირჟაზე 58.4 მილიონი ლარის ოდენობით, რომელიც იყო უდიდესი საჯარო განთავსება ქართულ კომპანიებს შორის.

### მოლოდინები

ჩვენი მიზანია ჩვენი წამყვანი პოზიციის შემდგომი გაძლიერება ბაზარზე, განსაკუთრებით MSME სეგმენტში, ჩვენი პროდუქტების დივერსიფიცირებით, უფრო მორგებული შეთავაზებებით, ასევე პოზიციების გაზრდით თიბისი ბანკის ციფრულ არხებში. გარდა ამისა, ჩვენი მიზანია გავზარდოთ საზოგადოების ინფორმირებულობა ლიზინგის შეთავაზებების უპირატესობის შესახებ ქართულ ბაზარზე, სადაც ლიზინგის პენეტრაციის დონე დაბალია და მისი მშპ-სთან თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგენს 0.8%<sup>1</sup>.



1 შიდა შეფასების საფუძველზე

# ჩვენი მომხმარებლები


“ ვინაიდან ჩვენს მომხმარებლებს ცენტრალური ადგილი უჭირავთ ყველა იმ საქმიანობაში, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ, ჩვენ სრული პასუხისმგებლობით ვეკიდებით ჩვენი კლიენტების ფინანსური კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას კოვიდ-19-ის შემდგომ რეალობაში.

## კოვიდ-19-ის შემდგომი ფინანსური მხარდაჭერა

კოვიდ-19 პანდემიის შედეგებმა ეკონომიკური ზარალი მიაყენა ჩვენს კლიენტებს, ასევე შეცვალა მათი ცხოვრების სტილი, საჭიროებები და მოთხოვნები. როგორც ყველაზე დიდ ბანკს საქართველოში, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ჩვენი პასუხისმგებლობა დავეხმაროთ მათ ასეთ გაურკვეველ პერიოდში, გავუწიოთ ეფექტური ფინანსური დახმარება და ხელი შევუწყოთ წინსვლაში.

ჩვენი პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით იყო 2020 წლის მარტში სამთვიანი საშელავათო პერიოდის შემოღება ძირი თანხისა და პროცენტის გადახდაზე ყველა საცალო და MSME მომხმარებლისთვის, ასევე კონკრეტული კორპორატიული მომხმარებლებისთვის. აღნიშნული პროცედურები განხორციელდა დისტანციურად, მომხმარებლების ფილიალში ვიზიტის საჭიროების გარეშე. ეს ინიციატივა განხორციელდა მთავრობასთან, სებ-თან და საბანკო სექტორთან მჭიდრო კოორდინაციით. მაისში ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება საშელავათო პერიოდის დამატებით სამი თვით გაგრძელების შესახებ, ყველაზე მოწყვლადი საცალო და მიკრო მომხმარებლებისთვის, სპეციალური საკვალიფიკაციო კრიტერიუმების საფუძველზე, ასევე კონკრეტული კორპორატიული მომხმარებლებისთვის ინდივიდუალური შერჩევის საფუძველზე.

## საშელავათო პერიოდების გამოყენების კოეფიციენტები<sup>1</sup>



ჩვენი სხვა ინიციატივა ითვალისწინებდა იმ ბიზნესების დახმარებას, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ პანდემიით. ამისთვის, ჩვენ ვითანამშრომლეთ მთავრობასთან შემდეგი პროგრამების განსახორციელებლად:

- ჩვენ აქტიური მონაწილეობა მივიღეთ მთავრობის სასტუმროების მხარდაჭერის პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებდა 2020 წლის 1-ელ მარტამდე გაცემულ სესხებზე პროცენტის 70-80%-ის სუბსიდირებას, კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე. დეკემბრის ბოლოს ჩვენ მივიღეთ სუბსიდიები დაახლოებით 709 სესხზე, ჯამში 572 მილიონი ლარის ოდენობით.
- 1-ელი დეკემბრიდან, რესტორნებისთვის დაიწყო 6-თვიანი სუბსიდირების პროგრამა სასტუმროებისთვის განსაზღვრული პროგრამის ანალოგიური პირობებით და საკვალიფიკაციო კრიტერიუმებით. 2020 წლის ბოლოს ჩვენ მივიღეთ სუბსიდიები დაახლოებით 218 სესხზე, ჯამში 127 მილიონი ლარის ოდენობით.
- ივლისიდან ჩვენ დავიწყეთ იპოთეკური სესხების გაცემა მთავრობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, რითაც მომხმარებლებს მიეცათ 4% სუბსიდის ან 20% გარანტიის მიღების შესაძლებლობა (მსესხებლის მხრიდან მინიმუმ 10% მონაწილეობის შემთხვევაში) ახალი ბინის შესყიდვისთვის უძრავი ქონების დეველოპერისგან 200,000 ლარის ფარგლებში ხუთი წლის განმავლობაში. აღნიშნული პროგრამა დასრულდა დეკემბერში. მთლიანობაში ჩვენ გავვცით დაახლოებით 2,272 ასეთი სესხი, რომელთა საერთო თანხა შეადგენდა 235 მილიონ ლარს.

### კოვიდ-19-ის შემდგომი ციფრული მხარდაჭერა

ფინანსური შედეგების გარდა, პანდემიამ რადიკალური ზემოქმედება მოახდინა ჩვენი კლიენტების ცხოვრების სტილზე. დისტანციური და ციფრული არხები აღარ წარმოადგენს მხოლოდ კომფორტს, არამედ გახდა აუცილებლობა. წლების განმავლობაში ჩვენ შევქმენით ძლიერი ციფრული შესაძლებლობები, რომლებმაც მოგვცა დისტანციური მომსახურების მოდელზე სწრაფად და შეუფერხებლად გადასვლის შესაძლებლობა. ჩვენი ქოლცენტრი მუშაობდა 24/7 რეჟიმში ჩვენი კლიენტების ყველა შეკითხვის და პრობლემის აღმოფხვრის მიზნით. გარდა ამისა, ჩვენ შემოვიღეთ დამატებითი სტიმულები ჩვენი მომხმარებლებისთვის ციფრული საშუალებების გამოყენებისთვის, როგორცაა სამი თვის განმავლობაში საკომისიოების გაუქმება ინტერნეტ და მობილური საბანკო მომსახურებებით განხორციელებულ ყველა ტრანზაქციაზე და ლიმიტების გაზრდა სავალუტო ოპერაციებზე შეღავათიანი სავალუტო კურსით. შედეგად, აქტიური ციფრული კლიენტების რაოდენობა<sup>2</sup> გაიზარდა 8.7%-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა დაახლოებით 692,000. იმ მომხმარებლებისთვის, რომლებსაც ურჩევნიათ ფილიალში გვესტუმრონ, ჩვენი ფილიალები ღიაა და მათში დაცულია მთავრობის და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის უსაფრთხოების ყველა რეგულაცია და რეკომენდაცია.

ჩვენი ციფრული საბანკო მომსახურების გამრავალფეროვნების მიზნით, წელს დავწერეთ რამდენიმე ახალი პროდუქტი და მომსახურება როგორც ფიზიკური პირებისთვის, ასევე ბიზნესებისთვის. საცალო სექტორში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იპოთეკური სესხების და განვადების ინოვაციური ონლაინ საკრედიტო პლატფორმების შექმნა, ასევე საქართველოში პირველი სრულად ციფრული ბარათის შემოღება, რომელიც ფიზიკური სადებეტო ბარათის ციფრულ ანალოგს წარმოადგენს. ჩვენი ბიზნეს მომხმარებლებისთვის ჩვენ გავუშვით ახალი ბიზნეს მობილური საბანკო აპლიკაცია. დამატებითი ინფორმაცია აღნიშნული პროდუქტების შესახებ მოცემულია დივიზიების მიმოხილვის ნაწილში გვერდებზე 26-59.

პანდემიასთან დაკავშირებული მკაცრი რეგულაციების შედეგად მუშაობის გაგრძელების ერთადერთი გზა მრავალი MSME-ისა და სტარტაპისთვის იყო ფოკუსირება ელ-კომერციაზე და ონლაინ მომსახურებაზე გადასვლა. გაციფრულებაში დასახმარებლად, ჩვენს ბიზნეს მომხმარებლებს შევთავაზეთ სხვადასხვა პროგრამები და შეთავაზებები, მათ შორის ონლაინ მაღაზიების შექმნა უფასოდ და სპეციალური ხელსაყრელი პირობებით. დეტალური ინფორმაცია აღნიშნული პროექტების შესახებ მოცემულია MSME ნაწილში, გვერდებზე 44-49.

### მომხმარებლის მომსახურების ხარისხი და კმაყოფილება

მომხმარებლებს ჩვენს საქმიანობაში ცენტრალური ადგილი უჭირავს და ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მათი კეთილდღეობა. ჩვენ ვუზრუნველყოფთ, რომ ჩვენი პროდუქტები მარტივი, გამჭვირვალე და ადვილი გასაგები იყოს. ჩვენ ვანვლით მომხმარებლებს ინფორმაციას მნიშვნელოვანი რისკების, შეზღუდვებისა და ლიმიტების შესახებ თითოეულ პროდუქტთან მიმართებაში იმისათვის, რომ მათ შეძლონ ინფორმირებული გადაწყვეტილებების

1 კოეფიციენტები გამოთვლილია სესხის ოდენობის მიხედვით  
 2 ინტერნეტ და მობილური საბანკო მომსახურების აქტიური კლიენტები, მათ შორის სფეისის კლიენტები.

## ბიზნესის კეთების პასუხისმგებლობა გავრცელება

მიღება. რჩევისა და კონსულტაციის მიცემისას ჩვენ ვითვალისწინებთ ჩვენი მომხმარებლების ინდივიდუალურ საჭიროებებს და ვცდილობთ ვიპოვოთ გადაწყვეტილება, რომელიც ემსახურება მათ საუკეთესო ინტერესებს.

ჩვენ რეგულარულად ვითხოვთ უკუკავშირს ჩვენი მომხმარებლებისგან და გვაქვს სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც აგვარებს მომხმარებელთა საჩივრებს. კლიენტებს აქვთ შესაძლებლობა მიმართონ ბანკს საჩივრით წერილობითი ან ზეპირი ფორმით ჩვენი ქოლცენტრების, ფილიალების, ინტერნეტ ბანკისა და ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით [www.tbcbank.com.ge](http://www.tbcbank.com.ge). თითოეული საჩივარი განიხილება დეტალურად და ხდება შესაბამისი რეაგირება.

გარდა ამისა, ჩვენ რეგულარულად ვაფასებთ მომხმარებელთა კმაყოფილების დონეს დამოუკიდებელი მესამე მხარის მიერ ჩატარებული სხვადასხვა გამოკითხვების საშუალებით და ვინაჩრუნებთ უმაღლეს შედეგებს საქართველოს საბანკო სექტორში, ასევე მთლიანად ქვეყნის საცალო მომსახურების სფეროში. გარდა ამისა, დეტალური ანალიზისთვის ჩვენ წელს ჩავატარეთ სხვადასხვა მასშტაბის, მიზნის და სიხშირის 40-მდე შიდა შეფასება. აღნიშნული შეფასებები გვეხმარება შევაფასოთ ჩვენი მომხმარებლის მომსახურება სხვადასხვა კუთხით და დამატებით გავზარდოთ მათი კმაყოფილების დონე.

გარდა ამისა, ჩვენ ასევე ვისწრაფვით შევავროვოთ შიდა უკუკავშირი და გამოვიყენოთ ის იმ პროცესების გაუმჯობესებისთვის, რომლებიც შესაძლოა არ იყოს შესამჩნევი მომხმარებლისთვის, მაგრამ მიუხედავად ამისა მნიშვნელოვან როლს ასრულებდეს მომხმარებლის მომსახურებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ რეგულარულად ვატარებთ „შიდა მომხმარებლის ხმის“ გამოკითხვას, რაც შესაძლებლობას აძლევს თანამშრომლებს შეაფასონ სხვადასხვა დეპარტამენტების მიერ გაწეული მომსახურებები ქულებით მინიჭების საფუძველზე. ეს შეფასება იმ მოდელის მსგავსია, რომელსაც მომხმარებლები იყენებენ ჩვენი მომსახურებების შესაფასებლად. შემდგომი ანალიზის შედეგად ჩვენ ვაუმჯობესებთ ყველა საჭირო პროცესს მომხმარებელთა მაქსიმალური კმაყოფილებისთვის.

## მომხმარებელთა კონფიდენციალობის დაცვა და მონაცემების უსაფრთხოება

ჩვენი მომხმარებლების პერსონალური ინფორმაციის დაცვა ჩვენს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება. ჩვენი მიზანია ჩვენი მომხმარებლების პერსონალური მონაცემების დაცვა, ამიტომ ჩვენ მუდმივად ვმუშაობთ ჩვენი კიბერუსაფრთხოების ეკოსისტემის გაუმჯობესებაზე სხვადასხვა საფრთხეებისა და თაღლითური საქმიანობების პრევენციის მიზნით. მონაცემთა დაცვასა და ჩვენი კლიენტების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების მითიგაციის მიზნით, ჩვენ რეგულარულად ვაუმჯობესებთ ჩვენს უსაფრთხოების სიღრმისეულ სტრატეგიას, რომელიც მოიცავს პრევენციისა და გამოვლენის სხვადასხვა კონტროლის მექანიზმებს, მონაცემებიდან და კომპიუტერებიდან - სასაზღვრე firewall-ებამდე.

გარდა ამისა, ჩვენ შევქმენით უსაფრთხოების მონიტორინგის ცენტრი, რომელიც აკონტროლებს უჩვეულო მოვლენებს ორგანიზაციის ქსელში, პოტენციურად უარყოფითი ინციდენტების გამოვლენისა და მათზე ეფექტური რეაგირების მიზნით.

გარდა ამისა, ჩვენი ინფორმაციული უსაფრთხოების კომიტეტი არეგულირებს ინფორმაციას კიბერუსაფრთხოების შესახებ, რათა უზრუნველყოს, რომ შესაბამისი რისკების არის დასაშვებ ფარგლებში, ხოლო მენეჯერული პროცესები მუდმივად უმჯობესდება.

მინიმუმ წელიწადში ერთხელ ტარდება ინფორმაციის უსაფრთხოების და კიბერუსაფრთხოების საფრთხეების სრული ანალიზი, რეგიონული და სექტორული ნიუანსების გათვალისწინებით, გარეშე კონსულტანტების ჩართულობით. ასეთი ანალიზი გვაძლევს დეტალურ ინფორმაციას, რაც გვეხმარება ჩვენი საინფორმაციო და კიბერ უსაფრთხოების სისტემების დამატებით გაუმჯობესებაში. გარდა ამისა, ჩვენ რეგულარულად ვატარებთ კიბერ-შეტევებისთვის მზად ყოფნის სავარჯიშოებს, რაც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები მოცემულ სფეროში და გავაკეთოთ სწორება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებზე.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენი პასუხისმგებლობაა, დავებმართოთ მომხმარებლებს რომ შეიმუშაონ უსაფრთხო ბანკინგის ჩვევები და უნარები. აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენს კლიენტებს პერიოდულად ვუგზავნით შეტყობინებებს ჩვენი ციფრული პლატფორმების მეშვეობით,



ვაფრთხილებთ მათ შესაძლო ფრთხილების, ფიშინგის სქემების შესახებ და ვაძლევთ რჩევებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევებში, ასევე ვახსენებთ, რომ არასოდეს მიანოდონ თავიანთი პერსონალური მონაცემები არასანდო წყაროებს.

ვინაიდან ჩვენი თანამშრომლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინფორმაციის უსაფრთხოებაში, ჩვენ რეგულარულად ვუტარებთ პერსონალს სავალდებულო ტრენინგებს, რომლებიც მოიცავს დისტანციურ სასწავლო კურსებს უსაფრთხოების საკითხებზე, თაღლითობის და ფიშინგის სიმულაციებს, ასევე ელ-ფოსტით შეტყობინებებს შესაძლო საფრთხეების შესახებ. გარდა ამისა, ჩვენ ვატარებთ ტრენინგებს ახალი თანამშრომლებისთვის. ასეთი ზომების შედეგად ჩვენი თანამშრომლები სრულად არიან ინფორმირებული თავიანთი პასუხისმგებლობის შესახებ და სათანადოდ მომზადებული სხვადასხვა საფრთხეებისთვის.

ჩვენ სრულ პასუხისმგებლობას ვიღებთ ჩვენი მომხმარებლების, თანამშრომლების, ბიზნეს პარტნიორებისა და სხვა მესამე მხარეების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობისა და მთლიანობის დაცვაზე. ჩვენ ვამუშავებთ პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ კონკრეტული ბიზნეს მიზნებისთვის და კანონიერად, სამართლიანად და გამჭვირვალე ფორმით. ჩვენ მონაცემთა სუბიექტებს ვაწვდით ყველა რელევანტურ ინფორმაციას მონაცემთა დამუშავების შესახებ, ასევე ვაცნობებთ მათი უფლებების შესახებ, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ ჩვენთან კონტაქტით განსაზღვრული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. ჩვენი კონფიდენციალობის დაცვის პოლიტიკა შეესაბამება ადგილობრივი მთავრობის მიერ განსაზღვრულ მოქმედ კანონმდებლობას და ასევე ევროკავშირის ზოგადი მონაცემების დაცვის რეგულაციის (GDPR) კონკრეტულ მოთხოვნებს. აღნიშნული პოლიტიკა ხელმისაწვდომია ჩვენს IR ვებ-გვერდზე: [www.tbcbankgroup](http://www.tbcbankgroup).



# ჩვენი კოლეგები



ბედნიერი და საქმიანი კოლეგები ჩვენი წარმატების და მდგრადი განვითარების მთავარი საწინდარია.

**68%<sup>1</sup>**

ENPS

**91%<sup>2</sup>**

ჩართულობის ინდექსი

**85%<sup>3</sup>**

თანამშრომლის ბედნიერების ინდექსი

## ზრუნვა პირველ ადგილზე დგას

კოვიდ-19-ის გამო წელს თიბისი ბანკის გუნდი დავდექით რიგი გამოწვევების წინაშე. ერთ-ერთი ასეთი გამოწვევა იყო ჩვენი თანამშრომლების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა, ამავედროულად, ჩვენი საქმიანობის გავრცელება შეუფერხებლად. ჩვენი ძლიერი ციფრული და ტექნიკური შესაძლებლობების წყალობით მეტად მცირე დროში შევძელით საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა დისტანციური მუშაობისთვის: მარტის ბოლოს ჩვენი ბექ-ოფისის თანამშრომლების 95%-ს შეეძლო უსაფრთხოდ მუშაობა სახლებიდან. ხოლო ჩვენი ფრონტ-ოფისის თანამშრომლებისთვის ჩვენი ფილიალები ადვოკატურით ყველა საჭირო უსაფრთხოების და ინფექციის პრევენციის საშალებებით მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად და შემოვიღეთ ცვლებები მუშაობის წესი სოციალური დისტანციის უზრუნველყოფის მიზნით.

თანაბრად მნიშვნელოვანი იყო ნდობის ჩანერგვა კოვიდ-19-ით გამოწვეული გაურკვევლობის პირობებში და გუნდის სულისკვეთების ამაღლება, განსაკუთრებით პანდემიის საწყის ეტაპზე. აქედან გამომდინარე, ტოპ მენეჯმენტი რეგულარულად ატარებდა ონლაინ შეხვედრებს კომპანიის საქმიანობის, მათ შორის კაპიტალის და მაღალი ლიკვიდურობის პოზიციების შესახებ ინფორმაციის ნებისმიერი პირისთვის მისაწოდებლად, ჩვენი ფინანსური სტაბილურობის შესახებ გარანტიების, ასევე ნებისმიერი პრობლემის აღმოფხვრის უზრუნველყოფის მიზნით, რომელიც შესაძლოა ჰქონოდათ თანამშრომლებს. გარდა ამისა, ჩვენ შევიმუშავეთ ახალი პროექტი, სახელწოდებით „ღია ოთახი“, რომელიც ჩვენს თანამშრომლებს სთავაზობს შეხვედრებს ონლაინ რეჟიმში, სხვადასხვა დარგის საუკეთესო წარმომადგენლებთან, სხვადასხვა თემებზე, მათ შორის „ეკონომიკის და პანდემიის“, „დროის მართვის“ და სხვა საკითხებზე.

ჩვენი ძალისხმევა წარმატებული აღმოჩნდა, და განაპირობა თანამშრომლებში ეფექტურობის ზრდა და მოტივაციის ამაღლება, როგორც ეს შეფასდა სხვადასხვა შიდა გამოკითხვებით. გარდა ამისა, ბექ-ოფისის რესპონდენტების 87% გამოკითხვებში მიუთითა, რომ მზად იყვნენ დისტანციურ რეჟიმში მუშაობისთვის, ნაწილობრივ ან მუდმივად. აქედან გამომდინარე მომავალში გვეგმავთ შემოვიღოთ მოქნილი სამუშაო პრაქტიკა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ჩვენს ბექ-ოფისის თანამშრომლებს იმუშაონ ოფისის გარეთ.

კოვიდ-19-თან დაკავშირებული გამოწვევების მიუხედავად, ჩვენი თანამშრომლებისთვის ჩვენი ერთგულების დასამტკიცებლად, გადავწყვიტეთ ყველა ჩვენი კოლეგისთვის სამსახურის შენარჩუნება 2020-ში, ხოლო ტოპ მენეჯმენტმა უარი განაცხადა უფლებაზე - მიეღოთ წლიური ბონუსი და გრძელვადიანი პრემიალური გეგმა (LTIP) 2020 წლის საქმიანობისთვის.

## ჩვენი პროგრესი ეჭაილ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით

ჩვენ 2018 წელს დავიწყეთ ჩვენი ეჭაილ ტრანსფორმაციის პროცესი უფრო დინამიური, ადაპტირებადი და მომხმარებელზე ორიენტირებული კულტურის შექმნის მიზნით, რომელიც შეძლებდა სწრაფ

რეაგირებას ცვალებადი ბაზრის პირობებში. 2019 წელს ჩვენ წარმატებით განვახორციელეთ Agile ტრანსფორმაცია საცალო, MSME და IT დეპარტამენტებში. აღნიშნული ცვლილებები დაგვეხმარა არასაჭირო პროცესების და ბიუროკრატიის აღმოფხვრაში, IT და ბიზნესის უკეთ ინტეგრაციაში, კომპანიის თანამშრომლობის ზრდაში, საწარმოო ეფექტურობის მიღწევაში და დანერგვის ვადის შემცირებაში. ამ სახით 2020 წელს ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ ეჭაილ ტრანსფორმაციას ჩვენს კორპორატიულ დეპარტამენტში, რისკების დეპარტამენტებში და ასევე ფინანსური დეპარტამენტის კონკრეტულ ნაწილებში. მთლიანობაში, ჩვენ შევქმენით 93 მრავალფუნქციური ჯგუფი, სადაც 600-ზე მეტი თანამშრომელი მუშაობს ეჭაილ სტრუქტურაში. ვინაიდან ეჭაილ სტრუქტურა მხარს უჭერს თანამშრომელთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებას და ნერგავს ღია კულტურას, ადამიანები აჭაილ სტრუქტურაში უფრო მეტად იყვენენ მზად დისტანციურ რეჟიმში სამუშაოდ და ახალ რეალობაში ადაპტირებისთვის. .

ეჭაილ ტრანსფორმაციის ცნობადობის ამაღლებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით საბანკო სექტორს შორის CIS რეგიონში, ჩვენ ჩავატარეთ ონლაინ კონფერენცია 16 ქვეყნის სხვადასხვა კომპანიის ხელმძღვანელ პირებთან. მონაწილე პირებს ჰქონდათ ერთმანეთისგან სწავლის და დარგის მოწინავე ექსპერტებთან ურთიერთობის შესაძლებლობა.

2020 წელს ჩვენ მივადინეთ საკმაოდ შთამბეჭდავ შედეგებს ჩვენს ეჭაილ ტრანსფორმაციის პროექტში. ჩვენი ორგანიზაციული დინამიურობის ქულა 4 გაუმჯობესდა 30%-ით 2020 წლის დეკემბერში, წინა წელთან შედარებით, ხოლო დანერგვის დრო და სიხშირე 5 გაუმჯობესდა 1.4-ჯერ.

სამომავლოდ, ჩვენი მიზანია ეჭაილ ტრანსფორმაციის დანერგვა სხვა დეპარტამენტებშიც და ახალი შესაძლებლობების მიცემა კომპანიის ფარგლებში.

**ახალი ტალანტების მოზიდვა**

ჩვენი მიზანია მოვიზიდოთ, განვავითაროთ და დავასაქმოთ სხვადასხვა დაინტერესებული პირები და მივცეთ თანაბარი შესაძლებლობები. ჩვენ დაინტერესებული ვართ მოვიზიდოთ საუკეთესო სპეციალისტები შერჩევის პროცესით, რომელიც მოიცავს რამდენიმე ეტაპს და მორგებულია თითოეული პოზიციის კონკრეტულ მოთხოვნებზე. შერჩეულ კანდიდატებს ვთავაზობთ მიმზიდველ დასაქმების პირობებს, რომელიც მოიცავს ფიქსირებულ ხელფასსა და ეფექტურობაზე დაფუძნებულ ბონუსს, ასევე ბენეფიტების სათანადო პაკეტს.

კადრების დაკომპლექტების დროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ჩვენი გუნდის გაძლიერება IT სპეციალისტებით, ჩვენი ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერის მიზნით. ვინაიდან ასეთი უნარები დეფიციტურია, 2019 წელს დავაფუძნეთ IT აკადემია. აკადემია მოიცავს front-end და back-end განვითარებას, Android და IOS მობილური აპლიკაციების განვითარებას, ასევე მომხმარებელთან ურთიერთობის კვლევასა და სტრატეგიას. აკადემიას ხელმძღვანელობს ჩვენი გამოცდილი პერსონალი, ასევე შესაბამისი სფეროს წამყვანი სპეციალისტები. პროგრამა უფასოა შერჩეული სტუდენტებისთვის. ეს ინიციატივა წარმატებული გამოდგა და ჩვენ 2019 წლიდან მივიღეთ 4,500 განცხადება, მათგან შეირჩა 335 სტუდენტი და 83 დასაქმდა თიბისი ბანკში კურსის წარმატებულად დახურვის შემდეგ.

გარდა ამისა, 2020 წლის ბოლოს ჩვენ შევქმენით რისკების აკადემია, რომელიც სთავაზობს სხვადასხვა კურსებს რისკის მართვაში ახალგაზრდა პროფესიონალებს. ჩვენი მიზანია მათი აღჭურვა საბანკო სექტორის სპეციალური ცოდნით რისკის მართვას, რომელიც ჩვეულებრივ არ ისწავლება უნივერსიტეტებში და ემსახურება მათ უკეთ მომზადებაა მომავალი კარიერისთვის. ყველა კურსი არის უფასო და საუკეთესო სტუდენტების დასაქმებიდან თიბისი ბანკში.

2011 წლიდან ჩვენ ასევე ვახორციელებთ ფართომასშტაბიან სტაჟირების პროგრამას საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების საუკეთესო სტუდენტებისთვის. ეს პროგრამა ძალიან წარმატებული აღმოჩნდა და დაგვეხმარა გვეპოვა ყველაზე ნიჭიერი სტუდენტები, რომლებიც დღეს ჩვენი გუნდის წევრები არიან. წელს ჩვენს სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 98 სტუდენტმა, მათგან 28 გახდა სრულ განაკვეთზე მომუშავე თიბისის თანამშრომელი ფინანსების, რისკების, კორპორატიულის, მარკეტინგის, IT და მონაცემთა ანალიტიკის დეპარტამენტებში. მთლიანობაში, დაარსებიდან დღემდე, ჩვენ ამ პროგრამის ფარგლებში დავასაქმეთ 371 სტუდენტი.

გარდა ამისა, ჩვენ ვავაგრძელებთ TBC Camp, პროგრამა, რომელიც შეიქმნა 2019 წელს და ითვალისწინებს Stock Pitch Competition (SPC) ჩატარებას მეოთხე კურსის სტუდენტებისათვის. ეს კონკურსი ინტეგრირებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში და მოიცავს ინტენსიურ

## ბიზნესის კეთების პასუხისმგებლობა გავრცელება

ონლაინ ლექციებს, ტრენინგებსა და რეალური საინვესტიციო შემთხვევების მომზადებას შერჩეულ კომპანიებში, რომელიც შემდეგ წარედგინება ჟიურის. ორ შერჩეულ ჯგუფს გადაეცემა სპეციალური პრიზი თიბისი-ს აქციების სახით. წელს ჩვენ ჩავრთეთ 10-ზე მეტი უნივერსიტეტი, რაც ნიშნავს, რომ პროექტში მონაწილეობს 12 უნივერსიტეტი. TBC Camp ხელს უწყობს საინვესტიციო საბანკო მომსახურების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებას ახალგაზრდებს შორის, ასევე გვეხმარება ვიპოვოთ ბრწყინვალე ნიჭიერი ახალგაზრდები და დავასაქმოთ ისინი კორპორატიულ საინვესტიციო საბანკო მომსახურების დეპარტამენტში.

### თანამშრომელთა მოტივაცია და ჩართულობა

ჩვენი კოლეგები წარმატების განუყოფელი ნაწილი და ჩვენი ყველაზე ღირებული აქტივია. ჩვენი მიზანია შევქმნათ ერთიანი სამუშაო გარემო, სადაც ჩვენი წევრები თავს უსაფრთხოდ, დაფასებულად და მოტივირებულად გრძნობენ და საშუალება აქვთ მოახდინონ თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზება და მაღალი შედეგების მიღწევა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ განვახორციელეთ რამდენიმე ინიციატივა:

- ჩვენ ხელს ვუწყობთ შიდა დანინაურებებსა და თანაბარ პირობებში პრიორიტეტს შიდა კანდიდატებს ვანიჭებთ. 2020 წლის განმავლობაში ჩვენი თანამშრომლების დაახლოებით 14% დანინაურდა უფრო მაღალ პოზიციებზე.
- უმადლესი ხელმძღვანელობა რეგულარულად ატარებს შეხვედრებს თანამშრომლებთან მათი ინფორმირების მიზნით ჯგუფის სტრატეგიის, საქმიანობის ეფექტურობის და უახლესი მიღწევების შესახებ. პერსონალს აქვს შეკითხვების დასმის და ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობა. ასეთი შეხვედრები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა პანდემიის დროს, რადგან თანამშრომლებს სჭირდებოდათ მეტი გარანტია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის და მომავალი პერსპექტივების შესახებ. გარდა ამისა, ჩვენ ვატარებთ ღია დიალოგს ჩვენს პერსონალთან Facebook ჯგუფში, სადაც ჩვენ რეგულარულად ვაზიარებთ ჯგუფის მიღწევებს, ასევე ინდივიდუალური თანამშრომლების წარმატების ისტორიებს.
- ვინაიდან, ჩვენი მიზანია ინოვაციური იდეების წახალისება კომპანიის შიგნით, წელს ჩვენ გამოვეშვიტე უპრეცედენტო პროექტი საქართველოში - სტარტაპ დეკრეტი. ეს ინიციატივა შესაძლებლობას აძლევს ჩვენს თანამშრომლებს დაიწყონ საკუთარი სტარტაპი ექვსთვიანი ანაზღაურებადი შვებულების ალებით, ბიზნესის გასავითარებლად. ეს პროექტი ძალიან კარგად მიიღეს ჩვენმა თანამშრომლებმა და ჩვენთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო წარდგენილი განცხადებების რაოდენობა და ხარისხი. წელს მრავალი საინტერესო და ორიგინალური ბიზნეს იდეებიდან ჩვენ შევარჩიეთ პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ონლაინ პლატფორმის შექმნას, რომელიც დააკავშირებს განათლებით და თვით-განვითარებით დაინტერესებულ პირებს მასწავლებლებთან და ლექტორებთან.
- 2009 წლიდან შევქმენით თიბისი ფონდი. ეს არის საქველმოქმედო ფონდი, რომელიც ფარავს ჩვენი თანამშრომლების და მათი ახლო ნათესავების სამედიცინო მომსახურების ხარჯებს მძიმე დაავადებების შემთხვევაში. ჩვენი თანამშრომლების 83% რეგულარულად აკეთებს შემოწირულობებს ამ ფონდში მათი ხელფასის 2%-მდე ოდენობით, ფონდი დაარსებიდან დღემდე უკვე 1,700-ზე მეტ ადამიანს დაეხმარა და გამოყო 6,200,200 მილიონი ლარი.
- 2013 წლიდან გვაქვს სპეციალური კლუბი დიდი ოჯახებისთვის. ეს სოციალური პროგრამა გულისხმობს ერთჯერადად 10,000 ლარის საჩუქრად გადაცემას თიბისი ბანკის ყველა თანამშრომლისთვის მეოთხე და მეხუთე შვილის დაბადების შემთხვევაში და 50,000 ლარის ერთჯერადად საჩუქრად გადაცემას - მეექვსე და მეტი შვილის დაბადების შემთხვევაში. კლუბის

1 Employee Net Promoter Score 2020 წლის ოქტომბერში შეფასდა დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ ბანკის თანამშრომლებისთვის.  
2 ჩართულობის/დასაქმების ინდექსი შეფასდა 2020 წლის ოქტომბერში დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ ბანკის თანამშრომლებისთვის და აფასებს რამდენად ჩართულად გრძნობს თავს და პასუხისმგებლობით ეკიდება თიბისი ბანკს.  
3 თანამშრომლის ბენეფიტების ინდექსი შეფასდა შიდა ფარგლებში მსოფლიოს წამყვანი საკონსულტაციო ფირმის დახმარებით მომზადებული სრული კვლევის საფუძველზე და აფასებს გრძნობენ თუ არა თანამშრომლები თავს ბენეფიტად და კმაყოფილად თავიანთი სმუშაოთი. ინდექსი გაიზომა 2020 წლის ივლისში ბანკის თანამშრომლებისთვის.  
4 შიდა კვლევის საფუძველზე, რომელიც ზომავს კომპანიის უნარს - მოახდინოს რეაგირება სწრაფად ცვალებად გარემოში.  
5 დანერგვის დრო ზომავს დროს, რომელიც საჭიროა პროდუქტისთვის, რომელიც გამოშვებული იქნება იდენტურ წარმოშობის თარიღიდან გამოშვების თარიღამდე, ხოლო გამოშვების სიხშირე ზომავს რამდენჯერ განახლდა სისტემები მოცემულ დროის



**იმუშავე**

**საიდანაც**

**გინდა**

## ბიზნესის კეთების პასუხისმგებლობა გავრცელება

დაფუძნებიდან გაცემული გვაქვს დაახლოებით 1.5 მილიონი ლარის ფულადი საჩუქარი 69 თანამშრომელზე.

- თანამშრომელთა კმაყოფილებისა და ჩართულობის დონეების სწორად შეფასების მიზნით, ჩვენ ყოველწლიურად ვატარებთ უკუკავშირის გამოკითხვას წამყვან საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და კვლევით კომპანიებთან თანამშრომლობით. ხდება კვლევის შედეგების ანალიზი და გათვალისწინება მენეჯმენტის სამომავლო ქმედებებში.
- შედეგად 2020 წელს პერსონალის ბრუნვის კოეფიციენტი ბანკში იყო დაბალი 8.3%, 2019 წელთან შედარებით, როდესაც ეს მაჩვენებელი 15%-ს შეადგენდა.

## სწავლა და განვითარება

ჩვენი თანამშრომლების სწავლა და განვითარება ამ წლის მთავარ პრიორიტეტად განვსაზღვრეთ. ამ მოტივით ჩვენ მუდმივად ვანახლებთ ჩვენს კურსებს და ვამატებთ ახალ სასწავლო რესურსებს შიდა საგანმანათლებლო პლატფორმაზე - „თიბისის აკადემია“, რომელიც დაფუძნდა 2011 წელს. აკადემია უზრუნველყოფს სემინარებსა და ტრენინგებს სხვადასხვა სფეროებში, როგორებიცაა ფინანსური ინსტიტუტები, კაპიტალის ბაზრები, ეთიკა და ფინანსური თაღლითობის მართვა, ასევე კომუნიკაციის უნარები, მათ შორის: ლიდერობა, მომხმარებლის მომსახურება, ბიზნეს კომუნიკაცია, ჯგუფის შექმნა და სხვა. მთლიანობაში 2019 წლიდან ჩვენ შევიმუშავეთ რამდენიმე სპეციალური დანიშნულების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს სტრატეგიულ მიმართულებებთან, მათ შორის ეჭაილი და მონაცემთა ანალიტიკის აკადემია, ასევე ბიზნეს სკოლა კორპორატიული, ფინანსური და რისკის მართვის სფეროს პროფესიონალებისთვის. წელს პანდემიის გამო თიბისი აკადემია გადავიდა ონლაინ რეჟიმში, რაც დაგვეხმარა დაფარვის ზრდაში, განსაკუთრებით ჩვენი თანამშრომლებისთვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. მთლიანობაში მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა 108%-ით წინა წელთან შედარებით, კერძოდ 2019 წელს მათი რაოდენობა შეადგენდა 4,300 , ხოლო 2020 წელს 8,966.

ჩვენი შიდა თიბისი აკადემიის გარდა ჩვენ ასევე ვვებმარებით ჩვენს თანამშრომლებს გაიარონ სხვადასხვა გარე სასწავლო კურსები და მიიღონ საერთაშორისო სერთიფიკატები, როგორიცაა CFA, FRM, ACCA და ასევე დაესწრონ სხვადასხვა პროფესიულ ტრენინგებს შემდეგ სფეროებში: ლიდერობა, მენეჯმენტი, გაყიდვები, მომხმარებლის მომსახურება, ფინანსები და რისკები. 2020 წლის განმავლობაში 800-ზე მეტმა თანამშრომელმა მიიღო ფინანსური მხარდაჭერა პროფესიული განვითარებისათვის. გარდა ამისა, ჩვენ ვაგრძელებთ საშუალო რგოლის მენეჯერებისთვის თიბისი სტიპენდიების შეთავაზებას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში და საქართველოს ტოპ უნივერსიტეტებში მათი სწავლის თანადაფინანსებისთვის.

## სამუშაოს შესრულების შეფასება და ჯილდო

ჩვენთან დანერგილი სამუშაოს შესრულების შეფასების სისტემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჯგუფის საერთო მიზნებთან და სამ ძირითად პრინციპთან: სიცხადე, სამართლიანობა და კეთილსინდისიერება. ჩვენ ვზრუნავთ, რომ თანამშრომლები კარგად აცნობიერებდნენ თავიანთ როლს კომპანიაში და აქტიურად ისახავდნენ პირად მიზნებს. გუნდის ხელძღვანელები უწევენ თანამშრომლებს მენტორობას, რომ მათ შეძლონ დასახული მიზნების მიღწევა. თანამშრომლების რეგულარული უკუკავშირი და კონსტრუქციული დიალოგი სამუშაოს შესრულების შეფასების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა შეფასების სისტემას ფრონტ და ბექ ოფისის პერსონალისთვის, დაკავებული პოზიციების მიხედვით. ბექ ოფისის თანამშრომლებს ვაფასებთ „ამოცანების მიხედვით მართვის“ (MBO) სისტემით, რომელიც არის პერსონალის მართვის სისტემა სადაც მენეჯერები და თანამშრომლები ერთობლივად მუშაობენ იმისათვის, რომ დასახონ და ჩაწერონ მიზნები და შემდეგ მოახდინონ ამ მიზნების მონიტორინგი ფინანსური წლის განმავლობაში. მიზნების ჩაწერა ყოველწლიურად ხდება და მათი მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება მენეჯერების მიერ მიღწერილი პროგრესის შესამოწმებლად, მათ შორის ნახევრადწლიური პირდაპირი უკუკავშირი ხელმძღვანელისგან. დაჯილდოება ხდება მიზნების მიღწევის საფუძველზე. ჩვენ გვაქვს ქულათა მინიჭების ერთიანი სისტემა ყველა თანამშრომლისთვის MBO-ს ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობას მთელს ორგანიზაციაში.

შუა რგოლის მენეჯერებისთვის, ასევე იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ

ეჭაილ სტრუქტურის ნაწილს, დანერგილი გვაქვს 360-გრადუსიანი უკუკავშირის სისტემა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს თითოეულ თანამშრომელს მიიღოს უკუკავშირი მის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით მისი ხელმძღვანელისგან, კოლეგებისგან და დაქვემდებარებული პირებისგან. 360-გრადუსიანი უკუკავშირი საშუალებას აძლევს ჩვენს თანამშრომლებს გაიგონ, თუ როგორ აღიქმება მათ მიერ შესრულებული სამუშაო სხვების მიერ და ეს ეხმარება მათ უკეთ გამოავლინონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები და ასევე შეიძინონ ახალი უნარები .

ფრონტ ოფისის თანამშრომლებისთვის ჩვენ ვიყენებთ მიზანზე დაფუძნებული შესრულების შეფასების სისტემას, რა შემთხვევაშიც თანამშრომლის მიერ თავისი სამუშაოს შესრულება დაკავშირებულია კონკრეტულ KPI-თან, მათ შორის რაოდენობრივ და ხარისხობრივ კომპონენტებთან. მიზანზე დაფუძნებული სისტემის ფარგლებში თანამშრომლები ფასდებიან ყოველთვის ურად, ყოველკვარტალურად ან ყოველწლიურად, მათი პოზიციების მიხედვით..

ჩვენ ვთავაზობთ თანამშრომლებს ანაზღაურების კონკურენტულ პაკეტს, რომელიც მოიცავს ფიქსირებულ ხელფასს, ბონუსს შესრულებული სამუშაოს მიხედვით და ბენეფიტების პაკეტს. ეს უკანასკნელი მოიცავს სამედიცინო დაზღვევას, საპენსიო შენატანებს, წლიურ ანაზღაურებად შვებულებას და ავადმყოფობის პერიოდებს, ასევე სრულად ანაზღაურებად ექვსთვიან დეკრეტულ შვებულებას დედებისთვის და მამებისთვის. სხვა ბენეფიტები მოიცავს ფულად საჩუქრებს ქორწინებისა და შვილის ყოლის შემთხვევაში და კომპენსაციას სერიოზული ავადმყოფობის ან გარდაცვალების შემთხვევაში.

ჩვენ ვახორციელებთ გადავადებული აქციების ბონუსების სქემას ჩვენი საშუალო რგოლის მენეჯერებისთვის, შესაბამისად საერთო წლიური ანაზღაურების 15%-25% გადახდა ხდება TBC PLC-ის აქციებით, სამწლიანი უწყვეტი მუშაობის პირობით და ფლობის პერიოდით: 33% და 33% მიენიჭა პირველ და მეორე წელს და დანარჩენი 34% - მესამე წელს. ეს სქემა ემსახურება გრძელვადიანი მუშაობის წახალისებას და თანხვედრაში მოყავს შუა რგოლის მენეჯერების ინტერესები აქციონერთა ინტერესებთან.

წელს, კოვიდ-19 უარყოფითი ზემოქმედების გამო ჯგუფის საქმიანობაზე, ჩვენ შევამცირეთ ბონუსები საშუალო რგოლის ხელმძღვანელობისთვის 50%-ით, ხოლო სხვა ბექოფისის თანამშრომლებისთვის ბონუსები შემცირდა 30%-ით. ასევე ბონუსები არ განაწილდა იმ თანამშრომლებზე, რომლებიც მუშაობენ Agile სტრუქტურაში.

## თანასწორობა და მრავალფეროვნება


ჩვენ შევქმენით მდგრადი და წარმატებული ბიზნესი, სადაც ყველა თანამშრომელს ექცევიან თანაბრად, სამართლიანად და ეხმარებიან წარმატების მიღწევაში. ჩვენ ვუზრუნველყოფთ დაცულ სამუშაო გარემოს ნებისმიერი დისკრიმინაციისაგან, სადაც თითოეულ თანამშრომელს აფასებენ, პატივს სცემენ და ეპყრობიან თანასწორად მიუხედავად სქესისა, ასაკისა, ოჯახური მდგომარეობისა, სექსუალური ორიენტაციისა, რასისა, ეთნიკურობისა, რელიგიისა, პოლიტიკური შეხედულებებისა თუ შეზღუდული უნარებისა. გასანკუთრებით ვზრუნავთ შეზღუდული შესაძლებლობების კოლეგებზე და ვისწრაფვით გავაუმჯობესოთ სამუშაო გარემო და უფრო მოქნილი გავხადოთ მათთვის. გარდა ამისა, ვზრუნავთ რომ სწავლა, განვითარება და დასაქმების შესაძლებლობები ანალოგიურად იყოს ხელმისაწვდომი მათთვის.

ჩვენ ვემხრობით გენდერულად დაბალანსებულ სამუშაო გარემოს და ჩვენი კულტურის ნაწილია ქალების მხარდაჭერა. თიბისი ბანკის თანამშრომლების 67%-ზე მეტი ქალია, ხოლო ქალების წილი, რომელთაც უკავიათ მაღალი პოზიციები, შეადგენს 33%-ს. ჩვენ ვგეგმავთ კიდევ უფრო


## ბიზნესის კეთების პასუხისმგებლობა გავრცელება

გავაუმჯობესოთ გენდერული ბალანსი მენეჯერულ პოზიციებზე.


### სამეთვალყურეო საბჭო




### ზედა რგოლის მენეჯმენტი



### საშუალო რგოლის მენეჯმენტი\*



### ყველა თანამშრომელი




● ქალი    ● კაცი

ჩვენ ასევე გვყავს თანამშრომელთა კარგი კომბინაცია, როგორც ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილებით, ასევე ნიჭიერი ახალგაზრდები, ინოვაციური იდეებით, რომლებმაც დაამთავრეს საქართველოს და მსოფლიოს ცნობილი უნივერსიტეტები. ჩვენ ვთვლით, რომ ასაკობრივი მრავალფეროვნება ქმნის უფრო დინამიურ და კარგად მომუშავე გუნდს, რომელიც გვაძლევს

### ასაკობრივი სტატისტიკა 2020 წ.

● 29 წლამდე    ● 40-49 წლის  
● 30-39 წლის    ● 50 წელს ზემოთ



### ეთიკის სტანდარტები, პასუხისმგებლიანი ქცევა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

თიბისი ბანკის მიზანია ისეთი ბიზნესის წარმართვა, რომელიც ეფუძნება მაღალ ეთიკურ სტანდარტებს, ღირებულებებს და პატივისცემს ადამიანის უფლებებს, მოუწოდებს თანამშრომლებს იმოქმედონ კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობის დაცვით ერთმანეთთან, ისევე როგორც ჩვენს მომხმარებლებთან, ბიზნეს-პარტნიორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

ჩვენ გვაქვს შიდა პოლიტიკის და პროცედურების კრებული და ყურადღებით ვაკონტროლებთ მათ შესრულებას:



- > ეთიკის კოდექსი;
- > ქცევის კოდექსი;
- > მექრთამეობის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და გადასახადებისგან თავის არიდების პრევენციის პოლიტიკა;
- > ინციდენტის მართვის პოლიტიკა.

აღნიშნული პოლიტიკები ეხება ჯგუფის ყველა თანამშრომელს და შეგიძლიათ იხილოთ IR ვებ-გვერდზე: [www.tbcbankgroup.com](http://www.tbcbankgroup.com).

„ეთიკის კოდექსი“ და „ქცევის კოდექსი“ განსაზღვრავს ეთიკის პრინციპებსა და პროფესიული ქცევის სტანდარტებს, ადგენს კოლეგებთან, კლიენტებთან, პარტნიორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის შესაბამის ნორმებს, რომლებიც უნდა დაიცვას ჯგუფის ყველა თანამშრომელი. თიბისი ბანკის თანამშრომლები ყოველთვის უნდა მოქმედებდნენ პროფესიული ქცევის სტანდარტების დაცვით, კეთილსინდისიერად და განზრახვით და ქცევით უნდა აკმაყოფილებდნენ ყველა მოქმედი კანონსა და რეგულაციას. თანამშრომლები ასევე პატივისცემით უნდა მოექცნენ ყველა დაინტერესებულ მხარეს და მათთან მიმართებაში მოქმედონ სამართლიანად და პასუხისმგებლობის დაცვით. მომხმარებლებთან ურთიერთობისას ჩვენ ვუზრუნველყოფთ, რომ ჩვენი პროდუქტები და მომსახურება მორგებული იყოს მათ საჭიროებებს, იყოს მკაფიო და ადვილად გასაგები. ჩვენ ასევე ვზრუნავთ, რომ კლიენტებს არ შეექმნათ გაყიდვების შემდგომი ბარიერები, შეცვალონ პროდუქტი, წარმოადგინონ პრეტენზია ან საჩივარი. მომწოდებლებთან და სხვა ბიზნეს პარტნიორებთან მიმართებაში, ჯგუფი მონაწილეობს მხოლოდ თავისუფალ გარიგებებში. ჩვენი თანამშრომლებისთვის ვქმნით უსაფრთხო და მეგობრულ გარემოს რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი შეურაცხყოფისგან, დისკრიმინაციისაგან (მათ შორის რასის, წინაპრების, კანის ფერის, რელიგიის, ეროვნული წარმომავლობის, მოქალაქეობის, ოჯახური მდგომარეობის, ვეტერანის სტატუსის, სქესის, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, ასაკის ან შეზღუდული შესაძლებლობების ნიშნით) ან შეუსაბამო ქცევისგან. ყველა წამოწყებაში, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები ჩვენთვის დგას წინა პლანზე.

წელს ბექ ოფისის თანამშრომლების დისტანციურ სამუშაო პრაქტიკაზე გადასვლის გამო ჩვენ შევასწორეთ ქცევის კოდექსის პოლიტიკა და შევიტანეთ ინსტრუქციები და რეკომენდაციები დისტანციური სამუშაო ნორმების შესახებ სათანადო ქცევის და კომპანიის წესებისა და პროცედურების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

ადამიანური რესურსების მართვისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტები რეგულარულად ახორციელებენ ჯგუფის ეთიკის და ქცევის კოდექსთან შესაბამისობის მონიტორინგს. შიდა აუდიტის დეპარტამენტი პერიოდულად ატარებს აუდიტს, რათა გამოავლინოს აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დარღვევები ან არასათანადო ქცევა. 2020 წელს არ დაფიქსირებულა არსებითი დარღვევები ჯგუფის ეთიკის ან ქცევის კოდექსის თვალსაზრისით.

მექრთამეობის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და გადასახადებისგან თავის არიდების პრევენციის პოლიტიკა შეესაბამება ყველა ადგილობრივ და საერთაშორისო კანონსა და რეგულაციას და ვრცელდება ჯგუფის ყველა თანამშრომელზე. ეს პოლიტიკა მოიცავს სრულყოფილ სახელმძღვანელო მითითებებს იმ სახის ქცევაზე, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონების და/ან უკანონო ფინანსების შესახებ კანონის დარღვევა და აძლიერებს პატიოსნებისა და გულწრფელობის კულტურას თანამშრომლებს შორის.

თანამშრომელთა დაცვისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად დანერგულია ინციდენტის მართვის პოლიტიკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის და მიზნად ისახავს იმ პოტენციური დარღვევების გამოვლენასა და მათზე რეაგირებას, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან ეფექტურ მუშაობას. ეს პოლიტიკა ხელს უწყობს ყველა თანამშრომლის მიერ საეჭვო დარღვევის დიად, სამაგიეროს გადახდის შიშის გარეშე მხილების ნახალისებას. გარდა ამისა, თიბისი ბანკს აქვს მხილების ანონიმური არხები (მათ შორის ონლაინ რეჟიმში, ელექტრონული ფოსტის ან წერილის საშუალებით) ნებისმიერი პირისთვის, რომელსაც სჯერა, რომ დაირღვა შიდა სტანდარტები ან სამართლებრივი მოთხოვნები, მაგრამ ეუხერხულება ამის შესახებ საუბარი ჩვეულებრივი არხების საშუალებით. ჩვენი სახელმძღვანელოს მითითებების მიზანია პრეტენზიების აღრიცხვა და თანამშრომელთა დაცვა პოტენციური შურსებისგან. წელს ჩვენ მივიღეთ 56 ანგარიში, რომელიც გადაეცა რისკის კომიტეტს, რომელმაც თავის მხრივ გადასცა საბჭოს.

შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი რეგულარულად ატარებს თანამშრომელთა ტრენინგს, კორუფციისა და მექრთამეობის საწინააღმდეგო საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მათი მნიშვნელობის ხაზგასმის მიზნით. ასევე, შიდა აუდიტის დეპარტამენტი

\* პირდაპირი ანგარიშები უფროსი მენეჯმენტისთვის

# ჩვენი მომწოდებლები

“ როგორც ერთ-ერთ უდიდესი შემსყიდველი საქართველოში, ვთვლით რომ საპასუხისმგებლო შესყიდვის პრაქტიკების განხორციელებით ჩვენ შეგვიძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოვახდინოთ, როგორც ჩვენი მომწოდებლების ფინანსურ სტაბილურობასა და განვითარებზე, ასევე ჩვენი ქვეყნის მთლიან ეკონომიკაზე.

## სამართლიანობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ჩვენი შესყიდვის პროცესების ყველა ეტაპზე

ჩვენ გვაქვს სათანადოდ შემუშავებული შესყიდვის პროცესი, რომელიც რეგულირდება შესყიდვის პოლიტიკითა და პროცედურებით და უზრუნველყოფს სამართლიანობასა და ეფექტურობას ორივე მხარისთვის.

ჩვენი მომწოდებლის შერჩევის პროცესი ეფუძნება თანასწორობის, გამჭვირვალობისა და კონკურენტუნარიანობის პრინციპებს. ამ პროცესისთვის ჩვენ უმეტესწილად ვიყენებთ ელექტრონული შესყიდვის სერვისებს, რომლებიც ხელმისაწვდომია მესამე პირის - ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ონლაინ პლატფორმის მეშვეობით საქართველოში. ამ პლატფორმას გააჩნია მრავალი უპირატესობა, ის გვაძლევს შესაძლებლობას დავუკავშირდეთ მრავალ მომწოდებლებს, გვექონდეს კომუნიკაცია პოტენციურ მომწოდებლებთან ონლაინ რეჟიმში, აქვს სატენდერო პროცესის გამჭვირვალობის გარანტია, ასევე მონაწილეებს შეუძლიათ იხილონ შემოთავაზებების მთლიანი რაოდენობა და მათი ფასები. შემოთავაზების მიღების შემდეგ ჩვენ ვანარმოებთ შერჩევას გამჭვირვალე და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე და განვიხილავთ ყველა კანდიდატს თანაბრად და სამართლიანად. იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური მომწოდებელი არ იქნება კმაყოფილი შეფასების პროცესით ან ტენდერის შედეგით, მათ შეუძლიათ წარადგინონ საჩივარი სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული წესების შესაბამისად. თითოეული საჩივარი სრულად განიხილება.

გადახდის პროცესთან დაკავშირებით ჩვენ ვთავაზობთ ჩვენს მომწოდებლებს მოქნილობას, მათი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით. ჩვენთვის ცხადია, რომ სხვადასხვა მომწოდებელს ურჩენია სხვადასხვა გადახდის მეთოდი და ვცდილობთ ვითანამშრომლოთ მათთან ორივე მხარისთვის საუკეთესო შედეგის მისაღებად.

ჩვენი მისიის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს ცხოვრების გამარტივებას ადამიანებისთვის, ჩვენ ვისწრაფვით გავხდეთ საიმედო და დამხმარე პარტნიორი ჩვენი მომწოდებლებისთვის მათი საჭიროებების, ასევე მათი კმაყოფილების დონეების დადგენის გზით. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვების და უკუკავშირის მიღების მიზნით ჩვენი შესყიდვის პროცესების შესახებ, ჩვენ რეგულარულად ვახდენთ მათთან სხვადასხვა ტიპის შეხვედრების ორგანიზებას.

## საპასუხისმგებლო შესყიდვის პრაქტიკა

ჩვენს, როგორც ქვეყანაში ერთ-ერთი უმსხვილესი შემსყიდველის, არჩევანს აქვს მნიშვნელოვანი სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ზემოქმედება. შესყიდვებზე გადამწყვეტილებების მიღებისას, ჩვენ მაღალი დონის პასუხისმგებლობით ვეკიდებით ეკოლოგიურ და სოციალურ რისკებს. აღნიშნული რისკების შემცირების მიზნით, ყველა ჩვენს კონტრაქტორს ვთხოვთ ხელი მოაწერონ თიბისის პერსონალური მონაცემების დაცვის, კორუფციასთან ბრძოლის, გარემოს დაცვის და გადასახადისგან თავის არიდების მუხლებს, რომლებიც კონტრაქტის განუყოფელი ნაწილია და შესასრულებლად სავალდებულოა.

ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ მწვანე, ენერჯო-ეფექტური და მდგრადი პროდუქტების შესყიდვას. ამ მიზეზით შევიმუშავეთ მწვანე შესყიდვების რეკომენდაციები, რომელიც განსაზღვრავს სახელმძღვანელო პრინციპებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისა და მომსახურებების შესყიდვის შესახებ. გარდა ამისა, შევქმენით საპასუხისმგებლო შესყიდვების ტრენინგის მოდული აღნიშნულ თემაზე შესყიდვების პერსონალის დამატებითი განათლებისთვის. ასევე შევიმუშავეთ სავალდებულო გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის სკრინინგის კითხვარი ჩვენი მომწოდებლებისთვის, რაც გვეხმარება შევაფასოთ მათი პოზიცია სხვადასხვა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხზე და შევარჩიოთ მხოლოდ ის მომწოდებლები, რომლებიც იცავენ ჩვენს სტანდარტებს ან გეგმავენ მათ დაცვას უახლოეს მომავალში.

ასევე ჩვენ რეგულარულად ვუწევთ დახმარებას ჩვენს კონტრაქტორებს მათი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვაში. 2020 წლის განმავლობაში ჩვენ განვახორციელეთ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასება დაახლოებით 80 კონტრაქტორ კომპანიასთან დაკავშირებით და წარვედგინეთ გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა 14 კომპანიას.

გარდა ამისა, ჩვენი მიზანია მხარი დავუჭიროთ მცირე ადგილობრივ კომპანიებს და ახლად დაფუძნებულ ბიზნესებს მათგან საქონლის და მომსახურებების შესყიდვის გზით, თუკი ეს მიზანშეწონილი და მომგებიანი იქნება ბანკისთვის. დამატებით, ჩვენი შესყიდვების ჯგუფი ყოველთვის მზად არის გაუზიაროს მათ გამოცდილება და ცოდნა მათი შემდგომი განვითარებისთვის კონკურენტულ ბაზარზე.

# ჩვენი საზოგადოება



ჩვენი მიზანია დადებითი გავლენა მოვახდინოთ ქართულ საზოგადოებაზე. ჩვენ ხელს ვუწყობთ ისეთ სფეროებს, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მომავლისთვის: მენარმეობის სტიმულირება და MSME სექტორის განვითარება; ახალგაზრდების მხარდაჭერა და განათლება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა. გარდა ამისა, წელს, პანდემიის პერიოდში, ჩვენი მოსახლეობის მხარდასაჭერად შევქმენით კოვიდ-19-თან დაკავშირებული პროგრამა, სახელწოდებით „თიბისი შენთვის“.

## # თიბისი შენთვის

საქართველოს მოსახლეობისთვის კოვიდ-19 მიერ მიყენებული ზიანის შესამცირებლად ჩვენ შევქმენით ფართომასშტაბიანი მხარდაჭერის პროგრამა, სახელწოდებით „თიბისი შენთვის“ ([www.tbcforyou.ge](http://www.tbcforyou.ge)), რომელიც აერთიანებს ჩვენს პროექტებს და არამხოლოდ მათ:


- COVID-19 -ის 10,000 სწრაფი ტესტი შესყიდულია და გადაეცა ჯანდაცვის სამინისტროს;
- დახმარება გაენია გაჭირვებაში მყოფ 1,000 მოხუცებულს საკვებით, მედიკამენტებითა და პირადი ჰიგიენური საშუალებებით;
- ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობით განხორციელდა რიგი პროექტები. მაგალითად, კვების პროდუქტების მწარმოებელ წამყვან ქართულ კომპანიასთან, „ნიკორასთან“ თანამშრომლობით, 300 სოციალურად დაუცველ ოჯახს გადაეცა კვების პროდუქტების კალათები.
- დახმარება გაენია MSME სექტორს მათი ბიზნესების გაციფრულებაში და პროდუქტების და მომსახურებების ონლაინ რეჟიმში შეთავაზებაში. დამატებითი დეტალები აღნიშნულ საკითხზე მოცემულია MSME ნაწილში, გვერდებზე 44-49.

## ახალგაზრდა თაობა

ჩვენ უწყვეტად ვუჭერთ მხარს ნიჭიერ ახალგაზრდებს, პროფესიულ განვითარებაში და ვაგრძელებთ ამ მიმართულებით ახალი პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებას.

წელს კოვიდ-19-ის პანდემიის გამო საგანმანათლებლო სისტემებში რიგი ცვლილებები განხორციელდა და ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, გადავიდა ონლაინ სწავლებაზე. ამან პრობლემა შეუქმნა სტუდენტებს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომლებსაც არ ჰქონდათ ონლაინ სწავლებისთვის საჭირო სათანადო ტექნიკური მოწყობილობები. თიბისი ბანკი დაეხმარა აღნიშნულ სტუდენტებს შემდეგი ინიციატივებით:

- თიბისის თანამშრომლებმა თანხა შეაგროვეს, რომელიც კომპანიამ გააორმაგა და ჩვენ შევისყიდეთ ლეპტოპები 161 სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის ექვსი უნივერსიტეტიდან. ისინი განაწილდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ 100 სოციალურად დაუცველ, მაღალი კლასის სტუდენტზე.



- გარდა ამისა, წლის ბოლომდე ჩვენ დავფარეთ ზემოთხსენებული სტუდენტების ინტერნეტის ყოველთვიური გადასახადი. პარალელურად გავაგრძელეთ ჩვენი გრძელვადიანი პროექტები, რომელიც მოიცავს შემდეგს:
- 2016 წლიდან თიბისი ბანკი არის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ მთავარი პარტნიორი. ეს არის ყოველწლიური ღონისძიება, რომლის მიზანია მეცნიერების, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის მეცნიერებათა (STEM) საგნების პოპულარიზაცია ახალგაზრდებს შორის. ეს არის მსხვილმასშტაბიანი ღონისძიება, რომელშიც ახალგაზრდები მთელი საქართველოდან ერთვებიან. მათ მოეთხოვებათ ინოვაციური სამეცნიერო იდეის წარდგენა, რომელიც გამყარებული იქნება კვლევებითა და ექსპერიმენტებით. თიბისი მხარს უჭერს ამ ღონისძიების ორგანიზებას და გამარჯვებულებს გადასცემს ყოველწლიურ სტიპენდიას. წელს, პანდემიის გამო კონკურსი ონლაინ რეჟიმში გაიმართა.
- 2018 წლის ბოლოს ჩვენ ასევე განვახორციელეთ ახალი პროექტი, სახელწოდებით „თიბისის სტიპენდიატები“, რომლის მიზანია საქართველოს მასშტაბით სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან იმ ნიჭიერი ახალგაზრდების დახმარება, რომლებიც სპორტის, მეცნიერების, ხელოვნების და სხვა სფეროებში წარმატების მიღწევას ცდილობენ. მას შემდეგ ყოველწლიურად 200 ნიჭიერი ახალგაზრდა იღებს სტიპენდიას ცოდნის და პროფესიული უნარების განსავითრებლად.



გარდა ამისა, ჩვენ 2019 წელს შევქმენით „თიბისი აკადემია“ და „თიბისი კემპი“ (მომავალი საინვესტიციო ბანკირებისთვის), 2020 წელს კი - „რისკის აკადემია“. მათი მიზანი ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის ქვეყანაში არსებულ პოპულარულ პროფესიებში პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გადაცემა და თიბისიში ან სხვა ორგანიზაციაში მათი დასაქმების შანსების გაზრდაა. ყველა კურსი არის უფასო და მათ ატარებს გამოცდილი პერსონალი. დეტალური ინფორმაცია მოცემულია ჩვენი კოლეგების ნაწილში, გვერდებზე: 64-71.

## ხელოვნება და კულტურა

თიბისი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში და საზოგადოებისთვის მისი თანამედროვე საშუალებებით წარდგენაში, ახალგაზრდა ხელოვანების მხარდაჭერით და საქართველოში შემოქმედებითი ცხოვრების ხელშეწყობით.

კოვიდ-19-ის პანდემიის დროს, როდესაც არ იყო ნებადართული ფიზიკური ვიზიტები კულტურულ და საგანმანათლებლო სივრცეებში, ჩვენი ძალისხმევა საქართველოს ისტორიის და კულტურული მემკვიდრეობის ციფრული არხების მეშვეობით პოპულარიზაციისკენ მივმართეთ.

- საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობის ფარგლებში შევქმენით ანიმაცია, რომელშიც საქართველოს ისტორია მუზეუმში დაცული სხვადასხვა ექსპონატების მეშვეობითაა მოთხრობილი. გარდა ამისა, ჩვენ ვრჩებით ამ ინსტიტუციის მხარდამჭერად და მათთან ერთად ვქმნით ციფრულ კონტენტს ეროვნულ მუზეუმში დაცულ საგანძურთან დაკავშირებით.
- თიბისი აცნობიერებს შემეცნებით-გასართობი აქტივობების გამოყენების მნიშვნელობას ახალი თაობის განვითარების პროცესში. აქედან გამომდინარე, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოვამზადეთ ციფრული აქტივობების ნაკრები, რომელიც აერთიანებს რამდენიმე შემოქმედებით დავალებას სამუზეუმო ექსპონატების შესახებ და საშუალებას აძლევს ბავშვს საქართველოს ისტორიას და კულტურას ეროვნული საგანძურის მეშვეობით გაეცნოს. ნაკრებს თან ახლავს ფოტოები და ვიდეოები, რომლებიც ბავშვს ამ პროცესს უმარტივებს.
- პანდემიის პერიოდში საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან გახსნა განახლებული არქეოლოგიური მუზეუმი ვანში, რომლის ერთ-ერთი მხარდამჭერი თიბისი იყო. მუზეუმში წარმოდგენილია კოლხურ კულტურასთან დაკავშირებული არტეფაქტები, რომლის უძველესი ნიმუშიც ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნით თარიღდება. პანდემიის პირობებში, თიბისი ბანკმა შექმნა ვიდეო-რგოლი, რომელიც მიეძღვნა ვანის მუზეუმს და მუზეუმი საზოგადოებას ინოვაციური გზით წარუდგინა.
- 2020 წელს საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურული ისტორიის მუზეუმთან თანამშრომლობით, დავინწყეთ პროექტი „ქართული ქსოვილი“, რომლის მიზანი ისტორიული ქართული ქსოვილის პოპულარიზაციაა. უძველესი ქართული ორნამენტები, რომლებიც საეკლესიო ფრესკებზე მეფეების, დედოფლებისა და ისტორიული ფიგურების სამოსზეა ასახული, თანამედროვე დიზაინერების და სტარტაპერებისთვის ახალი ნივთების შექმნის შთაგონება გახდა. თიბისიმ შექმნა ვებ-გვერდი [qq.vendoo.ge](http://qq.vendoo.ge) და დაეხმარა მათ პროდუქტის



**პოპულარიზაციაში.**

2020 წელს თიბისიმ გამართა ლიტერატურული პრემია “საბას” მე-18 დაჯილდოება. პრემია 2003 წლიდან რეგულარულად ტარდება და ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა ქვეყანაში. ტრადიციულად ცერემონია ფართომასშტაბიანი ფორმატით, საზეიმო ვითარებაში ტარდებოდა, თუმცა წელს პანდემიის გამო თიბისიმ გადანაცვლა ღონისძიება ონლაინ რეჟიმში ჩაეტარებინა. დაარსებიდან დღემდე „საბამ“ გასცა 170-ზე მეტი პრიზი სხვადასხვა კატეგორიაში, რაც მთლიანობაში 900,000 ლარს შეადგენს. ჩვენ ასევე შევქმენით [www.saba.com.ge](http://www.saba.com.ge), უდიდესი ონლაინ პლატფორმა საქართველოს ელექტრონული და აუდიო წიგნებისთვის. ეს ვებ-გვერდი უზრუნველყოფს წვდომას 6,000 ელექტრონულ წიგნზე და მოიზიდა დაახლოებით 190,000 მკითხველი, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

**სპორტი**

საქართველოს საზოგადოების სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობა ფართოდ არის დამოკიდებული სპორტულ აქტივობებზე და ჯანსაღი ცხოვრების სტილის პოპულარიზაციაზე. თიბისი 2015 წლიდან „საქართველოს რაგბის კავშირის“ გენერალური სპონსორია. ჩვენ ავირჩიეთ რაგბი, რადგან ეს არის ეროვნული სპორტი, რომელიც გუნდური მუშაობის, მიზანდასახულობის, მონიშნულ დედეგის პატივისცემისა და სამართლიანობის უზადო მაგალითია. თიბისიმ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში არსებითი წვლილი შეიტანა რაგბის, როგორც სპორტის სახეობის პოპულარიზაციაში. 2020 წელს საქართველოს რაგბის ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო „შემოდგომის ერთა თასის“ ტურნირში.

**მცირე ბიზნესების და მენარეშობის მხარდაჭერა**

თიბისი გამოირჩევა ახალგაზრდა სტარტაპებისა და MSME ბიზნესების მხარდაჭერით. ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების გადასაღებად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარებას. ეს ხელს უწყობს უმუშევრობის შემცირებასა და ეკონომიკის ზრდას. ჩვენ ვეხმარებით ბიზნესებს როგორც ფინანსურად, ასევე არაფინანსურად, მათ შორის: კაპიტალზე წვდომის გამარტივებით, ცოდნის და გამოცდილების გაზიარებით, სპეციალურად ბიზნეს საჭიროებებზე მორგებული პროდუქტებისა და მომსახურებების განვითარებით. დეტალური ინფორმაცია მოცემულია ჩვენს MSME ნაწილში, გვერდებზე 44-49.

# ჩვენი გარემოსდაცვითი მართვის სისტემა

“ ვინაიდან ვაცნობიერებთ სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების მნიშვნელობას ჯგუფის გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისთვის, ჩვენი მიზანია დადებითი გავლენა მოვახდინოთ გარემოზე და ჩვენი წვლილი შევიტანოთ დაბალი ემისიის ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში.

ჩვენ ორიენტირებულნი ვართ გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე და ვაგრძელებთ მათ ინტეგრაციას ჩვენს ბიზნესში, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის აუცილებლობიდან გამომდინარე. 2020 წელს ჩვენ აქტიური ზომები მივიღეთ ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებული პირდაპირი და არაპირდაპირი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვაში. ჩვენ გავაძლიერეთ გარემოსდაცვითი მართვის სისტემა (გმს) ჯგუფის მასშტაბით და წარმატებით დავასრულეთ ISO 14001:2015 სერტიფიკაციის აუდიტი დისტანციურად, გამოწვევებით სავსე პერიოდის მიუხედავად. ეს სერტიფიკატი ადასტურებს, რომ ჩვენი გმს-ი სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. მიღწევების გარდა, აღნიშნული ასევე გულისხმობს ჩვენი გმს-ის შემდგომი განვითარების პასუხისმგებლობას.

2020 წელს ჩვენ ასევე გამოვეუშვიტ გლობალური ანგარიშგების ინიციატივის (GRI) სტანდარტებზე დაყრდნობით მომზადებული პირველი, სრულმასშტაბიანი მდგრადობის ანგარიში. ეს ანგარიში აერთიანებს სრულ ინფორმაციას ჩვენი სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ზემოქმედებების შესახებ და დეტალურად აღწერს დადებითი ცვლილების განსახორციელებლად ჩვენ მიერ მიღებულ ზომებს ყველა ჩვენი დაინტერესებული პირის სასარგებლოდ.

## ჩვენი გარემოსდაცვითი მართვის სისტემა (გმს)

ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკა ჯგუფის მასშტაბით განსაზღვრავს ჩვენს გარემოსდაცვით მართვის სისტემას (გმს) და უზრუნველყოფს, რომ შესაბამისობაში ვიყოთ გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების დაცვის მოქმედ რეგულაციებთან და გამოვიყენოთ საუკეთესო პრაქტიკები, ასევე მივიღოთ შესაბამისი ზომები, რომ ჩვენმა მომხმარებლებმა შეასრულონ თავიანთი გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობები. ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკა სრულად შეესაბამება საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს. (პოლიტიკა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: [www.tbcbankgroup.com](http://www.tbcbankgroup.com)).

თიბისი ბანკს ჰყავს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის (ESRM) ჯგუფი, რომელიც შედგება სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლებისგან. ჩვენი ESRM ჯგუფი პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი მართვის სისტემის (EMS) განხორციელებისა და ფუნქციონირების ზედამხედველობაზე ჯგუფის მასშტაბით. ჯგუფი ჩვენს შვილობილ კომპანიებს ეხმარება



გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვაში და რეგულარულად ატარებს ტრენინგებს. ჯგუფი ასევე ანგარიშვალდებულია კვარტლურ გარემოსდაცვით კომიტეტებზე გარემოსდაცვითი გეგმებისა და შედეგების წარდგენასა და ანგარიშგებაზე. ჩვენი ESRM ჯგუფი არის SME და კორპორატიული ბიზნესის საკრედიტო რისკების დეპარტამენტის ნაწილი, რომელიც პირდაპირ ანგარიშვალდებულია რისკების მართვის დირექტორის წინაშე.

გარემოსდაცვითი მართვის სისტემა ეფუძნება ოთხ მიმართულებას.

- შიდა გარემოსდაცვითი ღონისძიებები;
- გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვა დაკრედიტების დროს;
- მდგრადი ფინანსირება; და
- გარე კომუნიკაციები.

ჩვენ ვთვლით, რომ თანამშრომლების მაღალი გარემოსდაცვითი ცნობიერების დონე არსებითად მნიშვნელოვანია ჩვენი გმს-ის განხორციელებისთვის. ამ მიზნით, ჩვენ შევიმუშავეთ გარემოსდაცვითი ტრენინგ-პროგრამა, რომელიც მოიცავს გაცნობით ტრენინგს ახალი თანამშრომლებისთვის, რეგულარულ ცნობებს ჩვენს გარემოსდაცვით საქმიანობებში ცვლილებების შესახებ, ასევე წლიურ სავალდებულო ონლაინ EMS ელ-სასწავლო კურსს ყველა თანამშრომლისთვის და თვითშეფასების ტესტს. გარდა ამისა, ჩვენ ვატარებთ სპეციალურ ტრენინგებს დაკრედიტების დროს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის საკითხებზე, SME და კორპორატიული ბიზნეს ანალიტიკოსებისა და რისკ მენეჯერებისთვის.

**მიმართულება I - შიდა გარემოსდაცვითი ღონისძიებები**

ვინაიდან საბანკო საქმიანობა არ არის მაღალდამაბინძურებელი საქმიანობა, შიდა გარემოსდაცვითი მართვის სისტემის დანერგვა ჯგუფის მასშტაბით რესურსის ეფექტურად მოხმარების მიზნით, მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ მოახდენს გარემოზე. თუმცა, თიბისი ბანკმა გადახედა თავის ყველა საოპერაციო საქმიანობას, შესყიდულ პროდუქტსა და გარე მომსახურებას, რომელთა შესაბამისად მართვა და კონტროლიც შესაძლებელია (ახლანდელი და დაგეგმილი) და განსაზღვრა საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა არსებითი გარემოსდაცვითი ასპექტი. შესაბამისი შეფასებისა და ანალიზის სისტემის გამოყენებით, აღნიშნული გარემოსდაცვითი ასპექტები დაიყო ირიბ და პირდაპირ ასპექტებად და იმართება შესაბამისად.

ადგილობრივ გარემოსდაცვით რეგულაციებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, თიბისი ბანკი ყოველწლიურად ახორციელებს შიდა გარემოსდაცვით შემოწმებას. ჩვენი გარემოსდაცვითი რეესტრი განსაზღვრავს კონკრეტულ იურიდიულ და სხვა მოთხოვნებს, რომელიც ვრცელდება თიბისი ბანკზე. ბოლო გარემოსდაცვითი შემოწმება განხორციელდა 2020 წლის სექტემბერში. .

როგორც ზემოთ აღინიშნა, თიბისი ბანკმა მიიღო ISO 14001:2015 სერტიფიკატი გარემოსდაცვითი მართვის სისტემისთვის, რომელიც ადასტურებს ჩვენი გმს-ის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან.

თიბისი ბანკმა ჯგუფის მასშტაბით შექმნა ყოვლისმომცველი შიდა გარემოსდაცვითი სისტემა, რათა მართოს სათბურის აირების (GHG) გაფრქვევები და მოახდინოს მისი ანგარიშგება ჯგუფის მასშტაბით და ელექტროენერჯის, წყლის და ქაღალდის მოხმარების მკაცრი მონიტორინგით ცდილობს შეამციროს გაფრქვევები. შემუშავდა გარემოსდაცვითი მონაცემების დოკუმენტირების სახელმძღვანელო პრინციპები და საჭირო მონაცემების შეგროვებისა და მოწოდებისთვის შვილობილ კომპანიებში დაინიშნა პასუხისმგებელი პერსონალი. სათბური აირების გაფრქვევების გაზომვების დამოწმებისათვის თიბისი ბანკმა დაიქირავა ჯანმრთელობის, შრომითი უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი (HSE) საკონსულტაციო კომპანია, შპს. G&L Management. დიდ ბრიტანეთში, ჯგუფი არის დაბალი ელექტროენერჯის მომხმარებელი და არ მოიხმარს 40,0000 კილოვატზე მეტ ელექტროენერჯიას.

## ბიზნესის კეთების პასუხისმგებლობა გავრცელება

მონაცემები FY-ზე	სულ CO2 ემისიები (ტონები)			KPIs (შემცირება FTE-ზე**)
	2018*	2019*	2020	2021
<b>Scope1**</b>				
საწვავის წვა (გათბობა, სატრანსპორტო საშუალებები, გენერატორები)	2,144	1,897	2,970	-6%
<b>Scope2</b>				
(ელექტროენერჯის მოხმარება)	1,214	1,088	1,524	-5%
<b>Scope3</b>				
(საერთაშორისო ფრენები)	575	564	106	-
<b>ჯამური ემისიები (tCO2)</b>	<b>3,933</b>	<b>3,549</b>	4,600	-5%
<b>ჯამური ემისიები ერთი სრულ გან. თანამშრომლის მიხ. (FTE) (CO2t/pp)</b>	<b>0.62</b>	<b>0.57</b>	0.65	-5%
წყლის მოხმარება ერთ თანამშრომელზე (მ3/pp)	16.68	14.40	10.72	-5%
საბეჭდი ქაღალდი ერთ პირზე (დასტებად)	17.52	19.62	13.46	-
შემოსავალი (tCO2/US\$)	0.000009	0.000009	0.000013	-
EBTDA (tCO2/US\$)	0.000018	0.000015	0.000036	-
წმინდა შემოსავალი (tCO2/US\$)	0.000023	0.000018	0.000042	-

\*მონაცემები მოცემულია მხოლოდ ბანკისთვის

\*\*Per FTE - ერთ სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელზე.

\*\*Scope 1:

- 1,609 CO2e ემისიები ტონებში (საწვავის წვიდან (NG) თიბისი ბანკის კუთვნილი ოპრაციიდან და ობიექტებიდან) 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 1,318 CO2e და 2018 წელს - 1,441 CO2e.
- 1,285 CO2e ემისიები ტონებში (თიბისი ბანკის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებებიდან) 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 491 CO2e და 2018 წელს - 617 CO2e.
- 76 CO2e ემისიები ტონებში (თიბისი ბანკის კუთვნილი გენერატორებიდან) 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 88 CO2e და 2018 წელს - 86 CO2e.

2018 და 2019 წლებში მონაცემები წარმოდგენილია მხოლოდ ბანკისთვის, ხოლო 2020 წლის მონაცემები გამოთვლილია სს თიბისი ბანკისთვის, რომელიც მოიცავს ბანკს და მის შვილობილ კომპანიებს. აქედან გამომდინარე წინა წლების მონაცემებთან შედარება არ არის რელევანტური.

### გამოთვლის მეთოდი

სათბური აირების ინვენტარიზაციისთვის განვსაზღვრეთ შემდგომი ნაბიჯები: ორგანიზაციის საზღვრები, საოპერაციო მასშტაბი, მონაცემთა შეგროვების სტრუქტურული მიდგომა და ნახშირორჟანგის (CO2) ექვივალენტის გაანგარიშება. ეს ანგარიში აღწერს გაფრქვევების ყველა წყაროს, რომელიც გათვალისწინებულია 2006 წლის „კომპანიების აქტი“ (სტრატეგიული ანგარიში და დირექტორების ანგარიშები), 2013 წლის რეგულაციებით (Scope 1 და 2) და ასევე Scope 3-ის ფარგლებში არსებული გაფრქვევებით, რომელიც ვრცელდება ბიზნეს-საქმიანობაზე. გაფრქვევების მონაცემების მომზადებისას გამოყენებულ იქნა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის „2017 წლის კომპანიის ანგარიშებისთვის სათბური აირების კონვერსიის ფაქტორები“. ხოლო ელექტროენერჯის შემთხვევაში „ეროვნული IPCC“-ის ემისიის ფაქტორები (tCO2\*/ MWh), ბანკის ძირითადი საქმიანობებისთვის საჭირო მონაცემები შემდეგნაირად შეგროვდა:

**Scope1**(საწვავისწვა და შენობა-ნაგებობების ფუნქციონირება) მოიცავს თიბისი ბანკის საკუთრებაში არსებულ, ან კონტროლირებად ადგილებზე მოწყობილობა-დანადგარების მიერ ბუნებრივი აირის, დიზელის ან/და ბენზინის წვის შედეგად გამოყოფილ აირებს. ასევე, სატრანსპორტო საშუალებების მიერ ბენზინის, დიზელის, ბუნებრივი აირის და ა.შ. წვის შედეგად გამოყოფილ აირებს.

**Scope 2** (საკუთარი გამოყენებისთვის შეძენილი ელექტროენერჯია (განათება, საოფისე აღჭურვილობა, გაგრილების სისტემა და ა.შ.) მოიცავს გაფრქვევების შემდეგ წყაროებს: თიბისი ბანკის საკუთრებაში არსებულ ან კონტროლირებად ადგილებზე მოხმარებული ელექტროენერჯია; გაფრქვევების გაანგარიშებისთვის გამოყენებულ იქნა კონვერსიის ფაქტორი „ეროვნული IPCC“ გაფრქვევების ელექტროენერჯის ფაქტორებიდან (tCO2\*/MWh);

**Scope 3** მოიცავს მივლინებების დროს საჭაერო ტრანსპორტით მგზავრობის შედეგად მიღებულ გაფრქვევებს. (მოკლე მანძილებზე, საშუალო მანძილებზე, შორ მანძილებზე და საერთაშორისო ფრენებს); უნდა აღინიშნოს, რომ გათვალისწინებული იქნა ინფორმაცია ფრენის კლასთან დაკავშირებით და ემისიების გამოსაანგარიშებლად გამოყენებულ იქნა „ეკონომ-კლასის“ კონვერსიის ფაქტორი შემდეგი ბმულიდან: [www.atmosfair.de](http://www.atmosfair.de). სათბური ემისიების გამოთვლის მიზნით, მივლინებების ფრენებიდან გამოყენებული იქნა დეტალური მარშრუტი თითოეული საჭაერო მგზავრობისთვის (მათ შორის საერთაშორისო ფრენების ტრანსფერები), ფრენის კლასი (პირველი, ბიზნეს და/ან ეკონომ კლასი) და თითოეულ მივლინებაში მყოფი პირთა რაოდენობა.

**ინტენსივობის კოეფიციენტი** - ინტენსივობის კოეფიციენტს ვითვლით გამარტივებული ენერჯისა და ნახშირორჟანგის (SECR) სახელმძღვანელოს გამოყენებით.

**მიმართულება II - გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა დაკრედიტების დროს**

ყველა კომერციულ ტრანზაქციის დროს თიბისი ბანკი ცდილობს უზრუნველყოს, რომ მომხმარებლებს ჰქონდეთ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის ორგანიზაციული და სისტემური მიდგომა და შესაბამისობაში იყვნენ ადგილობრივი გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების დაცვის რეგულაციებთან და სტანდარტებთან, რათა შეამციროს მის მიერ დაფინანსებული ბიზნეს-საქმიანობების გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებები.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, თიბისი ბანკმა შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის (ESRM) პროცედურები, რათა დაკრედიტების დროს უზრუნველყოს შესაბამისი, რისკებზე დამყარებული, სექტორების სპეციფიკების მიხედვით გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასება. აღნიშნული პროცედურები სრულად არის ინტეგრირებული თიბისი ბანკის საკრედიტო რისკის მართვის პროცესში და ვრცელდება ყველა კომერციულ ტრანზაქციაზე. პროცედურები მოიცავს საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) სამოქმედო სტანდარტებს (PSs), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სამოქმედო მოთხოვნებსა (PRs) და აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების მოთხოვნებს (SRs).


აღნიშნული პროცედურები მოიცავს:

- > ტრანზაქციის კვალიფიკაცია და რისკის კატეგორიზაცია;
- > იდენტიფიკაცია და შესაბამისი შეფასება;
- > შერბილება და კონტროლი; და
- > გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მონიტორინგი და ანგარიშგება.


2020 წელს, იმ კლიენტებისთვის, რომლებიც არ არიან შესაბამისობაში ჩვენს გარემოსდაცვით სტანდარტებთან, ჩვენ უფრო ინტენსიური გავხადეთ ბანკის მიერ კლიენტებისთვის მომზადებული გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმების (ESAP) მონიტორინგის სისტემა, რათა გაუმჯობესდეს მათი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვა. ყველა ასეთ კლიენტს ჩაუტარდა მონიტორინგი და შემოწმდა. ESRM პროცედურები ჩვენს პარტნიორ IFI-ების თანამშრომლობით, განახლდა და დამტკიცდა 2020 წლის მესამე კვარტალში და მოიცავდა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიზაციის მატრიცის შემუშავებას. ზოგ შემთხვევაში, გარემოსდაცვითი რისკის კატეგორია განსხვავდება სოციალური რისკის კატეგორიისგან. ხოლო როდესაც ხდება ტრანზაქციის გარემოსდაცვითი და სოციალური კატეგორიზაცია, პრიორიტეტი მათ

**ბიზნეს სესხების კორტოფლი**

**E&S რისკის კატეგორიები სესხის მოცულობის მიხ., 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**



**E&S რისკის კატეგორიები სესხის რაოდენობის მიხ., 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**



**დაბალი რისკი** - ტრანზაქციები, რომელსაც აქვს მინიმალური ან საერთოდ არ აქვს უარყოფითი გარემოსდაცვითი, ან სოციალური ზემოქმედება, ზოგადად, ასეთი შემთხვევების შემდგომი ანალიზი აღარ ხორციელდება (გამოვლენის და იდენტიფიცირების შემდეგ). მოთხოვნები გულისხმობს მხოლოდ კლიენტის დასაბუთებას, სერტიფიცირებას, ან დასტურს გარემოსდაცვითი, ჯანრთელობის, უსაფრთხოების, და შრომის ადგილმდებრივ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის/შეუსაბამობის შესახებ..

**საშუალო რისკი** - ოპერაციები სოციალურ, ან ბუნებრივ გარემოზე საზიანო ეფექტის შეზღუდული პოტენციალით. ასეთი შემთხვევები მცირე რაოდენობისაა და ადგილმდებარეობის მიხედვით განისაზღვრება, მეტწილად გამოსწორებადია, უდაოდ შეიძლება მისი გამოვლენა შეფასების ეტაპზე და თავისუფლად გვარდება რისკის შემცირების ზომების გამოყენებით. ამას ტიპურად სჭირდება შეზღუდული, ან აქცენტირებული გარემოსდაცვითი და/ან სოციალური შეფასება. მეორე ალტერნატივაა გარემოსდაცვითი ზომების, დაბინძურების ნორმების, დიზაინის კრიტერიუმების, ან სამშენებლო სტანდარტების პირდაპირი გამოყენება.

**მაღალი რისკი** - ოპერაციები პოტენციურად უდაოდ მაღალი, უარყოფითი და/ან გრძელვადიანი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ეფექტით, რომლის მასშტაბების განსაზღვრაც შეიძლება რთული იყოს სესხზე განაცხადის წარმოდგენისას. ამას სჭირდება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ეფექტის ანალიზი ბანკის კლიენტის ფუნქციონირების გავლენის მთლიანი არეალის კონტექსტში. რისკის შეფასების სფეროში კლიენტი გამოავლენს ცალკეულ პირებს და ჯგუფებს, რომლებზეც მისი წარმოების გავლენა განსხვავებული, ან არაპროპორციული შეიძლება იყოს.

**კატეგორია A** - პოტენციურად მაღალი საზიანო ეფექტით სოციალურ, ან ბუნებრივ გარემოზე, რაც შეიძლება გახდეს მრავალმხრივი, გამოუსწორებელი ან უპრეცედენტო. შესწავლა მოითხოვს დამოუკიდებელი გარეშე ექსპერტების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტების ჩართვას სიღრმისეული შესწავლისა და შეფასების პროცესში.


**მიმართულება III - მდგრადი ფინანსირება**

თიბისი ბანკი აღიარებს მსგავსი დაკრედიტების მნიშვნელობას და აქტიურად არის ჩართული მდგრადი ფინანსირების სტანდარტიზირებული მიდგომის განვითარებაში. მათ შორის

ენერჯი, განახლებადი ენერჯის და რესურსების ეფექტური გამოყენების დაფინანსების სტანდარტების შემუშავებაში ფიზიკური პირებისა და ბიზნეს კლიენტებისთვის. ამ მიზნით, ჩვენ ვთანამშრომლობთ „Green Growth Fund“-თან (GGF), რათა ჩავატაროთ ადგილობრივი ბაზრის კვლევა და შევიმუშაოთ მწვანე დაფინანსების კრიტერიუმი და დავნერგოთ შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ და გავამარტივოთ არსებული მწვანე დაკრედიტების პროცესი კომპანიაში. 2020 წელს ჩვენ შევიმუშავეთ CO2 ემისიების გამოთვლის მექანიზმი, რომელიც მომავალში გამოიყენება ჩვენი კლიენტების მწვანე სტატუსის განსაზღვრისთვის.

მწვანე დაფინანსების მხარდაჭერისთვის, წელს ჩვენ მხარი დავუჭირეთ Georgia Global Utilities (GGU) საქართველოს პირველი მწვანე ობლიგაციების გამოშვებაში, 250 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც გამოშვებულია ირლანდიის საფონდო ბირჟაზე. თიბისი კაპიტალი, წამყვან საერთაშორისო საინვესტიციო ბანკებთან ერთად, აღნიშნულ ტრანზაქციაში მოქმედებდა თანამენეჯერის სახით.

### ჩვენი მდგრადი (SUSTAINABILITY) პორტფელის გადანაწილება



შენიშვნა: ჩვენი მდგრადი დაფინანსების პორტფელი მოიცავს სესხებს, რომლებიც დაფინანსებულია სპეციალური დანიშნულების ფონდებით, რომლებიც მიღებულია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან, განახლებადი ენერჯის გარდა, რომელიც მოიცავს ყველა ჰიდროელექტროსადგურის დაფინანსებას ბანკის მიერ.

### მიმართულება IV - გარე კომუნიკაციები:

გამჭვირვალობა და ღია კომუნიკაცია ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის არსებითი ნაწილია. უკუკავშირი და ჩვენი დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული რეკომენდაციები გვაძლევს ჩვენი საქმიანობის უწყვეტი გაუმჯობესების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, ჩვენ შევიმუშავეთ საჩივრების მიღების მექანიზმი, რაც შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგინონ თავიანთი საჩივრები გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე. არქივდება ყველა კომუნიკაციის ჩანაწერი, მათ შორის, პასუხები თიბისი ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური საჩივრების მიღების პროცედურების შესაბამისად. დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ თავიანთი შეკითხვები წარადგინონ ვებ-გვერდზე: [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge) ან ელ-ფოსტის მისამართზე: [E&Srisk@tbcbank.com.ge](mailto:E&Srisk@tbcbank.com.ge).

2020 წლის განმავლობაში არცერთი საჩივარი არ დაფიქსირებულა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე.

თიბისი ბანკი ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებს ქვეყნის გარემოსდაცვითი და სოციალური რეგულაციების შემუშავების მხარდაჭერაში. ჩვენი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის ჯგუფი არის საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის მიერ ორგანიზებული რეგულარული გარემოსდაცვითი კომიტეტების, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) და ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის კომიტეტების წევრი.

## კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების საშუალო ჯგუფი ("TCFD")

2021 წელს ჩვენი მიზანია, დავნერგოთ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების სპეციალური ჯგუფის მოთხოვნები, რათა წარმოვაჩინოთ კლიმატის ცვლილების შემცირებისთვის აქტიური ზომების გატარების საჭიროება და ჩვენი პასუხისმგებლობა.

### მმართველობა:

2021 წელს, კლიმატის ცვლილების პოტენციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების ხარისხის ასამაღლებლად, ჯგუფს დაგეგმილი აქვს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის ჩარჩოს გაძლიერება შემდეგი მექანიზმებით:

- რისკის კომიტეტი დაამტკიცებს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის სტრატეგიას და ზედამხედველობას გაუწევს მის დანერგვას. ასევე, განსაზღვრულია რისკის კომიტეტისთვის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების შესახებ რეგულარული ანგარიშების მიწოდება.
- უფროსი აღმასრულებელი მენეჯმენტის დონეზე შეიქმნება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს სტრატეგიის განხორციელებასა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების სპეციალური ჯგუფის მოთხოვნების დასაწერად საჭირო სამოქმედო გეგმის დამტკიცებაზე.
- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრატეგიის განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი პასუხისმგებლობის სხვადასხვა ორგანიზაციული მიმართულებები: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის ჯგუფი, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების კოორდინატორი და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის კომპეტენციის ცენტრი.

### სტრატეგია:

ჩვენი დადებითი პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გასაზრდელად, ჯგუფს მიზნად აქვს დასახული, რომ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის, განსაკუთრებით კი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირება მოახდინოს მის ძირითად საქმიანობაში, მომსახურებებსა და პროდუქტებში.

2021 წელს ჯგუფის მიზანია:

- დანერგოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ საშუალო ჯგუფის რეკომენდაციები;
- აიმაღლოს ცოდნის დონე ბიზნესის საქმიანობაზე, გარემოსა და საზოგადოებაზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შესახებ;
- განიხილოს კლიმატის ცვლილებების ზეგავლენის შემცირებისა და ადაპტაციის მექანიზმები მისი საქმიანობის ქვეყნებში;
- შეიმუშავოს პროდუქტები, მომსახურება და მიდგომები, რომლებიც ითვალისწინებენ მის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის მიზნებს, მაგ. მწვანე სესხები;
- შექმნას გრძელვადიანი, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული სოციალური პროექტების ჩარჩო.

### რისკების მართვა

ჯგუფის არსებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის ჩარჩო კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების აქტიური მართვის საშუალებას იძლევა. გთხოვთ, გაეცნოთ მოსალოდნელი რისკების ნაწილს 97-99 გვერდზე.

ამასთან, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების საშუალო ჯგუფის ჩარჩოს ფარგლებში განხორციელებული დამატებითი ანალიზები საშუალებას მოგვცემს, უკეთ გავეცნოთ კლიმატის ცვლილებებით გამოწვეულ რისკებსა და სხვადასხვა ეკონომიკური სფეროსთვის დამახასიათებელ მოვლენებს, რაც, საჭიროების შემთხვევაში, ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის სისტემის შემდგომ განვითარებას.

**მაჩვენებლები და მიზნები:**

2021 წელს ჭგუფი მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ყოველწლიური ფინანსური ანგარიშების, პრაქტიკისა და ტექნიკის გაუმჯობესებას. ჭგუფში მონაცემთა გაუმჯობესებული ანალიტიკა ხელს შეუწყობს ორგანიზაციაში კლიმატის ცვლილების პოტენციური შედეგების უკეთესად შეფასებას.

2021 წელს ჭგუფის საქმიანობის მთავარი მიმართულებებია:

- > კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მატერიალური საკითხების იდენტიფიცირება;
- > მონაცემთა ანალიტიკის შემუშავება;
- > დამატებითი ანალიტიკური კომპონენტების ინტეგრირება ყოველწლიურ საქმიანობაში;
- > არსებული მაჩვენებლების გაფართოება და მიზნების განსაზღვრა; და
- > არაფინანსური შედეგების გასაზომი მაჩვენებლების შემუშავება.

# ძირითადი არსებული და მოსალოდნელი რისკები

კოვიდ-19-ის პანდემიამ გააძლიერა რისკის მართვის კრიტიკული მნიშვნელობა ჯგუფის სტრატეგიისთვის. კოვიდ-19-ის ერაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალი რისკების და გაურკვევლობების დადგენას, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ ჯგუფის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებზე. ამ ნაწილში გაანალიზებულია ის ძირითადი არსებული და ახალი რისკები და გაურკვევლობები, რომელთა წინაშეც დგას ჯგუფი. არ არის გამოორიცხული რომ ჯგუფის მუშაობის შედეგებზე შესაძლოა გავლენა იქონიონ ჯერ კიდევ უცნობმა რისკებმა და გაურკვევლობებმა, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი ქვემოთ. რისკების მართვის პრაქტიკის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია გვერდებზე 100-120.

სამეთვალყურეო საბჭოს ჩამოყალიბებული აქვს ძირითადი და მოსალოდნელი რისკების შეფასების მოქნილი მექანიზმი, რომელიც თიბისი ბანკის გრძელვადიანი საქმიანობის შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს ბანკის შესაძლებლობას, განაგრძოს ოპერირება და შეასრულოს დასახული მიზნები. განხილვისა და ანალიზის საფუძველზე, სამეთვალყურეო საბჭომ დაადასტურა, რომ მათ აქვთ ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობის გონივრული მოლოდინი მომდევნო სამი წლის განმავლობაში, 2024 წლის 1 იანვრამდე, და რომ ჯგუფი შეძლებს ოპერირების გაგრძელებას და თავისი ვალდებულებების შესრულებას სამი წლის განმავლობაში, 2021 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე.

## ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

### 1. საკრედიტო რისკი არის ჯგუფის ბიზნეს-საქმიანობის განუყოფელი ნაწილი

როგორც საბანკო მომსახურების მიმწოდებლისთვის, საკრედიტო რისკი ყველაზე მატერიალური რისკია ჯგუფისთვის, რაც დაკავშირებულია მომხმარებლის ან მესამე პირის (კონტრაქტის) მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაუხდელობასთან შეთანხმებულ ვადებში, და ამის შედეგად გამოწვეულ ზარალთან.

#### რისკის აღწერა

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფისთვის ყველაზე მატერიალურ რისკს, ვინაიდან ჯგუფი ჩართულია ტრადიციულ საკრედიტო საქმიანობაში. ჯგუფის მომხმარებლები არიან როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირები.

საქართველოს ფინანსური სექტორის მაღალი დოლარიზაციის დონიდან გამომდინარე საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სავალუტო რისკი, რომელიც დაკავშირებულია არაჰეჯირებულ მსესხებლებზე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების გაცემასთან ჯგუფის პორტფელში. საკრედიტო რისკი ასევე მოიცავს კონცენტრაციის რისკს, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუარესებასთან დაკავშირებულ რისკს, რაც შეიძლება წარმოიშვას ერთ მსესხებელზე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მსესხებლების ჯგუფებზე დიდი მოცულობის პორტფელის შექმნით ან პორტფელის კონცენტრაციით გარკვეულ დარგებში. ზარალი შესაძლოა კიდევ უფრო გაიზარდოს არახელსაყრელი მაკროეკონომიკური პირობების გამო. ეს რისკები უფრო დეტალურადაა აღწერილი როგორც ცალკე ძირითადი რისკები.

კოვიდ-19-მა გაზარდა გაურკვევლობა და გამოიწვია მნიშვნელოვანი ეკონომიკური ვარდნა ბევრ სექტორში, კერძოდ სასტუმროების და დასვენების, უძრავი ქონების მართვის და განვითარების სექტორებში. ასეთი ეკონომიკური ვარდნა მოიცავს მსესხებლების ფინანსური მდგომარეობის გაუარესების რისკსა და საკრედიტო რისკს გაზრდას ჯგუფისთვის.



## რისკის მიტიგაცია

საკრედიტო რისკების ეფექტურად მართვის მიზნით, ბანკი იყენებს საკრედიტო რისკების შეფასების სრულყოფილ ჩარჩოს, რომელშიც მკაფიოდაა ერთმანეთისგან გამიჯნული საკრედიტო ანალიზისა და კრედიტის დამტკიცების პროცესში მონაწილე მხარეთა მოვალეობები. საკრედიტო შეფასების პროცესი განსხვავდება სეგმენტების მიხედვით, ამასთანავე დიფერენციაცია ხდება პროდუქტის სახეობათა მიხედვითაც, აქტივთა კლასების განსხვავებული მახასიათებლების გათვალისწინების მიზნით. კორპორაციული, მცირე და საშუალო ბიზნესის, მსხვილი საცალო და მიკრო სესხების შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, მაშინ როცა გადაწყვეტილების მიღების პროცესი მცირე საცალო და მიკრო სესხების შემთხვევაში მეტწილად ავტომატიზირებულია. ინდივიდუალური და ავტომატიზირებული დაკრედიტების წესები განსაზღვრულია რისკების განყოფილებების მიერ, რომლებიც დამოუკიდებელი არიან სესხის გამცემი და ბიზნეს განვითარების ერთეულებისგან კორპორატიული და საშუალო ბიზნესების მსესხებლების შემთხვევაში, სესხის განხილვის პროცესი ხორციელდება კონკრეტული სექტორული ჯგუფების მიერ, რომელიც აერთიანებს შესაბამისი სექტორული განვითარების შესახებ ღრმა ცოდნას.

ჯგუფი იყენებს მონიტორინგის გამართულ სისტემას, რათა სწრაფად მოახდინოს რეაგირება მაკრო და მიკრო მოვლენებზე. მონიტორინგის სისტემა ასევე საშუალებას იძლევა მოხდეს საკრედიტო პორტფელში სისუსტეების იდენტიფიკაცია, რის შემდეგაც ხდება ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება რისკის მართვის კუთხით. მონიტორინგის პროცესი მორგებულია ცალკეულ სეგმენტებზე და მოიცავს ინდივიდუალური სესხების მონიტორინგს, პორტფელის საერთო მონიტორინგსა და გარე ტენდენციების ანალიზს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე. ამასთან, ჯგუფი იყენებს პორტფელის მონიტორინგის კომპლექსურ სისტემას იმისათვის რომ დაიდენტიფიციროს შესუსტებული მახასიათებლების მქონე კრედიტები და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები. ჯგუფის საკრედიტო პორტფელი სტრუქტურულად დივერსიფიცირებულია მომხმარებელთა ტიპების, პროდუქტის ტიპებისა და სეგმენტების მიხედვით, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს საკრედიტო რისკი ჯგუფის დონეზე. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საცალო სეგმენტი შეადგენდა მთლიანი პორტფელის 39.2%-ს, რომელიც დაყოფილია იპოთეკურ და არაიპოთეკურ სესხებად, შესაბამისად 66.2% და 33.8%. 2020 წლის ბოლოს ბიზნეს პორტფელში არცერთი სექტორი არ აღემატება მთლიანი პორტფელის 9.6%-ს.

სესხის უზრუნველყოფა წარმოადგენს ჯგუფისთვის საკრედიტო რისკის ყველაზე მნიშვნელოვან მიტიგაციის საშუალებას. ამიტომ უზრუნველყოფაში არსებული ქონების ეფექტური მართვა საკრედიტო რისკების მართვის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. ჯგუფის მიერ გაცემული სესხების უზრუნველყოფა შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შეიზღუდებოდეს შემდეგით: უძრავი ქონება, ფულადი დეპოზიტები, სატრანსპორტო საშუალებები, მონეობილობა-დანადგარები, ინვენტარი, ძვირფასი ლითონები, ფასიანი ქაღალდები და მესამე პირის გარანტიები.

ჯგუფის პორტფელის ყველა სეგმენტი უმეტესწილად უზრუნველყოფილია, ხოლო უზრუნველყოფის საშუალებებში მნიშვნელოვან წილს წარმოადგენს უძრავი ქონება. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის პორტფელის 76.5% უზრუნველყოფილი იყო ნაღდი ფულით, უძრავი ქონებით, ან ოქროთი. უზრუნველყოფის მართვის გამართული სისტემა იძლევა იმის გარანტიას, რომ უზრუნველყოფის ობიექტი წარმოადგენდეს საკრედიტო რისკის მიტიგაციის ადეკვატურ საშუალებას. კოვიდ-19 პანდემიის შედეგად, ჯგუფმა დაადგინა მაღალი მოწყვლადობის კლიენტები და განსაზღვრა გადახდის გადავადების, რეფინანსირების ან რესტრუქტურისაციის სტრატეგია ყველა სეგმენტში. კოვიდ-19 პანდემიის დაწყებიდან ბანკმა ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა გადაუვადა იმ ფიზიკურ პირებისა და MSME კლიენტებს, ასევე კორპორატიული მსესხებლებს, რომლებზეც უარყოფითი გავლენა მოახდინა ლოქდაუნებმა. სტრატეგიის შესაბამისად ზოგიერთ კლიენტს მიეცა გადავადების უფლება როგორც ძირ თანხაზე, ასევე პროცენტზე, ხოლო ზოგიერთ კლიენტს გადახდის გადავადების უფლება მიეცა მხოლოდ პროცენტზე, ხოლო სხვა კლიენტებს გადაუვადდათ გადახდა როგორც ძირ თანხაზე, ასევე პროცენტზე. მთავრობამ გააფართოვა სპეციალური მხარდაჭერის პროგრამა დაზარალებული სექტორებისთვის - რესტორნებმა და მცირე და საშუალო ზომის სასტუმროებმა მიიღეს სუბსიდიები პროცენტის გადახდებზე 70-80% ოდენობით. დამატებითი ინფორმაცია სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების შესახებ იხილეთ ჩვენი მომხმარებლების ნაწილში გვერდებზე 60-63.

დამატებით, ბანკი აქტიურად ახორციელებს სტრეს-ტესტებს და სცენარულ ანალიზს მსესხებლების მდგრადობის შესამოწმებლად სხვადასხვა სტრესულ პირობებში. სტრეს ტესტები მოიცავს

დაშვებებს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების, მშპ-ს ზრდის, სექტორული ზრდის, უმუშევრობის, ინფლაციის, უძრავი ქონების და საქონლის ფასების ცვლილებების, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების და საკრედიტო და სადეპოზიტო პორტფელების ზრდის შესახებ. თიბისი ბანკი ახორციელებს ინტენსიურ ფინანსურ მონიტორინგს მსესხებლის შესუსტებული ფინანსური და ბიზნეს პერსპექტივების დასადგენად მათთვის რესტრუქტურისაციის გეგმის შეთავაზების მიზნით, რომელიც მორგებულია მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

ბანკმა გადახედა კრედიტის ანდერრაიტინგის სტანდარტებს ყველა სეგმენტში კოვიდ-19 პანდემიის გათვალისწინებით და გაამკაცრა ისინი შესაბამის შემთხვევებში. სტანდარტების გადახედვა და გამკაცრება, სხვა ზომებს შორის, მოიცავდა: ცვლილებებს მონყვლადი სექტორებიდან მსესხებლებისთვის სესხის დამტკიცების უფლების დელეგირებაში, დაზარალებულ სექტორებში დასაქმებული ინდივიდუალური მსესხებლების შემოსავლების დისკონტირებას და მაკროეკონომიკური სექტორული მოლოდინების ინტეგრაციას შეფასების პროცესში ბიზნეს მსესხებლებისთვის.

**2. ჯგუფის წინაშე დგას სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკი, რადგან ჯგუფის პორტფელში სესხების დიდი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში**

ლარის გაუფასურება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკია, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე, ჯგუფის ბალანსზე არსებული უცხოური ვალუტის მაღალი წილის გამო. კურსის ცვლილების გამო, არაჰეჯირებულ მსესხებლებს შესაძლოა გაეზარდოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები.

**რისკის აღწერა**

ჯგუფის სასესხო პორტფელის მნიშვნელოვანი წილი (და მთლიანად საქართველოში საბანკო სექტორის სესხების დიდი წილი) დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, უმეტესად აშშ დოლარში და ევროში. 2020 წლის 31 დეკემბერს ჯგუფის მთლიანი სესხების და კლიენტებზე გაცემული ავანსების (სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვების დაკლებამდე) 59.4% დენომინირებული იყო უცხოურ ვალუტაში.

მომხმარებელთა დიდი ნაწილის შემოსავალი წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში, საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების ან ბიზნეს მსესხებლების შემთხვევაში, ექსპორტის გამო. მიუხედავად ამისა, მომხმარებლები შეიძლება არ იყვნენ დაცულნი ლარის გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი მერყეობისგან სესხის ვალუტის მიმართ. 2020 წლის განმავლობაში აშშ USD/GEL სავალუტო კურსი არასტაბილური იყო, და წინა წელთან შედარებით ვალუტის საშუალო გაცვლითი კურსი გაუფასურდა 10.3%-ით. საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი. მსგავსი რეჟიმის არსებობის პირობებში გაცვლითი კურსი შიდა და გარე ფაქტორების გავლენით ხასიათდება მერყეობით და იწვევს მის გაუფასურებას.

**რისკის მიტიგაცია**

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გაცვლითი კურსით გამოწვეულ საკრედიტო რისკს იმის გამო, რომ პორტფელის სესხების უმეტესი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. ხშირად ხორციელდება სავალუტო კურსის გაუფასურების მონიტორინგი, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხერხდეს სამოქმედო გეგმის სწრაფი განხორციელება. სავალუტო კურსის გარკვეული გაუფასურების მიმართ მდგრადობა გათვალისწინებულია დაკრედიტების სტანდარტებშიც, რაც გულისხმობს ვალუტის გაუფასურების რისკის ბუფერის გათვალისწინებას არაჰეჯირებული მომხმარებლებისათვის. ამასთან, ჯგუფი მნიშვნელოვან კაპიტალს ფლობს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკისგან დასაცავად.

ვალუტის ბოლოდროინდელი მერყეობის შედეგად მიღებული გამოცდილებისა და ცოდნის გათვალისწინებით ჯგუფს აქვს უნარი, რომ დროულად განახორციელოს წარმოქმნილი სავალუტო კურსის გაუფასურების რისკის მიტიგაცია.

2019 წლის იანვარში სახელმწიფო უწყებებმა განაგრძეს აქტიური მუშაობა, უცხოურ ვალუტაზე ეკონომიკის დამოკიდებულების შესამცირებლად და გაზარდეს ზედა ზღვარი 200,000 ლარამდე, რომლის ფარგლებშიც სესხები უნდა გაიცეს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმა პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ინიციატივის ფარგლებში, რომელიც

1 World Bank, Global Economic Prospects, January 2021

ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, დაანესა უფრო კონსერვატიული PTI და LTV ზღვრები არაჰეჯირებული საცალო მსესხებლებისთვის, რამაც დამატებით შეზღუდა გაცვლითი კურსით გამოწვეული საკრედიტო რისკი მათ მიმართ. სებ-მა გაამართივა ზემოხსენებული რეგულაცია 2020 წლის აპრილიდან ჰეჯირებული მსესხებლებისთვის. თუმცა არაჰეჯირებული მსესხებლების PTI და LTV ზღვრები რჩება უფრო კონსერვატიული..

**3. ჯგუფის საქმიანობის შედეგებს შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ეკონომიკურ გარემოში განვითარებულმა უარყოფითმა მოვლენებმა, რომელიც კონკრეტულად გამოწვეულია კოვიდ-19-ით.**

საქართველოში ეკონომიკური ზრდის შენელებამ და ეკონომიკის დაგვიანებულმა აღდგენამ კოვიდ-19 ვირუსის გავრცელების მოსალოდნელებზე დიდ ხანს გაგრძელების, ან სხვა შოკების წარმოქმნის გამო, შესაძლოა, დამატებით უარყოფითად იმოქმედოს მსესხებლების გადახდისუნარიანობაზე, რაც შეზღუდავს მათ მომავალ საინვესტიციო და გაფართოების გეგმებს. ეს მოვლენები აისახება ჯგუფის პორტფელის ხარისხსა და მომგებიანობაზე, რაც ასევე აფერხებს პორტფელის ზრდის ტემპს. უარყოფითმა მაკროეკონომიკურმა მოვლენებმა შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს ჯგუფის მუშაობის შედეგები, რაც განპირობებული იქნება სხვადასხვა პარამეტრებით, როგორცაა ვალუტის გაუფასურება, საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა, უმუშევრობის დონის ზრდა, შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავლის შემცირება, ქონების ღირებულებების შემცირება, სესხების უზრუნველყოფის დონის, ან კომპანიების გადახდისუნარიანობის გაუარესება გაყიდვების შემცირების გამო. მეზობელ და ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში პოტენციურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიმდინარე ანგარიშის გაუარესებით (მაგ.: შემცირებული ექსპორტი, შემოდინება ტურიზმის სექტორიდან, ფულადი გზავნილები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები)

**რისკის აღწერა**

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის ბიუროს („საქსტატი“) პირველადი შეფასებით, 2020 წელს რეალური მშპ 6.1%-ით შემცირდა. პერსპექტივაში, საბაზისო სცენარში, ხანგრძლივი ლოქდაუნის ზემოქმედების, ასევე საქსტატის მიერ, მე-2 კვარტლის და მე-3 კვარტლების მშპ ინდიკატორების შემცირების კუთხით გადახედვის გათვალისწინებით, თიბისი კაპიტალის გამოთვლების საფუძველზე, ეკონომიკა აღდგება 4.2%-ით 2021 წელს. მსოფლიო ბანკის ბოლო პროგნოზების შესაბამისად<sup>1</sup>, საქართველოს ეკონომიკა გაიზრდება 4.0%-ით 2021 წელს, ზრდა აჩქარდება და მიაღწევს 6.0%-ს 2022 წელს.

კოვიდ 19-ის პანდემიის უარყოფითი ზემოქმედება ასევე ცხადი იყო ლარის გაცვლით კურსზე. 2020 წლის განმავლობაში ლარის გაცვლითი კურსი გაუფასურდა 7.4%-ით. აშშ დოლარი გამყარდა ლართან მიმართებით 2.87-დან 3.28-მდე, ანუ 14.3%-ით.

2020 წლის ბოლოს, შესუსტებული ლარის მიუხედავად, სამომხმარებლო ფასები გაიზარდა მხოლოდ 2.4%-ით, რაც უმთავრესად აიხსნება სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამით კომუნალური მომსახურებებისთვის. 2020 წლის განმავლობაში სებ-მა შეამცირა რეფინანსირების განაკვეთი 9%-დან 8%-მდე. შერბილებული ინფლაციის, ტურისტული ნაკადების აღდგენისა და გაცვლით კურსზე ნაკლები ზეწოლის გათვალისწინებით, სავარაუდოა განაკვეთის დამატებითი თანდათანობითი შემცირება.

საპროცენტო განაკვეთის პოლიტიკის ინსტრუმენტის გამოყენებასთან ერთად, 2020 წელს სებ-მა ასევე მოახდინა ძლიერი ინტერვენციები სავალუტო ბაზარზე. მთლიანობაში ცენტრალურმა ბანკმა გაყიდა 873.2 მილიონი აშშ დოლარი. ინტერვენციები ძირითადად დაფინანსდა საგარეო სახელმწიფო სესხებით. შედეგად, 2020 წელს საბიუჯეტო დეფიციტი, რომელიც ძირითადად გარედან დაფინანსდა და დაახლოებით მშპ-ს 9.1% შეადგინა, გაუარესებული მიმდინარე ანგარიშის დაფინანსების ძირითადი წყარო იყო. საბიუჯეტო დეფიციტმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი როგორც საერთო ზრდას, ასევე იმ ბიზნესებსა და შინამეურნეობებს, რომლებზეც უარყოფითი გავლენა მოახდინა პანდემიამ. საბიუჯეტო გეგმის შესაბამისად, საბიუჯეტო დეფიციტი სავარაუდოდ კვლავ მოცულობითი იქნება 2021 წელს და მშპ-ს 7.6%-ს შეადგენს.

ბანკის საკრედიტო პორტფელის ზრდამ ფიქსირებული გაცვლითი კურსით 9.1% შეადგინა 2020 წელს, რაც შემცირებული მონაცემია წინა წლის 16.1%-თან შედარებით.

### რისკის მიტიგაცია

ეკონომიკური ციკლებისა და ფაქტორების მიმართ მგრძობელობის შესამცირებლად, ჯგუფი უზრუნველყოფს ციკლური ინდუსტრიების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს სექტორული კონცენტრაციის ლიმიტებს რისკის აპეტიტის ჩარჩოში. ჯგუფში შექმნილია მაკროეკონომიკური მონიტორინგის პროცესი, რომელიც ეფუძნება საქართველოში და ასევე მის მეზობელ ქვეყნებში განვითარებულ ეკონომიკურ მოვლენებზე გულდასმით და მრავალჯერად დაკვირვებებს, რათა დროულად მოხდეს ეკონომიკური რისკების ადრეული გამაფრთხილებელი სიგნალების იდენტიფიცირება. ეს პროცესი საშუალებას აძლევს ჯგუფს, სწრაფად შეაფასოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები და გააანალიზოს მათი გავლენა ჯგუფის მუშაობის შედეგებზე. იდენტიფიცირებული რისკები შესაბამისად აისახება კონკრეტულ სამოქმედო გეგმებში. ეს გულისხმობს სესხის გაცემის სტანდარტების და რისკ-აპეტიტის მაჩვენებლების ან შეზღუდვების გადახედვას, რაც ასევე მოიცავს ყველაზე სენსიტიურ ინდუსტრიებში არსებულ შეზღუდვებს. ამასთან, დაკრედიტების განხილვისა და პორტფელის მონიტორინგის პროცესებში გამოყენებული სტრეს-ტესტები და სცენარული ანალიზი საშუალებას აძლევს ჯგუფს წინასწარ შეაფასოს მაკროეკონომიკური მოკვების გავლენა მის ბიზნესზე. მდგრადობა ცვალებადი მაკროეკონომიკური გარემოს მიმართ გათვალისწინებულია ჯგუფის დაკრედიტების სტანდარტებში. ამგვარად მოსალოდნელია, რომ მსესხებლები გაუძლებენ გარკვეულ უარყოფით ეკონომიკურ გავლენას გონივრული ფინანსური მდგომარეობის, სესხის მომსახურების შესაძლებლობებისა და სათანადო უზრუნველყოფით

კოვიდ-19-ის კრიზისის საქართველოს ეკონომიკაზე ზემოქმედების გათვალისწინებით, ჯგუფმა გადახედა მისი რისკების მართვის ჩარჩოს, უკვე არსებული სტრეს-ტესტირების პრაქტიკის გამოყენებით. ეს მოიცავდა როგორც პორტფელის უფრო სრულ და ხშირ მონიტორინგს, ასევე სტრეს-ტესტებს, კაპიტალში ცვლილების, ლიკვიდურობისა, და პორტფელის ხარისხი მკაცრ კონტროლს გაზრდილი გაურკვევლობის პირობებში.

**4. ჯგუფი დგას კაპიტალის რისკის წინაშე, რაც გულისხმობს მინიმალური მარეგულირებელი მოთხოვნების ვერ დაკმაყოფილებას კაპიტალის მზარდი მოთხოვნების პირობებში, რამაც შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს ზრდა და სტრატეგიული მიზნების მიღწევა. დამატებით, უარყოფითმა ცვლილებებმა გაცვლით კურსებში შესაძლოა გავლენა მოახდინოს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტზე.**

### რისკის აღწერა

2017 წლის დეკემბერში ეროვნულმა ბანკმა შემოიღო კაპიტალის ადეკვატურობის ახალი ჩარჩო. განახლებული რეგულაციის თანახმად კაპიტალის მოთხოვნა მოიცავს „პილარ 1“-ის მინიმალურ მოთხოვნას, კომბინირებულ ბუფერებს (სისტემური, კონტრციკლური და კონსერვაციის ბუფერები) და „პილარ-2“-ის ბუფერებს.

რეგულაცია მოიცავს ეტაპობრივ დანერგვას და ბუფერების თანდათანობით შემოღებას ოთხი წლიან პერიოდში. თუმცა კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად, ეროვნულმა ბანკმა განახორციელა გარკვეული კონტრციკლური ღონისძიებები, კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით:

- 2020 წლის მარტში დაგეგმილი პირველადი კაპიტალის მოთხოვნების ზრდის (საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკისა და წმინდა GRAPE ბუფერებისთვის) დროებით გადავადება;
- კაპიტალის კონსერვაციის ბუფერისა და არაჰეჯირებული საკრედიტო რისკის ბუფერის 2/3 გაუქმებას;
- ასევე ბანკებს მიეცათ შესაძლებლობა, რომ საჭიროების შემთხვევაში გამოთავისუფლდეს „პილარ 2“-ის ყველა ბუფერი (არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის დარჩენილი 1/3, კონცენტრაციის რისკის ბუფერი და წმინდა GRAPE ბუფერი).

აღნიშნული ზომების შემოღებიდან ბანკმა გამოიყენა როგორც კონსერვაციის, ასევე 2/3 CICR ბუფერი და შეზღუდულია კაპიტალის განაწილებაში.

აღნიშნული ზომების შედეგად ბანკის მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები, 2019 წელთან შედარებით, შემცირდა:

- 3.0pp-ით - ძირითადი პირველადი კაპიტალისთვის; ;

- > 3.3pp-ით - პირველადი კაპიტალისთვის და
- > 3.8pp-ით მთლიანი საზედამხედველო კაპიტალისთვის.

ბოლო დაგეგმილი ზრდა იყო:

- > 0.86 pp - ძირითადი პირველადი კაპიტალისთვის;
- > 1.02 pp - პირველადი კაპიტალისთვის და
- > 0.37pp - მთლიანი საზედამხედველო კაპიტალისთვის.

2020 წლის დეკემბერში სისტემური ბუფერი გაიზარდა 1.5%-დან 2%-მდე, როგორც მანამდე იყო დაგეგმილი. ბანკის კაპიტალიზაცია 2020 წლის დეკემბრისთვის შეადგენდა:

- > 10.4% - ძირითადი პირველადი კაპიტალი შესწორებული მარეგულირებლის მინიმალური მოთხოვნით, 7.4%;
- > 13.0% - პირველადი კაპიტალი შესწორებული მარეგულირებლის მინიმალური მოთხოვნით, 9.2%; და
- > 17.1% - მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი შესწორებული მარეგულირებლის მინიმალური მოთხოვნით, 13.7%.

კოეფიციენტები მნიშვნელოვნად აღემატებოდა შესაბამის მარეგულირებელ მინიმუმებს.

Basel III ფარგლებში სებ-მა შეადგინა ახალი განრიგი კაპიტალის მოთხოვნების თანდათანობით შემოღების შესახებ ახალი განრიგის შესაბამისად, კონცენტრაციის რისკისა და წმინდა GRAPE ბუფერები ეტაპობრივად გაგრძელდება 2021 წლის მარტიდან და სრულად იქნება შემოღებული 2023 წლის მარტისთვის. სისტემური ბუფერი მოსალოდნელია, რომ გაიზარდება 0.5pp-ით 2.5%-ზე 2021 წლის ბოლოს. სებ-ის ოფიციალური განცხადების საფუძველზე, გადაწყვეტილება კონსერვაციის ბუფერების და CICR-ის აღდგენასთან დაკავშირებით გადავადდა მომდევნო ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის სხდომაზე, რომელიც ჩატარდება 2021 წლის ივნისში. ბუფერების აღდგენის გამოცხადების შემდეგ, ბანკს მიეცემა ერთი დაორიწელი CICR და კონსერვაციის ბუფერის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებისთვის. თუმცა თუ ბანკს სურს გასცეს დივიდენდები, მან სრულად უნდა აღადგინოს და შეასრულოს ბუფერები.

კოვიდ-19 პანდემიის უარყოფითი ზემოქმედების მიუხედავად, ლარის ცვალებადობა რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან რისკად, რომელიც გავლენას ახდენს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობაზე. 10% ლარის გაუფასურება განაპირობებს 0.8pp, 0.7pp და 0.6 pp კლებას ბანკის ძირითადი პირველადი, პირველადი და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებში.

**რისკის მითიგაცია**

ჯგუფი ახორციელებს სტრეს-ტესტებსა და სენსიტიურობის ანალიზს, რათა მოახდინოს დამატებითი კაპიტალის მოხმარების რაოდენობის განსაზღვრა სხვადასხვა სცენარების შემთხვევაში. ასეთი ანალიზი მიუთითებს, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი კაპიტალი მარეგულირებლის მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ბანკის დირექტორთა საბჭოსა და რისკების კომიტეტის ჩართულობით, აქტიურად ხორციელდება კაპიტალის პროგნოზების, ასევე სტრეს-ტესტირების და სხვადასხვა შესაძლო სცენარების შედეგების მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას გონივრული მართვა და, საჭიროების შემთხვევაში, დროული ღონისძიებების გატარება.

სებ-თან მჭიდრო თანამშრომლობით, ბანკმა შექმნა დამატებითი სესხის ზარალის რეზერვი, კოვიდ-19 პანდემიის პოტენციური ზემოქმედების დასაფარად საქართველოს ეკონომიკაზე. 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით ბანკმა შექმნა დამატებითი რეზერვები ადგილობრივი სტანდარტების შესაბამისად, საკრედიტო პორტფელის დაახლოებით 3.1% ოდენობით.

**5. ჯგუფს აქვს საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობისა და აღსრულების რისკი**

ბანკის საქმიანობა აქტიურად რეგულირდება და, შესაბამისად, ექვემდებარება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკებს. საქართველოს ეროვნულ ბანკს, შეუძლია პრუდენციული მოთხოვნები გაუზარდოს როგორც მთელ სექტორს, ასევე კონკრეტულ ინსტიტუტებს ამ სექტორში. აქედან გამომდინარე, ჯგუფის მომგებიანობას და მუშაობის შედეგებს შესაძლოა საფრთხე შეუქმნას გაზრდილმა მოთხოვნებმა, მათ შორის საზედამხედველო კაპიტალის შედარებით მაღალმა მოთხოვნამ.

### რისკის აღწერა

ეროვნული ბანკი სავალდებულო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან ერთად ადგენს დაკრედიტების ლიმიტებსა და სხვა ეკონომიკურ კოეფიციენტებს (მათ შორის, დაკრედიტების, ლიკვიდურობისა და საინვესტიციო კოეფიციენტების).

საქართველოს საბანკო რეგულაციების თანახმად, ბანკი ვალდებულია, აკმაყოფილებდეს მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებსა და სავალდებულო ფინანსურ კოეფიციენტებს და რეგულარულად წარმოადგენდეს პერიოდულ ანგარიშებს. ბანკი ასევე რეგულირდება შესაბამისი საგადასახადო კოდექსით ან საქართველოში მოქმედი სხვა შესაბამისი კანონებით.

ჯგუფი იღებს ყველა საჭირო ზომას სრული შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის ყველა შესაბამის კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან. ჯგუფი ასევე ვალდებულია დააკმაყოფილოს ფინანსური კოეფიციენტები აღებული ვალდებულებების ხელშეკრულებების მიხედვით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „ჯგუფის აუდირებულ ფინანსური ანგარიშგებათა“ გვერდზე 301.

### რისკის მიტიგაცია

საკანონმდებლო მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ბანკს შექმნილი აქვს შესაბამისი მართვის სისტემები და პროცესები, რომლებიც გათვალისწინებულია ჯგუფის ოპერაციების ყველა დონეზე. შესაბამისობის რისკის მართვის განყოფილება პასუხისმგებელია საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკის მართვაზე და ანგარიშვალდებულია უშუალოდ აღმასრულებელ დირექტორთან. ჯგუფის „რისკების, ეთიკისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის კომიტეტი“ პასუხისმგებელია რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე. საბანკო რეგულაციებისა და საქართველოს საგადასახადო სისტემის თვალსაზრისით, ჯგუფი მჭიდროდ თანამშრომლობს მარეგულირებელ ორგანოსთან რათა უზრუნველყოს ახალი პროცედურებისა და მოთხოვნების დეტალურად განხილვა მათ განხორციელებამდე. ფართო დიალოგი გაიმართა მარეგულირებელთან ასევე პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ახალ რეგულაციასთან დაკავშირებით. პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ახალი რეგულაციის პარალელურად, მთავრობამ წამოაყენა ინიციატივები, რათა უზრუნველყოს უწყვეტი დაფინანსების ფართო ხელმისაწვდომობა. აღნიშნული მოიცავს საგადასახადო კოდექსის გამარტივებას შემოსავლების რეგისტრაციის განაკვეთის სტიმულირების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ მარეგულირებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ჯგუფის კონტროლის ფარგლებს სცდება, მნიშვნელოვან მარეგულირებელ ცვლილებებს ხშირად წინ უსწრებს საკონსულტაციო პერიოდი, რაც საშუალებას აძლევს ყველა ფინანსურ ინსტიტუტს, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება და, შესაბამისად, თავისი ბიზნესპრაქტიკა მოარგოს ცვლილებებს.

### 6. ჯგუფს აქვს კონცენტრაციის რისკი

როგორც წესი, განვითარებად ბაზარზე მოქმედი ბანკების წინაშე თავს იჩენს კონცენტრაციის რისკები როგორც ცალკეულ მომხმარებლებზე, ისე სექტორებზე. ჯგუფს აქვს მაღალი ინდივიდუალური დავალიანება ცალკეული მსესხებლების მიმართ, რომელთა პოტენციური დეფოლტი გულისხმობს გაზრდილ საკრედიტო დანაკარგებსა და გაუფასურების რეზერვის მაღალ ხარჯს. ჯგუფის პორტფელი არის კარგად დივერსიფიცირებული სექტორების მიხედვით, რაც განაპირობებს სექტორული კონცენტრაციის რისკის ზომიერ ნიშნულს. თუმცა, თუ გაიზრდება ჯამური დავალიანება მთავარ რისკის მატარებლებზე, შესაბამისად გაიზრდება რისკებიც.

### რისკის აღწერა

ჯგუფის საკრედიტო პორტფელი დივერსიფიცირებულია და მაქსიმალური დავალიანება ერთ უმსხვილეს დარგზე (სასტუმროები, რესტორნები და დასვენება) შეადგენს საკრედიტო პორტფელის 9.0%-ს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოცემული მაჩვენებელი გონივრულია და გვიჩვენებს საკრედიტო პორტფელის ადეკვატურ დივერსიფიკაციას. 2020 წლის ბოლოს 20 უმსხვილესი მსესხებლის დავალიანება შეადგენს საკრედიტო პორტფელის 12.1%-ს, რაც შესაბამისობაშია ჯგუფის მიზნებთან კონცენტრაციის რისკის შემსუბუქებასთან დაკავშირებით.

## რისკის მითიგაცია

ჯგუფი განუწყვეტლივ ამოწმებს კონცენტრაციის რისკს როგორც ცალკეული მსესხებლების, ასევე სექტორებისა და ძირითადი რისკის მატარებლების მიმართ და აწესებს ლიმიტებს რისკის შერბილების მიზნით. რისკის აპეტიტის ჩარჩოს ფარგლებში, ჯგუფი აწესებს ლიმიტებს როგორც ინდივიდუალური ისე სექტორული კონცენტრაციებისთვის. საქართველოში ან მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოს ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილებისას ჯგუფის მიერ გადასინჯება რისკის აპეტიტის კრიტერიუმები წარმოქმნილი კონცენტრაციის რისკის შესამცირებლად. ლიმიტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ეფექტური მონიტორინგის საშუალებები. კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული გაურკვევლობების გამო განხორციელდა მკაცრი მონიტორინგი, მაკრო მოლოდინების საფუძველზე ტოპ 20 კორპორატიული მსესხებლის საქმიანობის შეფასების მიზნით.

გარდა ამისა, ჯგუფში გამოყოფილია რესტრუქტურის განყოფილებები გადახდისუნარო მსესხებლების სამართავად. საჭიროების მიხედვით, კლიენტები გადაეცემა რესტრუქტურის განყოფილებებს უფრო ეფექტური მართვისა და საკრედიტო ზარალის შემცირებისთვის. საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ახალი ჩარჩოს მიხედვით, „პილარ-2“-ის ფარგლებში წარმოდგენილია კონცენტრაციის ბუფერი, რაც ბანკს ეხმარება იმის უზრუნველყოფაში, რომ შეინარჩუნოს ადეკვატური კაპიტალის დონე კონცენტრაციის რისკის შერბილებისთვის.

## 7. ლიკვიდურობის რისკი დამახასიათებელია ჯგუფის ოპერაციებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს აზრით, ჯგუფის ვალდებულებების დროულად დასაფარავად ამჟამად ხელმისაწვდომია საკმარისი ფინანსური რესურსი, ლიკვიდობის რისკი საბანკო ოპერაციებისთვის თანდაყოლილია და შეიძლება მრავალმა ფაქტორმა გაზარდოს კიდევ. აღნიშნული ფაქტორები მოიცავს დაფინანსების კონკრეტულ წყაროზე ზედმეტად დაყრდნობას ან მის ხელმიუწვდომლობას, ასევე ცვლილებებს საკრედიტო რეიტინგებში ან ბაზრის მასშტაბით ისეთ ფენომენს, როგორცაა გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელიც 2007 წელს დაიწყო. განვითარებად ბაზრებზე კომპანიებისათვის კრედიტის ხელმისაწვდომობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტორის ნდობის დონე, ამიტომ ფაქტორებს, რომლებიც მასზე ემყარებიან (მაგ., საკრედიტო რეიტინგის შემცირება, ცენტრალური ბანკის ან სახელმწიფოს ჩარევები, ან ვალის რესტრუქტურის შესაბამის დარგში), შეუძლიათ შეცვალონ აღნიშნულ ბაზარზე მოქმედი კომპანიების დაფინანსების ფასი ან ხელმისაწვდომობა.

	31-დეკ-20	31-დეკ-19	31-დეკ-18
მინიმალური წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი, განსაზღვრული სებ-ის მიერ	100%	100%	n/a
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი, განსაზღვრული სებ-ის მიერ	126.0%	126.7%	129.3% <sup>1</sup>
წმინდა სესხების ფარდობა დეპოზიტებზე + IFI დაფინანსება	100.7%	104.3%	89.1%
მინიმალური საერთო ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი, განსაზღვრული სებ-ის მიერ	100.0%	100.0%	100.0%
მინიმალური LCR ლარში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	n/a	75.0%	75.0%
მინიმალური LCR - FC-ში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	100.0%	100.0%	100.0%
სულ ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი, განსაზღვრული სებ-ის მიერ	134.2%	110.1%	113.9%
LCR ლარში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	132.2%	83.7%	102.5%
LCR - FC-ში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	134.9%	128.4%	121.1%

## რისკის აღწერა

ჯგუფი შესაბამისობაში იყო სებ-ის მიერ დადგენილი მინიმალური ლიკვიდურობის მოთხოვნებთან, რომელიც მოიცავს ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტს (LCR) და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტს (NSFR). 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, წმინდა სესხების ფარდობამ დეპოზიტებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დაფინანსების ჯამთან შეადგინა 101.2%, ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტმა 134.2%, ხოლო წმინდასტაბილური დაფინანსების კოეფიციენტმა 126.0%. ყველა მათგანი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს ან შესაბამის სახელმძღვანელო მითითებებს საკმაოდ აღემატება.

## ძირითადი რისკები და გაურკვევლობები გავრცელება

კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად, სებ-მა განახორციელა კონკრეტული კონტრაციკლური ზომები ლიკვიდურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით:

- 2020 წლის აპრილში, სებ-მა გახსნა აშშ დოლარი / ლარი სავალუტო სვოპის ხაზები ულიმიტო ოდენობით;
- სებ-მა გააუქმა ლარში LCR ( $\geq 75\%$ ) 1 წლით; და
- ბიზნეს სესხების დაგირავება სებ-ში შესაძლებელი გახდა ლიკვიდურობის მხარდასაჭერად.

ზემოაღნიშნულის გარდა, სებ-მა გამოაცხადა დამატებითი პოტენციური კონტრაციკლური ზომები, საჭიროების შემთხვევაში, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- LCR ლიმიტების შემცირება;
- სავალდებულო რეზერვის მოთხოვნების შემცირება უცხოურ ვალუტაში; და
- განახლებული კრიტერიუმები ფასიანი ქაღალდების ან რეპო დაგირავებისთვის, ლარში ლიკვიდურობის მხარდასაჭერად.

### რისკის მიტიგაცია

მოცემული რისკის მიტიგაციის მიზნით ჯგუფს უჭირავს მყარი ლიკვიდობის პოზიცია და თანხის გატანის სცენარებს აანალიზებს როგორც ჩვეულებრივი, ისე სტრესული გარემოებებისათვის იმაში დასარწმუნებლად, რომ მას აქვს საკმარისი ლიკვიდური აქტივები და ფულადი ნაკადების შემოდინება. ჯგუფი ინარჩუნებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ სტრუქტურას შესაბამისი ლიკვიდობის რისკის სამართავად. სამეთვალყურეო საბჭოს ხედვით, ლიკვიდობა საკმარისია იმისათვის, რომ გაუძლოს მომხმარებლების მიერ დეპოზიტების გატანას, თუმცა დეპოზიტების არსებითი თანხების მოულოდნელმა და სწრაფად გატანამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და/ ან პერსპექტივაზე.

ჯგუფს ლიკვიდობის მართვის ჩარჩოს ფარგლებში აქვს ალტერნატიული ლიკვიდობის გეგმა, რომელშიც მოცემულია რისკის მაჩვენებლები სხვადასხვა სტრესული სცენარისათვის და შესაბამისი სამოქმედო გეგმები. „აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი“ (ALCO) ახორციელებს ლიკვიდობის რისკის პოზიციისა და შიდა ლიმიტებთან შესაბამისობის მჭიდრო მონიტორინგს.

კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებით ბანკის ლიკვიდურობის მდგომარეობაზე მთავრობის ლოქდაუნების პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების საწინააღმდეგოდ, 2020 წლის აპრილში ბანკმა მოიზიდა რიგი ახალი სესხები, რომელიც მთლიანობაში შეადგენდა 153.6 მილიონ აშშ დოლარს.

### 8. ჯგუფის წმინდა საპროცენტო შემოსავლის ან წმინდა საპროცენტო მარჟის (NIM) ნებისმიერმა შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს მომგებიანობის შემცირება

წმინდა საპროცენტო შემოსავალი შეადგენს ჯგუფის საერთო შემოსავლების დიდ ნაწილს. შესაბამისად, წმინდა საპროცენტო მარჟის ნებისმიერი მერყეობა გავლენას ახდენს ოპერაციების შედეგებზე. პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტებთან დაკავშირებულმა ახალმა რეგულაციამ, ასევე მაღალმა კონკურენციამ შეიძლება გამოიწვიოს საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რაც რისკის ქვეშ აყენებს ჯგუფის მომგებიანობას. ამავდროულად, დაფინანსების დანახარტებს ჯგუფი მეტწილად დამოუკიდებლად განსაზღვრავს და ემყარება ლოკალურ და საერთაშორისო ბაზრებს.

### რისკის აღწერა

ჯგუფის მთლიანი მოგების უმეტესი ნაწილი მიიღება წმინდა საპროცენტო შემოსავლიდან. აქედან გამომდინარე, წმინდა საპროცენტო მარჟის მერყეობა გავლენას ახდენს ჯგუფის შედეგებზე. 2020 წელს წმინდა საპროცენტო მარჟა შემცირდა წინა წელთან შედარებით 0.8 pp-ით 4.7%-მდე, შემცირება გამოწვეული იყო სესხის შემოსავლების შემცირებით, ლარში დეპოზიტების ხარჯების გაზრდით, ასევე ვალუტის გაუფასურებით კოვიდ-19 პანდემიის გამო.

ბანკი საპროცენტო განაკვეთის რისკს მართავს 2020 წლის სექტემბრიდან სებ-ის IRR რეგულაციის შემოღების შემდეგ. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3,846.1 მილიონი ლარის აქტივები (18%) და 2,788.12 მილიონი ლარის ვალდებულებები (14%) იყო ცვალებადი ლარში, ხოლო 8,045.1 მილიონი ლარის აქტივები (37%) და 1,606.1 მილიონი ლარის ვალდებულებები (8%) იყო ცვალებადი, LIBOR/Euribor/FED/ECB განაკვეთებთან დაკავშირებული ბანკი შესაბამისობაში იყო EVE (კაპიტალის



ეკონომიკური ღირებულება) მგრძობელობის ზღვართან, რომელიც დაადგინა სებ-მა პირველადი კაპიტალის 15%-ით, ხოლო კოეფიციენტი შეადგენდა 3.5%-ს 2020 წლის 31 დეკემბრისთვის.

**რისკის მითიგაცია**

2020 წელს ხარჯების ოპტიმიზაცია იყო მარჯის შემცირების საწინააღმდეგო მთავარი სამითიგაციო საშუალება. თუმცა მოსალოდნელი ძლიერი ზრდა წმინდა საკომისიო შემოსავლებში და სხვა საოპერაციო შემოსავალში, ასევე ხარჯების ეფექტიანი დისციპლინა, იცავს ჯგუფს მარჯისა და მომგებიანობის შემცირებისგან.

აქტივებისა და ვალდებულებების ვადების აცილების შესამცირებლად იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება სესხების ვადის გაგრძელება მცურავი განაკვეთის ნაცვლად ფიქსირებული განაკვეთით, საპროცენტო განაკვეთის რისკი აისახება ფასებზე დანამატებში, რაც საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისგან დაცვის საშუალებაა.

**9. ბოლო წლებში კიბერშეტევებით გამოწვეული საფრთხე გაიზარდა და კიდევ უფრო იმატებს. პოტენციური კიბერშეტევების რისკმა, რომელიც უფრო დახვეწილი გახდა, შეიძლება უსაფრთხოების მნიშვნელოვანი რისკი გამოიწვიოს. მსგავსი რისკები სწრაფად იცვლება და მოითხოვს განუწყვეტელ ყურადღებასა და ინვესტიციას**

**რისკის აღწერა**

ბოლო წლებში ქართულ კომერციულ ბანკებზე რაიმე სერიოზული კიბერშეტევა არ განხორციელებულა. მიუხედავად ამისა, ჯგუფის მზარდი დამოკიდებულება საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებზე ზრდის მის მიმართ პოტენციური კიბერშეტევების რისკს.

**რისკის მითიგაცია**

კიბერ-შეტევებთან დაკავშირებული რისკების შემცირების და კლიენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ჯგუფი მუდმივად ანახლებს და აუმჯობესებს უსაფრთხოების მრავალ შრიან სტრატეგიას, რომელიც ფარავს სხვადასხვა პრევენციულ და დეტექციურ კონტროლის ზომებს, მონაცემებიდან და კომპიუტერული მოწყობლობიდან პერიმეტრის როუტერებამდე.

შეიქმნა უსაფრთხოების საოპერაციო ცენტრი, რომელიც აკონტროლებს ყველა შესაძლო გადახრას, რომელიც დადგენილია ორგანიზაციის ქსელში პოტენციური ინციდენტების გამოვლენის და მათზე ეფექტური რეაგირების მიზნით.

მინიმუმ წელიწადში ერთხელ ტარდება სრული საინფორმაციო უსაფრთხოების და კიბერ უსაფრთხოების საფრთხეების ანალიზი, შესაბამისი რეგიონული და სექტორული პერსპექტივების გათვალისწინებით. მინიმუმ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ამ ანალიზის ფარგლებში ხელშეკრულება ფორმდება დამოუკიდებელ კონსულტანტთან ჩვენი შესაძლებლობების ეფექტურობის შესაფასებლად საუკეთესო პრაქტიკების და რეალური მსოფლიო კიბერ-შეტევების სცენარების გათვალისწინებით. ეს ანალიზი ჯგუფს აძლევს ფართო და დეტალურ ინფორმაციას, რომელიც ეხმარება საინფორმაციო და კიბერ უსაფრთხოების სისტემების შემდგომ გაუმჯობესებაში. გარდა ამისა რეგულარულად ტარდება კიბერ-შეტევებისთვის მზადყოფნის სავარჯიშოები, რომელიც აფასებს ჯგუფის ფაქტობრივ მდგომარეობას მოცემულ სფეროში და წარმოადგენს კრიტერიუმებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებთან შესადარებლად.

ჩვენი თანამშრომლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საინფორმაციო უსაფრთხოებაში. შედეგად ყველა თანამშრომლისთვის ტარდება რეგულარული სავალდებულო ტრენინგ-კურსები, რომელიც მოიცავს: დისტანციურ სასწავლო კურსებს უსაფრთხოების საკითხებზე, თაღლითობის და ფიშინგის მოდელირებებს, ასევე საინფორმაციო ელ-ფოსტებს, ჩვენი თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო უსაფრთხოების საკითხებში. ადაპტაციის პროცესის ფარგლებში ტრენინგი უტარდებათ ასევე ახალ თანამშრომლებს. აღნიშნული ზომები უზრუნველყოფს თანამშრომლების სრული ინფორმირებას მათი პასუხისმგებლობების შესახებ და მათ მომზადებას კიბერ-საფრთხეებთან ეფექტურად გამკლავების კუთხით.

გარდა ამისა, „საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის კომიტეტი“ არეგულირებს საინფორმაციო და კიბერ უსაფრთხოების პროცესს რისკების მისაღებ დონემდე დაყვანის და მართვის პროცესების უწყვეტი გაუმჯობესების მიღწევის მიზნით.

საგანგებო გარემოებების დადგომის შემთხვევებში ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით ადგილზე არსებობს აღდგენის გეგმები.

კოვიდ-19 პანდემიის გამომწვევის საკსახოდ, ჭგუფმა გააქტიურა უსაფრთხო დისტანციური სამუშაო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ სახლში მუშაობის გარემო დაცულია კიბერ-შეტევებისგან და უსაფრთხოების ჭგუფი უზრუნველყოფს დისტანციური სამუშაო საშუალებების ეფექტურ ზედამხედველობას. ფიზიკის მცდელობების მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად თანამშრომლების მიმართ, არსებით ინციდენტებს ადგილი არ ჰქონია. უსაფრთხოების საოპერაციო ცენტრმა და საფრთხეებზე ნადირობის ჭგუფებმა წარმატებით დანერგეს ეფექტური და უსაფრთხო დისტანციური თანამშრომლობის და კომუნიკაციების ტექნოლოგიური საშუალებები და პრაქტიკები.

**10. ჭგუფის საქმიანობის თანდაყოლილი საოპერაციო რისკის ნაწილია გარე და შიდა თაღლითობის რისკები. საბანკო სექტორის დიჯიტალიზაციასთან ერთად ოპერაციების მზარდი სირთულისა და მრავალფეროვნების გამო იზრდება თაღლითობის რისკები. პროაქტიული მართვის გარეშე თაღლითობის შემთხვევებმა შეიძლება არსებითი ზეგავლენა მოახდინონ ჭგუფის მომგებიანობასა და რეპუტაციაზე**

**რისკის აღწერა**

გარე თაღლითობა ჭგუფის საწინააღმდეგოდ შეიძლება მომდინარეობდეს მესამე მხარის ქმედებებისგან. ყველაზე ხშირად აღნიშნული შემთხვევები დაკავშირებულია საბანკო ბარათებთან, სესხებთან და კლიენტის ფიზინგთან. შიდა თაღლითობა მომდინარეობს ჭგუფის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ქმედებებისგან და მსგავსი შემთხვევები შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ხდება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჭგუფში დაფიქსირდა თაღლითობის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი შემთხვევის ოდენობამ შეადგინა 2 მილიონი ლარი. არცერთ შემთხვევას არსებითი გავლენა არ მოუხდენია ჭგუფის მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. კოვიდ-19 პანდემიის შედეგად, თაღლითობის საფრთხე და ციფრული დანაშაულის სწრაფი ზრდა გაძლიერდა და თაღლითები იყენებენ ახალ ტექნიკას და მიდგომებს, ფულის უკანონოდ მისათვისებლად. აქედან გამომდინარე, თუ არ მოხდა ამ საკითხის სათანადოდ მონიტორინგი და მართვა, პოტენციური ზემოქმედება შეიძლება არსებითი იყოს.

**რისკის მითიგაცია**

ჭგუფი ახორციელებს აქტიურ მონიტორინგს, აღმოაჩენს და თავიდან იცილებს თაღლითობის რისკებს. შექმნილია მუდმივი მონიტორინგის პროცესები უჩვეულო ქმედებების დროულად აღმოსაჩენად. რისკისა და კონტროლის თვითშეფასების პროცესში ყურადღება გამახვილებულია ძირითადი პროცესების ნარჩენ რისკებზე, რომელთა გამოსწორება შესაძლებელია. თაღლითობის რისკების მონიტორინგსა და შერბილებაზე ჩვენი მუდმივი ძალისხმევის შედეგად, შიდა პროცესების დიდი სირთულის მიუხედავად, ჭგუფი უზრუნველყოფს თაღლითური საქმიანობის დროულად აღმოჩენასა და კონტროლს.

**11. ჭგუფს აქვს რეპუტაციის რისკი**

**რისკის აღწერა**

ჭგუფს აქვს რეპუტაციის რისკები, როგორცაა კოვიდ-19 პანდემიასთან, სესხის დაფარის საშეღავათო პერიოდის დამატებით გაგრძელების მოთხოვნასთან და კიბერ-დანაშაულების გაზრდილ შემთხვევებთან დაკავშირებული რისკები. თუმცა არცერთი ზემოხსენებული რისკი არ არის უნიკალური ჭგუფისთვის და წარმოადგენს საკითხებს, რომელიც წარმოექმნება მთლიან საბანკო სექტორს.

**რისკის მითიგაცია**

რეპუტაციის რისკების შესაძლებლობის შერბილების მიზნით, ბანკი მუდმივად მუშაობს ძლიერი ბრენდის ცნობადობის შენარჩუნებაზე დაინტერესებულ პირებს შორის. ბანკი აქტიურად აკონტროლებს ბრენდის ღირებულებას და მედია გაშუქებას, დაინტერესებული პირებისგან ინფორმაციის მიღებით. ჭგუფი ცდილობს დაადგინოს პოტენციური რეპუტაციული ან ბრენდის ზიანის ადრეული გაფრთხილების ნიშნები, მათი შერბილების და სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენის მიზნით. სპეციალური შიდა და გარე მარკეტინგის და კომუნიკაციების ჭგუფები აკონტროლებს რისკებს, ადგენს სცენარებს და ქმნის შესაბამის სამოქმედო გეგმებს.

**12. ჯგუფს აქვს რისკი, რომ სტრატეგიული ინიციატივები არ გარდაიქმნება გრძელვადიან მდგრად ღირებულებაში თავისი დაინტერესებული წრეებისთვის.**

ჯგუფის ბიზნეს სტრატეგია შესაძლოა არ იქნას ადაპტირებული ცვალებადი მომხმარებლის საჭიროებების გარემოზე.

**რისკის აღწერა**

ჯგუფს შესაძლოა ჰქონდეს ბიზნეს სტრატეგიის განვითარების რისკი, რომელიც ვერ შექმნის გრძელვადიან ღირებულებებს ცვალებადი სამომხმარებლო საჭიროებების გარემოში, კონკურენტულ გარემოში და მარეგულირებელ შეზღუდვების პირობებში. გარდა ამისა, ჯგუფს შესაძლოა ჰქონდეს რისკი იმისა, რომ ვერ შეძლოს სტრატეგიული პრიორიტეტების ეფექტურად განხორციელება და გრძელვადიანი ღირებულების შექმნა კოვიდ-19 გავრცელების საპასუხოდ, ჯგუფმა გააძლიერა ფოკუსირება მთავარ სტრატეგიულ პილარებზე: მომხმარებელზე კონცენტრირება, ციფრული შესაძლებლობები, მონაცემთა ანალიტიკა და მოქნილობა ამ სახით სტრატეგიული განხილვის გათვალისწინებით, სტრატეგიული თემები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

თუმცა გაზრდილმა გაურკვევლობამ კოვიდ-19-ით გამოწვეულ მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ რღვევებთან ერთად, შესაძლოა ხელი შეუშალოს ჯგუფის უნარს ეფექტურად შეიმუშაოს და დროულად განახორციელოს სტრატეგიული ინიციატივები.

**რისკის მიტიგაცია**

ჯგუფი ატარებს წლიურ სტრატეგიულ სხდომებს, რომელშიც მონაწილეობენ ბანკის უმაღლესი და შუა რგოლის ხელმძღვანელები, სადაც აანალიზებენ ბაზრის ძირითად ტენდენციებს და სხვადასხვა პრაქტიკებს რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე, რათა დარწმუნდნენ რომ სწორი მიმართულებით მიდიან და შეაფასონ საქმიანობის ეფექტურობა სხვადასხვა პერსპექტივით. გარდა ამისა, ბანკი უწყვეტად მუშაობს მსოფლიოს წამყვან კონსულტანტებთან მისი სტრატეგიის გასაუმჯობესებლად. ასევე ჯგუფი ატარებს კვარტალურ ანალიზს და აკონტროლებს სტრატეგიის განხორციელების შეფასებისთვის გამოყენებულ საზომებს და მნიშვნელოვანი გადახრის შემთხვევაში უზრუნველყოფს გამოსწორების და მიტიგაციის ზომების შემუშავებას.

**13. ჯგუფს აქვს რისკები, რომლებიც დაკავშირებულია მის უნართან მოიზიდოს და დაიქირაოს მაღალკვალიფიციური თანამშრომლები.**

ძლიერი თანამშრომლების ბაზა არსებითად მნიშვნელოვანია ჯგუფის წარმატებისთვის.

**რისკის აღწერა**

ჯგუფს აქვს ძირითადი პერსონალის დაკარგვის ან კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვის, განვითარების და შენარჩუნების რისკი. კერძოდ სტრატეგიული გადაწყვეტილება ციფრულ კომპანიად გარდაქმნის შესახებ ითვალისწინებს გაზრდილ მოთხოვნას მაღალი კალიბრის IT პროფესიონალებზე ჯგუფის მასშტაბით. გარდა ამისა სწრაფად ცვალებადი ბიზნეს გარემოზე მორგების მიზნით, ჯგუფმა უნდა დააჩქაროს “Agile” კულტურა და აღჭურვონ თანამშრომლები საჭირო უნარებით. გარდა ამისა კოვიდ-19 პანდემიის შედეგად, შეიქმნა დამატებითი HR სირთულეები თანამშრომლების ჯანმრთელობის და კეთილდღეობის დაცვასთან, მაღალ ეფექტური ღონეების შენარჩუნებასთან, ძლიერ შიდა კომუნიკაციასთან და კორპორატიულ კულტურასთან დაკავშირებით.

**რისკის მიტიგაცია**

ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადამიანური კაპიტალის მართვის სტრატეგიებსა და პოლიტიკას, რომელიც მოიცავს ნიჭიერი პერსონალის მოზიდვის, შენარჩუნებისა და განვითარების მიდგომებს და სთავაზობს კონკურენტული ანაზღაურების პაკეტს თავის თანამშრომლებს. ჯგუფმა ასევე შეიმუშავა და განახორციელა “Agile” ტრანსფორმაცია, რომლის მიზანია თანამშრომელთა ჩართულობის გაზრდა და კმაყოფილება. გარდა ამისა ბანკმა შექმნა IT და რისკების აკადემია ახალგაზრდა პროფესიონალების მოზიდვისა და გადამზადებისთვის. საუკეთესო სტუდენტები დასაქმდებიან ბანკში. გარდა ამისა, ბანკს აქვს შიდა აკადემია, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა კურსებს თანამშრომლებსთვის სხვადასხვა სფეროში. კოვიდ-19 პანდემიაზე რეაგირების მიზნით, ბანკმა დაუყოვნებლივ გადაიყვანა ბექ-ოფისის თანამშრომლები დისტანციურ სამუშაო პრაქტიკაზე მათი ყველა საჭირო IT ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფით.

## ძირითადი რისკები და გაურკვევლობები გავრცელება

ეფექტური შიდა საკომუნიკაციო სისტემის უზრუნველყოფისთვის ჩვენ გავაუმჯობესეთ სხვადასხვა ციფრული საშუალებები ჩვენს თანამშრომლებთან ჩართულობისთვის. პერსონალთან ტარდება ხელმძღვანელობის რეგულარული შეხვედრები მათი ინფორმირების მიზნით ჯგუფის სტრატეგიული ინიციატივების და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ასევე მათი პრობლემების აღმოფხვრისთვის გაურკვევლობის პერიოდში. ჩვენი კორპორატიული კულტურის დამატებით ხელშეწყობისა და გაუმჯობესების მიზნით, ბანკის შიდა Facebook ჯგუფი უფრო გააქტიურდა, მაგ. თანამშრომლის პროფილების განთავსების და წარმატებული ისტორიების გაზიარების გზით. დამატებით, ბანკის მიერ მიღებული ახალი დისტანციური სამუშაო პოლიტიკა იძლევა ახალი ნიჭიერი კადრების მოზიდვის შესაძლებლობას საქართველოს გარეთ.

## მოსალოდნელი რისკები

მოსალოდნელი რისკები არის რისკები, რომლებსაც აქვთ უცნობი კომპონენტები და შესაძლოა გავლენა მოახდინონ ჯგუფის საქმიანობის ეფექტურობაზე გრძელვადიან პერსპექტივაში. ჩვენ ვთვლით, რომ აღნიშნული რისკებს აქვთ მნიშვნელოვანი ზრდის პოტენციალი და შესაძლოა ისეთივე გავლენა მოახდინონ ჯგუფზე, როგორც ძირითადად რისკებმა.

### 1. ჯგუფს აქვს რისკი, რომელიც წარმოიშობა კლიმატის ცვლილებით

#### რისკის აღწერა

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები ხასიათდება როგორც ფიზიკური ზემოქმედებით, რომელიც წარმოიშობა უფრო ხშირი და რთული მეტეოროლოგიური ცვლილებებით, ასევე ტრანზიტული ზემოქმედებით, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს პოლიტიკურ, იურიდიულ და ტექნოლოგიურ ცვლილებებს ოჯახების და ბიზნესების ეკოლოგიური ზემოქმედების შესამცირებლად. ჯგუფისთვის, აღნიშნული რისკები შესაძლოა განხორციელდეს აქტივის ღირებულების გაუფასურებით და ჩვენი მომხმარებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ჯგუფის მომგებიანობის შემცირება. ჯგუფს ასევე შეიძლება ჰქონდეს რეპუტაციის რისკი ისეთი მომხმარებლების დაკრედიტების ან მათთან სხვა ბიზნეს ოპერაციების შედეგად, რომლებსაც წვლილი მიუძღვით კლიმატის ცვლილებაში.

#### რისკის მითიგაცია

ჯგუფის მიზანია იმოქმედოს პასუხისმგებლიანად და მართოს ეკოლოგიური და სოციალური რისკები, რომელიც დაკავშირებულია მის ოპერაციებთან გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად. ეს მიდგომა შესაძლებლობას გვაძლევს შევამციროთ ჩვენი ეკოლოგიური ზემოქმედება რესურსების ეფექტურად გამოყენებით და გარემოსდაცვითი ზომების ხელშეწყობით კლიმატის ცვლილების შერბილების მიზნით.

ჯგუფს აქვს გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც არეგულირებს გარემოსდაცვითი მართვის სისტემას ("EMS") და უზრუნველყოფს ჯგუფის ოპერაციების შესაბამისობას მოქმედ გარემოსდაცვით, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების და შრომის დაცვის რეგულაციებთან და პრაქტიკებთან. ჩვენ ვიღებთ ზომებს იმის საგარანტიოდ, რომ ჩვენმა მომხმარებლებმა ასევე შეასრულონ ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობები. ეკოლოგიური და სოციალური რისკების მართვა შეტანილია ჯგუფის საკრედიტო პროცესში EMS გამოყენების გზით. ჯგუფმა შეიმუშავა რისკის მართვის პროცედურა ეკოლოგიური და სოციალური რისკების დადგენის, მართვის და მონიტორინგის მიზნით. აღნიშნული პროცედურები სრულად არის ინტეგრირებული ჯგუფის საკრედიტო რისკის მართვის პროცესში. ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკა სრულად შეესაბამება საქართველოს გარემოსდაცვის კანონმდებლობას და საერთაშორისო წესებს (სრული პოლიტიკა იხილეთ შემდეგ ვებ-გვერდზე: [www.tbcbankgroup.com](http://www.tbcbankgroup.com)). დეტალური ინფორმაცია გარემოსდაცვითი მართვის სისტემის შესახებ, იხილეთ გვერდებზე: 78-85.

2020 წელს ჯგუფმა გამოსცა თავისი პირველი სრულმასშტაბიანი მდგრადობის ანგარიში ანგარიშგების გლობალური ინიციატივის (GRI) სტანდარტების მითითებით. ანგარიში მოიცავს პერიოდს 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ამ ანგარიშის გაცემამდე, განხორციელდა ეტაპობრივი მიდგომა ჯგუფის საქმიანობების და მისი სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ზემოქმედებების გამჟღავნების შესახებ. ანგარიშგების გლობალური ინიციატივა (GRI) ხელს უწყობს კერძო სექტორს გაიგოს და შეასრულოს თავისი როლი და ზემოქმედება მდგრადი განვითარების საკითხებზე, როგორცაა კლიმატის ცვლილება, ადამიანის უფლებები და მართვა. GRI

შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს მიიღონ მნიშვნელოვანი ზომები კომუნალური სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნისა და გაუმჯობესებისთვის.

## 2. ჭგუფის საქმიანობაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს Libor შეწყვეტის და გადასვლის პროცესმა

### რისკის აღწერა

არსებობს სხვადასხვა ტიპის ფინანსური ინსტრუმენტები ჭგუფის საბალანსო უწყისზე, რომელთაგან თითოეულს აქვს საპროცენტო განაკვეთი, შედარებული ლონდონის ბანკთაშორის შეთავაზებულ განაკვეთთან ("LIBOR"). LIBOR ასევე გამოიყენება ჭგუფის მიერ რისკის გაზომვაში, აღრიცხვაში და შეფასების პროცესებში. 2017 წელს FCA გამოაცხადა, რომ შეუთანხმდა LIBOR ჭგუფის ბანკებს LIBOR შენარჩუნებაზე 2021 წლამდე და მოუწოდა ფინანსური სექტორის მონაწილეებს დაეწყოს მუშაობა სხვა საბაზო განაკვეთებზე გადასვლის მიმართულებით. LIBOR შეწყვეტა და გადასვლის პროცესი მიუთითებს ჭგუფის განხორციელების, წარმოების ფინანსურ და საოპერაციო რისკებს და შესაძლოა გამოიწვიოს შემოსავლების არასტაბილურობა, მომხმარებლის პრეტენზიები და სამართლებრივი პროცესები ან სხვა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჭგუფის საქმიანობაზე და ოპერაციებზე.

### რისკის მიტიგაცია

ჭგუფი ადგენს სხვა საბაზო განაკვეთებზე გადასვლის შედეგებს თავის რისკის პროფილზე განხორციელების, წარმოების, ფინანსური და საოპერაციო რისკების ანალიზით და ასეთი რისკების აღმოფხვრის საშუალებების დადგენით. ჭგუფი ზომების მიღებას იწყებს ინფორმირებულობის ამაღლებით გადასვლის შესახებ, როგორც შიდა, ასევე გარე ფარგლებში, იმისათვის, რომ პერსონალს ჰქონდეს საჭირო ცოდნა და ინსტრუმენტი გადასვლის ხელშეწყობისთვის და ჭგუფის ყველა მომხმარებელს იყოს განხილული ობიექტურად. გადასვლის პროცესის პირველ ეტაპზე ბანკმა დაიწყო სპეციალური მუხლების შეტანა ახალ სასესხო ხელშეკრულებებში, რომელიც არეგულირებს გადასვლას LIBOR-დან მისი შეწყვეტის შემდეგ. ჩვენ აქტიურად ვაკონტროლებთ

# რისკის მართვა

## ვიზიონი

ჯგუფში მოქმედებს რისკის მართვის ბიზნესზე ორიენტირებული, მძლავრი და დამოუკიდებელი სისტემა. მისი ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს რისკის გათვალისწინებით შეფასებული უკუგების მდგრადობას რისკის მართვის ეფექტიანი სისტემის მეშვეობით. მიზნების უკეთ მისაღწევად ჯგუფი იყენებს რისკის მართვის ოთხ ძირითად პრინციპს:

- > რისკების გამჭვირვალედ მართვა ურთიერთგაგებისა და ნდობის მოსაპოვებლად. რისკთან დაკავშირებული პროცესებისა და პოლიტიკის თანამიმდევრულობა და გამჭვირვალობა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ნდობის მოპოვების წინაპირობაა. რისკის მიზნებისა და სტრატეგიული პრიორიტეტების სწორი და სრულყოფილი კომუნიკაცია მმართველ ორგანოებთან და ანგარიშვალდებულების ფარგლებში სრულყოფილი რეაგირება რისკის მართვაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების ძირითადი პრიორიტეტებია.
- > რისკების გონივრული მართვა ზრდისა და მდგრადობის ხელშესაწყობად. რისკების მართვის სისტემა უზრუნველყოფს ჯგუფის დაცვას გადაჭარბებული რისკებისგან; კაპიტალის ადეკვატურობის მართვა და მძლავრი, მომავალზე ორიენტირებული მართვის ინსტრუმენტები და გადაწყვეტილებები უზრუნველყოფს ჯგუფის მდგრადობას.
- > რისკის მართვის მეშვეობით სტრატეგიის გაძლიერების უზრუნველყოფა. რისკის მართვაში ჩართული თანამშრომლების მიერ რისკების დროული იდენტიფიცირებით, ადეკვატური ფასდადებითა და რისკის მიტიგაციისკენ მიმართული ქმედებებით უზრუნველყოფილია ჯგუფის მიზნების განხორციელება და მიზნობრივი უკუგება.
- > რისკის მართვის გამოყენება კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. სრულყოფილი, გამჭვირვალე და გონივრული რისკის მართვა ხელს უწყობს სხვადასხვა ჩართული მხარის მაღალ სანდოობას, ჯგუფის გრძელვადიან, მდგრად განვითარებას, რისკის მართვის სისტემის კონკურენტულ უპირატესობად ქცევას.

## რისკის მართვის სტრუქტურა

ჯგუფის რისკის მართვის სისტემა მოიცავს რისკის მართვისათვის საჭირო ყველა აუცილებელ კომპონენტს და შედგება ორგანიზაციული, საკრედიტო, ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის, რისკრეპორტირებისა და სხვადასხვა მხარე, გამაერთიანებელი რისკების ინსტრუმენტებისაგან, როგორებიცაა: IT-ინფრასტრუქტურა, კაპიტალის მართვა, სტრესტესტები და სხვა ანალიტიკური საშუალებები. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში ნაჩვენებია რისკის მართვის სტრუქტურა:


# ორგანიზაციის რისკის მართვა

> რისკის აკვირვება > რისკის სტრატეგია > ბიზნესის დაგეგმვა

	საკრედიტო რისკი			ფინანსური რისკი		არაფინანსური რისკი	
	კორპორატიული	MSME	სამცალო	ბაზარი	ლიკვიდობა	სამოპერაციო	სხვა
<b>რისკის ფორმირება და მართვა</b>	მართვის სტრუქტურა	დაცვის სამი დონე	კომიტიტები	პოლიტიკა	საქმიანობის შედეგების მართვა	რისკის კულტურა	
<b>რისკის რეპორტირება</b>	რისკის ანგარიშგება და ანალიზი						
<b>სისტემები და მონაცემები</b>	ინფრასტრუქტურა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და სისტემები						
<b>რისკის მოდელირება, მეთოდოლოგიები და პროცესები</b>	დაკრედიტების პროცესი	პროცესების და ვალდებულებების მართვა (ALM) და ლიკვიდობის რისკის მოდელირება და პროცესები			სამოპერაციო რისკის მოდელირება და პროცესები		
<b>რისკის ზეარადინი ანალიზი</b>	კაპიტალის ადეკვატურობის მართვა და სტრუქტურა-თესტები						

## მმართველობა

რისკების მართვას ჯგუფი ახორციელებს რისკების მართვის ერთიანი სისტემის ფარგლებში. რისკების მართვის პროცესში ყველა მმართველი რგოლის ჩართულობა, უფლებამოსილების ნათლად გამიჯვნა და სხვადასხვა დანაყოფს შორის ეფექტური კომუნიკაცია ხელს უწყობს ჯგუფის სტრატეგიისა და რისკის მიზნების ნათლად წარმოჩენასა და მათს შესაბამისობას რისკის დადგენილ აპეტიტთან. ჯგუფის მართვის სტრუქტურა უზრუნველყოფს ადეკვატურ ზედამხედველობას, ანგარიშვალდებულებისა და მოვალეობების მკაფიო გამიჯვნას. რისკების მართვის უმაღლესი ორგანოსამეთვალყურეო საბჭო, რომელიც გასაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას და ზედამხედველობას უწევს სტრატეგიული მიზნების შესრულებას. ხოლო დირექტორთა საბჭო ხელმძღვანელობს და წარმართავს ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობას.



რისკის მართვის სტრუქტურა შედგება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსგან, თითოეულში შედის შესაბამისი რისკის კომიტეტები. სამეთვალყურეო საბჭოს ექვემდებარება რისკის კომიტეტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ჯგუფის რისკის პროფილსა და რისკის მართვის პრაქტიკას, აგრეთვე არსებობს აუდიტის კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელებაზე და დანერგვაზე, შიდა და გარე აუდიტორების საქმიანობის ხელშეწყობაზე. დირექტორთა საბჭოს რისკის კომიტეტი შეიქმნა ჯგუფის მასშტაბით რისკის მართვის ღონისძიებების წარმართვისა და ძირითადი რისკის ტენდენციების მონიტორინგისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს რისკის პროფილის შესაბამისობა დადგენილი რისკის აპეტიტთან. დირექტორთა საბჭოს საოპერაციო რისკის კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს საოპერაციო რისკის მართვასთან დაკავშირებით, ხოლო აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) პასუხისმგებელია აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პოლიტიკის განხორციელებაზე. სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოები რისკების მართვას ახორციელებენ რისკების აპეტიტის მეშვეობით, რომელშიც დადგენილია რისკის სასურველი პროფილი და რისკის ლიმიტები სხვადასხვა ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით. რისკაპეტიტის ჩარჩო მოიცავს ასევე მონიტორინგსა და რეპორტირებას, სხვადასხვა გამომწვევი მოვლენისათვის ესკალაციის გზებსა და რისკების მითიგაციის ქმედებების განხორციელებას იმ შემთხვევაში, თუ ის სცილდება ჯგუფის მიერ დადგენილ საზღვრებს. ჯგუფის რისკის აპეტიტის ყოველდღიურ ოპერაციებში უფრო ეფექტურად ასახვისთვის რისკის აპეტიტის ინდიკატორები ჩაშლილია დეტალურ ლიმიტებად ბიზნესრთეულის დონეზე, რომელიც აყალიბებს რისკის განაწილებას სხვადასხვა სეგმენტსა და საქმიანობას შორის.

რისკის აპეტიტის დადგენა და კასკადირება ხორციელდება ბიზნესის დაგეგმვის პარალელურად. ბიზნესისა და რისკის გეგმების ინტერაქტიური შემუშავება უზრუნველყოფს გეგმების შეჯერებას ამ პროცესში რისკისა და უკუგების ურთიერთკავშირის განსაზღვრით, რაც ხელს უწყობს მიზნების

<sup>1</sup> აღნიშნული პირობები განსაზღვრულია ლექსიკონში 319 გვერდზე



მიღწევას. სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე ზედამხედველობა ჯგუფის რისკის მართვაში, უფროსი მენეჯმენტის ჩართულობასთან ერთად და რისკების top-down განაწილება ორგანიზაციული რისკების მართვის განყოფილების მიერ უზრუნველყოფს რისკების მიზნების სიცხადეს, რისკის პროფილის ინტენსიურ მონიტორინგს რისკის აპეტიტთან მიმართებით, დროულ რეაგირებას რისკთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოსასწორებელი ღონისძიებების სწრაფად შემუშავებას. ცალკეული რისკების ყოველდღიური მართვა ემყარება დაცვის სამი დონის პრინციპს. რისკების ძირითად ამღებია ბიზნესსეგმენტები, რისკის გუნდი ასრულებს დაცვის მეორე დონის ფუნქციას ტრანზაქციების სანქციონებით, რისკის იდენტიფიცირების, ანალიზის, გაზომვის, მონიტორინგისა და რეპორტირების საშუალებებით. კომიტეტები, რომლებიც ფუნქციონირებენ ოპერაციულ დონეზე, დელეგირების ფარგლებში იღებენ ტრანზაქციული დონის გადაწყვეტილებებს, დამყარებულს „ოთხი თვალის“ პრინციპზე. ყველა ახალი პროდუქტი და პროექტი გადის რისკის ჯგუფის ხელში, რათა სრულყოფილად გაანალიზდეს რისკები. კონტროლის ეს მექანიზმები გარანტიას იძლევა, რომ ჯგუფი იღებს ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს, რაც სათანადოდაა შეფასებული და არ ხდება რისკების აღება ჯგუფის დადგენილ ზღვრებს ზევით. საკრედიტო, ლიკვიდობის, ბაზრის, საოპერაციო და სხვა არაფინანსურ რისკებს მართავენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. ჯგუფის რისკის მართვის მძლავრი და დამოუკიდებელი სტრუქტურა ყველა საჭირო ფუნქციის შესრულების საშუალებას იძლევა დაცვის მეორე დონის ფარგლებში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების წყალობით, რომლებიც ფლობენ დაბალანსებულ ცოდნას საბანკო მომსახურებისა და უძრავი ქონების სფეროში ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. რისკის დირექტორზე დაქვემდებარებული რისკის გუნდების გარდა, შესაბამისობის რისკის მართვის განყოფილება ანგარიშვალდებულია უშუალოდ გენერალური დირექტორის წინაშე და პასუხისმგებელია ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასა და შესაბამისობის რისკის მართვაზე. მესამე დონის დაცვას წარმოადგენს შიდა აუდიტის დეპარტამენტი, რომელიც ბანკს აძლევს დამოუკიდებელ და ობიექტურ რწმუნებას, ამასთანავე, უწევს რეკომენდაციას დამატებით ოპერაციებისა და რისკების მართვის გასაუმჯობესებლად.

## ორგანიზაციის რისკის მართვა

ცენტრალიზებული ორგანიზაციის რისკების მართვის (ERM) განყოფილება უზრუნველყოფს რისკის სტრატეგიისა და რისკის აპეტიტის ეფექტურად შემუშავებას, კომუნიკაციასა და დანერგვას ჯგუფის მასშტაბით. ორგანიზაციის რისკების მართვის განყოფილება ხელს უწყობს რისკის ჯვარედინ ღონისძიებებს, როგორებიცაა: აგრეგირება, ანალიზი და რეპორტირება და ეხება ისეთ პრობლემებს, რომლებიც არაა სპეციფიკური რომელიმე ერთი ტიპის რისკისათვის. შესაბამისად, ERM-ის ფუნქცია ავსებს რისკის სხვა ფუნქციებს, რათა მოიცვას ძირითადი რისკის ღონისძიებები და პასუხისმგებლობები და წარმოქმნას ცენტრალიზებული გუნდის შესაძლებლობები. ორგანიზაციის რისკების მართვის ძირითადი ფუნქციები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

- რისკის აპეტიტის განსაზღვრა, კასკადირება და მონიტორინგი ჯგუფის სტრატეგიის აუცილებელი ელემენტებია. რისკის ბიუჯეტი ნაწილდება ცალკეულ ბიზნესმიმართულებებზე, რათა მიღწეულ იქნეს მაჩვენებლები აგრეგირებულ დონეზე;
- სტრესტესტები რისკის იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მიტიგაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ამ მხრივ ჯგუფი მუდმივად ავითარებს სტრესტესტირების შესაძლებლობებსა და მეთოდოლოგიას. ბანკი ახორციელებს სხვადასხვა სცენარის ანალიზს და სტრეს-ტესტირების მეთოდებს, იმისათვის, რომ ბანკმა შეინარჩუნოს ადეკვატური კაპიტალი იმისათვის, რომ გაუმკლავდეს მოცემულ სტრეს სცენარს და შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსური მდგომარეობა;
- გრძელვადიანი კაპიტალის დაგეგმვა და უწყვეტი მუშაობა კაპიტალის ოპტიმიზაციაზე და ანალიტიკაზე ასევე ბანკის რისკის მართვის პროცედურის არსებითი ასპექტია;
- ERM-ის მნიშვნელოვანი ამოცანაა ასევე რისკის მართვის პრაქტიკის თანმიმდევრულობა. რისკების მართვის ფუნქცია, რომელიც მიმართულია თანმიმდევრულობის უზრუნველყოფისკენ, გულისხმობს რისკების იდენტიფიცირებას, გაზომვას და მართვას ოპტიმალური გზით, ჯგუფის ფარგლებში, და მათ რეპორტირებას და გააზრებას კონსოლიდირებულ საფუძველზე;
- რისკის შესაფერისი უკუგების გენერირება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზნეს მოდელის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. რისკების გათვალისწინება ფასწარმოქმნის პროცესში ისე ხორციელდება, რომ თავიდან იქნეს აცილებული ჭარბი ოდენობით რისკის აღება და უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ კომპანია იღებს ადეკვატურად შეფასებულ რისკს.
- მოსალოდნელი ზარალის შეფასება, მონიტორინგი და ანალიტიკა სხვადასხვა სეგმენტში და

## რისკის მართვა **გაგრძელება**

პროდუქტებში, ასევე ჩვენი სტრატეგიის მთავარი კომპონენტებია;

- ჯგუფის რისკის პროფილის კონსოლიდირებულ საფუძველზე შეფასების მიზნით ხორციელდება რისკის მეტრიკების აგრეგაცია და ანალიზი. თიბისი ბანკის რისკის პროფილის შესახებ რეგულარული ანგარიშებიწარედგინება დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს რისკის კომიტეტს.

## **საკრედიტო რისკის მართვა**

ჯგუფის, როგორც საბანკო მომსახურების მიმწოდებლის წინაშე დგას საკრედიტო რისკი, რომელიც დაკავშირებულია მსესხებლის ან მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან, კერძოდ გადაუხდელი თანხის გადახდასთან შეთანხმებულ ვადებში. საკრედიტო რისკი ჯგუფის ყველაზე მატერიალური რისკია, რადგან იგი ძირითადად ტრადიციულ დაკრედიტებას ეწევა. ამგვარად, ჯგუფი მნიშვნელოვან რესურსს გამოყოფს მის სამართავად.

საკრედიტო რისკების მართვის მიზანია ჯგუფში არსებობდეს გამართული პროცესები რომლებიც უზრუნველყოფს ინდივიდუალურ ტრანზაქციების დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობას მისაღები რისკის დონის ფარგლებთან. ასევე, ეფექტურად დანერგილი პროცესები უზრუნველყოფს პორტფელში არსებული საკრედიტო რისკების დროულ აღმოჩენას, გაზომვასა და მონიტორინგს. საკრედიტო რისკების ეფექტურად მართვის მიზნით ჯგუფში დანერგილია სეგმენტებსა და პროდუქტებზე მორგებული მიდგომები. შესაბამისად კორპორატიული, მცირე და საშუალო და საცალო პორტფელების მართვა ხორციელდება მოცემული სეგმენტების თავისებურებების გათვალისწინებით. კორპორატიული და მცირე და საშუალო სეგმენტის მსესხებლების (მიკროს გარდა) მართვა ხორციელდება ინდივიდუალურად, მოცემული კლიენტების შედარებით დიდი დავალიანებიდან გამომდინარე; ხოლო მიკრო და საცალო მსესხებლების მართვა კი ხორციელდება პორტფელურად. საკრედიტო რისკის ძირითადი ფუნქციების შეჭამება მოცემულია ქვემოთ.

### **კრედიტის დამტკიცება**

ჯგუფის მიზანია უზრუნველყოს სესხების გაცემის ჯანსაღი პროცესის არსებობა, სესხის გაცემის კრიტერიუმების მკაფიოდ ჩამოყალიბებისა და მსესხებლის რისკის პროფილის შეფასების ეფექტიანი პროცესის მეშვეობით. ბანკში არსებობს საკრედიტო რისკის შეფასების სრულყოფილი ჩარჩო, სადაც ცალსახადაა გამიჯნული კრედიტის ანალიზში და დამტკიცებაში მონაწილე მხარეების მოვალეობები. კრედიტის შეფასების პროცესი განსხვავდება სეგმენტებისა და ინდივიდუალური პროდუქტების მიხედვით, იმისთვის რომ სათანადოდ მოხდეს აქტივების სხვადასხვა ჯგუფების შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინება. კორპორატიული, მცირე და საშუალო და მსხვილი საცალო და მიკრო სესხების შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურ დონეზე, ხოლო მცირე ზომის საცალო და მიკრო სესხებზე გადაწყვეტილების პროცესი ძირითადად ავტომატიზებულია. მსესხებლების მოთხოვნების საფუძვლიანად შეფასების შემდეგ საკრედიტო ანალიტიკოსები კორპორატიული სესხის შემთხვევაში და ბიზნეს დაკრედიტების ექსპერტები მცირე და საშუალო საწარმოების სესხის შემთხვევაში, ამზადებენ პროექტს, რომელშიც ასახულია პოტენციურ მსესხებელთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია და წარადგენენ განსახილველად დაკრედიტების რისკების მართვის განყოფილებაში. რისკების მართვის მენეჯერი აფასებს პროექტს და უზრუნველყოფს, რომ ანალიზი არის სრულყოფილი, ყველა სახის რისკი და შესაბამისი მითითებების გზები იდენტიფიცირებულია და სათანადოდ გათვალისწინებული, და სესხი სწორად სტრუქტურირებულია. ბიზნესის რისკის მენეჯერები სპეციალიზირდებიან კონკრეტული დარგების მიხედვით იმისთვის, რომ სათანადოდ იცნობდნენ კონკრეტულ დარგში მიმდინარე ტენდენციებსა და მოვლენებს.

საკრედიტო კომიტეტის სტრუქტურა მრავალდონიანია, და დამტკიცების უფლებამოსილებები განსხვავებულია მსესხებლების ჯამური დავალიანებისა და რისკის პროფილის შესაბამისად. აღნიშნული საკრედიტო კომიტეტები პასუხისმგებელნი არიან განიხილონ და დაამტკიცონ საკრედიტო განცხადებები, სხვადასხვა კომიტეტებით სესხის მოცულობის და რისკის საფუძველზე. ყველაზე მაღალი დონის კომიტეტში მონაწილეობენ: გენერალური დირექტორი, კორპორატიული ბიზნესის მართვის დირექტორი და რისკების მართვის დირექტორი. ამასთან, 20 უმსხვილესი მსესხებლის საკრედიტო განაცხადისთვის, ან სესხებისთვის, რომელთა ოდენობა აღემატება

ბანკის სააქციო კაპიტალის 5%-ს, მოითხოვება სამეთვალყურეო საბჭოს რისკის მართვის კომიტეტის მიერ განხილვა და დამტკიცება. საცალო და მიკრო სეგმენტის დაკრედიტების ექსპერტები საკრედიტო განაცხადებს წარუდგენენ შესაბამისი დაკრედიტების რისკების მართვის განყოფილებას. საკრედიტო კომიტეტზე განაცხადის განხილვა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში სესხის ოდენობისა და რისკის დონის გათვალისწინებით. არაუზრუნველყოფილი საცალო სესხების, განვადებებისა და საკრედიტო ბარათების ანალიზისა და გაცემისთვის სრულდება ვერიფიკაციის პროცესი რეგულაციების შესაბამისად პასუხისმგებლიანი დაკრედიტების შესახებ. გადანყვეტილების მიღებისთვის გამოიყენება შიდა სქორინგის მოდელები და საკრედიტო ბიუროს მიერ წარმოდგენილი რეიტინგები. სქორინგის მოდელები განსხვავებულია პროდუქტის ტიპებისა და მსესხებლების სეგმენტის მიხედვით, და ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის შიდა და გარე მონაცემებს. სქორინგის მოდელების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მიღებული გადანყვეტილებების შესაბამისობა წინასწარ განსაზღვრული რისკის ლიმიტებთან.

**სავალუტო კურსით გამოწვეული საკრედიტო რისკი**

ბანკი დგას სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის წინაშე, რადგან მისი სესხების მატერიალური ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული. ჭგუფი მუშაობს აღნიშნული რისკის შემცირებაზე და შესაბამისი ლიმიტები განსაზღვრულია ბანკის რისკის აპეტიტის ჩარჩოში. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის შესამცირებლად, საკრედიტო რისკის მართვის ყველა ეტაპზე გამოიყენება მართვის სხვადასხვა ინსტრუმენტები და მეთოდები. 2019 წლის იანვარში მთავრობამ განაგრძო ღონისძიებები უცხოური ვალუტით დაფინანსებაზე ეკონომიკის დამოკიდებულების შესამცირებლად, გაზარდა რა ზედა ლიმიტი 200,000 ლარამდე, რომლის ფარგლებშიც სესხების გაცემა უნდა მოხდეს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. გარდა ამისა, სებ-მა თავისი პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ინიციატივით, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს, შემოიღო უფრო კონსერვატიული PTI და LTV ზღვრები არაჰეჯირებული საცალო მსესხებლებისთვის, რამაც კიდევ უფრო შეამცირა კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკები. მიუხედავად იმისა, რომ PTI და LTV ზღვრები არაჰეჯირებული საცალო მსესხებლებისთვის კვლავ რჩება კონსერვატიული, 2020 წლის აპრილში, სებ-მა გაამარტივა რეგულაციები ჰეჯირებული მსესხებლებისთვის.

ჭგუფი იყენებს კონსერვატიორული დაკრედიტების სტანდარტებს არაჰეჯირებული მსესხებლების მიმართ, რომელთა სესხები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი გაუძლებენ გაცვლითი კურსის გაუფასურების გარკვეულ დონეს საკრედიტო ხარისხის გაუარესების გარეშე. გარდა დაკრედიტების პროცესში მოქმედი ზომებისა, ჭგუფი აქტიურად აკვირდება დააფასებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებს სტრუქტურის საშუალებით და ინაჩუნებს კაპიტალის საკმარის რეზერვებს მოულოდნელი დანაკარგების შემთვავებისთვის. ვალუტის არსებითი გაუფასურების შემთხვევაში ბანკს გააჩნია მეთოდები მონიტორინგის ღონისძიებების დასაჩქარებლად, პოტენციური სისუსტეების მქონე მომხმარებლების იდენტიფიცირებისა და მიტიგაციისკენ მიმართული ღონისძიებების დაუყოვნებლივ გასატარებლად.

**საკრედიტო კონცენტრაციის რისკი**

ჭგუფს გააჩნია კონცენტრაციის რისკი, რომელიც განისაზღვრება, როგორც პორტფელის ხარისხის პოტენციური გაუარესება პიროვნებებზე ან დარგებზე დიდი ოდენობით სესხის გაცემის გამო. ბანკი ფლობს საშუალებებს კონცენტრაციის რისკის, კერძოდ კი, პორტფელში ცალკეული პირებისა და სექტორული კონცენტრაციის, ეფექტური მართვისათვის. ჭგუფს აქვს კონცენტრაციის ლიმიტები ცალკეული მსესხებლებისა და 20 ყველაზე მსხვილ მსესხებელთა ჭგუფზე და კონცენტრირებულია ამ პორტფელის სტრუქტურისა და ხარისხის ოპტიმიზაციაზე. ამასთან, ჭგუფი აწესებს ლიმიტებს ცალკეულ სექტორებზე, მაღალი რისკის მქონე სექტორებში უფრო კონსერვატიული ზედა ლიმიტის გამოყენებით, რაც ემყარება დარგის ციკლებისა და პერსპექტივის სრულყოფილ ანალიზს. საკრედიტო კონცენტრაციების მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. კეთდება რისკის პოზიციითა თენდენციების დეტალური ანალიზი და რისკის ახალი წყაროების წარმოქმნის ან პოზიტიური მოვლენების შემთხვევაში გაიცემა გამოსასწორებელ ღონისძიებათა რეკომენდაციები. პორტფელში კონცენტრაციების დონის მართვის პარალელურად, ჭგუფი აფასებს მოულოდნელ ზარალს და შესაბამის ეკონომიკურ კაპიტალს როგორც ცალკეული მსესხებლებისთვის, ისე სექტორებისთვის Herfindahl-Hirschman-ის ინდექსის გამოყენებით და

ამგვარად უზრუნველყოფს კონცენტრაციის რისკისთვის საკმარისი კაპიტალის არსებობას.

**უზრუნველყოფის მართვის პოლიტიკა**

უზრუნველყოფა გამოიყენება საკრედიტო რისკების მიტიგაციის ძირითად საშუალებად ჯგუფისთვის და ამდენად, უზრუნველყოფის ეფექტური მართვა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რისკების მისაღებ დონეზე შესანარჩუნებლად. ჯგუფის მიერ მიღებული უზრუნველყოფის საშუალებები სხვა სახეობებთან ერთად მოიცავს და არა მხოლოდ: უძრავ ქონებას, ფულად დეპოზიტს, სატრანსპორტო საშუალებას, დანადგარებს, მარაგებს, ოქროს, ფასიან ქაღალდებსა და თავდებობა/ გარანტიებს. სესხისთვის მოთხოვნილი/მიღებული უზრუნველყოფა დამოკიდებულია საკრედიტო პროდუქტის მახასიათებლებსა და მსესხებლის რისკის პროფილზე. ჯგუფის პორტფელი კარგად უზრუნველყოფილია ყველა სეგმენტში და უზრუნველყოფის ყველაზე დიდ ნაწილს უძრავი ქონება წარმოადგენს. უზრუნველყოფის მართვასთან დაკავშირებით ჯგუფის მიდგომებსა და სტრატეგიას მართავს უზრუნველყოფის მართვისა და შეფასების ცენტრალიზებული განყოფილება. აღნიშნული განყოფილება უზრუნველყოფს, რომ უზრუნველყოფის ობიექტი წარმოადგენდეს საკრედიტო რისკის მიტიგაციის ადეკვატურ საშუალებას. უზრუნველყოფის მართვის ჩარჩო მოიცავს გადანყვეტილების მიღების პროცესს, დამოუკიდებელი შეფასების პროცესის არსებობას, შეკვეცის სისტემას დაფარვის პროცესის ფარგლებში, უზრუნველყოფის მონიტორინგს (მათ შორის გადაფასებას და სტატისტიკურ ანალიზს) და უზრუნველყოფის პორტფელის ანალიზს.

„უზრუნველყოფის მართვისა და შეფასების განყოფილება“ („უმშგ“) განსაზღვრავს უზრუნველყოფის მართვის პოლიტიკას და უზრუნველყოფის მართვის პროცედურებს (რომელიც დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ), იძენს შეფასების მომსახურებას „შეფასების საერთაშორისო სტანდარტების“ (IVS), სებ-ის მოქმედი რეგულაციების და შიდა პოლიტიკის/პროცედურების შესაბამისად, ამომწებს შეფასების ანგარიშებს, მართავს უზრუნველყოფის მონიტორინგის პროცესს (აქტივები მაღალი FV-ით გადაფასდება ყოველწლიურად, ხოლო სტატისტიკური მონიტორინგი გამოიყენება დაბალი ღირებულების მქონე უზრუნველყოფისთვის. CMAD შეფასებისთვის იყენებს შერეული ხარისხის შემოწმების სქემას: შეფასების ანგარიშები განიხილება შიდა ფარგლებში მისი პერსონალის მიერ და ცალკე გარეშე კომპანიის მიერ. თითქმის ყველა საქმიანობა უზრუნველყოფის მართვის ფარგლებში ავტომატიზირებულია შიდა ვებ-აპლიკაციების მეშვეობით. უზრუნველყოფის მართვის ფუნქცია იყენებს საბაზრო კვლევებს, რომლებიც ხორციელდება პროექტის უძრავი ქონების საბაზრო ლაბორატორიის (REM ლაბორატორიის) ფარგლებში.

**კრედიტის მონიტორინგი**

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა და პროცესები ისეა შემუშავებული, რომ დროულად გამოვლინდეს და გაანალიზდეს სხვადასხვა ტიპის რისკები და საიმედო და დროულ მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდეს წინასწარ დადგენილ ღირებულებებთან შესაბამისობის მონიტორინგი. თიბისი ბანკი მნიშვნელოვან რესურსებს გამოყოფს სხვადასხვა ბიზნესსეგმენტებში არსებული საკრედიტო რისკების შესტად შესაფასებლად. ჯგუფი იყენებს მონიტორინგის გამართულ სისტემას მაკრო და მიკრო მოვლენებზე სწრაფი რეაგირების უზრუნველსაყოფად, საკრედიტო პორტფელში არსებული სისუსტეების დროულად გამოვლენისა და შესაბამისი გადაწყვეტების ჩამოყალიბებისათვის. მონიტორინგის პროცესი მორგებულია ცალკეულ სეგმენტებზე და მოიცავს ინდივიდუალური სესხების მონიტორინგს, პორტფელურ მონიტორინგსა და გარე ტენდენციების ანალიზს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე. რისკის კომიტეტი კვარტალურად განიხილავს ანგარიშებს საკრედიტო პორტფელის ხარისხის შესახებ. ისტორიული დინამიკისა და სამომავლო მოლოდინების გათვალისწინებით შესაძლებელია რისკების დროულად გამოვლენა და მათზე რეაგირება პოლიტიკის დროულად შესწორების გზით.

**რესტრუქტურისაცია და თანხების ამოღება**

ჯგუფი იყენებს პორტფელის ზედამხედველობის კომპლექსურ სისტემას საყურადღებო სესხების იდენტიფიცირებისა და საჭიროების შემთხვევაში გამოსასწორებელი ზომების მყისვე მისაღებად. ამოღებისა და აღდგენის პროცესების ინიცირება ხდება მაშინ, როდესაც მსესხებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის შეთანხმებულ პირობებს ან მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა გაუარესებულია, რაც პოტენციურად საფრთხეს უქმნის კრედიტის გადახდას. რესტრუქტურისაციისა და პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებები ახორციელებენ გადახდისუნარიან მსესხებლების მართვას ყველა ბიზნესსეგმენტზე ვადაგადაცილებათა მართვისა და პრობლემური სესხების ამოღების სტრატეგიებით, მორგებული ბიზნესსეგმენტისა და

ინდივიდუალური დავალიანებების სპეციფიკაზე. რესტრუქტურირების ქვედანაყოფის ძირითადი მიზანია მსესხებლის რეაბილიტაცია და სესხის გადაყვანა ისევ სტანდარტულ კატეგორიაში. რეაბილიტაციის პროცესის კომპლექსურობა დამოკიდებულია სესხის ტიპსა და სიდიდებზე. კორპორატიული, მცირე და საშუალო ბიზნესის მსესხებლები პრობლემური აქტივების ქვედანაყოფს გადაეცემა მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ სესხის ძირითადი თანხის მატერიალური ნაწილის გადახდა ვერ მოხდება და მსესხებლის ფულადი ნაკადები აღარ წარმოადგენს სესხის დაფარვის ძირითად წყაროს. სესხის ამოღების გეგმები შეიძლება მოიცავდეს სესხის ამოღების ყველა ხელმისაწვდომ რესურსს, როგორცაა: მსესხებლის აქტივების გაყიდვა, უზრუნველყოფის რეალიზება ან გარანტორების/თავდებების გამოყენება.

სესხის ამოღების პროცესში ჯგუფის მიზანია სესხის აღდგენის სტრატეგიის შეთანხმება მსესხებელთან და რაც შეიძლება მეტი ოდენობით თანხის ამოღება ან სესხის გადახდაზე მოლაპარაკება უზრუნველყოფის გაყიდვით ან დასაკუთრებით. საცალო და მიკროსესხების ამოღების ქვედანაყოფები ეხმარებიან ისეთ მომხმარებლებს, რომელთაც წარმოექმნათ ვალდებულებების დაფარვის სირთულე. ასეთი მსესხებლები ან ვერ ახორციელებენ გრაფიკით განსაზღვრული გადახდებს, ან თავად აცნობებენ ბანკს სესხის დაფარვასთან დაკავშირებული სირთულის შესახებ. ცენტრალიზებული ჯგუფი ახორციელებს საცალო ვადაგადაცილებული მსესხებლების მონიტორინგს და მათი ძალისხმევა ფილიალებთან ერთად მიმართულია ამოღების მაქსიმიზაციისკენ. პროგრამული უზრუნველყოფა, FICO, გამოიყენება ამოღების პროცესებისათვის ადრეულ ეტაპზე.

ამოღების სტრატეგიები განისაზღვრება სესხის ოდენობისა და ტიპის მიხედვით. ინდივიდუალური სტრატეგიები მორგებულია მომხმარებლების სხვადასხვა ქვეჯგუფზე და ასახავს შესაბამისი რისკის დონეებს ისე, რომ მეტი ძალისხმევა ხმარდება უფრო მაღალი რისკის პროფილის მქონე მომხმარებლებს. როგორც წესი, საცალო და მიკროსესხები პრობლემური აქტივების ქვედანაყოფს გადაეცემა 60-90-დღიანი ვადაგადაცილების შემდეგ. უზრუნველყოფილი სესხები გადაეცემა შიდა პრობლემური აქტივების ქვედანაყოფს, ხოლო არაუზრუნველყოფილი სესხების ამოღებაზე ჯგუფი თანამშრომლობს გარე კოლექტორულ კომპანიებთან. უზრუნველყოფილი სესხების ამოსაღებად შემუშავდება ამოღების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მსესხებლის ინდივიდუალურ სპეციფიკას და მოიცავს სესხის გადახდას შეცლილი/რესტრუქტურირებული გრაფიკით/პირობებით ან უზრუნველყოფის რელიზაციას. როგორც წესი, ამოღების კომპანიები მოლაპარაკებებს აწარმოებენ მსესხებლებთან სესხის ან სესხების სრული თანხის გადახდასთან დაკავშირებით ახალი გრაფიკის შესაბამისად. სესხის პრობლემური აქტივების მართვის ქვედანაყოფზე გადაცემის შემდეგ, როდესაც ჯგუფს არ შეუძლია მისაღები პირობებით მსესხებელთან მოლაპარაკება, ბანკმა შეიძლება დაიწყოს უზრუნველყოფის დასაკუთრება, რაც საზოგადოდ სტანდარტული პროცესია მცირე იურიდიული გართულებებით, და შეიძლება საჭირო იქნეს სასამართლო, საარბიტრაჟო ან ნოტარიული პროცედურები. რესტრუქტურირებისა და პრობლემური აქტივების მართვის ქვედანაყოფებში მუშაობენ კვალიფიციური იურისტები სასამართლო დავისა და დასაკუთრების პროცესების ეფექტურად წარმართვისა და აღსრულებისათვის.

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება**

2018 წლის იანვრიდან ჯგუფი გადავიდა დარეზერვების ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებაზე „ფასს 9“- ის მოთხოვნების შესაბამისად. განახლებული მეთოდოლოგიით შესაძლებელია სესხის გაუფასურების რეზერვის შეფასება მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის გამოყენებით. მეთოდოლოგიის განვითარებასთან ერთად დაინერგა ახალი ინფორმაციულ ტექნოლოგიური ინსტრუმენტი დარეზერვებისთვის.

პროექტი განხორციელდა Deloitte-ის დახმარებით. მეთოდოლოგიისა და IT უზრუნველყოფის დანერგვაზე ჯგუფის მხრიდან პასუხისმგებლები იყვნენ ჯგუფის რისკების, ფინანსური და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტები.. ახალი მოდელები უფრო კომპლექსურია და იძლევა მასში მოსალოდნელი მაკრომოვლენების ჩართვის შესაძლებლობას წინასწარ განსაზღვრული სცენარების გათვალისწინებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისთვის ჯგუფი იყენებს ოთხ კომპონენტს: (i) დეფოლტის ალბათობა (“PD”); (ii) დავალიანება დეფოლტის შემთხვევაში (“EAD”); (iii) ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (“LGD”); და (iv) დისკონტირების განაკვეთი. ECL გაზომვის დროს ჯგუფი იყენებს სამ-კატეგორიან მოდელს და ახდენს თავისი მსესხებლების კლასიფიკაციას შემდეგ ეტაპებად:

- > I კატეგორია - ჯგუფი ახდენს პორტფელის კლასიფიკაციას I კატეგორიაში თუ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა და თუ

## რისკის მართვა **გაგრძელება**

ფინანსური ინსტრუმენტი არ იყო გაუფასურებული თავდაპირველი აღიარებისას;

- II კატეგორია - აქტივი კლასიფიცირდება II კატეგორიაში, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ ითვლება გაუფასურებულად; და
- III კატეგორია - რისკები, რომლებზეც დადგინდა კრედიტის გაუფასურების მაჩვენებლები, კლასიფიცირებულია როგორც III კატეგორიის ინსტრუმენტები.

ECL-ს გამოთვლა განსხვავდება მოცემული სამი კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით:

- I კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტები - ECL წარმოადგენს არსებობის მანძილზე ECL-ის იმ ნაწილს, რომელიც გამომდინარეობს საანგარიშო თარიღიდან შემდეგი 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი დეფოლტის შემთხვევით.
- II კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტები - ECL წარმოადგენს ECL-ს აქტივის არსებობის მანძილზე, ე.ი. მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსალოდნელი დეფოლტის შემთხვევით ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მთლიანი პერიოდის განმავლობაში. არსებობის მთლიანი პერიოდი არის ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი სახელშეკრულებო გადახდის ვადა. ფაქტორები, როგორცაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვის გრაფიკების არსებობა, გადახდის ვადის გახანგრძლივების ვარიანტი და ჭკუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის პროცესები გავლენას ახდენს არსებობის პერიოდის განსაზღვრაზე;
- III კატეგორიის ინსტრუმენტები - ინსტრუმენტი იმყოფება დეფოლტში და დამდგარი ზარალის გამოთვლა ხდება მოსალოდნელი ამოღების საფუძველზე.

ჭკუფი აქტიურად განიხილავს და აკონტროლებს ფასს 9 მოდელეებიდან წარმოებულ შედეგებს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაბამისი შედეგები ადეკვატურად მოიცავს მოსალოდნელ ზარალს.

### **კოვიდ-19 რეაგირება**

კოვიდ-19 პანდემიის რეაგირების სახით, ჭკუფმა დაადგინა მაღალ მოწყვლადი კლიენტები და განსაზღვრა დაფარვის გადავადების სტრატეგია, რეფინანსირების ან რესტრუქტურირების სტრატეგიები ყველა სეგმენტში. პანდემიის გავრცელებიდან ბანკმა უზრუნველყო დაფარვის გადავადება როგორც ძირი თანხის, ასევე პროცენტის გადახდაზე საცალო და MSME სეგმენტების მომხმარებლებისთვის, ასევე კორპორატიული მსესხებლებისთვის, რომლებზეც უარყოფითი გავლენა მოახდინა მთავრობის ლოქდაუნებმა. სტრატეგიის შესაბამისად, ზოგ კლიენტს მიენიჭა დაფარვის გადავადების უფლება მხოლოდ პროცენტზე, ხოლო სხვა კლიენტებმა მიიღეს ასეთი შეღავათი როგორც ძირ თანხაზე, ასევე პროცენტზე. მთავრობამ შეიმუშავა სპეციალური მხარდაჭერის პროგრამა დაზარალებული სექტორებისთვის: რესტორნებმა და მცირე და საშუალო სასტუმროებმა მიიღეს სუბსიდიები, პროცენტის გადახდებზე 70-80% ოდენობით. დამატებითი ინფორმაცია მთავრობის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ იხილეთ ჩვენი მომხმარებლის ნაწილში, გვერდებზე 60-63.

დამატებით, ბანკი აქტიურად ახორციელებს სტრეს-ტესტებს და სცენარულ ანალიზს მსესხებლების მდგრადობის შესამოწმებლად სხვადასხვა სტრესულ პირობებში. სტრეს ტესტები მოიცავს დაშვებებს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების, მშპ-ს ზრდის, სექტორული ზრდის, უმუშევრობის, ინფლაციის, უძრავი ქონების და საქონლის ფასების ცვლილებების, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების და საკრედიტო და სადეპოზიტო პორტფელების განვითარების შესახებ. თიბისი ბანკი ახორციელებს ინტენსიურ ფინანსურ მონიტორინგს მსესხებლის შესუსტებული ფინანსური და ბიზნს პერსპექტივების დასადგენად მათთვის რესტრუქტურირების გეგმის შეთავაზების მიზნით, რომელიც მორგებულია მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

ბანკმა გადახედა კრედიტის ანდერრაიტინგის სტანდარტებს ყველა სეგმენტში კოვიდ-19 პანდემიის გათვალისწინებით და გაამკაცრა ისინი საჭიროების მიხედვით. სტანდარტების გადახედვა და გამკაცრება, სხვა ზომებს შორის, მოიცავდა შემდეგს: ცვლილებები გადაწყვეტილების მიღების და დამტკიცების უფლების დელეგირებაში მოწყვლადი სექტორის მსესხებლებისთვის, გამოყენებული რისკის ფაქტორი დაზარალებული სექტორების ინდივიდუალური მსესხებლების შემოსავლებზე და მაკროეკონომიკური სექტორული მოლოდინების ინტეგრაცია შეფასების პროცესში ბიზნეს მსესხებლებისთვის.

## ფინანსური რისკის მართვა

### ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეიძლება არ ჰქონდეს საკმარისი ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსი თავისი მოვალეობებისა და ვალდებულებების დროულად დასაფარად ან აღნიშნული რესურსები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ მაღალ ფასად. როგორც დაფინანსების, ისე საბაზრო ლიკვიდობის რისკი შეიძლება წარმოიქმნას მრავალი ფაქტორის შედეგად, რომლებსაც ჯგუფი ვერ აკონტროლებს. ფინანსური ბაზრის არასტაბილურობის გამო ისეთმა ფაქტორებმა, როგორებიცაა: საკრედიტო რეიტინგის გაუარესება ან სხვა უარყოფითი მოვლენა, შეიძლება გავლენა იქონიოს ფასზე ან საჭირო დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე ჯგუფის სამომავლო ვალებისთვის გადახდების განსახორციელებლად.

ლიკვიდობის რისკის მართვას ახორციელებენ ფინანსური რისკის მართვისა და ხაზინის დეპარტამენტები, მონიტორინგს კი – დირექტორთა საბჭოს „რისკების კომიტეტი“ ან „აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი“ (ALCO) თავიანთი წინასწარგანსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში.

ჯგუფის ლიკვიდობის რისკის მართვის პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- დაფინანსების უზრუნველყოფა, მთლიანი ვალდებულებების და ბალანსგარეშე როგორც ფაქტიური ისე პირობითი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად ეკონომიკურ ფასად.
- ნებისმიერი სტრუქტურული შშუსაბამობის აღმოჩენა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და მონიტორინგის კოეფიციენტების დადგენა დაფინანსების მართვის უზრუნველსაყოფად ჯგუფის დაბალანსებული ზრდის შესაბამისად; და
- ლიკვიდობისა და დაფინანსების მუდმივი მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბიზნესის დამტკიცებული მიზნების მიღწევა ჯგუფის რისკის პროფილის საფრთხის ქვეშ დაყენების გარეშე.

დირექტორთა საბჭო განიხილავს ლიკვიდობის რისკის მართვის პოლიტიკას, რის შემდეგაც იგი დასამტკიცებლად წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს.

ლიკვიდობის რისკი ჯგუფდება ორი ტიპის რისკად: დაფინანსების ლიკვიდობისა და საბაზრო ლიკვიდობის რისკები.

**დაფინანსების ლიკვიდობის რისკი** არის რისკი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მოსალოდნელი და მოულოდნელი მიმდინარე და სამომავლო ფულადი ნაკადების ეფექტურად დაკმაყოფილებას ოპერაციებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის გარეშე როგორც ჩვეულებრივ პირობებში, ისე კრიზისის დროს. ლიკვიდურობის რისკი იზომება ბანკის მიერ სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად. დამატებით ჯგუფი იყენებს, საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, სტრეს ტესტებს და “what-if” სცენარების ანალიზს და ახორციელებს სხვადასხვა ლიკვიდურობის რისკის პარამეტრებს, რომელიც ჯგუფმა შეიმუშავა შიდა ფარგლებში.

დაფინანსების ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად, ბანკი ამჟამად აკონტროლებს Basel III დაფუძნებულ პარამეტრებს:

- მოკლევადიანი ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის, ბანკი იყენებს ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტს (LCR);
- ხოლო გრძელვადიანი ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის, ბანკი იყენებს წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტს (NSFR).

2017 წელს სებ-მა შემოიღო თავისი LCR ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნებისათვის. Basel III სახელმძღვანელო მითითებების გარდა, ეს კოეფიციენტი იყენებს კონსერვატიულ მიდგომას სავალდებულო რეზერვებისა და დეპოზიტების გადინების კოეფიციენტების მიმართ, რაც დამოკიდებულია კლიენტთა ჯგუფის კონცენტრაციაზე. 2017 წლის სექტემბრიდან ჯგუფი ახორციელებს „სებ“-ის LCR ლიმიტების მონიტორინგსაც. მთლიანი LCR ლიმიტის გარდა, „სებ“-მა განსაზღვრა ასევე ლიმიტები ვალუტების მიხედვით: ლარსა და უცხოურ ვალუტაში. LCR გამოითვლება მაღალლიკვიდური აქტივების გაყოფით 30- დღიანი წმინდა ფულადი სახსრების გადინებაზე და გამოიყენება მოკლევადიანი ლიკვიდობის რისკების მართვისთვის. ლარიზაციის ხელშეწყობისთვის ქვეყანაში, სებ-ი განსაზღვრავს დაბალ ლიმიტს ლარში ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტისთვის (LCR) უცხოურ ვალუტაში LCR-თან შედარებით. 2019 წლის ოქტომბრიდან FC სავალდებულო რეზერვი ითვლება 100%-ით HQLA ფარგლებში სებ-ის LCR მიზნებისთვის. იმავე პერიოდში სებ-მა შეამცირა FC სავალდებულო მოთხოვნები 30%-დან 25%-

## რისკის მართვა **გაგრძელება**

მდე.

2019 წლის სექტემბრიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შემოიღო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი ("NBG NSFR") ლიკვიდობის რისკის მართვის დაფინანსების

	2020	2019	2018
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი, როგორც განსაზღვრულია სებ-ის მიერ	126.0%	126.7%	129.3% <sup>1</sup>
მინიმალური წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი, როგორც განსაზღვრულია სებ-ის მიერ	100%	100%	n/a
სულ ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი, როგორც განსაზღვრულია სებ-ის მიერ	134.2%	110.1%	113.9%
მინიმალური საერთო ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი, როგორც განსაზღვრულია სებ-ის მიერ	100%	100%	100%
LCR ლარში, როგორც განსაზღვრულია სებ-ის მიერ	132.2%	83.7%	102.5%
მინიმალური LCR ლარში <sup>L</sup> , როგორც განსაზღვრულია სებ-ის მიერ	n/a	75%	75%
LCR უცხოურ ვალუტაში, როგორც განსაზღვრულია სებ-ის მიერ	134.9%	128.4%	121.1%
მინიმალური LCR უცხოურ ვალუტაში, როგორც განსაზღვრულია სებ-ის მიერ	100%	100%	100%

მიზნებისთვის. NSFR გამოითვლება ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსების გაყოფით სტაბილური დაფინანსების საჭიროებაზე და გამოიყენება გრძელვადიანი ლიკვიდობის რისკის მართვისათვის უფრო ხანგრძლივ პერიოდში მდგრადობის ხელშეწყობისათვის დამატებითი მოტივაციის შესაქმნელად, რათა ბანკი უფრო მეტად დაეყრდნოს დაფინანსების სტაბილურ წყაროს. ყოველთვიურად ბანკი აკონტროლებს დადგენილ ზღვართან შესაბამისობას NBG NSFR დაკავშირებით. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კოეფიციენტები იყო სებ-ის მიერ დადგენილ გონივრულ ზღვარს ზემოთ, შემდეგი სახით:

**ბაზრის ლიკვიდურობის რისკი** არის რისკი, რომ სუსტი საბაზრო ლიკვიდობის მდგომარეობის ან ბაზარზე შექმნილი პრობლემების გამო ჯგუფმა ვერ უზრუნველყოს გარკვეული პოზიციების დაბალანსება საბაზრო ფასებით. საბაზრო ლიკვიდობის რისკის მართვისთვის. ჯგუფი ხელმძღვანელობს Basel III სახელმძღვანელო მითითებებს მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივის კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს მაღალი ხარისხის ლიკვიდობის აქტივების რეალიზაცია ღირებულების მინიმალური დანაკარგებით, ფასის მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე. ამასთან, ჯგუფს აქვს ლიკვიდობის ალტერნატიული გეგმა, რომელიც ლიკვიდობის მართვის მთლიანი გუნდის პოლიტიკის ნაწილია. გეგმა მიზნად ისახავს ჯგუფის მიერ დაფინანსებისა და ლიკვიდობის მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველყოფასა და მისი ძირითადი ბიზნესოპერაციების შეუფერხებლად შესრულებას ლიკვიდობის გაუარესების პირობებში, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის ბიზნესსაქმიანობის ფარგლებს გარეთ.

კოვიდ-19 პანდემიის შედეგად, სებ-მა განახორციელა კონკრეტული კონტრციკლური ზომები ლიკვიდურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით:

- > 2020 წლის აპრილში, სებ-მა გახსნა აშშ დოლარი / ლარი სავალუტო სვოპის ხაზები ულიმიტო ოდენობით;
- > სებ-მა გააუქმა ლარში LCR ( $\geq 75\%$ ) 1 წლით; და
- > ბიზნეს სესხები შეიძლება დაგირავდეს სებ-ში ლიკვიდურობის მხარდაჭერით.

ზემოაღნიშნულის გარდა, სებ-მა გამოაცხადა დამატებითი პოტენციური კონტრციკლური ზომები, საჭიროების შემთხვევაში, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- > LCR ლიმიტების შემცირება;
- > სავალდებულო რეზერვის მოთხოვნების შემცირება უცხოურ ვალუტაში; და
- > განახლებული კრიტერიუმები ფასიანი ქაღალდების ან რეპო დაგირავებისთვის, ლარში ლიკვიდურობის მხარდასაჭერად.

### დაფინანსება და დაფარვის ვადის ანალიზი

<sup>1</sup> შიდა შეფასებების საფუძველზე



ჯგუფის ლიკვიდობის ძირითად წყაროს წარმოადგენს დეპოზიტები და ანგარიშები, ადგილობრივი და საერთაშორისო ბანკებიდან და საფინანსო ინსტიტუტებიდან ნასესხები თანხები, სუბორდინირებული სესხები ინვესტორი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, ადგილობრივ ბანკთაშორისი მოკლევადიანი დეპოზიტები და სესხები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვისგან მიღებული ამონაგები, სესხების ძირითადი თანხის გადახდები, საპროცენტო შემოსავალი და საკომისიო შემოსავალი. სამეთვალყურეო საბჭოს ხედვით, ერთ-ერთი, რაც ჯგუფს გამოარჩევს, არის მძლავრი და დივერსიფიცირებული დაფინანსების სტრუქტურა. ჯგუფი ძირითადად იზიდავს შედარებით სტაბილურ დეპოზიტებს საქართველოდან, როგორც დაფინანსების უმთავრეს წყაროს. ჯგუფი ასევე მონიტორინგს უწევს მსხვილი დეპოზიტარების კონცენტრაციას და განსაზღვრავს ლიმიტებს არა-რეზიდენტი დეპოზიტარების წილზე მთლიან დეპოზიტების პორტფელში.

თავისივალდებულების სტრუქტურის შენარჩუნებისა და შემდგომი გაძლიერებისთვის, ჯგუფი ადგენს მიზნობრივ ნიშნულებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის ინვესტორებიდან მიღებული სახსრებისა და დეპოზიტებისთვის რისკის აპეტიტში შესაბამისი კოეფიციენტების გამოყენებით. გრძელვადიანი ლიკვიდურობის და IFI დაფინანსების კოეფიციენტი (განსაზღვრულია, როგორც წმინდა სესხების საერთო ღირებულება, გაყოფილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული სახსრების და დეპოზიტების საერთო ღირებულების ჯამზე) შეადგენდა 100.7%, 104.3% და 89.1% შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბერს, 2019 და 2018 წლის შესაბამისად.

იმისთვის, რომ შეფასდეს ბანკის კლიენტის ანგარიშებიდან შესაძლო გადინება, ხელმძღვანელობამ გამოიყენა რისკის ეკონომიკური ღირებულების ანალიზი (VAR). რისკის ეკონომიკური ღირებულების ანალიზი (VAR) 2020 წლის დეკემბრისთვის შეადგენდა 7.6%-ს (2019: 8.4%; 2018: 10.9%). სტატისტიკური მონაცემები გამოყენებული იყო ხუთ წლიან საანგარიშო პერიოდისთვის ერთ თვიანი ფლობის პერიოდის საფუძველზე 99%-იანი ნდობის დონით. რისკის ეკონომიკური ღირებულების ანალიზი განხორციელდა შემდეგ დაფარვის ვადებში: 0-1 თვე, 0-3 თვე, 0-6 თვე და 0-12 თვე, რომლის საფუძველზეც გაანგარიშდა დეპოზიტების გადინების მაქსიმალური პროცენტული მაჩვენებელი.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მოთხოვნილი კლიენტის ანგარიშების არსებითი პოზიციის მიუხედავად, ამ დეპოზიტების დივერსიფიკაცია მენაბრეთა რაოდენობისა და ტიპის მიხედვით, და ჯგუფის ძველი გამოცდილება, მიუთითებს იმაზე, რომ კლიენტის ეს ანგარიშები უზრუნველყოფს ბანკისთვის დაფინანსების გრძელვადიან და სტაბილურ წყაროს. უფრო მეტიც, ჯგუფის ლიკვიდურობის რისკის მართვა მოიცავს მისი მიმდინარე დეპოზიტების დაფარვის ვადების შეფასებებს. ეს შეფასება ემყარება კლიენტის ანგარიშზე ნაშთების მერყეობის შესახებ ისტორიული ინფორმაციის მიმართ გამოყენებულ სტატისტიკურ მეთოდს.

**საბაზრო რისკი**

ჯგუფის ბალანსური და გარებალანსური პოზიციის მიხედვით, საბაზრო რისკი არის საბაზრო ფასის ცვლილებით გამოწვეული ზარალის რისკი, რაც შეესაბამება ბაზელის კომიტეტის განსაზღვრებას. აღნიშნული რისკები ძირითადად გახლავთ (ა) „სავაჭრო პორტფელში“ ასახული (სავაჭროდ ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტები ან საქონელი), საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული ინსტრუმენტების ან კაპიტალის რისკები; (ბ) სავალუტო კურსის რისკი და სასაქონლო რისკი ჯგუფის მასშტაბით.

ჯგუფის სტრატეგიას არ წარმოადგენს ინვესტიციების განხორციელება სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ინსტრუმენტებში ან საქონელში. შესაბამისად, ჯგუფის ერთადერთი საბაზრო რისკი არის სავალუტო რისკი თავის „სტრუქტურულ წიგნში“, რომელიც უკავშირდება რეგულარულ საბანკო საქმიანობას და არ ითვალისწინებს სავაჭრო, საარბიტრაჟო ან სპეკულაციურ განზრახვას.

**სავალუტო რისკი**

საქართველოს ეროვნული ბანკი მოითხოვს ბანკის მიერ საბალანსო მუხლებისა და მთლიანი ბალანსის (ბალანსგარეშე პოზიციების ჩათვლით) ღია სავალუტო პოზიციების მონიტორინგს და ასევე ამ უკანასკნელის შენარჩუნებას ბანკის საწესდებო კაპიტალის 20%-ის ფარგლებში. 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს ბანკი ინარჩუნებდა ღია სავალუტო პოზიციების აგრეგირებულ ნაშთს 3.4%-ის ოდენობით.

ამასთან, სამეთვალყურეო საბჭო დამატებით შეზღუდვებს აწესებს ღია სავალუტო პოზიციებზე. “ALCO“-მ დაანესა რისკის ლიმიტები ვალუტების მიხედვით და აგრეგირებული პოზიციისათვის, რომლებიც უფრო კონსერვატიულია, ვიდრე „საქართველოს ეროვნული ბანკისა“ და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დაწესებული შეზღუდვები. ხაზინისა და ფინანსური რისკის მართვის

## რისკის მართვა **გაგრძელება**

დეპარტამენტების ხელმძღვანელები ცალ-ცალკე ყოველდღიურად ახორციელებენ ბანკის შესაბამისობის მონიტორინგს ზემოაღნიშნულ შეზღუდვებთან.

აღნიშნულ ზღვრებთან შესაბამისობის შესახებ ყოველდღიური ანგარიში წარედგინება აგრეთვე

ათას ლარში	2020 წლის 31 დეკემბერს	2019 წლის 31 დეკემბერს	2018 წლის 31 დეკემბერს
მაქსიმალური ზარალი (VAR, 99% სანდოობის დონე)	(1,063)	(1,470)	(6,758)
მაქსიმალური ზარალი (VAR, 95% სანდოობის დონე)	(772)	(1,016)	(4,683)

დირექტორთა საბჭოს, ხოლო პერიოდულად – სამეთვალყურეო საბჭოსა და მის რისკების კომიტეტს“. მთლიანად ჯგუფის დონეზე სავალუტო რისკის მონიტორინგი და ანგარიშგება ხორციელდება ყოველთვიურად. სავალუტო რისკის შესაფასებლად ბანკი ახორციელებს რისკის ეკონომიკური ღირებულების ანალიზი (VAR) სენსიტიურობის ანალიზს კვარტალურ საფუძველზე.

ეს ანალიზი გაიანგარიშებს ჯგუფის შემოსავალზე ქართული ლარის კურსის მიმართ სავალუტო კურსების შესაძლო ყველაზე ცუდ ცვლილებას, როდესაც ყველა სხვა ცვლადი მაჩვენებელი მუდმივია. 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მგრძნობელობის ანალიზმა არ გამოავლინა რაიმე მნიშვნელოვანი პოტენციური ეფექტი ჯგუფის კაპიტალზე:

### საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის პოტენციური ცვლილებებისგან, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე. ეს რისკი შეიძლება წარმოიქმნას განსხვავებით აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობას შორის, ასევე მათი გადაფასების შედეგად. ჯგუფში განთავსებული დეპოზიტები და სასესხო პორტფელის უმეტესი ნაწილი გაცემულია ფიქსირებული პროცენტით, ხოლო ჯგუფის მიერ მოზიდული ნასესხები სახსრების უმეტესობა მიბმულია ცვლად ინდექსზე. ჯგუფის მიერ მოზიდული ცვლადპროცენტული სესხების ნაწილი ჰეჯირებულია, რადგან „საქართველოს ეროვნული ბანკი“ იხდის ცვლად პროცენტს თიბისი ბანკის მინიმალურ რეზერვებზე. ამასთანავე, თიბისი ბანკის მიერ გაცემული სესხების ნაწილი და მიღებული დეპოზიტები შეიცავს ჩანაწერს, რომელიც ბანკს აძლევს საპროცენტო განაკვეთის გადახედვის უფლებას, საპროცენტო განაკვეთების უარყოფითი ცვლილებების შემთხვევაში, რაც ქმნის საპროცენტო რისკის შემცირების შესაძლებლობას. ბანკის ხელმძღვანელობის ხედვით, თიბისი ბანკის საპროცენტო განაკვეთის მარჯები უზრუნველყოფენ ასევე გონივრულ რეზერვს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო უარყოფითი ცვლილების გავლენის შესამცირებლად.

ჯგუფი საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვისათვის იყენებს თანამედროვე ჩარჩოს, შესაბამისი რისკის აპეტიტის ლიმიტების დადგენით, მათთან შესაბამისობის მონიტორინგით და პროგნოზების მომზადებით. 2020 წლის სექტემბრიდან სებ-მა დანერგა რეგულაცია საპროცენტო განაკვეთის რისკის შესახებ და განსაზღვრა ლიმიტი კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების (EVE) მგრძნობელობისთვის, სებ-ის პირველადი კაპიტალის 15%-ით.

სებ-ის IRR მეთოდოლოგიის მთავარი პრინციპი შეესაბამება ბაზელის სტანდარტებს და EBA სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელიც შემუშავებულია IRR მართვის მიზნებისთვის. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი შესაბამისობაში იყო მარეგულირებელ მოთხოვნებთან EVE - 3.5%. სებ-ის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთის სცენარების პარალელური ცვლის ფარგლებში შენარჩუნდა მონიტორინგის მიზნებისთვის, ხოლო EVE მგრძნობელობა გამოითვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების ექვსი წინასწარ განსაზღვრული სტრეს-სცენარის ფარგლებში. საპროცენტო განაკვეთის რისკს მართავს ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტი ხოლო მის მონიტორინგს – ALCO, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც აუცილებელია საპროცენტო განაკვეთის რისკის ეფექტური მართვისათვის, და თვალყურს ადევნებს მათ განხორციელებას. ინფორმაცია საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვისა და შესაბამისი ანგარიშების ძირითადი ასპექტების შესახებ პერიოდულად მიეწოდება დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და რისკების კომიტეტს.



კონსერვაციის ბუფერის განაკვეთად განისაზღვრა რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციების 2.5%, ხოლო კონტრციკლური ბუფერის განაკვეთად 0%. კონტრციკლური ბუფერი შეიძლება დაწესდეს რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 0%-დან 2.5%-ის შუალედის ფარგლებში. აღნიშნული გადაიხედება პერიოდულად, ფინანსური და მაკროეკონომიკური გარემოს საფუძველზე. გარდა ამისა, სებ-მა განსაზღვრა საქართველოში სამი კომერციული ბანკი, როგორც ადგილობრივი სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკები (“DSIBs”), სისტემურად მნიშვნელოვანი კომერციული ბანკებისათვის მოხდა სისტემურობის ბუფერის შემოღება. რაც ნიშნავს, იმას, რომ ამ ბანკებს (“DSIBs”) მოუწევთ უფრო მეტი ძირითადი პირველადი კაპიტალის გადაღება, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებისთვის. ამ მოთხოვნების განხორციელებისთვის განისაზღვრა პერიოდი 2018 წლის ბოლოდან 2021 წლის ბოლომდე. კერძოდ „სებ“-ის მიერ განისაზღვრა ქვემოთ წარმოდგენილი სისტემური ბუფერები და შესაბამისობაში მოყვანის ვადები: 1.0% - 2018 წლის 31 დეკემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, 1.5% - 2019 წლის 31 დეკემბრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, 2.0% - 2020 წლის 31 დეკემბრიდან 2021 წლის დეკემბრამდე პერიოდისთვის და 2.5% - 2021 წლის 31 დეკემბრიდან.

**პილარ 2-ის მოთხოვნები.** Basel III-ის შესაბამისად, სებ-მა დანერგა ბუფერული კაპიტალის მოთხოვნები კომერციული ბანკებისთვის პილარ 2-ის ფარგლებში, რომლებიც ეფუძნება საზედამხებდველო შემოწმებას და შეფასებას და ეხება ბანკისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლებიც არ არის საკმარისად გათვალისწინებული პილარ 1-ში, მათ შორის არაპეჭირებული ვალუტის შედეგად საკრედიტო რისკის ბუფერი და წმინდა საერთო რისკის შეფასების პროგრამის (GRAPE) წმინდა ბუფერი. სებ-მა ასევე შემოიღო საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის ბუფერი და წმინდა სტრეს-ტესტის ბუფერი. საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის ბუფერი ძალაში შევიდა 2018 წლის 1 აპრილიდან და წმინდა სტრესის ბუფერის საჭიროება შეფასდება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სტრეს-ტესტების შედეგების საფუძველზე. სებ-ის რეგულაციის შესაბამისად, კაპიტალის 56%, რომელიც მოითხოვება პილარ 2-ის ფარგლებში, დაცული უნდა იყოს საბაზისო პირველად კაპიტალში, ხოლო კაპიტალის 75% - პირველად კაპიტალში და კაპიტალის 100% საერთო საზედამხებდველო კაპიტალში.

**დროებითი ზომები**

კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული უარყოფითი გავლენის შერბილების მიზნით, სებ-მა შეიმუშავა დროებითი საზედამხებდველო გეგმა. გეგმის შესაბამისად, კომერციულ ბანკებს შეუმსუბუქდა კაპიტალის მოთხოვნები, რაც გულისხმობს:

- > კონცენტრაციის რისკის და წმინდა GRAPE ბუფერების მოთხოვნის ძირითად პირველად და პირველად კაპიტალზე გადანაწილების ჩარჩოს ფარგლებში 2020 წლის მარტისთვის დაგეგმილი განაკვეთების ამოქმედების გადავადებას;
- > კაპიტალის კონსერვაციის ბუფერისა და არაპეჭირებული სავალუტო საკრედიტო რისკის(CICR) ბუფერის 2/3-ის გაუქმებას;
- > „პილარ 2“-ის დარჩენილი მოთხოვნებისგან გათავისუფლებას (დარჩენილი 1/3 CICR, კონცენტრაციის და წმინდა GRAPE ბუფერები) საჭიროების შემთხვევაში.

აღნიშნული ზომების შემოღების შემდეგ, ბანკმა გამოიყენა როგორც კონსერვაციის, ისე 2/3 CICR ბუფერი და შესაბამისად, ბუფერების აღდგენამდე ეზღუდება კაპიტალის განაწილება.

სებ-მა შეადგინა ახალი განრიგი კაპიტალის მოთხოვნების თანდათანობით შემოღების შესახებ ახალი განრიგის შესაბამისად, კონცენტრაციის რისკისა და წმინდა GRAPE ბუფერები ეტაპობრივად გაგრძელდება 2021 წლის მარტიდან და სრულად იქნება შემოღებული 2023 წლის მარტისთვის. სისტემური ბუფერი მოსალოდნელია, რომ გაიზრდება 0.5pp-ით 2.5%-ზე 2021 წლის ბოლოს. სებ-ის ოფიციალური განცხადების საფუძველზე, გადანყვეტილება კონსერვაციის ბუფერების და CICR-ის აღდგენასთან დაკავშირებით გადავადდა მომდევნო ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის სხდომაზე, რომელიც ჩატარდება 2021 წლის ივნისში. ბუფერების აღდგენის გამოცხადების შემდეგ, ბანკს მიეცემა ერთი და ორი წელი CICR და კონსერვაციის ბუფერის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებისთვის. თუმცა თუ ბანკს სურს გასცეს დივიდენდები, მან სრულად უნდა აღადგინოს და დაიცვას ბუფერები.

<i>In thousands of GEL</i>	2020	2019	2018
<b>ძირითადი პირველადი კაპიტალი</b>	<b>1,911,233</b>	1,871,892	1,629,594
<b>პირველადი კაპიტალი</b>	<b>2,385,181</b>	2,281,706	1,678,716
<b>მეორადი კაპიტალი</b>	<b>752,731</b>	692,323	672,553
<b>საზედამხედველო კაპიტალი</b>	<b>3,137,912</b>	2,974,029	2,351,269
<b>რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები</b>			
საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	<b>16,322,524</b>	13,825,677	11,458,497
საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	<b>106,379</b>	15,429	179,381
საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	<b>1,872,574</b>	1,749,821	1,516,993
<b>სულ რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები</b>	<b>18,301,477</b>	15,590,927	13,154,872
<b>მინიმალური ძირითადი პირველადი კაპიტალის მოთხოვნა</b>	<b>7.4%</b>	10.4%	9.7%
<b>ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი</b>	<b>10.4%</b>	12.0%	12.4%
<b>მინიმალური პირველადი კაპიტალის მოთხოვნა</b>	<b>9.2%</b>	12.5%	11.8%
<b>პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი</b>	<b>13.0%</b>	14.6%	12.8%
<b>მინიმალური მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნა</b>	<b>13.7%</b>	17.5%	16.7%
<b>მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი</b>	<b>17.1%</b>	19.1%	17.9%

2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის განახლებული პილარი 2 მოთხოვნები შეადგენს 0.9%, 1.2% და 3.7%-ს საბაზრო პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და საერთო საზედამხედველო კაპიტალის შესაბამისად.

როგორც პირველადი, ასევე საერთო საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები გამოითვლება სებ-ის მიერ შემოღებული ბაზელ III მეთოდოლოგიის საფუძველზე. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები, ასევე სებ-ის მიერ დაწესებული მინიმალური მოთხოვნები.

## არაფინანსური რისკის მართვა

### საოპერაციო რისკის მართვა

ჯგუფის წინაშე არსებული რისკებიდან ერთ-ერთი მთავარია საოპერაციო რისკი, რომელიც არის შიდა და გარე თაღლითობის მოვლენების, არაადეკვატური პროცესების ან პროდუქტების, ბიზნესის დესტაბილიზაციის და სისტემის გაუმართაობის, ადამიანური შეცდომების ან აქტივების ზიანის შედეგად ზარალის მიღების რისკი. საოპერაციო რისკი ასევე გულისხმობს იურიდიული, რეპუტაციული, შესაბამისობის ან კიბერუსაფრთხოების რისკებით გამოწვეულ ზარალს.

ჯგუფს შეეხება უწევს მრავალი სახის საოპერაციო რისკთან, მათ შორისაა: თაღლითობა და სხვა შიდა თუ გარე კრიმინალური ქმედებები; პროცესების, კონტროლის ან პროცედურების დარღვევა; სისტემების შეფერხებები ან გარე მხარისაგან კიბერშეტევები ჯგუფის კლიენტებისათვის მომსახურების ან დამხმარე ინფრასტრუქტურის ხელმიუწვდომლობის მიზნით, რაც, თავის მხრივ, საფრთხის ქვეშ აყენებს ჯგუფის, მისი კლიენტების, პარტნიორების ან მომხმარებლების დაცულ ინფორმაციასა და ფინანსურ ოპერაციებს.

გარდა ამისა, ჯგუფს გააჩნია ისეთი რისკები, რომლებიც იწვევენ კრიტიკული ფუნქციების მქონე სისტემების ან ბიზნესის შეფერხებას ისეთი მოვლენების შედეგად, რომლებიც მის კონტროლს საერთოდ ან ნაწილობრივ არ ექვემდებარება, როგორებიცაა: ბუნებრივი კატასტროფები, სატრანსპორტო ან კომუნალური მომსახურების შეფერხება და სხვა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ზარალი ან მომხმარებელთა მომსახურების შეწყვეტა ან წყვეტა და/ან ეკონომიკური ზარალი ჯგუფისთვის.

ზემოთ განხილული საოპერაციო რისკები ვრცელდება ისეთ სიტუაციებზეც, როდესაც ჯგუფი მომსახურებას გარე მომწოდებლისგან იღებს. სწრაფად ცვალებადი გარემოს და როგორც საბანკო მომსახურების ისე პოტენციურ თაღლითობათა სირთულის გათვალისწინებით, იზრდება პროცესების, კონტროლის, პროცედურებისა და სისტემების მუდმივად გაუმჯობესების მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული რისკი ან შემცირდეს ჯგუფის მიერ ზარალის მიღების რისკი.

საოპერაციო რისკის გადახედვისა და შერბილების მიზნით, ჯგუფში შექმნილია საოპერაციო რისკის მართვის ჩარჩო, ყოველისმომცველი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ეფექტური საოპერაციო რისკის მართვის ზოგადი პრინციპები, განმარტებულია პროცესში მონაწილე მხარეების ფუნქციები და პასუხისმგებლობები. ამ ჩარჩოს შემადგენელი ნაწილია პოლიტიკა და პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია საოპერაციო რისკების ეფექტური მართვა. დირექტორთა საბჭო უზრუნველყოფს მძლავრი შიდა კონტროლის კულტურის ჩამოყალიბებას ჯგუფში, სადაც კონტროლის ღონისძიებები ოპერაციების შემადგენელი ნაწილია. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს საოპერაციო რისკის დასაშვებ დონეს, ხოლო „საოპერაციო რისკების კომიტეტი“ ახორციელებს ამ ზღვრებთან შესაბამისობის ზედამხედველობას. „საოპერაციო რისკების კომიტეტი“ რეგულარულად განიხილავს ჯგუფის საოპერაციო რისკის პროფილსა და რისკის მინიმუმამდე შემცირების რეკომენდაციებს.

საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტი ასრულებს დაცვის მეორე დონის ფუნქციას. იგი პასუხისმგებელია ზემოთ აღნიშნული ჩარჩოს, სათანადო პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელებაზე, რათა ჯგუფმა შეძლოს საოპერაციო რისკების მართვა, ასევე პასუხისმგებელია აგრეთვე საოპერაციო რისკის მეორე მოვლენების მონიტორინგზე, რისკის მისაღები დონისა და კონტროლის გარემოში არსებითი სისუსტეების მონიტორინგზე. აღნიშნული დეპარტამენტი პასუხისმგებელია აგრეთვე საოპერაციო რისკების ყოველდღიურ მართვაზე სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით. აღნიშნული მოიცავს შემდეგს და არა მხოლოდ:

- > რისკისა და კონტროლის თვითშეფასება (RCSA), რომლის მიზანია ოპერაციებსა და პროცესებში შესაძლო ნაკლოვანებების აღმოჩენა სათანადო გამოსასწორებელი ღონისძიებების შესათავაზებლად;
- > რეალიზებული რისკების შემთხვევების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და სიღმისეული ანალიზის ჩატარება, მომავალში მათი მიტიგაციისათვის;
- > საოპერაციო რისკების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა შემდგომი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზისათვის, შიდა თაღლითობის შემთხვევების ანალიზი და ძირითადი რისკის მაჩვენებლების მონიტორინგი;
- > ახალი რისკების შეფასება და ახალი პროდუქტების, პროცედურებისა და მომსახურების ვალიდაცია;
- > ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა არასტანდარტულ შემთხვევებში;
- > ინფორმაციული ტექნოლოგიების ინციდენტების ხდომილობის მონიტორინგი და იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის ზედამხედველობა;
- > სადაზღვევო პოლისების შექმნა საოპერაციო რისკის შემცველი მოვლენებიდან ზარალის რისკის გადასაცემად.

საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტმა გააძლიერა თავისი შიდა კონტროლის, რისკის შეფასების ჯგუფები და მეთოდოლოგია, რათა კიდევ უფრო დახვეწოს არსებული კონტროლის გარემო. საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია რისკების მართვის დირექტორის წინაშე. საოპერაციო რისკების კონტროლისა და შემსუბუქების მიზნით დანერგილია სხვადასხვა პოლიტიკა, პროცესები და პროცედურები, მათ შორის:

- > განახლდა საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩო და დამატებითი პოლიტიკები, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს საოპერაციო რისკების პროგრამის ეფექტური შესრულება. აგრეთვე, შემუშავებულ იქნა ბანკის მასშტაბით არსებული საოპერაციო რისკების რეესტრი.
- > რისკის მართვის პოლიტიკის დანერგვა, რაც ბანკს აუთოსორსინგის (ვენდორების) რისკის მართვის საშუალებას მისცემს, რომელიც წარმოიშობა უარყოფითი მოვლენებისა და რისკის კონცენტრაციის გამო ვენდორის წარუმატებელი შერჩევის შედეგად, ვენდორის და/ან ვენდორის მიერ მოწოდებული მომსახურების არასაკმარისი კონტროლისა და ზედამხედველობის, ასევე ვენდორის სხვა გავლენების გამო;
- > რისკისა და კონტროლის თვითშეფასების პოლიტიკა, რომელიც საშუალებას იძლევა განწყვეტილი შეაფასოს არსებული და პოტენციური რისკები, ჩამოაყალიბოს რისკის შემცირების სტრატეგია და სისტემატურად ამონიტორინგოს რისკის შემცირების გეგმის პროგრესი.
- > საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტის ჩართვა ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების დამტკიცების პროცესში, რათა მინიმუმამდე შემცირდეს დაკავშირებული რისკები;
- > სპეციალური საოპერაციო რისკის გაცნობიერების პროგრამის შემუშავება ბანკის თანამშრომლებისათვის და ტრენინგების რეგულარულად ჩატარება ბანკის შიდა რისკების კულტურის კიდევ უფრო გასაძლიერებლად.

საანგარიშო პერიოდში საოპერაციო რისკების მართვის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო

„რისკისა და კონტროლის თვითშეფასება“ (RCSA), რომელიც ფარგლებშიც მოხდა ბანკის ყველაზე პრიორიტეტული პროცესების გადახედვა და გაუმჯობესების სფეროების განსაზღვრა.

საოპერაციო რისკის მართვის ჩარჩო და მისი დამატებითი პოლიტიკა განახლდა საოპერაციო რისკის მართვის პროგრამის ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. გარდა ამისა, ბანკი აქტიურად მუშაობდა ბანკის მასშტაბით საოპერაციო რისკის რეესტრის შემუშავებაზე.

**შესაბამისობა**

შესაბამისობის რისკების მართვის განყოფილება არის მთავარი სამსახური, რომელიც ასრულებს ბანკის შესაბამისობის ფუნქციას, აქვს ოფიციალური სტატუსი და დამოუკიდებელია მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და ბიზნეს მიმართულებებისგან.

შესაბამისობის უზრუნველყოფის ფუნქციურ როლს ასრულებს შესაბამისობის ოფიცერი, რომელიც მოქმედებს, როგორც მრჩეველი და კოორდინატორი უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პრობლემებზე სტრუქტურულ ერთეულებსა და ბიზნესმიმართულებებში. შესაბამისობის რისკების მართვის განყოფილების უფროსი კვარტალურად აბარებს ანგარიშს რისკის კომიტეტს და დისციპლინარული ხასიათის ანგარიშს წარუდგენს გენერალურ დირექტორს. აღნიშნული განყოფილება პასუხისმგებელია ჯგუფის შესაბამისობისა და რეპუტაციის რისკის მართვაზე. იგი უზრუნველყოფს შემდეგი პოლიტიკის მოთხოვნების განხორციელებასა და მონიტორინგს: ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა; სანქციების პოლიტიკა, მექრთამეობის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და გადასახადებისგან თავის არიდების პრევენციის პოლიტიკა; დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხორციელების შესახებ პოლიტიკა; ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისა და რეპორტირების პოლიტიკა; ეთიკის კოდექსი; ცვლილების მართვის პოლიტიკა და ინციდენტების მართვის პოლიტიკა.

შესაბამისობის რისკების მართვის განყოფილება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკს მართავს:

- > კანონებსა და რეგულაციებში მოქმედი ცვლილებების პროცესებზე პასუხისმგებელი პირების მიერ დროულად განხორციელების უზრუნველყოფით;
- > მონაწილეობის მიღებით ახალი პროდუქტის / პროცესის დამტკიცების პროცესში;
- > მომხმარებელთა პრეტენზიების გამომწვევი მიზეზების, საოპერაციო რისკის გამომწვევი მოვლენების მონაცემთა ბაზის, შიდა აუდიტის მიერ აღმოჩენილი ფაქტებისა და სასამართლო საქმეების ანალიზი პროცესის სუსტი მხარეების პროაქტიულად გამოვლენის მიზნით; და
- > შიდა პროცესების წლიური RCSA ჩატარებით.

ზემოაღნიშნული ანალიზის და პროცესების შედეგების საფუძველზე, შესაბამისობის დეპარტამენტი ახორციელებს ცვლილებებს შიდა ინსტრუქციებში ან გასცემს რეკომენდაციებს ბანკის სტრუქტურულ ერთეულებს შესაბამისი პროცესების ცვლილებების შესახებ. შესაბამისობის რისკის ოფიცრებს აქვთ მრჩეველების და კონსულტანტის ფუნქციები შესაბამისობის საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისობის რისკის მართვის დეპარტამენტი განსაზღვრავს ტრენინგ პროგრამებს, რომელიც მოიცავს AML/CFT კანონებს, რეგულაციებს და ჯგუფის პოლიტიკას და პროცედურებს, რომლებიც გამოიყენება ფინანსური დანაშაულის რისკების შესარბილებლად და უტარებს ტრენინგებს ყველა მოქმედ და ახალ თანამშრომელს. კოვიდ-19 პანდემიის გამო 2020 წელს შესაბამისობის დეპარტამენტმა ყველა მოქმედ და ახალ თანამშრომელს ტრენინგ კურსები ჩაუტარა დისტანციური სწავლების რეჟიმში და ხელი შეუწყო ჯგუფში შესაბამისობის კულტურის განვითარებას. დისტანციური სასწავლო პროგრამა მოიცავდა ოფიციალურ ტრენინგ კურსებს, ასევე მიმდინარე კომუნიკაციებს, თანამშრომლების განათლების და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ უწყვეტი ინფორმირების უზრუნველყოფის მიზნით.

**ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა (AML)**

ჯგუფს აქვს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (AML/CFT) მაღალი სტანდარტი და მოითხოვს ჯგუფის ყველა წევრმა კომპანიამ, ხელმძღვანელობამ და თანამშრომლებმა დაიცვან აღნიშნული სტანდარტები თიბისი ბანკის პროდუქტების და მომსახურებების ფულის გათეთრების / ტერორიზმის დაფინანსების მიზნით გამოყენების პრევენციისთვის. ჯგუფის AML/CFT პროგრამა ეფუძნება მოქმედ იურიდიულ და ნორმატიულ მოთხოვნებს, რომლებიც შეესაბამება FATF რეკომენდაციებს, ევროკავშირის რეგულაციებს და საუკეთესო პრაქტიკას.

ჯგუფის მიერ განხორციელებული AML/CTF შესაბამისობის პროგრამა მოიცავს წერილობით პოლიტიკას, პროცედურებს, შიდა კონტროლს და სისტემებს, მათ შორის დაარამხოლოდ: პოლიტიკას და პროცედურებს AML კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის; „იცნობდე შენს კლიენტს“ (KYC) და მომხმარებლის კომპლექსური შემოწმების პროცედურებს; მომხმარებლის შემოწმებას ტერორისტების და განსაკუთრებული კატეგორიის და აკრძალულ პირთა ჩამონათვალის მიხედვით; ფინანსური და სხვა სანქციების ჩამონათვალს, პერსონალის რეგულარულ ტრენინგს და ცნობადობის ამაღლებას; და ბანკის მომხმარებლების საეჭვო საქმიანობების მონიტორინგის და ანგარიშგების პროცედურებს.

დაცვის მეორე ხაზის ფარგლებში AML განყოფილება უზრუნველყოფს რისკების მართვას ჯგუფის მიერ განსაზღვრული რისკის აპეტიტის შესაბამისად და ხელს უწყობს ძლიერ რისკის კულტურას ორგანიზაციის მასშტაბით.

ჯგუფს აქვს კომპლექსური AML უზრუნველყოფა, რაც შესაძლებლობას აძლევს AML განყოფილებას დაიცვას სანქციების პოლიტიკა კლიენტების ტრანზაქციების მონიტორინგის და საეჭვო ქცევის დადგენის მიზნით. AML განყოფილება მუშაობს პროგრამული უზრუნველყოფის მუდმივ გაუმჯობესებაზე საოპერაციო ეფექტურობის გაზრდის დაცრუ დამთხვევების რაოდენობის შემცირების მიზნით.

მარეგულირებელი ცვლილებების შემდეგ, ჯგუფმა შეიმუშავა და დაამტკიცა ახალი AML პოლიტიკა 2020 წელს. ახალი რეგულაციით გაფართოვდა პოლიტიკურად გავლენიანი პირის (PEP) დეფინიცია, შემოღებულია დეკლარირებადი ოპერაციების ახალი ჩამონათვალი და დაწესდა დამატებითი მოთხოვნები „იცნობდე შენს კლიენტს“ (KYC) ერთჯერადი კლიენტებისთვის. ჯგუფის მიერ ჩატარებული გეპ-ანალიზის შემდეგ შესაბამისობის დეპარტამენტმა წარმოადგინა რიგი ცვლილებები შიდა პროცესებსა და პროცედურებში.

ოპერაციის მონიტორინგის სისტემის ეფექტურობის და ეფექტიანობის გაუმჯობესების და მარეგულირებელი რისკის შერბილების მიზნით, ბანკმა დაიწყო ახალი პროგრესული ანალიტიკური და ხელოვნური ინტელექტის (AI) პროექტი საეჭვო ტრანზაქციების დადგენის მიზნით. AI-უზრუნველყოფილი შეთავაზება გამოიყენება 2021 წლის პირველ ნახევარში.

2019 წლის 30 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა პირველი ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების ეროვნული რისკის შეფასება (NRA). NRA-მ შეაფასა ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება ეროვნულ და სექტორულ დონეზე. ეროვნულ დონეზე, ფულის გათეთრების საბანკო სექტორის რისკის დონე შეფასდა, როგორც საშუალო, ხოლო ტერორიზმის დაფინანსების რისკის დონე შეფასდა, როგორც დაბალი.

ბანკმა შეიმუშავა საწარმოს დონეზე AML რისკის შეფასების გაუმჯობესებული მეთოდოლოგია და განახორციელა რისკის შეფასების ღონისძიება 2019 წლის განმავლობაში, აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად. შეფასების შედეგებმა აჩვენა, რომ კონტროლის არცერთი ზონა არ მოქცეულა წითელი ზონაში; თუმცა დადგინდა რამდენიმე არაეფექტური კონტროლის ზონა და შემუშავდა სამოქმედო გეგმა ასეთი ხარვეზის აღმოსაფხვრელად. საერთო ჯგუფის ფარგლებში ნარჩენი რისკები შეფასდა, როგორც საშუალო.

### **ინფორმაციის უსაფრთხოება**

კიბერ-შეტევებთან დაკავშირებული რისკების შემცირებისა და კლიენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ჯგუფი მუდმივად ანახლებს და აუმჯობესებს უსაფრთხოების მრავალ შრიან სტრატეგიას, რომელიც ფარავს სხვადასხვა პრევენციულ და დეტექციურ კონტროლის ზომებს, მონაცემებიდან და კომპიუტერული მოწყობლობიდან პერიმეტრის როუტერებამდე.

შეიქმნა უსაფრთხოების საოპერაციო ცენტრი, რომელიც აკონტროლებს ყველა შესაძლო გადახრას, რომელიც დადგენილია ორგანიზაციის ქსელში პოტენციური ინციდენტების გამოვლენის და მათზე ეფექტური რეაგირების მიზნით.

მინიმუმ წელიწადში ერთელ ტარდება სრული საინფორმაციო უსაფრთხოების და კიბერ უსაფრთხოების საფრთხეების ანალიზი, შესაბამისი რეგიონული და სექტორული პერსპექტივების გათვალისწინებით. მინიმუმ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ამ ანალიზის ფარგლებში ხელშეკრულება ფორმდება დამოუკიდებელ კონსულტანტთან ჩვენი შესაძლებლობების



ეფექტურობის შესაფასებლად საუკეთესო სექტორული პრაქტიკების და რეალური მსოფლიო კიბერ-შეტევების სცენარების მიხედვით. ეს ანალიზი ჯგუფს აძლევს ფართო და დეტალურ ინფორმაციას, რომელიც ეხმარება საინფორმაციო და კიბერ უსაფრთხოების სისტემების შემდგომ გაუმჯობესებაში. გარდა ამისა რეგულარულად ტარდება კიბერ-შეტევებისთვის მზადყოფნის სავარჯიშოები, რომელიც აფასებს ჯგუფის ფაქტობრივ მდგომარეობას მოცემულ სფეროში და წარმოადგენს კრიტერიუმებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების შესაბამისად.

შეიქმნა საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია მუდმივად გააუმჯობესოს ინფორმაციის უსაფრთხოება და ბიზნესის უწყვეტობის მართვის პროცესები და მინიმუმამდე შეამციროს ინფორმაციის უსაფრთხოების რისკები. აღნიშნული კომიტეტი შეიქმნა ინფორმაციის უსაფრთხოების ფუნქციის ცენტრალიზაციისათვის, ფიზიკური უსაფრთხოების, კადრების შესახებ ინფორმაციის უსაფრთხოების, მონაცემთა უსაფრთხოების, საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოებისა და ბიზნესის უწყვეტობის მიზნით.

ჯგუფი ინვესტიციას ახორციელებს ინფორმაციის უსაფრთხოების რისკის ეფექტურ მართვაში, ინციდენტის მართვისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამებში, რომლებიც აღჭურვილია ავტომატიზებული ინსტრუმენტებით, რომლებიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მასშტაბით ინფორმაციის უსაფრთხოების რისკის მისაღებ ღონეს. მაშინ, როცა პრევენციული კონტროლი არ ხდება, ბიზნესის უწყვეტობისა და ინციდენტზე რეაგირების გეგმები უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ოპერირების უწყვეტად გაგრძელების და ზარალის წარმოქმნის შეზღუდვის შესაძლებლობას ბიზნესის შეფერხების შემთხვევაში. ვინაიდან თანამშრომლები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ინფორმაციის უსაფრთხოებაში, ყველა თანამშრომლისთვის ტარდება რეგულარული სავალდებულო ტრენინგ კურსები, რომელიც მოიცავს: დისტანციურ სასწავლო კურსებს უსაფრთხოების საკითხებზე, თაღლითობის და ფიშინგის მოდელირებებს, ასევე საინფორმაციო ელ-ფოსტებს, ჩვენი თანამშრომლებისთვის დახმარების განევის მიზნით საინფორმაციო უსაფრთხოების საკითხებში. ადაპტაციის პროცესის ფარგლებში ტრენინგი უტარდებათ ასევე ახალ თანამშრომლებს. აღნიშნული ზომები უზრუნველყოფს თანამშრომლების სრული ინფორმირებას მათი პასუხისმგებლობების შესახებ და მათ მომზადებას უსაფრთხოების სხვადასხვა რისკებისთვის.

**იურიდიული რისკი**

ბანკის იურიდიული განყოფილება ხელმძღვანელობს ბანკისა და ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა იურიდიულ და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ მისიის შესრულებისას ბანკის საქმიანობა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და რეგულაციებს, იურიდიული გუნდი ახორციელებს სხვადასხვა სახის პროფესიონალურ იურიდიულ სერვისებს: (i) ურთიერთქმედებს შიდა და გარე კლიენტებთან, გარე მრჩეველთან, მთავრობასთან და მარეგულირებელ პირებთან, (ii) გამოსცემს მომერანდუმებს და დასკვნებს, (iii) ამზადებს სტანდარტიზებული და ინდივიდუალური ხელშეკრულებების მონახაზებს, (iv) ამზადებს კორპორატიულ რეზოლუციებს, (v) უზრუნველყოფს რეგულაციების განახლებებს, (vi) წარმოადგენს ბანკს სასამართლოებზე, დავების გადაწყვეტის სხვა ადგილებსა და სხვა მესამე პირების წინაშე. იურიდიული გუნდი, რომელიც შედგება მრავალფეროვანი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე იურისტებისგან, მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან განყოფილებებს: მარეგულირებელი და სამართლებრივი შესაბამისობა, კორპორატიული, დავების გადაწყვეტისა და კორპორატიული მართვის გუნდები. თითოეული განყოფილება ფუნქციონირებს მკაფიო და გასაგები სამუშაო აღწერილობით, რაც შეესაბამება მისი წევრების ცოდნასა და უნარებს. ეჭაილზე გადასვლის შედეგად ზოგიერთი იურისტი მჭიდრო თანამშრომლობაშია გუნდებთან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კონკრეტულ კომერციულ პროექტებზე. დეპარტამენტი უზრუნველყოფს თავისი მოვალეობების ეფექტურად შესრულებას არსებული პროცესებისა და პროცედურების მეშვეობით. ბანკის მთავარი იურისტი მართავს იურიდიულ დეპარტამენტს. ის განსაზღვრავს ძირითად ბიზნეს მიზნებს ყველა იურიდიული ჯგუფისთვის, ნერგავს პოლიტიკას და უზრუნველყოფს მოვალეობების ეფექტურ შესრულებას. ის უშუალოდ ანგარიშს აბარებს მმართველ საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და მათ შესაბამის კომიტეტებს არსებული იურიდიული რისკების, მათი შემამსუბუქებელი სტრატეგიებისა და სამომავლოდ მათი ეფექტურად მართვის შესახებ.

**ქვევის რისკი**

ქვევის რისკი განმარტებულია, როგორც ობიექტური შედეგების მიწოდების რისკი მომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

ჯგუფის ქცევის კოდექსი წარმოადგენს მორალის კომპასს ყველა პერსონალისთვის და ადგენს მაღალ ეთიკურ სტანდარტებს, რომელიც უნდა დაიცვას თითოეულმა თანამშრომელმა.

ჯგუფის თანამშრომლები პატიოსნად და სამართლიანად ასრულებენ მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას. თანამშრომლებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ბანკის ოპერაციებისადმი ნდობისა და დამაჯერებლობის შენარჩუნებაში, ასევე ისეთი ღირებულებების დაცვაში, როგორცაა: ნდობა, ერთგულება, წინდახედულება და სიფრთხილე.

გარდა ამისა, ჯგუფის ხელმძღვანელობა აცნობიერებს, რომ იგი პასუხისმგებელია ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების დივერსიფიცირებული ჯგუფის წინაშე და სჭირდება წესებისა და მექანიზმების უზრუნველყოფა მომხმარებლების დასაცავად, ინვესტორებისა და ფინანსური ბაზრების ნდობის შესანარჩუნებლად. ჯგუფის ღირებულებები მიისწრაფვიან მიდგომის ე.წ. „tone from the top“ დანერგვისაკენ, რაც გულისხმობს კარგი ქცევის პრინციპებს და ამასთან დაკავშირებით აქვთ კომუნიკაცია ბანკის თანამშრომლებთან.

ქცევის რისკის მართვისას ჯგუფი სხვადასხვა დეპარტამენტსა და განყოფილებას ავალებს ქცევის რისკის მართვას, შერბილებასა და კლიენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ქცევის რისკის აღმოფხვრას ჯგუფის მასშტაბით განხორციელებულ ოპერაციებში. შესაბამისობის უზრუნველყოფისა და საოპერაციო რისკის დეპარტამენტები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, რათა შექმნან ქცევის რისკის მართვის გაერთიანებული ჩარჩო და დახმარება გაუწიონ ბიზნეს მიმართულებებსა და დეპარტამენტებს შემდეგი განხრებით:

1. პოლიტიკისა და პროცედურების დანერგვასა და მართვაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი დეპარტამენტებისა და ინდივიდუალური თანამშრომლების მიერ მარეგულირებელი დებულებების, საუკეთესო პრაქტიკისა და „ქცევის კოდექსის“, „ეთიკის კოდექსის“ და ჯგუფის შიდა წესების დაცვა;
2. შესაბამისობის რისკის მართვის განყოფილებასთან მუდმივ თანამშრომლობაში პოლიტიკისა და პროცედურების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით და დეპარტამენტის, მისი ხელმძღვანელის და/ან მისი თანამშრომლების ქცევის შესახებ პრეტენზიების მოკვლევაში;
3. იმის უზრუნველყოფაში, რომ მომხმარებლებისათვის წინა ხაზის თანამშრომლების მიერ პროდუქტის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია იყოს ზუსტი და სრული, ეს ინფორმაცია გადაიცეს (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით) მარტივად და გასაგებად, მომხმარებლის კატეგორიის მიუხედავად;
4. კლიენტებთან ისეთი საუბრებისა და ელ. გზავნილების ჩანაწერების შენახვაში, რომლებიც შეიცავენ სენსიტიურ და გაყიდვებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის ინფორმაციას ახალი კლიენტების მოზიდვაზე და რთული პროდუქტების შეთავაზებაზე არსებული და სავარაუდო კლიენტებისათვის;
5. გაცნობითი ტრენინგის დროულად ჩატარებაში ახალი თანამშრომლებისთვის სათანადო ქცევის შესახებ და იმის უზრუნველყოფაში, რომ ჯგუფში პერიოდულად ტრენინგების ჩატარებით ყველა თანამშრომელი იცნობდეს შესაბამისობის სტანდარტებს, რომლებიც ვითარდება და სიახლეებს;
6. ღია კულტურის ჩამოყალიბებაში, რაც წაახალისებს თანამშრომლებს, ისაუბრონ დასჯის შიშის გარეშე. კონკრეტულად ეს ნიშნავს პროცესების დანერგვას ინტერესთა კონფლიქტის პრევენციისა და აღმოჩენისათვის, ეთიკური წახალისებისა და ბონუსების ფორმულების შექმნას, მოტივაციისა და დისციპლინური პრაქტიკების შესაბამისობაში მოყვანას ჯგუფში დამკვიდრებულ რისკის მისაღებ დონესთან; და
7. კვალიფიციური თანამშრომლებისა და საკმარისი შრომითი და ტექნოლოგიური რესურსების დაქირავებაში გაყიდვებისა და გაყიდვისშემდგომი ქმედებების გამოძიების, ანალიზის, განხორციელებისა და მონიტორინგისათვის ზემოაღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ქცევის რისკის მართვა მხოლოდ რისკის მართვის ქვედანაყოფებით კი არ შემოიფარგლებოდეს, მათ შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტით, არამედ სრულად მოიცავდეს გაყიდვების დეპარტამენტებს და სრულად მოხდეს სათანადო ქცევის ინტეგრირება მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებში.



# ფინანსური მიმოხილვა

## ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში, ბასს 16.

2020 წლის მე-2 კვარტალში სააღრიცხვო პოლიტიკა მიწის, შენობებისა და მიმდინარე მშენებლობის აღრიცხვასთან დაკავშირებით შეიცვალა გადაფასების მოდელიდან თვითღირებულების მოდელზე. ამან გამოიწვია შესაბამისი საბალანსო ანგარიშგების თანხების გადათვლა 2019 წელს, ხოლო შემოსავლის ანგარიშგებაში არსებითი გავლენა არ აღრიცხულა.

## ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

### 2020 ფინანსური წლის მოგება/ზარალის - P&L მაჩვენებლები

- ▶ მოგებამ წლის განმავლობაში შეადგინა 337.3 მილიონი ლარი (ს.წ. 2019: 545.7 მილიონი ლარი)
- ▶ უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) შეადგენს 12.9% (ს.წ. 2019: 24.3%)<sup>1</sup>
- ▶ უკუგება კაპიტალზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვამდე<sup>2</sup> შეადგენს 26.4% (ს.წ. 2019: 28.4%)<sup>1</sup>
- ▶ უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) შეადგენს 1.7% (ს.წ. 2019: 3.3%)<sup>1</sup>
- ▶ ხარჯების შემოსავალთან ფარდობა შეადგენდა 35.1% (ს.წ. 2019: 37.7%)
- ▶ რისკის ფასი შეადგენდა 2.4% (ს.წ. 2019: 0.7%)
- ▶ წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM) შეადგენდა 4.7% (ს.წ. 2019: 5.5%)

### საბალანსო უწყისის ძირითადი მაჩვენებლები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- ▶ მთლიანმა აქტივებმა შეადგინა 22,399.0 მილიონი ლარი, გაიზარდა 22.7%-ით წინა წელთან შედარებით.
- ▶ კლიენტებზე გაცემულმა სესხებმა და ავანსებმა შეადგინა 15,200.5 მილიონი ლარი, გაიზარდა 20.0%-ით წინა წელთან შედარებით ან 8.7% უცვლელი სავალუტო კურსის გათვალისწინებით.
- ▶ წმინდა სესხები დეპოზიტებზე + IFR<sup>3</sup> დაფინანსება შეადგენდა 100.7%, შემცირდა 3.6 pp-ით წინა წელთან შედარებით და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR), რომელიც ძალაშია 2019 წლის 30 სექტემბრიდან, შეადგენდა 126.0%.
- ▶ NPLs შეადგენდა 4.7%, გაიზარდა 2.0 pp-ით წინა წელთან შედარებით.
- ▶ NPLs დაფარვის კოეფიციენტი შეადგენდა 85.6%, ან 189.1% უზრუნველყოფით 2020 წლის 31 დეკემბერს, 2019 წლის 31 დეკემბრის მონაცემებთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 91.1% ან 194.2% უზრუნველყოფით.
- ▶ სულ მომხმარებლის დეპოზიტები შეადგენდა 12,634.3 მილიონ ლარს, გაიზარდა 24.9%-ით წინა წელთან შედარებით ან 13.7% უცვლელი სავალუტო კურსის გათვალისწინებით.
- ▶ ბაზელი III -ის მიხედვით ჩვენი ძირითადი პირველადი კაპიტალი, პირველადი კაპიტალი და მთლიანი საზედამხებველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები სებ-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად, შეადგენდა 10.4%, 13.0%, და 17.1%, შესაბამისად, ხოლო მინიმალური შემსუბუქებული მარეგულირებელი მოთხოვნები შეადგენდა 7.4%, 9.2%, და 13.7%, შესაბამისად.

### ბაზრის წილები 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით<sup>4</sup>

- ▶ ბაზრის წილმა საერთო აქტივებით მიაღწია 38.2%, დარჩა იგივე წინა წელთან შედარებით.
- ▶ ბაზრის წილი მთლიანი სესხებით შეადგენდა 39.0%, შემცირდა 0.5 pp წინა წელთან შედარებით;
- ▶ საერთო დეპოზიტების ბაზრის წილმა მიაღწია 37.2%, შემცირდა 1.8 pp წინა წელთან შედარებით.

1 PPE-ს (ძირითადი საშუალებები) სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებამდე გადაფასების მოდელიდან ხარჯების მოდელზე, უკუგება კაპიტალზე შეადგენდა 23.8%, ხოლო უკუგება კაპიტალზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვამდე შეადგენდა 27.8% და უკუგება აქტივებზე დარჩა უცვლელი სრული 2019 წლისთვის.

2 უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვამდე შეადგენს წმინდა შემოსავალს, რომელიც ეკუთვნის მფლობელებს, ყველა საკრედიტო ზარალის რეზერვის გარდა, წმინდა მოდიფიკაციის ზარალის შემდეგ; გაყოფილი აქციონერთა კუთვნილი კაპიტალის ყოველთვიურ საშუალოზე, რომელიც ეკუთვნის სს თიბისის კაპიტალის მფლობელებს იმავე პერიოდში.

3 საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები

4 ბაზრის წილის მაჩვენებლები ეფუძნება საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებს (სებ). სებ მოიცავს ინტერბანკის სესხებს ბაზრის წილის გამოთვლისთვის

### მოგება-ზარალის ანგარიშების მაჩვენებლები

ათას ლარში	FY'20	FY'19	ცვლილება ნ/წ
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	827,699	793,240	4.3%
წმინდა საკომისიო შემოსავალი	168,779	179,126	-5.8%
სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი	118,585	120,812	-1.8%
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(350,551)	(91,612)	NMF
<b>საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო ზარალის რეზერვის შემდეგ</b>	<b>764,512</b>	<b>1,001,566</b>	<b>-23.7%</b>
ზარალი ფინანსური ინსტრუმენტის მოდიფიკაციებიდან	(41,015)	-	NMF
საოპერაციო ხარჯები	(391,299)	(412,359)	-5.1%
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>332,198</b>	<b>589,207</b>	<b>-43.6%</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	5,062	(43,522)	NMF
<b>მოგება პერიოდის განმავლობაში</b>	<b>337,260</b>	<b>545,685</b>	<b>-38.2%</b>

### საბალანსო ანგარიშების და კაპიტალის ძირითადი მაჩვენებლები

ათას ლარში	დეკ-20	დეკ-19	ცვლილება ნ/წ
სულ აქტივები	22,398,962	18,255,610*	22.7%
სულ სესხები	15,200,515	12,661,955	20.0%
მომხმარებელთა დეპოზიტები	12,634,295	10,112,002	24.9%
სულ კაპიტალი	2,830,180	2,483,146*	13.9%
ძირითადი პირველადი კაპიტალი (Basel III)	1,911,233	1,871,892	2.1%
პირველადი კაპიტალი (Basel III)	2,385,181	2,281,706	4.5%
სულ საზედამხებელო კაპიტალი (Basel III)	3,137,912	2,974,029	5.5%
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების პოზიცია (Basel III)	18,301,477	15,590,927	17.4%

\*გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2019 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ასახავს ცვლილებებს სააღრიცხვო პოლიტიკაში PPE-თან (ძირითადი საშუალებები) დაკავშირებით გადაფასების მოდელიდან თვითღირებულების მოდელზე 2020 წლის მე-2 კვარტალში.

### ძირითადი კოეფიციენტები

	FY'20	FY'19	ცვლილება ნ/წ
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	12.9%	24.3%*	-11.4 pp
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვამდე	26.4%	28.4%*	-2.0 pp
უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	1.7%	3.3%*	-1.6 pp
წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM)	4.7%	5.5%	-0.8 pp
ხარჯების შეფარდება შემოსავალთან	35.1%	37.7%	-2.6 pp
რისკის ფასი	2.4%	0.7%	1.7 pp
NPLs მთლიან სესხებზე	4.7%	2.7%	2.0 pp
NPLs დაფარვის კოეფიციენტი, უზრუნველყოფის გარეშე	85.6%	91.1%	-5.5 pp
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (Basel III)	10.4%	12.0%	-1.6 pp
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (Basel III)	13.0%	14.6%	-1.6 pp
სულ საზედამხებელო კაპიტალის კოეფიციენტი (Basel III)	17.1%	19.1%	-2.0 pp
ლევერიჯი (ჭერადი)	7.9x	7.4x**	0.6x

\* PPE-ს (ძირითადი საშუალებები) სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებამდე გადაფასების მოდელიდან ხარჯების მოდელზე, უკუგება კაპიტალზე შეადგენდა 23.8%, ხოლო უკუგება კაპიტალზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვამდე შეადგენდა 27.8% და უკუგება აქტივებზე დარჩა უცვლელი FY 2019 წლისთვის.

\*\* PPE-ს (ძირითადი საშუალებები) სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებამდე გადაფასების მოდელიდან ხარჯების მოდელზე, ლევერიჯი შეადგენდა 7.2x 2019 FY განმავლობაში.

**კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების მიმოხილვა 2020 ფინანსურ წელს**

**წმინდა საპროცენტო შემოსავალი**

2020 ფინანსურ წელს, ჩვენ გამოვიმუშავეთ 827.7 მილიონი ლარის წმინდა საპროცენტო შემოსავალი, რომელიც გაიზარდა 4.3%-ით წინა წელთან შედარებით.

წინა წელთან შედარებით საპროცენტო შემოსავლის ზრდა, რომელიც შეადგენს 225.7 მილიონ ლარს ან 15.7%-ს, ძირითადად დაკავშირებული იყო სესხებიდან საპროცენტო შემოსავლის ზრდაზე, რაც განპირობებული იყო პორტფელის ზრდით 2,538.6 მილიონი ლარით ან 20.0%-ით. ეს ეფექტი ნაწილობრივ გადაიწონა 0.9 pp-ით სესხის განაკვეთის კლებით, ყველა სეგმენტში, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო Libor-ის განაკვეთის შემცირებასთან, ვალუტის დევალუაციასთან, პროდუქტების სეგმენტური გადანაწილების ზრდით კორპორატიული სეგმენტის მიმართ, ასევე კრედიტირების შემცირებასთან პანდემიის გამო. გარდა ამისა, ზრდა განპირობებული იყო საპროცენტო შემოსავლებით საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან, შესაბამისი პორტფელის ზრდის საფუძველზე, რომელმაც შეადგინა 613.3 მილიონი ან 30.5%, ასევე 2020 წელს შეძენილი ახალი ფასიანი ქაღალდების გაზრდილი წილით უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით, რეფინანსირების საშუალო გაზრდილი განაკვეთის გამო.

ჩვენი საპროცენტო ხარჯი გაიზარდა 183.7 მილიონი ლარით ან 27.4%-ით, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო საპროცენტო ხარჯის ზრდასთან დეპოზიტებიდან და სხვა ნასესხები სახსრებიდან. ამათგან პირველის ზრდა დაკავშირებული იყო ზრდასთან შესაბამის პორტფელში 2,522.3 მილიონი ლარით ან 24.9%-ით, რასაც დაემატა განაკვეთის გაზრდა 0.1pp-ით (ლარში შემოსავალი გაიზარდა 0.9pp-ით უფრო მაღალი საშუალო რეფინანსირების განაკვეთის საფუძველზე, ხოლო უცხოური ვალუტიდან შემოსავალი შემცირდა 1.3pp-ით Libor-ის განაკვეთის შემცირების გამო). სხვა ხელშემწყობი ფაქტორი იყო სავალო ფასიანი ქაღალდების ზრდა, დაკავშირებული საპროცენტო ხარჯის ზრდასთან უფროსი და AT1 ობლიგაციებიდან, რომლებიც გამოშვებული იყო 2019 წლის ივნისში და ივლისში, 425 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

სრული 2020 წლისთვის, ჩვენი წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM) შეადგენდა 4.7%, რომელიც შემცირდა 0.8pp წინა წელთან შედარებით.

ათას ლარში	FY'20	FY'19	ცვლილება წ/წ
საპროცენტო შემოსავალი	1,660,838	1,435,106	15.7%
საპროცენტო ხარჯი	(854,089)	(670,422)	27.4%
წმინდა მოგება სავალუტო სვოპებიდან	20,950	28,556	-26.6%
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>827,699</b>	<b>793,240</b>	<b>4.3%</b>
<b>წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM)</b>	<b>4.7%</b>	<b>5.5%</b>	<b>-0.8 pp</b>

**წმინდა საკომისიო შემოსავალი**

2020 ფინანსურ წელს წმინდა საკომისიო შემოსავალმა შეადგინა 168.8 მილიონი ლარი და შემცირდა 5.8%-ით წინა წელთან შედარებით.

მცირე ცვლილება წინა წელთან შედარებით გამოწვეულია საბარათე ოპერაციებით და სხვა საკომისიო შემოსავლით შემცირებული ეკონომიკური აქტივობის შედეგად, კოვიდ-19-ის პანდემიის გამო. ეს ეფექტი ნაწილობრივ ანაზღაურდა საკომისიოების ზრდით გაცემული გარანტიებიდან და აკრედიტივიდან, რაც ძირითადად განპირობებული იყო შესაბამისი პორტფელის ზრდით.

ათას ლარში	FY'20	FY'19	ცვლილება წ/წ
<b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>			
საბარათე ოპერაციები	45,403	56,263	-19.3%
ანგარიშსწორების ოპერაციები	71,326	68,203	4.6%
გაცემული გარანტიები და აკრედიტივები	37,814	30,327	24.7%
სხვა	14,236	24,333	-41.5%
<b>სულ წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>	<b>168,779</b>	<b>179,126</b>	<b>-5.8%</b>



**წმინდა მოგება**

2020 ფინანსურ წელს ჩვენ შევინარჩუნეთ მდგრადი მომგებიანობა, რაც განპირობებული იყო წმინდა საპროცენტო შემოსავლის ზრდით და ეფექტური ხარჯების მართვით. იმავე პერიოდში ჩვენ ასევე აღვრიცხეთ ზარალი ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიკაციებიდან, 41.0 მილიონი ლარის ოდენობით, ფულადი სახსრების დაყვანილი ღირებულების შემცირების ასახვის მიზნით, მსესხებლებისთვის სესხის დაფარვის საშუალო პერიოდების შემოღების შედეგად. შესაბამისად, ჩვენი უკუგება კაპიტალზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვამდე შეადგენდა 26.4%, რომელიც შემცირდა 2.0pp-ით.

იმავე პერიოდში საკრედიტო ზარალის რეზერვი მნიშვნელოვნად გაიზარდა კოვიდ-19 პანდემიის პოტენციური ზემოქმედების დასაფარად ჩვენს მსესხებლებზე, რამაც შეამცირა ჩვენი უკუგება კაპიტალზე 12.9%-მდე.

ათას ლარში	FY'20	FY'19	ცვლილება ნ/ნ
<b>ზარალი ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიკაციებიდან</b>	<b>(41,015)</b>	<b>-</b>	<b>NMF</b>
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>332,198</b>	<b>589,207</b>	<b>-43.6%</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	5,062	(43,522)	NMF
<b>წლის მოგება</b>	<b>337,260</b>	<b>545,685</b>	<b>-38.2%</b>
<b>უკუგება კაპიტალზე</b>	<b>12.9%</b>	<b>24.3%*</b>	<b>-11.4 pp</b>
<b>უკუგება კაპიტალზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვამდე</b>	<b>26.4%</b>	<b>28.4%*</b>	<b>-2.0 pp</b>
<b>უკუგება აქტივებზე</b>	<b>1.7%</b>	<b>3.3%*</b>	<b>-1.6 pp</b>

\* PPE-ს (ძირითადი საშუალებები) სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებამდე გადაფასების მოდელიდან ხარჯების მოდელზე, უკუგება კაპიტალზე შეადგენდა 23.8%, ხოლო უკუგება კაპიტალზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვამდე შეადგენდა 27.8% და უკუგება აქტივებზე დარჩა უცვლელი FY 2019 წლისთვის.

**დაფინანსება და ლიკვიდურობა**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთო ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი (LCR), როგორც განსაზღვრა სებ-მა, შეადგენდა 134.2%, 100%-იან ლიმიტს ზემოთ, ხოლო LCR ლარში და უცხოურ ვალუტაში შეადგენდა 132.2% და 134.9%, შესაბამისი ლიმიტების, 75% და 100%, ზემოთ.

თუმცა, კოვიდ-19 პანდემიის გათვალისწინებით, რომელიც დაიწყო 2020 წლის მაისში, სებ-მა გააუქმა 75%-იანი მინიმალური მოთხოვნა ლარის LCR-ზე ერთი წლის განმავლობაში. მოთხოვნის შერბილების მიუხედავად ჩვენ ვაგრძელებთ ოპერირებას მაღალი ლიკვიდურობის ბუფერებით.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) შეადგენდა 126.0%, 100% საზედამხებდველო ლიმიტთან შედარებით, რომელიც ძალაშია 2019 წლის სექტემბრიდან.

	31-დეკ-20	31-დეკ-19	ცვლილება ნ/ნ
მინიმალური წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი, განსაზღვრული სებ-ის მიერ	100%	100%	0.0 pp
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი, განსაზღვრული სებ-ის მიერ	126.0%	126.7%	-0.7 pp
წმინდა სესხები დეპოზიტებზე + IFI დაფინანსება	100.7%	104.3%	-3.6 pp
ლევერიჯი (ჭერადი)	7.9x	7.4x*	0.5x
მინიმალური ლიკვიდურობის კოეფიციენტი, განსაზღვრული სებ-ის მიერ	30.0%	30.0%	0.0 pp
ლიკვიდურობის კოეფიციენტი, განსაზღვრული სებ-ის მიერ	33.3%	32.2%	-1.1 pp
მინიმალური მთლიანი ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი განსაზღვრული სებ-ის მიერ	100.0%	100.0%	0.0 pp
მინიმალური LCR ლარში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	n/a	75.0%	NMF
მინიმალური LCR უცხოურ ვალუტაში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	100.0%	100.0%	0.0 pp
სულ ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი, განსაზღვრული სებ-ის მიერ	134.2%	110.1%	24.1 pp
LCR ლარში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	132.2%	83.7%	48.5 pp
LCR უცხოურ ვალუტაში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	134.9%	128.4%	6.5 pp

\* PPE-ს (ძირითადი საშუალებები) სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებამდე გადაფასების მოდელიდან ხარჯების მოდელზე, ლევერიჯი შეადგენდა 7.2x 2019 FY განმავლობაში.



### საზედამხედველო კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი პირველადი კაპიტალი გაიზარდა 2.1%-ით წინა წელთან შედარებით, ძირითადად წმინდა შემოსავლის გენერირების გამო, ხოლო პირველადი და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი გაიზარდა 4.5%-ით და 5.5%-ით, რასაც დამატებით ხელი შეუწყო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული AT1 ობლიგაციების და სუბორდინირებული სესხების ზრდამ, ლარის გაუფასურების გამო.

წინა წელთან შედარებით, ზრდა რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების პოზიციებში ძირითადად განპირობებული იყო ლარის გაუფასურებით და პორტფელის ზრდით.

ძირითადი პირველადი და პირველადი კაპიტალის კოეფიციენტები შემცირდა 1.6pp-ით წინა წელთან შედარებით. შემცირება ძირითადად დაკავშირებული იყო კოვიდ-19-ის ეფექტთან ბანკის წმინდა შემოსავალზე და ლარის გაუფასურებასთან. მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი შემცირდა 2.0%-ით წინა წელთან შედარებით, რაც გამოწვეული იყო ქვე-სავალო ინსტრუმენტების დამატებითი ამორტიზაციით.

შედეგად, ბანკის ძირითადი პირველადი, პირველადი და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი შეადგენდა 10.4%, 13.0% და 17.1%, და შენარჩუნდა შემსუბუქებული მინიმალური მოთხოვნების ზემოთ, 3.0%-ით, 3.8%-ით და 3.4%-ით შესაბამისად.

ათას ლარში	31-დეკ-20	31-დეკ-19	ცვლილება ნ/წ
ძირითადი პირველადი კაპიტალი	1,911,233	1,871,892	2.1%
პირველადი კაპიტალი	2,385,181	2,281,706	4.5%
საზედამხედველო კაპიტალი	3,137,912	2,974,029	5.5%
სულ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების პოზიცია	18,301,477	15,593,925	17.4%
მინიმალური ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	7.4%	10.4%	-3.0 pp
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	10.4%	12.0%	-1.6 pp
მინიმალური პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	9.2%	12.5%	-3.3 pp
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	13.0%	14.6%	-1.6 pp
მინიმალური მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	13.7%	17.5%	-3.8 pp
სულ საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	17.1%	19.1%	-2.0 pp

### საკრედიტო პორტფელი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა მიაღწია 15,200.5 მილიონ ლარს, გაიზარდა 20%-ით წინა წელთან შედარებით ან 8.7% უცვლელი სავალუტო კურსის გათვალისწინებით. ზრდა გავრცელდა ყველა სეგმენტზე. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მთლიანი სესხების პროპორცია გაიზარდა 0.7 pp-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა მთლიანი სესხების 59.4%, ხოლო უცვლელი კურსის საფუძველზე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მთლიანი სესხების პროპორცია შემცირდა 3.5pp -ით და შეადგინა 55.2%.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვენი საბაზრო წილი მთლიან სესხებში შეადგენდა 39.0%, რომელიც შემცირდა 0.5pp-ით წინა წელთან შედარებით, ხოლო ჩვენი სესხის საბაზრო წილი იურიდიულ პირებში შეადგენდა 38.6%, რომელიც შემცირდა 0.3pp-ით იმავე პერიოდში და ჩვენი სესხის საბაზრო წილი ფიზიკურ პირებში შეადგენდა 39.4%, რომელიც შემცირდა 0.6pp-ით წინა წელთან შედარებით.

## ფინანსური მიმოხილვა გაგრძელება

ათას ლარში	31-დეკ-20	31-დეკ-19	ცვლილება ნ/წ
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები</b>			
<b>საცალო</b>	<b>5,953,687</b>	<b>5,053,203</b>	<b>17.8%</b>
საცალო სესხები ლარში	2,996,854	2,386,750	25.6%
საცალო სესხები უცხოურ ვალუტაში	2,956,833	2,666,453	10.9%
<b>კორპორატიული</b>	<b>5,690,749</b>	<b>4,660,473</b>	<b>22.1%</b>
კორპორატიული სესხები ლარში	1,576,778	1,424,309	10.7%
კორპორატიული სესხები უცხოურ ვალუტაში	4,113,971	3,236,164	27.1%
<b>MSME</b>	<b>3,556,079</b>	<b>2,948,279</b>	<b>20.6%</b>
MSME სესხები ლარში	1,592,836	1,419,804	12.2%
MSME სესხები უცხოურ ვალუტაში	1,963,243	1,528,475	28.4%
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები</b>	<b>15,200,515</b>	<b>12,661,955</b>	<b>20.0%</b>

	FY'20	FY'19	ცვლილება ნ/წ
<b>სესხების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>10.1%</b>	<b>11.0%</b>	<b>-0.9 pp</b>
სესხების ეფექტური განაკვეთი ლარში	15.2%	15.7%	-0.5 pp
სესხების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	6.7%	7.8%	-1.1 pp
<b>საცალო სესხების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>11.3%</b>	<b>12.1%</b>	<b>-0.8 pp</b>
საცალო სესხების ეფექტური განაკვეთი ლარში	16.4%	18.0%	-1.6 pp
საცალო სესხების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	6.6%	7.3%	-0.7 pp
<b>კორპორატიული სესხების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>8.7%</b>	<b>9.3%</b>	<b>-0.6 pp</b>
კორპორატიული სესხების ეფექტური განაკვეთი ლარში	13.2%	11.6%	1.6 pp
კორპორატიული სესხების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	7.1%	8.4%	-1.3 pp
<b>MSME სესხების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>10.3%</b>	<b>11.4%</b>	<b>-1.1 pp</b>
MSME სესხების ეფექტური განაკვეთი ლარში	15.1%	15.4%	-0.3 pp
MSME სესხების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	6.3%	7.7%	-1.4 pp

### საკრედიტო პორტფელის ხარისხი

საერთო par 30 გაიზარდა 0.9pp-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა დაახლოებით 2.6%, რაც განპირობებული იყო ყველა სეგმენტით. ზრდა საცალო და MSME სეგმენტებში დაკავშირებული იყო შესაბამისი პორტფელების ხარისხის საერთო გაუარესებთან კოვიდ-19-ის გამო, ხოლო ზრდა კორპორატიულ სეგმენტში ძირითადად გამოწვეული იყო ერთი კორპორატიული მსესხებლის გამო. თუმცა პერსპექტივა ამ კლიენტთან დაკავშირებით დადებითია და საკითხი სავარაუდოდ დარეგულირდება 2021 წლის პირველ კვარტალში.

NPL კოეფიციენტი გაიზარდა წინა წელთან შედარებით, რადგან კოვიდ-19-ის ეფექტებმა თავი იჩინა და შეადგინა 4.7% 2020 წლის ბოლოს, ხოლო ეს მაჩვენებელი 2019 წლის ბოლოს შეადგენდა 2.7%. ზრდა საცალო სეგმენტში ძირითადად განპირობებული იყო კოვიდ-19-თან დაკავშირებული რესტრუქტურისაციებით, რომელიც შეთავაზებული იყო ჩვენი მომხმარებლებისთვის ინდივიდუალურად, ხოლო ზრდა MSME სეგმენტში განპირობებული იყო კოვიდ-19-ის უარყოფითი გავლენით რამდენიმე SME მსესხებელზე, რომლებიც კლასიფიცირებული იყო, როგორც NPLs, მოწყვლადი მსესხებლების მონიტორინგის პროცესის შედეგად. გარდა ამისა, ზრდა კორპორატიულ სეგმენტში ძირითადად გამოწვეული იყო ერთი კორპორატიული მსესხებლით, რომელიც ზემოთ ვახსენეთ.

Par 30	31-დეკ-20	31-დეკ-19	ცვლილება ნ/წ
საცალო	3.4%	2.1%	1.3 pp
კორპორატიული	1.1%	0.5%	0.6 pp
MSME	3.8%	2.8%	1.0 pp
<b>სულ სესხები</b>	<b>2.6%</b>	<b>1.7%</b>	<b>0.9 pp</b>

უიმედო სესხები	31-დეკ-20	31-დეკ-19	ცვლილება ნ/წ
საცალო	5.6%	3.0%	2.6 pp
კორპორატიული	2.5%	1.8%	0.7 pp
MSME	6.6%	3.8%	2.8 pp
<b>სულ სესხები</b>	<b>4.7%</b>	<b>2.7%</b>	<b>2.0 pp</b>

NPLs დაფარვის კოეფიციენტი	31-დეკ-20		31-დეკ-19	
	უზრუნ. გარდა	მათ შორის უზრუნველყოფით	უზრუნ. გარდა	მათ შორის უზრუნველყოფით
საცალო	101.3%	178.5%	111.1%	182.9%
კორპორატიული	76.4%	230.1%	97.1%	241.4%
MSME	68.6%	179.2%	59.7%	173.7%
<b>სულ</b>	<b>85.6%</b>	<b>189.1%</b>	<b>91.1%</b>	<b>194.2%</b>

### რისკის ფასი

რისკის ფასმა 2020 ფინანსურ წელს შეადგინა 2.4%, გაიზარდა 1.7pp-ით წინა წელთან შედარებით, ეს ზრდა გავრცელდა ყველა სეგმენტში და განპირობებული იყო დამატებითი საკრედიტო ზარალის რეზერვით, რომელიც შეიქმნა 2020 წელს კოვიდ-19 მოსალოდნელ ზარალთან დაკავშირებით.

რისკის ფასი	FY'20	FY'19	ცვლილება ნ/წ
საცალო	3.7%	1.6%	2.1 pp
კორპორატიული	0.6%	-0.1%	0.7 pp
MSME	3.1%	0.3%	2.8 pp
<b>სულ</b>	<b>2.4%</b>	<b>0.7%</b>	<b>1.7 pp</b>

### სადეპოზიტო პორტფელი

მთლიანი სადეპოზიტო პორტფელი გაიზარდა 24.9%-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 12,634.3 მილიონი ლარი, ხოლო უცვლელი სავალუტო კურსის გათვალისწინებით, საერთო სადეპოზიტო პორტფელი გაიზარდა 13.7%-ით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების პროპორცია გაიზარდა 0.5 pp-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა საერთო დეპოზიტების 66.0%, ხოლო უცვლელი კურსის პირობებში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების პროპორცია შემცირდა 2.9pp-ით და შეადგინა 62.6%.

2020 წლის 31 დეკემბერს ჩვენმა საბაზრო წილმა დეპოზიტებში შეადგინა 37.2%, შემცირდა 1.8pp-ით წინა წელთან შედარებით და ჩვენმა საბაზრო წილმა იურიდიული პირების დეპოზიტებში შეადგინა 34.5%, შემცირდა 6.1 pp-ით. ჩვენმა საბაზრო წილმა ფიზიკური პირების დეპოზიტებში შეადგინა 39.5%, გაიზარდა 1.6%-ით წინა წელთან შედარებით.

ათას ლარში	31-დეკ-20	31-დეკ-19	ცვლილება ნ/წ
<b>კლიენტის ანგარიშები</b>			
<b>საცალო</b>	<b>7,255,020</b>	<b>5,673,917</b>	<b>27.9%</b>
საცალო დეპოზიტები ლარში	1,330,942	1,098,681	21.1%
საცალო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	5,924,078	4,575,236	29.5%
<b>კორპორატიული</b>	<b>4,001,068</b>	<b>3,249,996</b>	<b>23.1%</b>
კორპორატიული დეპოზიტები ლარში	2,298,064	1,798,034	27.8%
კორპორატიული დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	1,703,004	1,451,962	17.3%
<b>MSME</b>	<b>1,378,207</b>	<b>1,188,089</b>	<b>16.0%</b>
MSME დეპოზიტები ლარში	671,658	594,389	13.0%
MSME დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	706,549	593,700	19.0%
<b>საერთო კლიენტის ანგარიშები</b>	<b>12,634,295</b>	<b>10,112,002</b>	<b>24.9%</b>

## ფინანსური მიმოხილვა გავრძელება

	FY'20	FY'19	ცვლილება ნ/წ
<b>დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>3.6%</b>	<b>3.4%</b>	<b>0.2 pp</b>
დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი ლარში	6.5%	5.8%	0.7 pp
დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	2.0%	2.0%	0.0 pp
<b>საცალო დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>2.9%</b>	<b>2.8%</b>	<b>0.1 pp</b>
საცალო დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი ლარში	5.6%	5.0%	0.6 pp
საცალო დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	2.3%	2.3%	0.0 pp
<b>კორპორატიული დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>5.5%</b>	<b>5.0%</b>	<b>0.5 pp</b>
კორპორატიული დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი ლარში	8.2%	7.5%	0.7 pp
კორპორატიული დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	1.5%	1.7%	-0.2 pp
<b>MSME დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>1.0%</b>	<b>0.9%</b>	<b>0.1 pp</b>
MSME დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი ლარში	1.6%	1.5%	0.1 pp
MSME დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	0.3%	0.3%	0.0 pp

## სეგმენტების განსაზღვრება და მომხმარებელი

### ბიზნეს სეგმენტები

სეგმენტების განსაზღვრებები მოცემულია ქვემოთ:

- კორპორატიული – იურიდიული კომპანია/დაკავშირებული კომპანიების ჯგუფი, რომელთა წლიური შემოსავალი აღემატება 12.0 მილიონ ლარს, ან ისინი რომელთაც დაუმტკიცდათ 5.0 მილიონ ლარზე მეტი სესხი/საკრედიტო ხაზი. ზოგიერთი სხვა ბიზნეს კლიენტი შეიძლება ეკუთვნოდეს კორპორატიულ სეგმენტს ან გადავიდეს MSME-ში დისკრეციული შეხედულებისამებრ;
- საცალო – არაკომერციული ფიზიკური პირები ან ფიზიკური ბიზნეს მომხმარებლები რომელთაც აღებული აქვთ იპოთეკური სესხი; ყველა ფიზიკური პირი შედის საცალო დეპოზიტებში;
- MSME – (მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები) – ბიზნეს მომხმარებლები, რომლებიც არ შედიან არც კორპორატიულ და არც საცალო სეგმენტებში; ან იურიდიული პირები რომლებზეც გაიცა სალომბარდე სესხი; ან სრულად ციფრული ბანკი “სფეისის“ მომხმარებელი ფიზიკური პირები; და
- კორპორატიული ცენტრი – შედგება ხაზინისგან, სხვა დამხმარე ფუნქციებისგან და ჯგუფის არასაბანკო შვილობილებისგან.

ბიზნეს-მომხმარებლები არიან ყველა იურიდიული პირები და ის ფიზიკური პირები, რომლებზეც გაიცა სესხი ბიზნესისთვის.

### მოგება-ზარალის ანგარიშგება სეგმენტების მიხედვით

FY'20 (ათას ლარში)	საცალო	MSME	კორპორა- ტიული	კორპ. ცენტრი	სულ
საპროცენტო შემოსავალი	617,125	335,161	462,203	246,349	1,660,838
საპროცენტო ხარჯი	(184,738)	(12,020)	(208,556)	(448,775)	(854,089)
წმინდა მოგება სავალუტო სვოპებზე				20,950	20,950
წმინდა სატრანსფერო ფასი	(59,379)	(125,599)	34,456	150,522	-
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>373,008</b>	<b>197,542</b>	<b>288,103</b>	<b>(30,954)</b>	<b>827,699</b>
საკომისიო შემოსავალი	214,377	26,405	57,949	(235)	298,496
საკომისიო ხარჯი	(109,887)	(11,001)	(8,698)	(131)	(129,717)
<b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>	<b>104,490</b>	<b>15,404</b>	<b>49,251</b>	<b>(366)</b>	<b>168,779</b>
წმინდა მოგება წარმოებული ინსტრუმენტებიდან, უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან და გაცვლიდან	31,561	27,187	51,443	(4,336)	105,855
მოგება მინუს ზარალი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასხვისებიდან აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში	-	-	-	(624)	(624)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6,901	429	1,855	4,169	13,354
<b>სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი</b>	<b>38,462</b>	<b>27,616</b>	<b>53,298</b>	<b>(791)</b>	<b>118,585</b>
საკრედიტო ზარალის რეზერვი კლიენტის სესხებზე	(201,652)	(100,070)	(29,089)	-	(330,811)
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები	(241)	(67)	3,546	-	3,238
საკრედიტო ზარალის რეზერვი ინვესტიციებისთვის ფინანსურ იჯარაში	-	-	-	(7,760)	(7,760)
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის	(1,476)	-	(5,600)	(6,332)	(13,408)
საკრედიტო ზარალის რეზერვი ფინანსური აქტივებისთვის, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში	-	-	(876)	(934)	(1,810)
<b>მოგება (ზარალი) G&amp;A ხარჯებამდე და მოგების გადასახადებამდე</b>	<b>312,591</b>	<b>140,425</b>	<b>358,633</b>	<b>(47,137)</b>	<b>764,512</b>
ზარალი ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიკაციიდან	(23,633)	(7,153)	(6,345)	(3,884)	(41,015)
პერსონალის ხარჯები	(109,492)	(47,835)	(34,068)	(15,492)	(206,887)
ცვეთა და ამორტიზაცია	(45,256)	(11,187)	(4,296)	(3,329)	(64,068)
ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი	(2,200)	-	(400)	-	(2,600)
<b>ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები</b>	<b>(68,309)</b>	<b>(22,466)</b>	<b>(11,973)</b>	<b>(14,996)</b>	<b>(117,744)</b>
<b>საოპერაციო ხარჯები</b>	<b>(225,257)</b>	<b>(81,488)</b>	<b>(50,737)</b>	<b>(33,817)</b>	<b>(391,299)</b>
<b>მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე</b>	<b>63,701</b>	<b>51,784</b>	<b>301,551</b>	<b>(84,838)</b>	<b>332,198</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	21,360	3,568	(18,695)	(1,171)	5,062
<b>მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში</b>	<b>85,061</b>	<b>55,352</b>	<b>282,856</b>	<b>(86,009)</b>	<b>337,260</b>

\* მონაცემები გამოთვლილია PPE (ძირითადი საშუალებები) შეცვლილი სააღრიცხვო პოლიტიკის გამო ხარჯის მეთოდისგან გადაფასების მოდელამდე 2020 წლის მე-2 კვარტალში.

**სს თიბისი ბანკის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

**კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგება**

ათას ლარში	დეკ-20	დეკ-19
ფული და ფულის ექვივალენტები	1,601,599	994,479
სახსრები სხვა ბანკებში	19,690	15,597
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	2,098,506	1,591,829
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	14,594,269	12,349,399
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	1,527,268	985,293
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,059,946	1,021,568
წმინდა ინვესტიციები ლიზინგში	270,978	256,660
საინვესტიციო ქონება	68,689	72,667
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	69,762	25,695
გადავადებული საშემოსავლო საგადასახადო აქტივები	2,134	2,173
სხვა ფინანსური აქტივები	161,002	115,211
სხვა აქტივები	256,646	247,201
ძირითადი საშუალებები	362,863	329,529*
აქტივი გამოყენების უფლებით	49,746	57,086
არამატერიალური აქტივები	223,577	159,109
გუდვილი	28,197	29,459
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	4,090	2,655
<b>სულ აქტივები</b>	<b>22,398,962</b>	<b>18,255,610*</b>
<b>ვალდებულებები</b>		
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	4,485,873	3,593,901
კლიენტის ანგარიშები	12,634,295	10,112,002
სხვა ფინანსური ვალდებულებები	211,242	95,643
მოგებაზე მიმდინარე გადასახადის ვალდებულება	27	818
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	13,084	18,806*
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,419,513	1,213,598
ვალდებულებებისა და დანახარჯების გადახდის რეზერვები	17,451	16,979
სხვა ვალდებულებები	59,969	70,366
საიჯარო ვალდებულებები	54,588	59,316
სუბორდინირებული ვალი	672,740	591,035
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>19,568,782</b>	<b>15,772,464</b>
<b>კაპიტალი</b>		
სააქციო კაპიტალი	21,014	21,014
აქციის პრემია	521,190	521,190
გაუნაწილებელი მოგება	2,355,105	2,016,119*
აქტივებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	(73,130)	(62,669)
სამართლიანი ღირებულების რეზერვი	11,157	(6,399)
სავალუტო გადაფასების კუმულატიური რეზერვი	(5,261)	(6,691)
<b>მფლობელებისთვის მიკუთვნილებული კაპიტალი</b>	<b>2,830,075</b>	<b>2,482,564*</b>
<b>არასაკონტროლო წილი</b>	<b>105</b>	<b>582</b>
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>2,830,180</b>	<b>2,483,146*</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>22,398,962</b>	<b>18,255,610*</b>

**მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

ათას ლარში	FY'20	FY'19
საპროცენტო შემოსავალი	1,660,838	1,435,106
საპროცენტო ხარჯი	(854,089)	(670,422)
წმინდა საპროცენტო მოგება სავალუტო სვოპებიდან	20,950	28,556
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>827,699</b>	<b>793,240</b>
საკომისიო შემოსავალი	298,496	284,428
საკომისიო ხარჯი	(129,717)	(105,302)
<b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>	<b>168,779</b>	<b>179,126</b>
წმინდა მოგება სავალუტო წარმოებული ინსტრუმენტებიდან, უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან და გაცვლიდან	105,855	102,435
(წმინდა ზარალი)/ მოგება სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან	(624)	169
სხვა საოპერაციო შემოსავალი	13,354	17,576
მეკავშირე საწარმოების მოგების წილი	-	632
<b>სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი</b>	<b>118,585</b>	<b>120,812</b>
საკრედიტო ზარალის რეზერვი კლიენტის სესხებზე	(330,811)	(82,030)
საკრედიტო ზარალის რეზერვი ინვესტიციებისთვის იჯარაში	(7,760)	582
საკრედიტო ზარალის რეზერვი შესრულების გარანტიებისთვის და კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებებისთვის	3,238	(2,156)
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის	(13,408)	(7,717)
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში	(1,810)	(291)
<b>საოპერაციო მოგება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ</b>	<b>764,512</b>	<b>1,001,566</b>
პერსონალის ხარჯები	(206,887)	(226,008)
ცვთა და ამორტიზაცია	(64,068)	(57,319)
ვალდებულებების და დანახარჯების რეზერვი	(2,600)	(2,105)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(117,744)	(126,927)
<b>საოპერაციო ხარჯები</b>	<b>(391,299)</b>	<b>(412,359)</b>
<b>ზარალი ფინანსური ინსტრუმენტები მოდიფიკაციიდან</b>	<b>(41,015)</b>	<b>-</b>
<b>მოგება დაბეგრამდე</b>	<b>332,198</b>	<b>589,207</b>
მოგების გადასახადის ამოტრიალება/(ხარჯი)	5,062	(43,522)
<b>მოგება წლის განმავლობაში</b>	<b>337,260</b>	<b>545,685</b>
<b>სხვა სრული შემოსავალი/(ხარჯი) წლის განმავლობაში:</b>		
<b>პუნქტები, რომლებიც შესაძლოა რეკლასიფიცირდეს მოგება-ზარალში:</b>		
სამართლიანი ღირებულების რეზერვის მოძრაობა	17,633	(15,175)
საანგარიშგებო ვალუტაში გადაყვანის საკურსო სხვაობა	1,588	241
<b>წლის სხვა სრული შემოსავალი/(ხარჯი)</b>	<b>19,221</b>	<b>(14,934)</b>
<b>წლის სრული შემოსავალი</b>	<b>356,481</b>	<b>530,751</b>
<b>მოგება მიკუთვნებული:</b>		
- ჭგუფის აქციონერებისთვის	337,238	545,612
- არასაკონტროლო წილი	22	73
<b>წლის მოგება</b>	<b>337,260</b>	<b>545,685</b>
<b>სულ წლის შემოსავალი მიკუთვნებული:</b>		
- ჭგუფის აქციონერებისთვის	356,459	530,678
- არასაკონტროლო წილი	22	73
<b>სულ წლის სრული შემოსავალი</b>	<b>356,481</b>	<b>530,751</b>

# ფინანსური მიმოხილვა გავრცელება

## ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარში	FY '20	FY'19
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
მიღებული პროცენტი	1,455,624	1,359,528
სავალუტო სვოპებიდან მიღებული პროცენტი	20,950	28,556
გადახდილი პროცენტი	(841,146)	(657,671)
მიღებული საკომისიოები	297,030	282,715
გადახდილი საკომისიოები	(129,445)	(105,207)
უცხოურ ვალუტაში ვაჭრობიდან მიღებული (ხარჯი)/შემოსავალი	(92,191)	79,287
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	10,216	18,356
გადახდილი პერსონალის ხარჯი	(203,247)	(198,345)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(103,273)	(132,181)
გადახდილი მოგების გადასახადი	(44,285)	(68,166)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>	<b>370,232</b>	<b>606,872</b>
<b>წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებში</b>		
სხვა ბანკებში გადასახდელი თანხები და სავალდებულო ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში	(341,901)	(14,811)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	(1,059,684)	(2,013,577)
წმინდა ინვესტიცია იჯარაში	(2,010)	(44,268)
სხვა ფინანსური აქტივები	(58,914)	26,582
სხვა აქტივები	33,750	2,702
<b>წმინდა ცვლილება საოპერაციო ვალდებულებებში</b>		
თანხები სხვა ბანკებში	(32,294)	(1,938)
კლიენტის ანგარიშები	1,457,569	274,769
სხვა ფინანსური ვალდებულებები	132,679	10,205
სხვა ვალდებულებები და ვალდებულებებისა და ხარჯის რეზერვი	(5,128)	8,432
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>494,299</b>	<b>(1,145,032)</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა	(763,530)	(1,781,816)
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები	287,917	240,603
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადის დადგომისას განაღდებიდან მიღებული შემოსავალი	165,632	1,598,536
მიღებული დივიდენდები	694	-
შვილობილი კომპანიების შეძენა, მიღებული ფულის გარდა	-	410
ფული მიღებული შეძენილი შვილობილი კომპანიებისგან	-	-
ობლიგაციების შეძენა, აღრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით	(639,824)	(613,383)
შემოსავლები ამორტიზირებული ღირებულებით ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციების გამოსყიდვიდან	413,038	216,871
შენობების, მოწყობილობის და არამატერიალური აქტივების შეძენა	(153,791)	(120,677)
შემოსავლები შენობების, მოწყობილობის და არამატერიალური აქტივების გასხვისებიდან	3,450	13,225
შემოსავლები საინვესტიციო ქონების გასხვისებიდან	13,513	13,681
<b>საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>	<b>(672,902)</b>	<b>(432,550)</b>
<b>წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული ფინანსურ საქმიანობებში</b>		
შემოსავალი სხვა ნასესხები სახრებიდან	4,031,812	1,819,899
სხვა ნასესხები სახსრების გამოსყიდვა	(3,319,426)	(1,392,897)
საიჯარო ვალდებულებების ძირი თანხის დაფარვა	(13,251)	(6,453)
შემოსავალი სუბორდინირებული ვალიდან	-	-
სუბორდინირებული ვალის გამოსყიდვა	-	(104,079)
შემოსავალი ფასიანი ქაღალდის გამოშვებიდან	31,601	1,176,049
გამოშვებული ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა	-	(14,296)
გადახდილი დანარიცხები	(27,932)	(62,840)
გადახდილი დივიდენდები	-	(80,911)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>	<b>702,803</b>	<b>1,334,472</b>
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	82,919	73,186
<b>წმინდა (კლება) / ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში</b>	<b>607,120</b>	<b>(169,924)</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში</b>	<b>994,479</b>	<b>1,164,403</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>1,601,599</b>	<b>994,479</b>



## ძირითადი კოეფიციენტები

### საშუალო ნაშთები

ამ დოკუმენტში მოცემული საშუალო ნაშთები გამოითვლება, როგორც ყოველთვიური ბალანსების საშუალო თითოეული თვის ბოლოს. ბალანსები ამოღებულია თიბისი ბანკის არააუდირებული და კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშებიდან, რომლებიც მომზადდა თიბისის სააღრიცხვო ჩანაწერებიდან. ისინი გამოყენებული იქნა ხელმძღვანელობის მიერ მონიტორინგის და კონტროლის მიზნებისთვის.

### ძირითადი კოეფიციენტები

კოეფიციენტები (ყოველთვიური საშუალოს საფუძველზე)	FY'20	FY'19
<b>მომგებიანობის კოეფიციენტი:</b>		
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) <sup>1</sup>	12.9%	24.3%*
უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) <sup>2</sup>	1.7%	3.3%*
უკუგება კაპიტალზე (ROE) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეგულაციამდე <sup>3</sup>	26.4%	28.4%*
ხარჯის შემოსავალთან ფარდობა <sup>4</sup>	35.1%	37.7%
წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM) <sup>5</sup>	4.7%	5.5%
სესხის ეფექტური განაკვეთი <sup>6</sup>	10.1%	11.0%
დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი <sup>7</sup>	3.6%	3.4%
განაკვეთი საპროცენტო აქტივებზე <sup>8</sup>	9.5%	10.2%
დაფინანსების ხარჯი <sup>9</sup>	4.9%	4.7%
სპრედი <sup>10</sup>	4.6%	5.5%
<b>აქტივის ხარისხი და პორტფელის კონცენტრაცია:</b>		
რისკის ფასი <sup>11</sup>	2.4%	0.7%
PAR 90 მთლიან სესხებზე <sup>12</sup>	1.5%	1.1%
NPLs მთლიან სესხებზე <sup>13</sup>	4.7%	2.7%
NPLs დაფარვის კოეფიციენტი	85.6%	91.1%
NPLs დაფარვის კოეფიციენტი უზრუნველყოფით <sup>15</sup>	189.1%	194.2%
საკრედიტო ზარალის დონე მთლიან სესხებზე <sup>16</sup>	4.0%	2.5%
დაკავშირებული მხარის სესხები მთლიან სესხებში <sup>17</sup>	0.0%	0.1%
მთლიანი პორტფელის ტოპ 10 მსესხებელი <sup>18</sup>	7.9%	8.3%
მთლიანი პორტფელის ტოპ 20 მსესხებელი <sup>19</sup>	12.1%	12.3%
<b>კაპიტალის ოპტიმიზაცია:</b>		
წმინდა სესხები დეპოზიტებზე + IFI დაფინანსება <sup>20</sup>	100.7%	104.3%
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი <sup>21</sup>	126.0%	126.7%
ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი <sup>22</sup>	134.2%	110.1%
ლევერიჯი <sup>23</sup>	7.9x	7.4x**
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (Basel III) <sup>24</sup>	10.4%	12.0%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (Basel III) <sup>25</sup>	13.0%	14.6%
სულ საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (Basel III) <sup>26</sup>	17.1%	19.1%

\* PPE-ს (ძირითადი საშუალებები) სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებამდე გადაფასების მოდელიდან ხარჯების მოდელზე, უკუგება კაპიტალზე შეადგენდა 23.8%, ხოლო უკუგება კაპიტალზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეგულაციამდე შეადგენდა 27.8% და უკუგება აქტივებზე დარჩა უცვლელი FY 2019 წლისთვის.

\*\* PPE-ს (ძირითადი საშუალებები) სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებამდე გადაფასების მოდელიდან ხარჯების მოდელზე, ლევერჯი შეადგენდა 7.2x 2019 FY განმავლობაში.

**კოეფიციენტების დეფინიციები**

1. უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) უდრის აქციონერების კუთვნილ წმინდა მოგებას, შეფარდებული იმავ პერიოდის PLC აქციონერების კუთვნილი აქციონერთა საერთო კაპიტალის საშუალო მაჩვენებელთან, შესაბამის შემთხვევებში წლიურ საფუძველზე.
2. უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) უდრის წმინდა მოგებას, შეფარდებულს იმავ პერიოდის მთლიანი აქტივების ყოველთვიურ საშუალო მაჩვენებელთან შესაბამის შემთხვევებში წლიურ საფუძველზე.
3. უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვამდე უდრის აქციონერების კუთვნილ წმინდა მოგებას, ყველა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით, წმინდა მოდიფიკაციის ზარალის შემდეგ, გაყოფილი საერთო აქციონერთა წილის ყოველთვიურ საშუალო მაჩვენებელზე, რომელიც ეკუთვნის სს-ს კაპიტალის მფლობელებს იმავ პერიოდში.
4. ხარჯების შემოსავალთან ფარდობის კოეფიციენტი უდრის პერიოდის მთლიან საოპერაციო ხარჯებს, შეფარდებულს იმავ პერიოდის მთლიან შემოსავლებთან. (შემოსავლები წარმოადგენს წმინდა საპროცენტო შემოსავლების, წმინდა საკომისიო შემოსავლების და სხვა არასაპროცენტო შემოსავლების ჯამს).
5. წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM) უდრის წმინდა საპროცენტო შემოსავალს, შეფარდებულს იმავ პერიოდის საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივების ყოველთვიურ საშუალო მაჩვენებელთან შესაბამის შემთხვევებში წლიურ საფუძველზე. საპროცენტო აქტივების მოიცავს საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს, კორპორატიული აქციების, ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციის, წმინდა სესხების და საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხების გამოკლებით.
6. სესხების ეფექტური განაკვეთი უდრის საპროცენტო შემოსავალს კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებზე, შეფარდებულს კლიენტებზე გაცემული მთლიანი სესხებისა და ავანსების ყოველთვიურ საშუალო მაჩვენებელთან შესაბამის შემთხვევებში წლიურ საფუძველზე.
7. დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი უდრის საპროცენტო ხარჯს კლიენტის ანგარიშებზე, შეფარდებულს მთლიანი სამომხმარებლო დეპოზიტების ყოველთვიურ საშუალო მაჩვენებელთან შესაბამის შემთხვევებში წლიურ საფუძველზე.
8. განაკვეთი საპროცენტო აქტივებზე უდრის მთლიან საპროცენტო შემოსავალს შეფარდებულს საპროცენტო აქტივების ყოველთვიურ საშუალო მაჩვენებელთან. შესაბამის შემთხვევებში წლიურ საფუძველზე.
9. დაფინანსების ხარჯი უდრის მთლიან საპროცენტო ხარჯს, შეფარდებულს საპროცენტო ვალდებულებების ყოველთვიურ საშუალო მაჩვენებელთან; შესაბამის შემთხვევებში წლიურ საფუძველზე.
10. სპრედი უდრის სხვაობას საპროცენტო აქტივებზე შემოსავლებს (მათ შორის და არა მხოლოდ შემოსავლებს სესხებზე, ფასიან ქაღალდებზე და ბანკისგან მისაღებ თანხებზე) და დაფინანსების ხარჯს შორის (მათ შორის და არა მხოლოდ დეპოზიტების ხარჯი, ხარჯი სასესხო სახსრებზე და ბანკისთვის გადასახდელ თანხებზე).
11. რისკის ფასი უდრის კლიენტებზე სესხების საკრედიტო ზარალის რეზერვს, შეფარდებულს იმავ პერიოდის კლიენტებზე გაცემული მთლიანი სესხების და ავანსების ყოველთვიურ საშუალო მაჩვენებელთან; შესაბამის შემთხვევებში წლიურ საფუძველზე.
12. PAR 90 კოეფიციენტი მთლიან გაცემულ სესხებზე, რომლის ძირი თანხის ან პროცენტის დაფარვა ვადაგადაცილებულია 90 დღეზე მეტი ხნით, შეფარდებულს იმავ პერიოდის მთლიანი სასესხო პორტფელის მაჩვენებელთან.
13. NPLs კოეფიციენტი მთლიან სესხებთან უდრის სესხებს 90 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებულ ძირი თანხის ან პროცენტის გადახდით, და სესხებს სათანადოდ განსაზღვრული სუსტი ხარისხით, მიუხედავად ვადაგადაცილებული თანხების ან დღეების არსებობისა, შეფასრდებულს იმავ პერიოდის მთლიანი სესხების პორტფელთან.
14. NPLs დაფარვის კოეფიციენტი უდრის კლიენტებზე გაცემული სესხების საერთო საკრედიტო ზარალს, გამოანგარიშებული IFRS 9-ს შესაბამისად, შეფარდებულს NPL სესხებთან.
15. NPLs დაფარვის კოეფიციენტი უზრუნველყოფის ჩათვლით უდრის კლიენტებზე გაცემული სესხების საერთო საკრედიტო ზარალს, გამოანგარიშებული IFRS 9-ს შესაბამისად, პლუს NPL სესხების საერთო უზრუნველყოფის თანხა (მესამე მხარის გარანტიების გარდა), დისკონტირებული 30-50%, სეგმენტის ტიპიდან გამომდინარე, შეფასრდებულს NPL სესხებთან.
16. საკრედიტო ზარალის დონე მთლიან სესხებზე უდრის კლიენტებზე გაცემული სესხების საერთო საკრედიტო ზარალს, შეფარდებულს იმავ პერიოდის მთლიანი სესხების პორტფელთან.

17. დაკავშირებული მხარის სესხები მთლიან სესხებში უდრის დაკავშირებული მხარის სესხებს, შეფარდებულს მთლიანი სესხების პორტფელთან.
18. ტოპ 10 მსესხებელი მთლიან პორტფელში უდრის ტოპ 10 მსესხებლის საერთო სესხის თანხას, შეფარდებულს მთლიანი სესხის პორტფელთან.
19. ტოპ 20 მსესხებელი მთლიან პორტფელში უდრის ტოპ 20 მსესხებლის საერთო სესხის თანხას, შეფარდებულს მთლიანი სესხის პორტფელთან.
20. წმინდა სესხების კოეფიციენტი დეპოზიტებში პლუს IFI დაფინანსება უდრის წმინდა სესხებს, შეფარდებულს საერთო დეპოზიტებთან პლუს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული სასესხო სახსრები.
21. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი უდრის სტაბილური დაფინანსების არსებულ თანხას, შეფარდებულს სტაბილური დაფინანსების მოთხოვნილ თანხასთან, როგორც განსაზღვრულია სებ-ის ბაზელ III გაიდლაინების შესაბამისად.
22. ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი უდრის მაღალი ხარისხის ლიკვიდურ აქტივებს, შეფარდებულს საერთო წმინდა ფულადი გადინებების თანხასთან, როგორც განსაზღვრულია სებ-ის მიერ.
23. ლევერეჯი უდრის საერთო აქტივებს საერთო კაპიტალში.
24. ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი უდრის ძირითად პირველად კაპიტალს, შეფარდებულს საერთო რისკზე შეწონილ აქტივებთან, ორივე გამოთვლილია სებ-ის ბაზელ III სტანდარტების პილარ 1-ის მოთხოვნების შესაბამისად. ანგარიშგება დაიწყო 2017 წლიდან. გამოთვლები განხორციელდა მხოლოდ თიბისი ბანკისთვის, ადგილობრივი სტანდარტების საფუძველზე.
25. პირველადი კოეფიციენტი უდრის პირველად კაპიტალს, შეფარდებულს საერთო რისკზე შეწონილ აქტივებთან, ორივე გამოთვლილია სებ-ის ბაზელ III სტანდარტების პილარ 1-ის მოთხოვნების შესაბამისად. ანგარიშგება დაიწყო 2017 წლიდან. გამოთვლები განხორციელდა მხოლოდ თიბისი ბანკისთვის, ადგილობრივი სტანდარტების საფუძველზე.
26. მთლიანი საზედამხებველოს კოეფიციენტი უდრის მთლიან საზედამხებველო კაპიტალს, შეფარდებულს საერთო რისკზე შეწონილ აქტივებთან, ორივე გამოთვლილია სებ-ის ბაზელ III სტანდარტების პილარ 1-ის მოთხოვნების შესაბამისად. ანგარიშგება დაიწყო 2017 წლიდან. გამოთვლები განხორციელდა მხოლოდ თიბისი ბანკისთვის, ადგილობრივი სტანდარტების საფუძველზე.

### სავალუტო კურსები

წინა წელთან შედარებით საბალანსო მუხლების ზრდის გამოსათვლელად, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, ჩვენ გამოვიყენეთ აშშ დოლარის / ლართან შეფარდების 2.8677 სავალუტო კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აშშ დოლარის / ლართან შეფარდების კურსი შეადგენდა 3.2766. P&L ზრდის გამოსათვლელად სავალუტო ეფექტის გარეშე, ჩვენ გამოვიყენეთ საშუალო აშშ დოლარის / ლართან შეფარდების კურსი შემდეგი პერიოდებისთვის: 2020 ფინანსურ წელს - 3.1097, ხოლო 2019 ფინანსურ წელს - 2.8192.

# კორპორაციული მართვა

სააქციო საზოგადოება თიბისი ბანკი (შემდგომში „ბანკი“) არის ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტზე განთავსებული კომპანიის, TBC Bank Group PLC-ის (შემდგომში „ჯგუფი“), ძირითადი შვილობილი კომპანია. ბანკის კორპორაციული მართვა შეესაბამება „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის N 215.04 ბრძანების (შემდგომში - „კოდექსი“) მოთხოვნებს. ამავდროულად, ბანკი აკმაყოფილებს დიდი ბრიტანეთის კორპორაციული მართვის კოდექსით დადგენილ კორპორაციული მართვის უმაღლეს სტანდარტებს.

გარდა ამისა, ბანკს გააჩნია ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა ზუსტი და სარწმუნო ფინანსური ანგარიშგების უზრუნველყოფის მიზნით. ბანკს აქვს ანგარიშვალდებულების და უფლებამოსილების დელეგირების მკაფიო სტრუქტურა, მათ შორის, პოლიტიკები და შესაბამისი პროცედურები, რომლების მოიცავენ, როგორც ფინანსურ დაგეგმვასა და ანგარიშგებას, ასევე, ყოველთვიური მართვის ანგარიშების მომზადებას, პროექტის მართვას, ინფორმაციის დაცვას და ინფორმაციის სამართლიანი და ობიექტური გამჟღავნების მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად და წლის განმავლობაში ყველა არსებული შესაბამისი სიახლის სწორი გამჟღავნების მიზნით, წლიურ ანგარიშსა და შესაბამისი ხელმძღვანელების სხვა ანგარიშებში გამჟღავნებული ინფორმაციის მიმოხილვას.

სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს, რომ ბანკის მმართველობის სტრუქტურა იძლეოდეს ადეკვატური ზედამხედველობის და ანგარიშვალდებულების, ასევე მოვალეობების გამიჯვნის შესაძლებლობას. მმართველობის ყველა დონის ჩართვა რისკის მართვაში, უფლებამოსილების მკაფიო გამიჯვნა და ეფექტური კომუნიკაცია სხვადასხვა მმართველობის ორგანოებს შორის, ხელს შეუწყობს გამჭვირვალობას სტრატეგიული და რისკის მიზნების მიმართებით, დადგენილი რისკის აპეტიტის, რისკის ბიუჯეტისა და რისკის მართვის დაცვას. ცენტრალიზებული ორგანიზაციის რისკების მართვის (ERM) განყოფილება უზრუნველყოფს რისკის სტრატეგიისა და რისკის აპეტიტის ეფექტურად შემუშავებას, კომუნიკაციასა და დანერგვას ჯგუფის მასშტაბით.

ბანკის მთავარი აქციონერი არის TBC Bank Group PLC, ინგლისსა და უელსში დაფუძნებული კომპანია, რომელიც ფლობს ბანკის 99.9%-ს. TBC Bank Group PLC არის ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტზე განთავსებული კომპანია. აქციონერთა უფლებები მითითებულია ბანკის წესდებაში და რეგულირდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და „კომერციული ბანკების საქმიანობების შესახებ“ საქართველოს კანონით.

TBC Bank Group PLC-ის საბჭო (შემდგომში - „PLC საბჭო“) არის ჯგუფში გადანაცვების მიმღები მთავარი ორგანო და ერთობლივად პასუხისმგებელია ჯგუფის მიზნების, კულტურის, ღირებულების და გრძელვადიანი წარმატების სტრატეგიის ხელშეწყობაზე და დაინტერესებული პირებისთვის მდგრადი ღირებულების შედეგების მიწოდებაზე ჯგუფის სტრატეგიული მიმართულების დადგენისა და კონტროლის გზით.

ამასთან, ბანკის საქმიანობას ასევე ზედამხედველობს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო („სამეთვალყურეო საბჭო“). გარდა ამისა, ასევე არსებობს PLC-ის საბჭოს კომიტეტების ექვივალენტური სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების სტრუქტურა. შესაბამისად, პრაქტიკულად ჯგუფის ფარგლებში ფუნქციონირებს ორი ექვივალენტური სამეთვალყურეო ორგანო, PLC-ის საბჭოს და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს სახით, რომლებიც ერთმანეთისგან განცალკევებულია, თუმცა ურთიერთდაკავშირებულია კომიტეტებით. შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს, PLC-ის საბჭოს და მათი შესაბამისი კომიტეტების საქმიანობა სათანადოდ არის დაბალანსებული და გამიჯნული იმის მიხედვით, შესაბამისი გადანაცვები შეეხება ჯგუფს თუ მხოლოდ ბანკს. შედეგად ჯგუფის მმართველობის

სტრუქტურა უზრუნველყოფს ადეკვატურ ზედამხედველობას და ანგარიშვალდებულებას, ასევე მოვალეობების მკაფიო გამიჯვნას. PLC საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს გააჩნიათ ჯგუფზე ზოგადი ხელმძღვანელობის, მართვის და დასახულ მიზნებთან შესაბამისობის კონტროლის საერთო პასუხისმგებლობა, ხოლო ბანკის დირექტორთა საბჭო მართავს და ხელმძღვანელობს ყოველდღიურ საქმიანობას.

სამეთვალყურეო საბჭოსა და PLC-ის საბჭოს აქვს არა-აღმასრულებელი წევრების იდენტური შემადგენლობა.

წინამდებარე ანგარიშის თარიღისთვის, კოდექსით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის“ განმარტების კრიტერიუმების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო შედგება ხუთი არა-აღმასრულებელი დამოუკიდებელი წევრისგან არნე ბერგრენი (თავმჯდომარე), ცირა კემულარია (შუალედური უფროსი დამოუკიდებელი წევრი), მარია ლუიზა ჩიკონიანი, ნიკოლას ჰააგი, აბიჯიტ აკერკარი, ნიკოლოზ ენუქიძე და ერთი არა-დამოუკიდებელი წევრისგან ერიკ რაჯენდრა.

საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო მათ ძირითად მოვალეობებს ასრულებენ თავიანთი კომიტეტების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ კონტროლს და გასცემენ რეკომენდაციებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც მათზე დელეგირებულია PLC-ის საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. PLC-ის საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოში შექმნილია ოთხი ძირითადი კომიტეტი: კორპორაციული მართვისა და ნომინაციის კომიტეტი, აუდიტის კომიტეტი; რისკის კომიტეტი და ანაზღაურების კომიტეტი. როგორც PLC-ის საბჭოში, ასევე სამეთვალყურეო საბჭოში, კომიტეტებს ჰყავთ იდენტური არა-აღმასრულებელი წევრები. PLC-ის საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული კომიტეტის თავმჯდომარე შესაბამისი კომიტეტის საქმიანობის შესახებ წარადგენენ ანგარიშს PLC-ის საბჭოს / სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე, მათ შორის ისეთი საკითხების შესახებ, რომლებსაც კომიტეტი წარადგენს PLC-ის საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად.

ჯგუფი აღიარებს მრავალფეროვნების უზრუნველყოფის მნიშვნელობას და თავისი საქმიანობისთვის მნიშვნელოვან სარგებელად მიიჩნევს PLC-ის საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ბანკის მმართველი საბჭოს სხვადასხვა ბიოგრაფიისა და გამოცდილების მქონე პირებით დაკომპლექტებას, რადგან ეს საჭირო გამოცდილებას, კულტურულ მრავალფეროვნებასა და სხვადასხვა განსხვავებულ პერსპექტივას შემატებს საბჭოს განხილვებს და ხელს შეუწყობს მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესებას.

სამეთვალყურეო საბჭოში წარმოდგენილია ორი ქალი წევრი. გარდა ამისა, ბანკის არაერთ მნიშვნელოვან პოზიციაზე დასაქმებულია მრავალი ნიჭიერი ქალი, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან ბანკის გენერალურ დირექტორს და ბანკის მმართველი საბჭოს სხვა წევრებს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ტოპ მენეჯმენტის 14%-ის და ჯგუფის საშუალო ხელმძღვანელი რგოლის 33% -ს ფუნქციებს ასრულებდნენ ქალები. გარდა ამისა, ჯგუფის მასშტაბით თანამშრომელთა 67% ქალია.

## სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები



### არნე ბერგრენი

თავმჯდომარე

2021 წლის მარტში არნე ბერგრენი დაინიშნა TBC PLC-ის საბჭოს თავმჯდომარედ და TBC JSC-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.

არნე ბერგრენი სწავლობდა ისეთ ცნობილ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორიცაა შვედეთის მენეჯმენტის ინსტიტუტი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლა, ჟენევის უნივერსიტეტი, ამსტერდამის უნივერსიტეტი და უფსალას უნივერსიტეტი.

არნე ბერგრენი ამჟამად არის კვიპროსის ბანკის და პირეის ბანკის საბჭოს წევრი, მანამდე ბატონი ბერგრენი იყო თურქული კომპანიის, "LBT Varlik Yonetim"-ის და სლოვენური ბანკის აქტივების მართვის, "DUBT Ltd"-ის საბჭოს წევრი. მას ასევე უმუშავია რამდენიმე წამყვან თანამდებობაზე ცნობილ საფინანსო ინსტიტუტებში, მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდში, მსოფლიო ბანკში, შვედეთის ბანკში, კარნეგის საინვესტიციო ბანკში, შვედეთის ფინანსთა სამინისტროსა და ბანკების მხარდაჭერის სააგენტოში. შვედეთის საბანკო კრიზისის დროს 1991-1993 წლებში, ბ-ნმა ბერგრენმა შეიმუშავა საბანკო კრიზისთან გამკლავების სტრატეგიული ჩარჩო და დანერგა მართვის რესტრუქტურის განხორციელების უფრო ეფექტური ინსტრუმენტი. ამის კრიზისის დროს ბ-ნი ბერგრენი FRA-ს ტალიანდში და FSC/ KAMCO-ს კორეაში დაეხმარა პრობლემური აქტივების მართვაში.

არნე ბერგრენი დაინიშნა TBC JSC-ის სამეთვალყურეო საბჭოში 2019 წლის ივლისში, ხოლო TBC PLC-ის საბჭოში დამოუკიდებელ არა-აღმასრულებელ დირექტორად 2019 წლის აგვისტოში.



### ცირა კვეულარია

უფროსი დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი

2021 წლის მარტში, ცირა კვეულარია დაინიშნა TBC PLC-ის საბჭოს და TBC JSC-ის სამეთვალყურეო საბჭოს შუალედური უფროსი დამოუკიდებელი დირექტორის თანამდებობაზე. დღესდღეობით იგი ასევე არის კორპორატიული მართვის და ნომინაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

ქალბატონმა ცირა კვეულარიამ 1999 წელს დაამთავრა ლუიზიანას სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსების და ეკონომიკის სპეციალობით. მას აქვს 21 წლიანი საერთაშორისო გამოცდილება ფინანსური მომსახურებისა და რისკების მართვის სფეროში.

1999 წლიდან 2005 წლამდე მას ეკავა სხვადასხვა თანამდებობა საბაზრო რისკის მართვის სფეროში "Dynergy Inc."-ში აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოში, "Shell International Trading & Shipping Ltd (STASCO)" ლონდონში. 2005 წლიდან 2008 წლამდე ცირა კვეულარია იყო "Shell International"-ის მენეჯერი M&A და კომერციულ ფინანსებში, ჯგუფის ხაზინასა და კორპორატიულ ფინანსებში. 2008-2011 წლებში ის იკავებდა კომერციული ფინანსური მენეჯერის თანამდებობას, M&A ჯგუფის ხაზინისა და კორპორატიული ფინანსების განხორით, "Shell Exploration and Production Services (B.V)" კომპანიაში მოსკოვში. ამის შემდეგ, 2011-2016 წლებში, მას ეკავა ფინანსური მენეჯერისა და ქვეყნის მაკროეკონომიკის პოზიცია "Shell Western" კომპანიაში. 2016-2019 წლებში ცირა კვეულარია იყო ფინანსური მენეჯერი Supply and Trading LTD ბარბადოსში, ვესტ-ინდოეთში. 2016 წლიდან 2019 წლამდე ქ-ნი კვეულარია ხელმძღვანელობდა "Shell International Ltd"-ს ჯგუფის საპენსიო სტრატეგიისა და სტანდარტებს ლონდონში. ამჟამად მართავს "Shell International Trading and Supply businesses" შიდა აუდიტს.

2006 წლიდან 2010 წლამდე, ქალბატონი კვეულარია იყო „ბრიტანულ-ქართული საზოგადოების“ საბჭოს წევრი. 2011 წელს ის შეუერთდა "Shell Western Supply and Trading Ltd"-ის საბჭოს. 2016 წლიდან ის ასევე არის "British Gas General Partner Ltd" და "British Gas Trustee Solutions Ltd" კომპანიის წევრით აღჭურვილი პირი. ცირა კვეულარია არის „დირექტორთა ინსტიტუტის“ წევრი, რომელიც მდებარეობს ლონდონში, გაერთიანებულ სამეფოში, და ამჟამად ის მონაწილეობს „დიპლომირებული დირექტორების პროგრამაში“.

ცირა კვეულარია დაინიშნა TBC PLC-ის საბჭოს დამოუკიდებელ არა-აღმასრულებელ დირექტორად და TBC JSC-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად 2018 წლის სექტემბერში, იგი ასევე არის "Ambassador"-ი და ასრულებს შუამავლის როლს თანამშრომლებსა და TBC PLC-ის საბჭოს შორის.



**მარია ლუიზა ჩიკონიანი**

**დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი**

2021 წლის თებერვალში, მარია ლუიზა ჩიკონიანი დაინიშნა TBC PLC-ის საბჭოს და TBC JSC-ის სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შუალედურ თავმჯდომარედ. მას ასევე უკავია ანაზღაურების კომიტეტის თავმჯდომარის პოზიცია.

ქალბატონმა მარია ლუიზა ჩიკონიანმა 1987 წელს დაამთავრა ბოკონის უნივერსიტეტი ბიზნესის და ადმინისტრირების განხრით. მას აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი იაპონიის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან იაპონიის ეკონომიკისა და ბიზნესის განხრით.

მარია ლუიზა ჩიკონიანის აქვს სავაოდ დიდი გამოცდილება საბანკო და კორპორატიული მართვის სფეროში. 1993-2005 წლებში ის მუშაობდა „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში“ (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი). ის იყო “Merrill Lynch“-ის ფინანსური დაწესებულებების დირექტორი და “Renaissance Capital”-ის მმართველი დირექტორი ლონდონსა და მოსკოვში, ასევე “Mediobanca”-ის (ლონდონის ფილიალის) მმართველი დირექტორი. 2014-2016 წლებში მარია ლუიზა ჩიკონიანი იყო Azimut Global Counseling Srl-ის (იტალია) და “Azimut International Holding SA”-ის (ლუქსემბურგი) საბჭოს არააღმასრულებელი წევრი. ის იყო Moneta Money Bank (პრაღის საფონდო ბირჟა) და NED of Arafa Holding (კაიროს საფონდო ბირჟაზე). თავმჯდომარე. იგი ასევე იყო საბჭოს წევრი UBI Banca (Italy)-ში და რისკ კომიტეტისა და მაკონტროლებელი კომიტეტის წევრი. ის ამჟამად არის Mobius Investment Trust თავმჯდომარე, რომელიც განთავსებულია LSE-ზე

ქალბატონი ჩიკონიანი დაინიშნა TBC PLC-ის საბჭოს დამოუკიდებელი არა-აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე და TBC JSC-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად 2018 წლის სექტემბერში.



**აბიჯიტი აკერკარი**

**დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი**

2021 წლის მარტში აბიჯიტი აკერკარი დაინიშნა რისკის კომიტეტის შუალედურ თავმჯდომარედ.

აბიჯიტი აკერკარმა დაამთავრა პუნას (ინდოეთი) უნივერსიტეტი ინჟინრის სპეციალობით. შემდეგ კი ლონდონის ბიზნესის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი (MBA) მოიპოვა.

აკერკარი ავტორიტეტული ექსპერტია საბანკო სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მიმართულებით. მას აქვს მოწინავე ტექნოლოგიების სტრატეგიულ გამოყენებაზე მუშაობის ოცდახუთწლიანი ინტერდისციპლინური გამოცდილება საერთაშორისო მასშტაბით, რაც ასევე მოიცავს Mckinsey & Co-ისთან თანამშრომლობას და ბიზნესის სფეროს ლიდერების კონსულტირებას სტრატეგიული, საოპერაციო, ორგანიზაციული და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას.

1993-2003 წლებში აბიჯიტს სხვადასხვა მენეჯერული თანამდებობა ეკავა მაღალიზასა და ინდოეთში. მაღალიზის უმსხვილეს საბანკო ჯგუფში, მეიბანკში, იგი იპოთეკური და სავაჭრო დაფინანსების დიჯიტალიზაციის პროექტზე მუშაობდა, 2003-2007 წლებში კი, იყო HCL Technologies-ს ბიზნეს პროცესების მომსახურების დირექტორი. სწორედ ამ პერიოდში, დირექტორთა საბჭოსთან და დამფუძნებელ თავმჯდომარესთან უშუალო თანამშრომლობით, მან კომპანიის ახალ ბიზნეს მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი. 2008-2016 წლებში, აკერკარის, როგორც Mckinsey & Co-ს ასოცირებული პარტნიორისა და ბიზნეს მომსახურების მიმართულების არააღმასრულებელი ხელმძღვანელის მოვალეობებში სტრატეგიული და საოპერაციო პროექტების წარმართვა შედიოდა. ის თანამშრომლობდა მსოფლიოს სხვადასხვა კომპანიებთან, კორპორაციული სტრატეგიის, დიჯიტალიზაციის, ორგანიზაციული რესტრუქტურისა, მარეგულირებელი სტრატეგიის, მდგრადი განვითარებისა და შერწყმის/შეძენის ეფექტიანობის საკითხებთან დაკავშირებით. ბოლო დროს, 2020 წლის ივლისამდე, აკერკარი ლოიდის საბანკო ჯგუფის (Lloyds Banking Group) ბიზნესისა და გამოყენებითი მეცნიერებების ინტეგრაციის მიმართულების ხელმძღვანელი იყო. საცალო, კომერციული და სადაზღვევო საქმიანობის ეფექტიანობისა და კაპიტალის ოპტიმიზაციის უზრუნველსაყოფად, ის წარმართავდა ხელოვნური ინტელექტის მასშტაბური და უსაფრთხო დანერგვის, კოორდინირებული მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ანალიტიკური მეთოდის განხორციელების პროცესებს.

2019 წლის ივლისიდან აბიჯიტი აკერკარი TBC PLC-ის საბჭოს დამოუკიდებელი არა-აღმასრულებელი დირექტორი და TBC JSC-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.



**ნიკოლას ღომინიკაშვილი**

**დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი**

ნიკოლას ჰააგმა 1980 წელს მიიღო ბაკალავრის დიპლომი ოქსფორდის უნივერსიტეტში, გეოგრაფიის თანამედროვე კვლევების განხრით.

ბატონ ჰააგს ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაში მუშაობის 40 წლიანი გამოცდილება აქვს, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გამოცდილება კერძო კაპიტალის ბაზრებსა და ტექნოლოგიაში. 1980 – 1999 წლებში ნიკოლას ჰააგი მუშაობდა „Barclays Bank“-ში კაპიტალის სხვადასხვა ბაზრებში პროექტების დაფინანსების განხრით. 1999 წლიდან 2001 წლამდე ის მუშაობდა „ING Barings“-ში ტექნოლოგიური ბანკინგის ჯგუფის მმართველ დირექტორად და საბანკო ტექნოლოგიების გლობალურ ხელმძღვანელად; 2001-2007 წლებში, ნიკოლას ჰააგი იყო ლონდონში „ABN AMRO“-ს საბანკო ტექნოლოგიების გლობალური ხელმძღვანელი, „გლობალური TMT მართვის კომიტეტის“ წევრი, „ზემდგომი საკრედიტო კომიტეტის“ უფროსი მმართველი დირექტორი და წევრი; 2008-2012 წლებში, „Royal Bank of Scotland“-ის და „RBS Hoare Govett“-ის მმართველი დირექტორი, ლონდონის კერძო კაპიტალის ბაზრების ხელმძღვანელი და „გლობალური კერძო კაპიტალის მოზიდვის მართვის“ კომიტეტის წევრი.

2012 წლიდან არის მოსკოვის „Credit Bank“-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის უფროსი დამოუკიდებელი მრჩეველი, ხოლო 2013 წლიდან 2016 წლის ნოემბრამდე ის იყო ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ასევე ფინანსური კონსულტანტი კაპიტალის მოზიდვისა და საფონდო ბირჟაზე რეგისტრაციის მიმართულებით. გარდა ამისა, ის ასევე არის „Bayport Management Limited“-ის (პანაფრიკული და ლათინურამერიკული საცალო გამსესხებელი) დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი, ხოლო 2016 წლიდან, რიგაში, „AS Citadele Banka“-ს დირექტორი. 2012 წლიდან არის საკუთარი საკონსულტაციო კომპანიის „Nidcom Limited“-ის დირექტორი.

ბატონი ჰააგი სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დაინიშნა 2013 წელს, ხოლო TBC PLC-ის საბჭოს დამოუკიდებელი არა-აღმასრულებელი დირექტორია 2016 წლის მაისიდან. ნიკოლას ჰააგს აქვს საკმაოდ დიდი და რელევანტური ფინანსური გამოცდილება, რაც გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსით მოითხოვება, ფინანსური ექსპერტის, მოვალეობების შესასრულებლად TBC PLC -ის აუდიტის კომიტეტში. 2021 წლის თებერვლამდე მას ეკავა TBC PLC-ის საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი დირექტორის თანამდებობა.



**ნიკოლოზ ენუქიძე**

**არააღმასრულებელი დირექტორი**

ბატონმა ნიკოლოზ ენუქიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი დაამთავრა 1993 წელს, 1996 წელს მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის დიპლომი მერილენდის უნივერსიტეტში.

2006-2010 წლებში ნიკოლოზ ენუქიძე საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (უფრო ადრე კი - თავმჯდომარის მოადგილე) და ლონდონის საფონდო ბირჟაზე ბანკის აქციების წარმატებულად გატანის ერთ-ერთი მესვეური იყო. ეს იყო კავკასიის რეგიონიდან ლონდონში აქციების პირველი საჯარო შეთავაზება. ნიკოლოზ ენუქიძე ასევე არის აზერბაიჯანში Yelo Bank -ის დირექტორთა საბჭოს წევრი. საქართველოს ბანკში მუშაობამდე, ნიკოლოზ ენუქიძე მუშაობდა მოსკოვსა და ლონდონში „ABN AMRO Corporate Finance“-ში, კიევი - „Concorde Capital“-ში და ვირჯინიაში, რესტონში - „Global One Communications“-ში.

ნიკოლოზ ენუქიძე იყო TBC PLC-ს და JSC-ის თავმჯდომარე 2019 წლის ივლისიდან და 2019 წლის აგვისტოდან, 2021 წლის მარტში მის გადადგომამდე. მანამდე ბატონი ნიკოლოზი იყო TBC JSC-ის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი 2013 წლიდან და TBC PLC-ის საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი დირექტორი 2016 წლიდან.





## ირიკ ჯ. რაჭენდრა

დამოუკიდებელი  
არააღმასრულებელი  
დირექტორი

ბატონმა ირიკ რაჯენდრამ ბაკალავრის ხარისხი მიიღო ბრანდელის უნივერსიტეტში, ხოლო მაგისტრის ხარისხი – 1982 წელს ფლეთჩერის სკოლაში (ტაფტსის უნივერსიტეტისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი), ხოლო სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა INSEAD-ის ბიზნესის სკოლაში, ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების სფეროში.

ირიკ რაჯენდრა ასევე არის “Australian Institute of Company Directors”-ის კურსდამთავრებული, მანამდე იყო სტრატეგიის პროფესორის თანაშემწე INSEAD-ში. 2005-2014 წლებში მას ეკავა უფროსი მრჩეველის თანამდებობა „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში“ და იყო საბჭოს დირექტორი და მრჩეველი იმ განვითარებადი ბაზრების ფინანსური ინსტიტუტებში, რომლის კაპიტალშიც მსოფლიო ბანკის ჯგუფს აქვს წილი. ასევე ის კომპანიას კონსულტაციას უწევდა მთავარ სტრატეგიულ ინიციატივებთან დაკავშირებით. „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში“ მუშაობის დაწყებამდე, ის იყო „Capgemini“-ის ვიცეპრეზიდენტი და „Electronic Data Systems“-ის ვიცეპრეზიდენტი; ორივე ინსტიტუტში მას წამყვანი როლი ეკავა ფინანსური სერვისების მიმართულებით.

2006 წლიდან 2014 წლამდე ის იყო “Locko Bank”-ის სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორი, სადაც ასევე იყო აუდიტისა და რისკების კომიტეტის თავმჯდომარე. “Orient Express Bank”-ში 2010 წლიდან 2012 წლამდე სტრატეგიის კომიტეტის თავმჯდომარე და მანამდე “ACLEDA Bank”-ში კამბოჯიაში. საბანკო სფეროში მისი კარიერა დაიწყო 1982 წელს „JP Morgan Chase Bank“-ის ბანკირად მუშაობით. ხოლო მოგვიანებით კი ის გახდა „McKinsey & Company“-ის პარტნიორი. სხვადასხვა პოზიციებზე ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპაში და აზიაში. ირიკ რაჯენდრა TBC JSC-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დაინიშნა 2010 წელს, ხოლო TBC PLC-ის საბჭოს დამოუკიდებელ არა-აღმასრულებელ დირექტორად – 2016 წლის მაისში

## ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრების ბიოგრაფიები



**ვახტანგ ბუცხრიკიძე**  
გენერალური დირექტორი

ვახტანგ ბუცხრიკიძე თიბისი ბანკს შემოუერთდა 1993 წელს, კრედიტების მართვის დეპარტამენტის უფროს მენეჯერად, ხოლო 1994 წელს ის აირჩიეს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1996 წელს ის გახდა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. 1998 წლიდან მას უჭირავს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის თანამდებობა და ხელმძღვანელობდა თიბისის რამდენიმე კომიტეტს.

ვახტანგ ბუცხრიკიძე TBC PLC-ის გენერალურ დირექტორად დაინიშნა 2016 წლის მაისში, ხოლო TBC JSC-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო 2016 წლიდან 2018 წლის აპრილამდე. ბ-ნი ვახტანგი ასევე არის საქართველოს ბანკების ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და საქართველოს ბიზნეს ასოციაციის საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარე. 2016 წელს ბ-ნი ვახტანგი შეუერთდა ვიზას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის (CEMEA) ბიზნეს საბჭოს.

2001 წელს ვახტანგი ჟურნალ „ჯორჯიან ტაიმსმა“ დააჯილდოვა „წლის საუკეთესო ბიზნესმენის“ წოდებით, 2011 წელს კი მან 2011 წლის საუკეთესო ბანკირის ჯილდო მიიღო GUAM-სგან, დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციისგან. გარდა ამისა, ვახტანგი ჟურნალმა “EMEA Finance” დაასახელა 2014 წლის საუკეთესო გენერალურ დირექტორად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ში.

2019 წლის მარტში ბატონ ბუცხრიკიძეს მიენიჭა სპეციალური ჯილდო Responsible Capitalism in Adversity პრესტიჟული მრავალდისციპლინური საერთაშორისო ურთიერთობების ორგანიზაციის “FIRST”-ის მიერ, რომლის მიზანია მრეწველობის, ფინანსების და მთავრობის ლიდერებს შორის დიალოგის გაფართოება.

2001 წელს ვახტანგმა ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხი მიიღო მართვის ევროპულ სკოლაში (“European School of Management”), თბილისში. მან 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში მიიღო მესამე დონის კვალიფიკაცია.



**გიორგი მეგრელიშვილი**  
გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი

გიორგი მეგრელიშვილი თიბისი ბანკს შეუერთდა 2020 წლის მარტიდან, როგორც ფინანსური დირექტორის მოადგილე.

2020 წლის ოქტომბერში, გიორგი გახდა თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი და TBC JSC-ის დირექტორთა საბჭოს წევრი.

სანამ თიბისი ბანკს შემოუერთდებოდა, გიორგი იყო დირექტორი, კაპიტალის რისკისა და სტრუქტურის ტესტირების ხელმძღვანელი Natwest Markets-ში ამსტერდამში, ჰოლანდია. Natwest Markets-მდე, გიორგის ეკავა სხვადასხვა ხელმძღვანელის თანამდებობები ლონდონში Barclays Bank-ში 2008-2019 წლებში. 2008-2010 წლებში იგი იყო MBA Global Leaders პროგრამის წევრი, და ასევე იყო ასოცირებული დირექტორი Barclays Corporate International Credit Risk, Business Support & Recoveries-სთვის. 2010-2014-ში ის მუშაობდა Barclays ხაზინაში, როგორც კაპიტალის მენეჯმენტის ვიცე-პრეზიდენტი, შემდგომ, როგორც დირექტორი, ცენტრალური დაგეგმვის უფროსი Barclays Finance-ში. 2016 წლიდან 2019 წლამდე გიორგი იყო PLC Solo Capital and Leverage Management-ის ლიდერი Barclays საერთაშორისო ხაზინაში.

კარიერის დასაწყისში, 1998-2007-მდე, რამდენიმე ქართულ ორგანიზაციაში გიორგის ეკავა სხვადასხვა მენეჯერული პოზიციები, მათ შორის ფინანსური დირექტორის პოზიცია.

2008 წელს, გიორგიმ წარჩინებით დაამთავრა (MBA) Cambridge Judge Business School-ი და აიღო მაგისტრის ხარისხი. მან ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის დიპლომი მოიპოვა European School of Management, ESM-ში, თბილისში.



### გიორგი თხელიძე

**გენერალური დირექტორის მოადგილე, კორპორატიული და საინვესტიციო ბანკინგი**

*სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ TBC JSC-ის დირექტორთა საბჭოში, 2021 წლის იანვრიდან, გიორგიმ აიღო პასუხისმგებლობა Wealth Management-ის და თიბისი ლიზინგის საქმიანობაზე.*

გიორგი 2014 წელს შემოუერთდა თიბისი ბანკს გენერალური დირექტორის მოადგილის რანგში. ხელმძღვანელობდა რისკის მართვის განყოფილებას. ბანკი რესპუბლიკას შექმნის და კორპორატიული და საინვესტიციო ბანკინგის (CIB) განყოფილების შექმნის შემდეგ, 2016 წლის ნოემბერში, ბ-ნმა გიორგიმ აიღო ამ განყოფილების მართვის პასუხისმგებლობა. გიორგის გამოცდილება ფინანსური მომსახურების სფეროში 15 წელზე მეტს ითვლის.

თიბისი ბანკში მოსვლამდე, გიორგი მუშაობდა ბარკლის საინვესტიციო ბანკში, სადაც მას 2011 წლის ივნისიდან ეკავა ევროპის, შუა აზიის და აფრიკის რეგიონის (EMEA) ფინანსური ინსტიტუტების ჯგუფის (FIG) ვიცე პრეზიდენტის თანამდებობა. 2009 წლის სექტემბრიდან გიორგი იყო ბარკლის სასესიო და ფინანსების და კორპორატიული რესტრუქტურირების ჯგუფების ასოცირებული დირექტორი. მისი კარიერის მანძილზე გიორგი მუშაობდა ბარკლიში, ლონდონში და წარმატებით განახორციელა არაერთი M&A ოპერაცია, სასესიო და კაპიტალის ბაზრის ტრანზაქციები ევროპის ფინანსურ ინსტიტუტებთან.

კარიერის დასაწყისში საქართველოში გიორგის სხვადასხვა ხელმძღვანელის თანამდებობა ეკავა სადაზღვევო კომპანია „ალდაგში“ 2000-2007 წლებში, ის ამ კომპანიის გენერალური დირექტორიც გახლდათ. გიორგიმ. ლონდონის ბიზნეს სკოლაში მოიპოვა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხი (2009წ). ის ასევე ფლობს საერთაშორისო კომერციული სამართლის მაგისტრის ხარისხს ნოტინგემის უნივერსიტეტიდან (2002) და სამართლის მაგისტრის ხარისხს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (2000)..



### ნიკოლოზ ჟურდიანი

**გენერალური დირექტორის მოადგილე, მცირე, საშუალო და მიკრო სემენტის საბანკო მომსახურება, მარკეტინგი, გადახდები და სფერის**

*სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ TBC JSC-ის დირექტორთა საბჭოში, 2021 წლის იანვრიდან, ნიკოლოზი დაინიშნა TBC UZ-ის და Payme-ს თავმჯდომარედ, ხოლო თავისი მოვალეობები MSME ბანკინგის სფეროში გადასცა თორნიკე გოგიჩაიშვილს. ნიკოლოზი რჩება ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე და მარკეტინგის, გადახდების და სფერის ხელმძღვანელი.*

ნიკოლოზი თიბისი ბანკს შეუერთდა 2014 წელს გენერალური დირექტორის მოადგილედ, პასუხისმგებელი იყო მიკრობანკინგზე, და იყო ბანკი კონსტანტას გენერალური დირექტორი. ნიკოლოზი 2015 წელს კონსტანტა ბანკთან შერწყმის შემდეგ გახდა მარკეტინგის და MSME ბანკინგის ხელმძღვანელი. გარდა ამისა, 2018 წლიდან ხელმძღვანელობს ციფრულ საბანკო პლატფორმას - სფერის. 2020 წელს მისი მოვალეობები გაფართოვდა და მოიცვა გადახდების ბიზნესი.

ნიკოლოზის საბანკო ინდუსტრიაში მუშაობის გამოცდილება თხუთმეტ წელზე მეტს ითვლის, აქედან ხუთი წელი მუშაობდა უნიკრედიტ ჯგუფში ავსტრიაში, თურქეთსა და ყაზახეთში. თიბისი ბანკამდე, 2014 წელს ნიკოლოზი იყო კასპი ბანკის - ყაზახეთის წამყვანი საცალო ბანკის - მმართველი დირექტორი.

კარიერის დასაწყისში იყო საცალო საბანკო მომსახურების განყოფილების ხელმძღვანელი ბანკ რესპუბლიკა საქართველოში, სოსიეტე ჟენერალ ჯგუფში. მას ასევე ეკავა სხვადასხვა პოზიცია საქართველოს ბანკში 2003-2006 წლებში. მას გამოცდილება აქვს აკვიზიციის შემდგომ ინტეგრაციასა და რესტრუქტურირებაში, ასევე, საცალო სემენტისა და მცირე და საშუალო საწარმოთა საბანკო მომსახურებაში. 2008-2010 წლებში ნიკოლოზი იყო გაყიდვების მხარდაჭერის უფროსი ექსპერტი, „UniCredit Group“-ში, „Bank Austria“-ს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საცალო მოსახურების განყოფილებაში, სადაც ის პასუხისმგებელი იყო თურქეთზე, ყაზახეთზე, უკრაინასა და სერბეთზე. 2010-2013 წლებში ის იყო საცალო განყოფილების ხელმძღვანელი ყაზახეთში „UniCredit Group“-ში, „ATF Bank“-ში..

ნიკამ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი (MBA) მიიღო „IE“ ბიზნეს სკოლაში 2007 წელს. ის ასევე ფლობს საერთაშორისო ეკონომიკის მაგისტრის ხარისხის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისგან. ნიკოლოზმა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი მიიღო გერმანიაში, „Ruhr University Bochum“-ში და კავკასიის ბიზნეს სკოლაში..



**თორნიკე  
გოგოჩიაშვილი**

**გენერალური დირექტორის  
მოადგილე, საცალო  
ბანკინგი**

2021 წლის იანვრიდან, TBC JSC-ის დირექტორთა საბჭოში სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ, გარდა არსებული პასუხისმგებლობებისა, თორნიკემ ნიკოლოზ ქურდიანისგან გადაიბარა MSME საბანკო საქმიანობის ხელმძღვანელის მოვალეობები.

თორნიკე თიბისის გუნდს 2018 წელს, გენერალური დირექტორის მოადგილედ და ოპერაციების მართვის დირექტორად შემოუერთდა. ფინანსური სერვისებისა და ოპერაციების მართვის სფეროში მას 20 წლიანი გამოცდილება აქვს. 2020 წელს თორნიკე დაინიშნა ბანკის დირექტორად საცალო საბანკო ბიზნესში.

2016 წლიდან თიბისის გუნდში შემოერთებამდე, თორნიკე საქართველოს ბანკში გენერალური დირექტორის მოადგილედ და ოპერაციების მართვის დირექტორად მუშაობდა. 2010-2016 წლებში თორნიკე საქართველოს ბანკის ოპერაციების დეპარტამენტის დირექტორის პოზიციას იკავებდა. ის ასევე იყო საერთაშორისო ბანკინგის ხელმძღვანელი საქართველოს ბანკის ჯგუფში. 2008-2010 წლებში, თორნიკეს “BG Bank Ukraine”-ში ფინანსური დირექტორის თანამდებობა ეკავა (საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანია).

2006-2008 წლებში თორნიკე სადაზღვევო კომპანია ალდაგის გენერალური დირექტორის პოზიციას იკავებდა. ის ასევე მუშაობდა “UEDC PA consulting”-ში გენერალურ ფინანსურ დირექტორად და 1998-2004 წლებში იკავებდა სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციას “BCI Insurance Company”-ში.

თორნიკე გოგოჩიაშვილს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი და ფლობს ოქსფორდის ბიზნესსკოლისა (Executive Diploma in Strategy and Innovation) და კავკასიის ბიზნესსკოლის (MBA) ხარისხს.



**ნინო მასურაშვილი**

**გენერალური დირექტორის  
მოადგილე, რისკების  
მართვის დირექტორი**

ნინო თიბისი ბანკს 2000 წელს შემოუერთდა დაგეგმვის და კონტროლის დეპარტამენტის მენეჯერად, ხოლო 2002 წელს ამავე დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახდა.

2004-2005 წლებში ის იყო გაყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელი და საცალო საბანკო მომსახურების კოორდინატორი. 2006 წლიდან ნინო დაინიშნა გენერალური დირექტორის მოადგილედ და 2009 წლამდე ხელმძღვანელობდა საცალო და მცირე და საშუალო საწარმოთა საბანკო მომსახურების მიმართულებას. ამასთან 2008 წლიდან 2016 წლამდე მან აიღო პასუხისმგებლობა MSME ბანკინგზე. 2016 – 2020 წლებში ხელმძღვანელობდა საცალო ბანკინგს. 2020 წელს დაინიშნა ბანკის რისკების მართვის დირექტორად.

2006-2008 წლებში ნინო იყო “UFC”-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 2011-2015 წლებში, თიბისი ბანკთან სრულ შერწყმამდე, მას ეჭირა ბანკი კონსტანტას სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობა. 2011 -2016 წლებში ნინო იყო თიბისი კრედიტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2016 – 2020 წლების განმავლობაში ქალბატონი ნინო იყო თიბისი ფეის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

1995-2000 წლებში, კარიერის დასაწყისში, მას ეკავა საკრედიტო ანგარიშების მენეჯერის, საკრედიტო ოფიცერის, ფინანსური ანალიტიკოსის (საფინანსო დეპარტამენტში) და ფინანსური ანალიზისისა და პროგნოზირების დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობები თბილკომბანკში. 1998-2000 წლებში ის ასევე იყო ბარენჯ ჯგუფის ბუღალტერი.

1996 წელს, ნინომ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი მიიღო მართვის ევროპულ სკოლაში, თბილისში.



# დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში სს. “თიბისი ბანკის” აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

## ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს, სს. „თიბისი ბანკის“ (შემდგომში მოხსენიებული როგორც „ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრით დათარიღებული N284/04 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად.

## რისი აუდიტი ჩავატარეთ

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს შემდეგს:

- ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებები მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ინდივიდუალური ანგარიშგებები მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ინდივიდუალური ანგარიშგებები მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებს და სხვა განმარტებებს.

## დასკვნის საფუძველი


ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ („ასს“-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე დასკვნის შემდეგ ნაწილში: „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური აღრიცხვის ანგარიშგების აუდიტორული შემოწმებისას.“

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

## დამოუკიდებლობა

ჩვენ მიუკერძოებლები ვართ ჯგუფისაგან და ბანკისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული „პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

**აუდიტის ჩვენი მიდგომა  
მიმოხილვა**



- > ჯგუფის საერთო არსებითობა: 23.8 მილიონი ლარი, რომელიც არის ბოლო 3 წლის განმავლობაში ჯგუფის დასაბეგრი მოგების საშუალოს 5%.
- > ბანკის საერთო არსებითობა: 22.7 მილიონი ლარი, რომელიც არის ბოლო 3 წლის განმავლობაში ბანკის დასაბეგრი მოგების საშუალოს 5%.
- > ჯგუფის მასშტაბების განსაზღვრა განაპირობა იურიდიული პირების დონეზე დასაბეგრი მოგების პროპორციულმა წილმა და სხვა ძირითადმა ფინანსურმა საბომებმა. ჯგუფის მასშტაბების შესაბამისობის განსაზღვრისას ჩვენ ასევე გავითვალისწინეთ ზოგადი დაფარვაც.
- > აუდიტის საკითხები, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს:
  - მომხმარებელზე გაცემულ სესხებსა და ავანსებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი;
  - კორონავირუსის (COVID-19) გავლენა.

აუდიტის შემუშავების პროცესში ჩვენ დავადგინეთ არსებითობა და შევაფასეთ კონსოლიდირებულ და ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი შეცდომების რისკი. კერძოდ, ჩვენ განვიხილეთ ის საკითხები, რომლებიც მენეჯმენტმა სუბიექტურად შეაფასა; მაგალითად, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებებში, რომლებიც გულისხმობს დაშვებების გაკეთებას და მომავალი მოვლენების გათვალისწინებას, რომლებიც თანდაყოლილად განუსაზღვრელია. როგორც ჩვენს ყველა აუდიტის პროცესში, ამჯერადაც ჩვენ სხვა საკითხებთან ერთად ასევე შევხვით მენეჯმენტის მიერ შიდა კონტროლების არიდების რისკს, გავითვალისწინეთ, იყო თუ არა მიკერძოებულობის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც წარმოადგენს მატერიალური შეცდომის რისკს თაღლითობის გამო.

**არსებითობა**

ჩვენი აუდიტის მასშტაბზე გავლენა იქონია არსებითობის გამოყენებამ. აუდიტი შექმნილია გონივრული რწმუნების მისაღებად, არის თუ არა კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგებები თავისუფალი არსებითი შეცდომებისგან. შეცდომა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან უნებლიე შეცდომის გამო. ისინი განიხილება არსებითად, თუ ინდივიდუალურად ან საერთო ჯამში, მათ მოსალოდნელია, რომ გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიღებულია კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ჩვენი პროფესიონალური მოსაზრების საფუძველზე, ჩვენ დავადგინეთ გარკვეული რაოდენობრივი ზღვრები არსებითობის შესახებ, მათ შორის ჯგუფისა და ბანკისთვის კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ფარგლებში, როგორც ეს მოცემულია ქვემოთ ცხრილში. ეს, თვისობრივ მოსაზრებებთან ერთად, დაგვეხმარა განგვესაზღვრა ჩვენი აუდიტის მასშტაბი, ჩვენი აუდიტის პროცედურების ხასიათი, დრო და მასშტაბი და ასევე შეცდომების დასადგენად და მათი ეფექტის შესაფასებლად, თუ ეს არსებობს, ინდივიდუალურად და ჯამურად, კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგებებისთვის.

# დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში გაგრძელება

## ჯგუფის და ბანკის საერთო არსებითობა

ჯგუფი: 23.8 მილიონი ლარი (2019: 29.5 მილიონი ლარი)  
 ბანკი: 22.7 მილიონი ლარი (2019: 28.2 მილიონი ლარი)

## როგორ განვსაზღვრეთ ის

ბოლოს 3 წლის დასაბეგრი მოგების საშუალოს 5%

## გამოყენებული არსებითობის საფუძველი

დასაბეგრი მოგებას, აქციონერი იყენებს, საორიენტაციო მაჩვენებლად, რათა შეაფასოს ჯგუფისა და ბანკის საქმიანობა და ზოგადად მიღებული სტანდარტის მატერიალურობის დასადგენად. ჩვენ გავითვალისწინეთ COVID-19 პანდემიის ეკონომიკური გავლენა ჯგუფის შედეგებზე. მიუხედავად იმისა, რომ დასაბეგრი მოგება ითვლება ყველაზე შესაფერის ნიშნულად, ჩვენ გამოვიყენეთ ბოლო სამი წლის საშუალო, რათა COVID-19-ის მიერ შემოტანილი არასტაბილურობა აღმოგვეფხვრა.

## აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითადი საკითხებია ის საკითხები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების შემოწმებისას. ეს საკითხები განვიხილეთ კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების შემოწმების კონტექსტში, მთლიანობაში, ჩვენი მოსაზრების ფორმირებისას, და ჩვენ არ გამოვთქვამთ ცალკეულ მოსაზრებას ამ საკითხების შესახებ.

## აუდიტის ძირითადი საკითხი

### მომხმარებელზე გაცემულ სესხებსა და ავანსებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ამ მიმართულებით, რადგან მენეჯმენტის შეფასებები, მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან ("ECL") დაკავშირებით, კომპლექსურია და განსჯის მნიშვნელოვან ხარისხს მოითხოვს.

ფასს 9-ის ფარგლებში მენეჯმენტმა უნდა განსაზღვროს ECL, რომელიც სავარაუდოდ მოხდება 12 თვის განმავლობაში ან აქტივის დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში, ინდივიდუალური აქტივის კატეგორიზაციიდან გამომდინარე. ეს კატეგორიზაცია განისაზღვრება იმით, თუ რამდენად მოხდა მსესხებელის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR) სესხის წარმოშობის დღიდან დღემდე. ამასთანავე, წლის განმავლობაში მომხდარმა გარკვეულმა მოვლენებმა (მაგ. გადახდების გადავადებები) გამოიწვია მენეჯმენტის ჩართულობის აუცილებლობა საკრედიტო რისკის ხარისხის ეტაპის დასადგენად.

ასევე აუცილებელია გავითვალისწინოთ სხვადასხვა სამომავლო მაკროეკონომიკური პირობების გავლენა ECL-ების განსაზღვრაში. COVID-19-ის გავლენამ ეკონომიკაზე კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობის დონე მაკროეკონომიკურ პროგნოზებში.

მენეჯმენტმა შეიმუშავა და დანერგა არაერთი მოდელი, იმისთვის, რომ შესაბამისობაში ყოფილიყვნენ ფასს 9-ის მოთხოვნებთან. მათ შორის, მენეჯმენტმა გამოიყენა განსჯა იმ სიტუაციებში, როდესაც წარსული გამოცდილება არ განიხილებოდა, როგორც მომავალი შედეგების ანარეკლი შებლუდული ან არასრული მონაცემების გამო.

## როგორ უპასუხა ჩვენმა აუდიტმა აღნიშნულ საკითხს

ჩვენ გავიგეთ და შევაფასეთ საკვანძო კონტროლების დიზაინი ECL-ის განსაზღვრისას და შევამოწმეთ მათი ოპერაციული ეფექტურობა. ეს კონტროლები იყო ძირითადად შემდეგი:

- > მოდელის მოქმედების მონიტორინგის კონტროლები, მათ შორის, პოლიტიკისა და მოდელის პერიოდული მიმოხილვა. მოდელის შეფასებების დატესტვა, რამდენად შედარებადია ფაქტობრივ შედეგებთან და მოდელის მეთოდოლოგიის ცვლილებების დამტკიცება;
- > იმ ძირითადი გადაწყვეტილებებისა და ვარაუდების მიმოხილვა და დამტკიცება, რომლებიც გამოიყენება LGD-ს, PD-ს და FLI-ების დასადგენად;
- > საანგარიშო ძრავის მიერ საკვანძო პარამეტრების გაანგარიშების კონტროლები;
- > კონტროლი მსესხებლების ფინანსური მდგომარეობის რეგულარულ მონიტორინგზე;
- > კონტროლები სესხებზე სტეიჯინგის კრიტერიუმების მინიჭებისას;
- > ECL-ის გაანგარიშებასა და შედეგების ანალიზის კონტროლები; და
- > განსჯა დაშვებებისა და ECL მოდელის შედეგების მენეჯმენტის რისკის კომიტეტის გადახედვა და დამტკიცება..

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ არცერთი გამონაკლისი არ ყოფილა ზემოაღნიშნული კონტროლების დიზაინში და ოპერაციულ ეფექტურობაში.



**აუდიტის ძირითადი საკითხი**

ჩვენ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სამოდელიო მეთოდოლოგიის მიზანშეწონილობა და შემდეგი შეფასებები, რომლებიც გამოყენებულია მოდელის ECL-ის დასაღვენად:

- სათანადო კრიტერიუმების დანესება, რომელშიც შედის SICR-ის და დეფოლტის განსაზღვრა, ასევე, COVID-19 პანდემიის გამო დანესებული გადახდების გადავადებების გავლენის გათვალისწინებით;
- კრიტიკული დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია Loss given default-ის ("LGD") და დეფოლტის ალბათობის ("PD") დათვლისას;
- მოდელის შეზღუდვების შეფასება და პოსტ მოდელის კორექტირების გამოყენება ("PMA"), თუკი საჭიროა, ამგვარი რისკების გადასაჭრელად.
- ძირითადი დაშვებების შეფასება, რომელიც დაკავშირებულია სამომავლო ინფორმაციასთან ("FLI"), მათ შორის სცენარისა და მაკროეკონომიკური ცვლადების მიზანშეწონილობის შესახებ,

იხილეთ გვერდები 165-190 (მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები), გვერდები 190-192 (მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას), და გვერდები 201-225 (შენიშვნა 9: კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები).

**როგორ უპასუხა ჩვენმა აუდიტმა აღნიშნულ საკითხს**

ჩვენ შევავსეთ, რამდენად მიზანშეწონილია მენეჯმენტის მიერ შემუშავებული IFRS 9 ECL მოდელის მეთოდოლოგია, დავიხმარეთ ჩვენი საკრედიტო რისკის მოდელირების სპეციალისტები და ჩვენი ინდუსტრიის ცოდნა. ეს მოიცავდა მენეჯმენტის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შეფასებას, იყო თუ არა SICR ან დეფოლტი კრიტიკულ შეფასებებსა და ვარაუდებზე, რომლებიც გამოყენებულია LGD- ების, PD-ების და FLI-ების განსაზღვრაში. ჩვენ დავასკვნით, რომ მენეჯმენტის შეფასება სტეიჯინგზე, LGD- ების, PD-ების და FLI-ების წარმოებაში იყო გონივრული.

ჩვენ დამოუკიდებლად გადავამოწმეთ ECL- ის გაანგარიშება და შევავსეთ, შეესაბამება თუ არა ECL-ის დათვლები მეთოდოლოგიას დამტკიცებული მოდელით.

ჩვენ კრიტიკულად შევავსეთ მოდელის მონიტორინგისა და დადასტურების ძირითადი ასპექტები (სავარაუდოდ ECL- ის "backtesting"), რომელიც მოამზადა მენეჯმენტმა, და რომელიც ეხებოდა მოდელის მუშაობას და სტაბილურობას. ასევე კრიტიკულად შევავსეთ მონიტორინგის შედეგები. სტატისტიკური მოდელების ტესტის შედეგები ინტერპრეტირებულ იქნა COVID-19 გარემოებების კონტექსტში და მოპოვებული იქნა განმარტებები მოლოდინიდან გადახრებზე.

ჩვენ განვიხილეთ, მენეჯმენტის მაკროეკონომიკური მოდელების, ასევე იმ პროპორციების მიზანშეწონილობა, რომლებიც მორგებულ იქნა თითოეულ მაკროეკონომიკურ სცენარზე. ჩვენ კმაყოფილი ვართ, რომ ბანკის მიერ გამოყენებული მაკროეკონომიკური დაშვებები და სცენარების პროპორციები იყო გონივრული.

ჩვენ განვიხილეთ, მენეჯმენტის მიერ აღიარებული PMA-ის სისრულე და მიზანშეწონილობა. ჩვენ შევავსეთ PMA-სთან მიმართებაში გამოყენებული დაშვებები და გამოთვლები. შედეგად, მიგვაჩნია, რომ COVID-19 პანდემიის გავლენა სათანადოდ აღმოიფხვრება PMA-ს გამოყენებით, იქ სადაც არსებულმა მოდელებმა ვერ შეძლეს წარმოქმნილი რისკების გათვალისწინება და მიგვაჩნია, რომ მენეჯმენტის შეფასებები გონივრულია.

**აუდიტის ძირითადი საკითხი**

**COVID-19 გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე (ჯგუფი და მშობელი კომპანია)**

Covid-19 პანდემიის გავლენამ გამოიწვია უპრეცედენტო ეკონომიკური მოვლენები, შედეგად, მთავრობამ განახორციელა მხარდაჭერის პროგრამები და მარეგულირებელი ჩარევები ხალხისა და ბიზნესის დასახმარებლად. Covid-19 პანდემიამ შეცვალა კომპანიების საქმიანობის მეთოდი, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა დისტანციურ მუშაობაზე გადასვლაა. ჯგუფის თანამშრომლების მნიშვნელოვანი ნაწილი მუშაობდა დისტანციურად 2020 წლის განმავლობაში. ჩვენი აუდიტორული ჯგუფი მუშაობდა ასევე დისტანციურად 2020 წლის უმეტესი ნაწილი.

Covid-19 პანდემიის გავლენამ და მისმა გაურკვევლობამ გავლენა მოახდინა ჯგუფისა და მშობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში მრავალ შეფასებაზე.

**როგორ უპასუხა ჩვენმა აუდიტმა აღნიშნულ საკითხს**

ჩვენი აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების პროცესისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა Covid-19-ის გავლენაზე. ეს ასევე მოიცავს განსხვავებულ მიდგომას არსებითობის განსაზღვრისას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამო მოგების მნიშვნელოვანი შემცირების გათვალისწინებით.

ჩვენ საბჭოსთან და მენეჯმენტთან ვითანამშრომლეთ ისე, როგორც წინა აუდიტების დროს, თუმცა დისტანციურად ვიდუღებდით და სატელეფონო ზარების გამოყენებით. ინფორმაცია და აუდიტის მტკიცებულებები, უმეტეს შემთხვევაში ელექტრონულ ფორმატით იყო მონოდებული. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გუნდი უზრუნველყოფდა ფიზიკური მტკიცებულებების შემოწმებას, აუდიტის პროცედურები ძირითადად ვირტუალურად ხდებოდა. ჩვენ გავიზარეთ და შევფასეთ ჯგუფის თანამშრომლების გადასვლა დისტანციურ მუშაობაზე ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკონტროლო გარემოზე და აისახა ეს ჩვენი აუდიტის მიდგომაში ახალი ან შეცვლილი პროცესებით ან კონტროლებით.

ჩვენი განუვლი სამუშაო ECL-თან დაკავშირებით, ყველაზე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო გადაწყვეტილებები Covid-19 ზემოქმედებით, მოცემულია ზემოთ აუდიტის ძირითად საკითხებში „მომხმარებელზე გაცემულ სესხებსა და ავანსებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“.

ჩვენ შევფასეთ ჯგუფისა და მშობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია. ჩვენ კმაყოფილი ვართ, რომ ეს ინფორმაცია სათანადოა და შეესაბამება სააღრიცხვო მოთხოვნებს.

**როგორ გავითვალისწინეთ ჯგუფისა და ბანკის აუდიტის scope-ის ფარგლები**

ჩვენ მოვარგეთ აუდიტის scope-ის ფარგლები, იმისთვის, რომ შეგვესრულებინა საკმარისი სამუშაოები, რათა მოგვეცემოდა საშუალება ჩამოგვეყალიბებინა აზრი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ, მთლიანობაში, გავითვალისწინეთ რა ჯგუფისა და ბანკის სტრუქტურა, ბუღალტრული აღრიცხვის პროცესები და კონტროლები, ასევე ის ინდუსტრია, რომელშიც ჯგუფი და ბანკი მოქმედებენ.

ჯგუფის საბანკო საქმიანობა, ძირითადად, ხორციელდება საქართველოში, მცირე შვილობილების ოპერაციები კი ხდება კიდევ ორ ქვეყანაში. ჯგუფის საქმიანობა მოიცავს ოთხ სეგმენტს, რომლებსაც ის მართავს და ანგარიშვალდებულია მის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე, კერძოდ: საცალო ბანკინგი; კორპორატიული და საინვესტიციო ბანკი; მიკრო მცირე და საშუალო საწარმოები (“MSME”); კორპორატიული ცენტრი.

ბანკი ჯგუფის უდიდესი კომპონენტია. მისი ძირითადი საქმიანობაა საცალო და კომერციული საბანკო მომსახურება, რომლის ყველა მნიშვნელოვანი ოპერაცია დაფუძნებულია საქართველოში. ბანკის სააღრიცხვო ფუნქციები და მენეჯმენტი ძირითადად საქართველოშია დაფუძნებული და წარმოადგენს ჯგუფის აქტივების 98% -ს და ჯგუფის დასაბეგრი მოგების 94%. ჩვენ ასევე ჩავატარეთ აუდიტის სხვა პროცედურები, მათ შორის, ინფორმაციული ტექნოლოგიის ზოგადი კონტროლის შემოწმება და ფინანსური ანგარიშგებასთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი კონტროლები, არსებითი შეცდომების რისკის შესამცირებლად.

ჩვენი აუდიტის მიდგომა და გუნდი ასევე მოერგო ჯგუფის სტრუქტურას. ჩვენ არ გამოვიყენეთ კომპონენტის აუდიტორები scope-ის ფარგლებში მოხვედრილი კომპონენტების აუდიტისთვის. საანგარიშო ერთეულების საფუძველზე ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, აუდიტის შემოწმების coverage წარმოადგენდა შემოსავლების 98% და ჯგუფის მთლიანი აქტივების 99%.

## სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებსა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ მიღების შემდგომ წავიკითხოთ ხელმძღვანელობის ანგარიშგება და განვიხილოთ, ხელმძღვანელობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ, ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენ დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიშგება მოიცავს მნიშვნელოვან მცდარ ინფორმაციას, ჩვენ ვალდებული ვართ გავაკეთოთ მოხსენება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს მოსახსენებელი.

გარდა ამისა, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის თაობაზე, შესაბამება თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიშგების გარკვეული მუხლები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, მოიცავს თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

აუდიტის პროცესში განხორციელებულ სამუშაოზე დაყრდნობით, ჩვენი მოსაზრებით:

- ხელმძღვანელობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლებზეც მომზადებულია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებს;
- ხელმძღვანელობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას, რომელიც აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის, მე-7 მუხლის მე-6 აბზაცისა და მე-7 აბზაცის (გ), (ზ) პუნქტების მოთხოვნებს.
- ხელმძღვანელობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას, რომელიც აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 აბზაცის (ა), (ბ), (დ) – (ვ) პუნქტებისა და მე-8 აბზაცის მოთხოვნებს.

## ხელმძღვანელობის და მართვაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრით დათარიღებული N284/04 ბრძანებისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ჯგუფის“ და „ბანკის“, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს შეფასებაზე და, აუცილებლობის შემთხვევაში, საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული საკითხების განმარტებაზე და ანგარიშის საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის გამოყენებაზე გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხელმძღვანელობას განზრახული აქვს „ჯგუფის“ ან „ბანკის“ ლიკვიდაცია ან მათი საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა გარდა იმისა, რომ ასე მოიქცეს.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან „ჯგუფის“ და „ბანკის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, რომ მოცემული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან ამ ფინანსურ ანგარიშგებებს.

- ▶ ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:
- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს ფინანსურ ანგარიშგებაში; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ „ჭკუფის“ და „ბანკის“ შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა „ჭკუფის“ და „ბანკის“ ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება „ჭკუფი“ ან „ბანკი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ ვაგროვებთ საკმარის, შესაბამის აუდიტის მტკიცებულებებს „ჭკუფის“ შიგნით ბიზნეს-ერთეულების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით იმისთვის რომ წარმოვადგინოთ დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ „ჭკუფის“ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ ვრჩებით პასუხისმგებელი მხოლოდ ჩვენი აუდიტის დასკვნაზე.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელ პირებს, განვუცხადებთ, რომ ჩვენ ვიცავდით შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, და ვუზიარებთ ყველა იმ ურთიერთობასა და სხვა საკითხებს, რომლებიც შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს, რომ საფრთხეს უქმნის ჩვენს მიუკერძოებლობას და, თუ ეს შესაძლებელია, ასევე ვუზიარებთ შესაბამის აღმოფხვრის ზომებს.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელ პირებთან გაზიარებული საკითხებიდან ჩვენ განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის დროს და, შესაბამისად წარმოადგენს, აუდიტის ძირითად საკითხებს. ჩვენ აღვწერთ ამ საკითხებს ჩვენს აუდიტორის მოხსენებაში, თუ კანონი ან დებულება ხელს არ უშლის ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნებას, ან როდესაც, ძალზე იშვიათ შემთხვევებში, ჩვენ ვადგენთ, რომ საკითხი არ უნდა იყოს შეტყობინებული ჩვენს მოხსენებაში, რადგან ამგვარი კომუნიკაციის მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები აღემატება საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

გარიგების პარტნიორი ამ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნით არის ლევან კანკავა.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (Reg.# SARAS-F-775813)

**ლევან კანკავა** (Reg.# SARAS-A-592839)

2021 წლის 26 აპრილი  
თბილისი, საქართველო

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს, საქართველო  
King David ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის ქ. #12,,  
მე-7 სართული, თბილისი 0171, საქართველო  
ტელ: +995 (32) 250 80 50, [www.pwc.com/ge](http://www.pwc.com/ge)

## ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (დაზუსტებული)*	31 დეკემბერი 2018 (დაზუსტებული)*
<b>აქტივები</b>				
ფული და ფულის ექვივალენტები	6	1,601,599	994,479	1,164,403
სახსრები სხვა ბანკებში	7	19,690	15,597	37,384
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	8	2,098,506	1,591,829	1,422,809
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	9	14,594,269	12,349,399	10,038,452
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	10	1,527,268	985,293	1,005,239
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები	11	1,059,946	1,021,568	653,703
წმინდა ინვესტიციები ლიზინგში	13	270,978	256,660	203,802
საინვესტიციო ქონება	17	68,689	72,667	84,296
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		69,762	25,695	2,159
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	34	2,134	2,173	1,992
სხვა ფინანსური აქტივები	12	161,002	115,211	154,259
სხვა აქტივები	14	256,646	247,201	177,923
ძირითადი საშუალებები	15	362,863	329,529	314,069
აქტივების გამოყენების უფლება	16	49,746	57,086	-
არამატერიალური აქტივები	15	223,577	159,109	108,505
გუდვილი	18	28,197	29,459	29,459
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		4,090	2,655	2,432
<b>სულ აქტივები</b>		<b>22,398,962</b>	<b>18,255,610</b>	<b>15,400,886</b>
<b>ვალდებულებები</b>				
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	19	4,485,873	3,593,901	3,031,505
კლიენტის ანგარიშები	20	12,634,295	10,112,002	9,444,746
სხვა ფინანსური ვალდებულებები	23	211,242	95,643	78,205
მოგებაზე მიმდინარე გადასახადის ვალდებულება	27	27	818	63
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	34	13,084	18,806	19,793
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	21	1,419,513	1,213,598	13,343
ვალდებულებებისა და დანახარჯის გადახდის რეზერვები	22	17,451	16,979	13,817
სხვა ვალდებულებები	24	59,969	70,366	86,296
საიჯარო ვალდებულებები	16	54,588	59,316	-
სუბორდინირებული ვალი	25	672,740	591,035	650,919
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>19,568,782</b>	<b>15,772,464</b>	<b>13,338,687</b>
<b>კაპიტალი</b>				
სააქციო კაპიტალი	26	21,014	21,014	21,014
აქციის პრემია	26	521,190	521,190	521,190
გაუნაწილებელი მოგება		2,355,105	2,016,119	1,551,176
აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	27	(73,130)	(62,669)	(33,591)
სამართლიანი ღირებულების რეზერვი		11,157	(6,399)	8,775
სავალუტო გადაფასების კუმულატიური რეზერვი		(5,261)	(6,691)	(6,933)
<b>მფლობელებისთვის მიკუთვნებული წმინდა აქტივები</b>		<b>2,830,075</b>	<b>2,482,564</b>	<b>2,061,631</b>
არასაკონტროლო წილი	38	105	582	568
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>2,830,180</b>	<b>2,483,146</b>	<b>2,062,199</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>22,398,962</b>	<b>18,255,610</b>	<b>15,400,886</b>

\*კონკრეტული თანხები არ შეესაბამება 2019 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, რადგან ისინი ასახავს შესწორებებს, რომლებიც განხორციელდა ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილების გამო, რომელიც აღწერილია 2 შენიშვნაში. ანგარიშგების დაზუსტება არ ვრცელდება გამოყენების უფლებით არსებულ აქტივებზე, რადგან გარდამავალი დებულებები ფასს 16 მიღებული იქნა 2019 წელს.

ფინანსური ანგარიშგებები 156-318 გვერდებზე დაამტკიცა სამეთვალყურეო საბჭომ 2021 წლის 26 აპრილს და მისი სახელით ხელი მოაწერეს შემდეგმა პირებმა:

**ვახტანგ ბუცხრიკიძე**

გენერალური დირექტორი

**გიორგი მეგრელიშვილი**

ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები 164-318 გვერდებზე წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

მომება-გარალის და სხვა სრული შემოსავლის  
კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (დაზუსტებული)*	31 დეკემბერი 2018 (დაზუსტებული)*
საპროცენტო შემოსავალი	29	1,660,838	1,435,106	1,283,213
საპროცენტო ხარჯი	29	(854,089)	(670,422)	(512,655)
წმინდა საპროცენტო მოგება სავალუტო სვოპ ოპერაციებზე	29	20,950	28,556	-
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>827,699</b>	<b>793,240</b>	<b>770,558</b>
საკომისიო შემოსავალი	30	298,496	284,428	234,626
საკომისიო ხარჯი	30	(129,717)	(105,302)	(78,134)
<b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>		<b>168,779</b>	<b>179,126</b>	<b>156,492</b>
წმინდა მოგება სავალუტო დერივატივებიდან, სავალუტო ოპერაციებიდან და გადაცვლიდან	2	105,855	102,435	106,977
(წმინდა ზარალი)/მოგება სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან		(624)	169	2
სხვა საოპერაციო შემოსავალი	31	13,354	17,576	30,906
მეკავშირე საწარმოების მოგების წილი		-	632	1,154
<b>სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი</b>		<b>118,585</b>	<b>120,812</b>	<b>139,039</b>
კლიენტებზე გაცემული სესხის საკრედიტო ზარალის რეზერვი	9	(330,811)	(82,030)	(143,723)
ლიზინგში ინვესტიციების საკრედიტო ზარალის რეზერვი	13	(7,760)	582	(1,765)
შესრულების გარანტიებისა და საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებების საკრედიტო ზარალის რეზერვი	22	3,238	(2,156)	(3,486)
სხვა ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის რეზერვი	12	(13,408)	(7,717)	(16,446)
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის რეზერვი		(1,810)	(291)	(86)
<b>საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო გაუფასურების ზარალის შემდეგ</b>		<b>764,512</b>	<b>1,001,566</b>	<b>900,583</b>
პერსონალის ხარჯი	32	(206,887)	(226,008)	(212,469)
ცვეთა და ამორტიზაცია	15	(64,068)	(57,319)	(45,278)
ვალდებულებების და დანახარჯების რეზერვი	22	(2,600)	(2,105)	(4,000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	33	(117,744)	(126,927)	(134,185)
<b>საოპერაციო ხარჯები</b>		<b>(391,299)</b>	<b>(412,359)</b>	<b>(395,932)</b>
ზარალი ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიკაციებიდან		(41,015)	-	-
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>		<b>332,198</b>	<b>589,207</b>	<b>504,651</b>
მოგების გადასახადის ანაზღაურება/(ხარჯი)	34	5,062	(43,522)	(71,351)
<b>წლის მოგება</b>		<b>337,260</b>	<b>545,685</b>	<b>433,300</b>
<b>სხვა სრული შემოსავალი/ (ხარჯი) წლის განმავლობაში</b>				
პუნქტები, რომელიც შეიძლება რეკლასიფიცირდეს მოგება-ზარალში:				
სამართლიანი ღირებულების რეზერვის მოძრაობა	10	17,633	(15,175)	6,966
საანგარიშგებო ვალუტაში გადაყვანის საკურსო სხვაობა		1,588	241	425
<b>სხვა სრული შემოსავალი/ (ხარჯი) წლის განმავლობაში</b>		<b>19,221</b>	<b>(14,934)</b>	<b>7,391</b>
<b>წლის სხვა სრული შემოსავალი</b>		<b>356,481</b>	<b>530,751</b>	<b>440,691</b>
მოგება მიკუთვნებული:				
- ჯგუფის აქციონერებისთვის		337,238	545,612	433,051
- არასაკონტროლო წილისთვის		22	73	249
<b>წლის მოგება</b>		<b>337,260</b>	<b>545,685</b>	<b>433,300</b>
<b>სულ წლის სრული შემოსავალი მიკუთვნებული::</b>				
- ჯგუფის აქციონერებისთვის		356,459	530,678	440,442
- არასაკონტროლო წილისთვის		22	73	249
<b>სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში</b>		<b>356,481</b>	<b>530,751</b>	<b>440,691</b>

\*კონკრეტული თანხები არ შეესაბამება 2019 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, რადგან ისინი ასახავს შესწორებებს, რომლებიც განხორციელდა ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილების გამო, რომელიც აღწერილია 2 შენიშვნაში. ანგარიშგების დაზუსტება არ ვრცელდება გამოყენების უფლებით არსებულ აქტივებზე, რადგან გარდამავალი დებულებები ფასს 16 მიღებული იქნა 2019 წელს.

თანდართული შენიშვნები 164-318 გვერდებზე წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

## კაკიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	აქციის პრემია	აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	ძირითადი საშ. გადაფასების რეზერვი	სამართლიანი ღირებულების რეზერვი	ვალუტის გადაფასების კუმულატიური რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ	არასაკონტროლო წილი	სულ კაპიტალი
<b>ნაშთი 2018 წლის 1 იანვარისთვის</b>		<b>21,014</b>	<b>521,190</b>	<b>(7,272)</b>	<b>70,038</b>	<b>1,809</b>	<b>(7,358)</b>	<b>1,180,548</b>	<b>1,779,969</b>	<b>4,735</b>	<b>1,784,704</b>
ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში	2	-	-	-	(70,038)	-	-	28,787	(41,251)	-	(41,251)
<b>ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს (დაზუსტებული)</b>		<b>21,014</b>	<b>521,190</b>	<b>(7,272)</b>	<b>-</b>	<b>1,809</b>	<b>(7,358)</b>	<b>1,209,335</b>	<b>1,738,718</b>	<b>4,735</b>	<b>1,743,453</b>
წლის მოგება		-	-	-	-	-	-	433,051	433,051	249	433,300
სხვა სრული შემოსავალი(დაზუსტებული)		-	-	-	-	6,966	425	-	7,391	-	7,391
<b>სულ სრული შემოსავალი 2018 წლისთვის (დაზუსტებული)</b>		<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>6,966</b>	<b>425</b>	<b>433,051</b>	<b>440,442</b>	<b>249</b>	<b>440,691</b>
აქციებზე დაფუძნებული გადახდა	27	-	-	11,691	-	-	-	-	11,691	-	11,691
აქციებზე დაფუძნებული გადახდის გადმოტანა მშობელი კომპანიიდან დამატებითი წილის შესყიდვა NCI-დან		-	-	(38,010)	-	-	-	-	(38,010)	-	(38,010)
გამოცხადებული დივიდენდი		-	-	-	-	-	-	4,416	4,416	(4,416)	-
<b>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის (დაზუსტებული)</b>		<b>21,014</b>	<b>521,190</b>	<b>(33,591)</b>	<b>-</b>	<b>8,775</b>	<b>(6,933)</b>	<b>1,551,176</b>	<b>2,061,631</b>	<b>568</b>	<b>2,062,199</b>
წლის მოგება		-	-	-	-	-	-	545,612	545,612	73	545,685
სხვა სრული შემოსავალი(დაზუსტებული)		-	-	-	-	(15,175)	241	-	(14,934)	-	(14,934)
<b>სულ სრული შემოსავალი 2019 წლისთვის (დაზუსტებული)</b>		<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>(15,175)</b>	<b>241</b>	<b>545,612</b>	<b>530,678</b>	<b>73</b>	<b>530,751</b>
აქციებზე დაფუძნებული გადახდა	27	-	-	33,762	-	-	-	-	33,762	-	33,762
აქციებზე დაფუძნებული გადახდის გადმოტანა მშობელი კომპანიიდან დამატებითი წილის შესყიდვა NCI-დან		-	-	(62,840)	-	-	-	-	(62,840)	-	(62,840)
გამოცხადებული დივიდენდი		-	-	-	-	-	-	(80,911)	(80,911)	-	(80,911)
სხვა ცვლილებები		-	-	-	-	1	1	242	244	(40)	204
<b>ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის (დაზუსტებული)</b>		<b>21,014</b>	<b>521,190</b>	<b>(62,669)</b>	<b>-</b>	<b>(6,399)</b>	<b>(6,691)</b>	<b>2,016,119</b>	<b>2,482,564</b>	<b>582</b>	<b>2,483,146</b>
წლის მოგება		-	-	-	-	-	-	337,238	337,238	22	337,260
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-	17,633	1,588	-	19,221	-	19,221
<b>სულ სრული შემოსავალი 2020 წლისთვის</b>		<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>17,633</b>	<b>1,588</b>	<b>337,238</b>	<b>356,459</b>	<b>22</b>	<b>356,481</b>
აქციებზე დაფუძნებული გადახდა	27	-	-	17,472	-	-	-	-	17,472	-	17,472
აქციებზე დაფუძნებული გადახდის გადმოტანა მშობელი კომპანიიდან		-	-	(27,932)	-	-	-	-	(27,932)	-	(27,932)
სხვა ცვლილებები		-	-	(1)	-	(77)	(158)	1,748	1,512	(499)	1,013
<b>ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის</b>		<b>21,014</b>	<b>521,190</b>	<b>(73,130)</b>	<b>-</b>	<b>11,157</b>	<b>(5,261)</b>	<b>2,355,105</b>	<b>2,830,075</b>	<b>105</b>	<b>2,830,180</b>

თანდართული შენიშვნები 164 -318 გვერდებზე წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.



# ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
<b>ფულადი ნაკადები წარმოქმნილი/(გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან</b>				
მიღებული პროცენტი		1,455,624	1,359,528	1,224,200
მიღებული პროცენტი სავალუტო სვოპ ოპერაციებიდან		20,950	28,556	-
გადახდილი პროცენტი		(841,146)	(657,671)	(504,138)
მიღებული საკომისიო		297,030	282,715	235,508
გადახდილი საკომისიო		(129,445)	(105,207)	(78,123)
უცხოურ ვალუტაში ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი		(92,191)	79,287	91,678
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		10,216	18,356	15,655
გადახდილი პერსონალის ხარჯი		(203,247)	(198,345)	(195,160)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(103,274)	(132,181)	(122,467)
გადახდილი მოგების გადასახადი		(44,285)	(68,166)	(34,918)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>		<b>370,232</b>	<b>606,872</b>	<b>632,235</b>
<b>წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებში</b>				
სხვა ბანკებში გადასახდელი თანხები და სავალდებულო ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში		(341,901)	(14,811)	(336,232)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		(1,059,684)	(2,013,577)	(1,718,446)
წმინდა ინვესტიცია იჯარაში		(2,010)	(44,268)	(54,784)
სხვა ფინანსური აქტივები		(58,914)	26,582	(32,481)
სხვა აქტივები		33,750	2,702	(3,866)
<b>წმინდა ცვლილება საოპერაციო ვალდებულებებში</b>				
თანხები სხვა ბანკებში		(32,294)	(1,938)	69,755
კლიენტის ანგარიშები		1,457,569	274,769	1,442,126
სხვა ფინანსური ვალდებულებები		132,679	10,205	(7,153)
სხვა ვალდებულებები და ვალდებულებებისა და ხარჯის რეზერვი		(5,128)	8,432	3,602
<b>წმინდა ფულადი ნაკადები წარმოქმნილი/(გამოყენებული) საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		<b>494,299</b>	<b>(1,145,032)</b>	<b>(5,244)</b>
<b>ფულადი ნაკადები წარმოქმნილი/(გამოყენებული) საინვესტიციო საქმიანობიდან</b>				
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა	10	(763,531)	(1,781,816)	(717,630)
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები	10	287,917	240,603	14,781
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადის დადგომისას განაღდებად მიღებული შემოსავალი	10	165,632	1,598,536	370,571
მიღებული დივიდენდები		694	-	-
შვილობილი კომპანიების შეძენა, მიღებული ფულადი სახსრების გამოკლებით		-	410	809
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციების შეძენა	11	(639,824)	(613,383)	(395,717)
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციების გამოსყიდვით მიღებული შემოსავალი	11	413,038	216,871	200,658
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	15	(153,791)	(120,677)	(104,960)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		3,450	13,225	17,933
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		13,513	13,681	42,515
<b>წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობებში</b>		<b>(672,902)</b>	<b>(432,550)</b>	<b>(571,040)</b>
<b>წმინდა ფულადი ნაკადები (გამოყენებული) ფინანსური საქმიანობებიდან</b>				
შემოსავალი სხვა ნასესხები სახრებიდან		4,031,812	1,819,899	1,776,489
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა		(3,319,427)	(1,392,897)	(1,539,562)
საიჯარო ვალდებულების ძირითადი თანხის გადახდა		(13,251)	(6,453)	-
შემოსავალი სუბორდინირებული ვალიდან		-	-	255,899
სუბორდინირებული ვალის დაფარვა		-	(104,079)	(60,910)
შემოსავალი სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან		31,601	1,176,049	-
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა		-	(14,296)	(7,596)
გადახდილი დანარჩენები		(27,932)	(62,840)	(38,010)
გადახდილი დივიდენდები		-	(80,911)	(95,626)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>		<b>702,803</b>	<b>1,334,472</b>	<b>290,684</b>
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		82,920	73,186	21,232
<b>წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში</b>		<b>607,120</b>	<b>(169,924)</b>	<b>(264,368)</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში</b>	<b>6</b>	<b>994,479</b>	<b>1,164,403</b>	<b>1,428,771</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>6</b>	<b>1,601,599</b>	<b>994,479</b>	<b>1,164,403</b>

თანდართული შენიშვნები 164-318 გვერდებზე წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

## ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (დაზუსტებული)*	31 დეკემბერი 2018 (დაზუსტებული)*
<b>აქტივები</b>				
ფული და ფულის ექვივალენტები		1,536,717	978,870	1,155,388
სახსრები სხვა ბანკებში		13,717	12,709	28,930
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში		2,098,506	1,591,829	1,422,809
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	14,611,204	12,416,985	10,079,844
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები		1,059,946	1,021,568	653,893
საინვესტიციო ქონება		67,812	71,801	83,422
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი სხვა ფინანსური აქტივები	12	173,075	119,593	121,353
სხვა აქტივები		226,892	197,904	144,437
ძირითადი საშუალებები	15	335,124	302,190	283,284
არამატერიალური აქტივები	15	210,602	152,393	104,066
აქტივების გამოყენების უფლება		46,699	55,571	-
გუდვილი		27,502	27,502	27,502
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში და დაკავშირებულ საწარმოებში		33,142	33,080	26,350
<b>სულ აქტივები</b>		<b>22,057,434</b>	<b>17,990,252</b>	<b>15,136,679</b>
<b>ვალდებულებები</b>				
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ		4,230,013	3,418,798	2,859,090
კლიენტების ანგარიშები		12,746,959	10,177,027	9,481,716
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		1,381,009	1,213,598	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	23	186,487	58,809	45,347
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	34	13,083	18,347	19,792
ვალდებულებებისა და დანახარჯების რეზერვები	22	17,451	16,978	13,817
სხვა ვალდებულებები		52,083	60,371	82,258
საიჯარო ვალდებულებები	16	51,215	58,476	-
სუბორდინირებული ვალი		639,641	562,060	623,863
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>19,317,941</b>	<b>15,584,464</b>	<b>13,125,883</b>
<b>კაპიტალი</b>				
სააქციო კაპიტალი		21,014	21,014	21,014
აქციის პრემია		521,190	521,190	521,190
გაუნაწილებელი მოგება		2,259,159	1,933,412	1,493,407
აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი		(73,129)	(62,669)	(33,590)
სამართლიანი ღირებულების რეზერვი		11,259	(7,159)	8,775
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>2,739,493</b>	<b>2,405,788</b>	<b>2,010,796</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>22,057,434</b>	<b>17,990,252</b>	<b>15,136,679</b>

\*კონკრეტული თანხები არ შეესაბამება 2019 წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებს, რადგან ისინი ასახავს შესწორებებს, რომლებიც განხორციელდა ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილების გამო, რომელიც აღწერილია 2 შენიშვნაში. ანგარიშგების დაზუსტება არ ვრცელდება გამოყენების უფლებით არსებულ აქტივებზე, რადგან გარდამავალი დებულებები ფასს 16 მიღებული იქნა 2019 წელს.

ფინანსური ანგარიშგებები 156 - 318 გვერდებზე დაამტკიცა სამეთვალყურეო საბჭომ 2021 წლის 26 აპრილს და მისი სახელით ხელი მოაწერეს შემდეგმა პირებმა:

**ვახტანგ ბუცხრიკიძე**

გენერალური დირექტორი

**გიორგი მეგრელიშვილი**

ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები 164-318 გვერდებზე წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-გარკლის და სხვა სრული შემოსავლის  
ინდივიდუალური ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (დაზუსტე- ბული)*	31 დეკემბერი 2018 (დაზუსტე- ბული)*
საპროცენტო შემოსავალი		1,609,791	1,387,720	1,244,451
საპროცენტო ხარჯი		(839,830)	(657,579)	(502,331)
წმინდა საპროცენტო მოგება სავალუტო სვოპ ოპერაციებზე		20,950	28,556	-
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>790,912</b>	<b>758,697</b>	<b>742,120</b>
საკომისიო შემოსავალი	30	271,981	254,764	206,555
საკომისიო ხარჯი	30	(147,583)	(118,969)	(88,769)
<b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>		<b>124,398</b>	<b>135,795</b>	<b>117,786</b>
წმინდა მოგება სავალუტო დერივატივებიდან, სავალუტო ოპერაციებიდან და გადაცვლიდან		108,101	103,210	107,225
წმინდა მოგება სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან		(624)	169	2
სხვა საოპერაციო შემოსავალი		6,120	15,452	22,847
დაკავშირებული სანარმოების მოგების წილი		-	633	1,092
<b>სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი</b>		<b>113,597</b>	<b>119,464</b>	<b>131,166</b>
კლიენტებზე გაცემული სესხის საკრედიტო ზარალის რეზერვი	9	(323,651)	(84,562)	(148,443)
შესრულების გარანტიებსა და საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებების საკრედიტო ზარალის რეზერვი		3,238	(2,156)	(3,486)
სხვა ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის რეზერვი	12	(9,514)	(1,278)	(12,521)
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის რეზერვი		(1,915)	(291)	(86)
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის რეზერვი		(331)	(895)	-
<b>საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო გაუფასურების ზარალის შემდეგ</b>		<b>696,735</b>	<b>924,774</b>	<b>826,536</b>
პერსონალის ხარჯი	32	(186,395)	(205,026)	(194,016)
ცვეთა და ამორტიზაცია		(55,761)	(50,726)	(39,969)
ვალდებულებების და დანახარჯების რეზერვი	22	(2,600)	(2,105)	(4,000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	33	(94,643)	(102,939)	(112,460)
<b>საოპერაციო ხარჯები</b>		<b>(339,399)</b>	<b>(360,796)</b>	<b>(350,445)</b>
ზარალი ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიკაციებიდან		(37,131)	-	-
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>		<b>320,204</b>	<b>563,978</b>	<b>476,091</b>
მოგების გადასახადის ხარჯი		5,264	(43,101)	(70,034)
<b>წლის მოგება</b>		<b>325,468</b>	<b>520,877</b>	<b>406,057</b>
<b>სხვა სრული შემოსავალი (OCI):</b> <i>პუნქტები, რომელიც შეიძლება რეკლასიფიცირდეს მოგება-გარკალში:</i>				
სამართლიანი ღირებულებების რეზერვის მოძრაობა		17,632	(15,933)	6,966
<b>წლის სხვა სრული შემოსავალი</b>		<b>17,632</b>	<b>(15,933)</b>	<b>15,272</b>
<b>სულ წლის სხვა სრული შემოსავალი</b>		<b>343,100</b>	<b>504,944</b>	<b>421,329</b>

\* კონკრეტული თანხები არ შეესაბამება 2019 წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებს, რადგან ისინი ასახავს შესწორებებს, რომლებიც განხორციელდა ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილების გამო, რომელიც აღწერილია 2 შენიშვნაში. ანგარიშგების დაზუსტება არ ვრცელდება გამოყენების უფლებით არსებულ აქტივებზე, რადგან გარდამავალი დებულებები ფასს 16 მიღებული იქნა 2019 წელს.

თანდართული შენიშვნები 164-318 გვერდებზე წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

## კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	აქციის პრემია	აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სამართლიანი ღირებულების რეზერვი	გაუნაწილე- ბელი მოგება	სულ
<b>ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისთვის</b>		21,014	521,190	(7,272)	70,038	1,809	1,154,190	1,760,969
ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში	2	-	-	-	(70,038)	-	28,787	(41,251)
<b>ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს, (დაზუსტებული)</b>		21,014	521,190	(7,272)	-	1,809	1,182,977	1,719,718
წლის მოგება		-	-	-	-	-	406,057	406,057
სხვა სრული შემოსავალი(დაზუსტებული)		-	-	-	-	6,966	-	6,966
<b>სულ სრული შემოსავალი 2018 წლისთვის (დაზუსტებული)</b>		-	-	-	-	6,966	406,057	413,023
აქციებზე დაფუძნებული გადახდა	27	-	-	11,691	-	-	-	11,691
აქციებზე დაფუძნებული გადახდის გადმოტანა მშობელი კომპანიიდან		-	-	(38,010)	-	-	-	(38,010)
გამოცხადებული დივიდენდი		-	-	-	-	-	(95,626)	(95,626)
<b>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის (დაზუსტებული)</b>		21,014	521,190	(33,591)	-	8,775	1,493,408	2,010,796
წლის მოგება		-	-	-	-	-	520,877	520,877
სხვა სრული შემოსავალი(დაზუსტებული)		-	-	-	-	(15,933)	-	(15,933)
<b>სულ სრული შემოსავალი 2019 წლისთვის (დაზუსტებული)</b>		-	-	-	-	(15,933)	520,877	504,944
აქციებზე დაფუძნებული გადახდა	27	-	-	33,762	-	-	-	33,762
აქციებზე დაფუძნებული გადახდის გადმოტანა მშობელი კომპანიიდან		-	-	(62,840)	-	-	-	(62,840)
გამოცხადებული დივიდენდი		-	-	-	-	-	(80,911)	(80,911)
სხვა ცვლილებები		-	-	-	-	-	38	38
<b>ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის (დაზუსტებული)</b>		21,014	521,190	(62,669)	-	(7,158)	1,933,412	2,405,789
წლის მოგება		-	-	-	-	-	325,468	325,468
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-	17,632	-	17,632
<b>სულ სრული შემოსავალი 2020 წლისთვის</b>		-	-	-	-	17,632	325,468	343,100
აქციებზე დაფუძნებული გადახდა	27	-	-	17,472	-	-	-	17,472
აქციებზე დაფუძნებული გადახდის გადმოტანა მშობელი კომპანიიდან		-	-	(27,932)	-	-	-	(27,932)
სხვა ცვლილებები		-	-	-	-	785	279	1,064
<b>ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	79	21,014	521,190	(73,129)	-	11,259	2,259,159	2,739,493

\* კონკრეტული თანხები არ შეესაბამება 2019 წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებს, რადგან ისინი ასახავს შესწორებებს, რომლებიც განხორციელდა ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილების გამო, რომელიც აღწერილია 2 შენიშვნაში.

თანდართული შენიშვნები 164-318 გვერდებზე წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

# ფულადი ნაკადების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
<b>ფულადი ნაკადები მიღებული/(გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
მიღებული პროცენტი	1,402,828	1,310,626	1,186,528
მიღებული პროცენტი სავალუტო სვობ ოპერაციებიდან	20,950	28,556	-
გადახდილი პროცენტი	(826,633)	(663,802)	(494,409)
მიღებული საკომისიო	270,516	253,250	207,663
გადახდილი საკომისიო	(147,379)	(118,969)	(88,769)
უცხოურ ვალუტაში ვაჭრობიდან მიღებული (ზარალი)/შემოსავალი	(91,996)	79,618	91,723
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	4,803	9,543	12,716
გადახდილი პერსონალის ხარჯი	(182,627)	(178,518)	(176,966)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(80,965)	(110,569)	(102,331)
გადახდილი მოგების გადასახადი	(44,040)	(68,508)	(34,500)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>	<b>325,457</b>	<b>541,227</b>	<b>601,655</b>
<b>წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებში</b>			
სხვა ბანკებში გადასახდელი თანხები და სავალდებულო ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში	(338,835)	(20,393)	(333,075)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	(993,187)	(2,042,091)	(1,746,945)
სხვა ფინანსური აქტივები	(45,601)	477	(24,692)
სხვა აქტივები	6,882	19,332	19,304
<b>წმინდა ცვლილება საოპერაციო ვალდებულებებში</b>			
თანხები სხვა ბანკებში	(32,294)	(1,938)	69,755
კლიენტის ანგარიშები	1,499,686	300,888	1,431,035
სხვა ფინანსური ვალდებულებები	125,129	3,456	5,370
სხვა ვალდებულებები და ვალდებულებებისა და ხარჯის რეზერვი	(459)	5,019	1,858
<b>წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული/(გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>546,778</b>	<b>(1,194,023)</b>	<b>24,265</b>
<b>საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი ნაკადები</b>			
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა	10	(783,530)	(1,781,432)
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები	10	287,917	240,603
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ვადის ამოწურვიდან მიღებული ფულადი ნაკადები	10	165,632	1,598,536
მიღებული დივიდენდები		694	5,211
ფულადი შენატანები შვილობილ კომპანიებში		(667)	-
შვილობილი კომპანიების შეძენა, მიღებული ფულადი სახსრების გამოკლებით		-	-
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციების შეძენა	11	(639,824)	(613,383)
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციების გამოსყიდვით მიღებული შემოსავალი	11	413,038	216,871
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	15	(142,367)	(112,345)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		4,510	10,140
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		12,849	12,446
<b>წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობებში</b>	<b>(681,748)</b>	<b>(423,353)</b>	<b>(556,683)</b>
<b>წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული/(გამოყენებული) ფინანსურ საქმიანობიდან</b>			
შემოსავალი სხვა ნასესხები სახსრებიდან		3,860,292	1,703,411
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა		(3,209,347)	(1,270,653)
საიტარო ვალდებულებების ძირითადი თანხის გადახდა		(15,784)	(6,960)
შემოსავალი სუბორდინირებული ვალიდან		-	-
სუბორდინირებული ვალის დაფარვა		-	(104,079)
შემოსავალი სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან		-	1,196,422
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა		-	(14,296)
გადახდილი დანარიცხები		(27,932)	(62,840)
გადახდილი დივიდენდები		-	(80,911)
შვილობილ კომპანიაში არასაკონტროლო წილის გამოსყიდვა		-	-
<b>წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>	<b>607,229</b>	<b>1,374,390</b>	<b>243,004</b>
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		85,588	66,468
<b>წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში</b>	<b>557,847</b>	<b>(176,518)</b>	<b>(261,996)</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში</b>	<b>6</b>	<b>978,870</b>	<b>1,155,388</b>
<b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>6</b>	<b>1,536,717</b>	<b>978,870</b>

თანდართული შენიშვნები 164-318 გვერდებზე წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

# ფინანსური ანგარიშგებაების შენიშვნები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

## 1. შესავალი

**ძირითადი საქმიანობა.** .სს „თიბისი ბანკი (შემდეგში „ბანკი“) დაფუძნდა 1992 წლის 17 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. ბანკი არის სააქციო საზოგადოება შეზღუდული აქციებით და შექმნა საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. ბანკის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა უნივერსალური საბანკო ოპერაციები საქართველოში, რომლებიც მოიცავს კორპორატიული, მცირე და საშუალო საწარმოების (“SME”), საცალო და მიკრო ოპერაციებს. ბანკის ჯგუფის წევრი კომპანიები დაფუძნებული არიან საქართველოსა და აზერბაიჯანში, რომელთა მთავარი საქმიანობა არის ინდივიდუალური და კორპორატიული კლიენტებისთვის საბანკო, ლიზინგის, საბროკერო და ბარათების პროცესინგის სერვისის მიწოდება. ბანკი მოქმედებს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის გენერალური ლიცენზიის შესაბამისად 1993 წლის 20 იანვრიდან. ბანკის რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილია: საქართველო, თბილისის 0102, მარჯანიშვილის ქ. 7. მარეგისტრირებული ორგანოა - ვაკის რაიონის სასამართლო, ხოლო ბანკის სარეგისტრაციო ნომერია 204854595.

ბანკს აქვს 149 (2019:148; 2018:146) ფილიალი საქართველოში.

TBC Bank Group PLC (“TBCG”) საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია ინგლისსა და უელსში. TBCG ფლობს სს თიბისი ბანკის ჯგუფის სააქციო კაპიტალის 99.88%-ს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2019: 99.88%, 2018: 99.88%) და წარმოადგენს ბანკის საბოლოო მშობელ კომპანიას. TBC Bank Group PLC-ს რეგისტრირებული მისამართია: Elder House St Georges Business Park, 207 Brooklands Road, Weybridge, Surrey, KT13 0TS. TBC Group PLC-ს რეგისტრირებული ნომერია 10029943.

2020, 2019, და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქვემოთ მითითებული აქციონერები პირდაპირ ფლობდნენ ჯგუფის მთლიანი გამოშვებული აქციების 5%-ზე მეტს. სხვა აქციონერები ინდივიდუალურად ფლობდნენ გამოშვებული აქციების 5%-ზე ნაკლებს. 2020, 2019, and 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

აქციონერები	31 დეკემბრის მდგომარეობით წლის მფლობელობა %		
	2020	2019	2018
TBC Bank Group PLC	99.88%	99.88%	99.88%
სხვა*	0.12%	0.12%	0.12%
<b>სულ</b>	<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>

\* სხვა მოიცავს როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე კორპორატიულ აქციონერებს.

2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბენეფიციარული მფლობელობის წილის მიხედვით აქციონერთა სტრუქტურა არის შემდეგი.

აქციონერები	31 დეკემბრის მდგომარეობით წლის მფლობელობა %		
	2020	2019	2018
მამუკა ხაზარაძე	8.64%	10.26%	13.54%
ბადრი ჯაფარიძე	6.00%	6.00%	6.77%
ინსტიტუციონალური და საცალო ინვესტორები	74.79%	68.70%	66.91%
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები	7.84%	8.04%	8.18%
სხვა აქციონერები	2.73%	7.00%	4.60%
<b>სულ</b>	<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

### მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგებები“) მომზადდა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით. კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები თავდაპირველი ღირებულების მეთოდის შესაბამისად, რომელიც შეიცვალა კონკრეტული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების (მათ შორის წარმოებული ინსტრუმენტების) და კონკრეტული კლასის ძირითადი საშუალებების საფუძველზე, რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. ეს წესები მუდმივად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

### ცვლილებები სავალუტო დერივატივებიდან, ოპერაციებიდან და გადაცვლიდან მიღებული წმინდა მოგების წარდგენაში

ფინანსური ანგარიშგებების გარჩევადობის გასაუმჯობესებლად, ჭკუფმა შეცვალა სავალუტო დერივატივებიდან, ოპერაციებიდან და გადაცვლიდან მიღებული წმინდა მოგების პრეზენტაცია. შედეგად, ჭკუფმა გააერთიანა "წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან", "წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო გადაცვლიდან" და "წმინდა მოგება/ზარალი დერივატივებიდან" ერთ ხაზში - "წმინდა მოგება სავალუტო დერივატივებიდან, ოპერაციებიდან და გადაცვლიდან". ხელმძღვანელობა თვლის, რომ ასეთი წარმოდგენა უფრო მიზანშეწონილია ქვემოთ განხილული ტრანზაქციების ბუნებისთვის. შედარებითი მაჩვენებლებიც დაზუსტდა მიმდინარე პერიოდების თანხებთან შესაბამისად წარდგენის მიზნით.

ეფექტი კონსოლიდირებულ მოგებასა და სხვა სრულ შემოსავალზე

ათას ლარში	თავდაპირველად წარმოდგენილი 2019 წლის 31 დეკემბერს		რეკლასიფიცირებული 2019 წლის 31 დეკემბერს	
	რეკლასიფიკაცია			
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოურ ვალუტაში ვაჭრობიდან	79,287	(79,287)	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი) ვალუტის გაცვლიდან	23,428	(23,428)	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	(280)	280	-	-
წმინდა მოგება სავალუტო დერივატივებიდან, უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან და გაცვლიდან.	-	102,435		102,435

ათას ლარში	თავდაპირველად წარმოდგენილი 2018 წლის 31 დეკემბერს		რეკლასიფიცირებული 2018 წლის 31 დეკემბერს	
	რეკლასიფიკაცია			
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოურ ვალუტაში ვაჭრობიდან	91,678	(91,678)	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი) ვალუტის გაცვლიდან	15,503	(15,503)	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	(204)	204	-	-
წმინდა მოგება სავალუტო დერივატივებიდან, უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან და გაცვლიდან.	-	106,977		106,977

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები გაგრძელება**

ეფექტი ინდივიდუალურ მოგებასა და სხვა სრულ შემოსავალზე

ათას ლარში	თავდაპირველად წარმოდგენილი 2019 წლის 31 დეკემბერს	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიცირებული 2019 წლის 31 დეკემბერს
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოურ ვალუტაში ვაჭრობიდან	79,618	(79,618)	-
წმინდა მოგება/(ზარალი) ვალუტის გაცვლიდან	23,872	(23,872)	-
წმინდა მოგება/(ზარალი) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	(280)	280	-
წმინდა მოგება სავალუტო დერივატივებიდან, უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან და გაცვლიდან.	-	103,210	103,210

ათას ლარში	თავდაპირველად წარმოდგენილი 2018 წლის 31 დეკემბერს	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიცირებული 2018 წლის 31 დეკემბერს
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოურ ვალუტაში ვაჭრობიდან	91,723	(91,723)	-
წმინდა მოგება/(ზარალი) ვალუტის გაცვლიდან	15,706	(15,706)	-
წმინდა მოგება/(ზარალი) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	(204)	204	-
წმინდა მოგება სავალუტო დერივატივებიდან, უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან და გაცვლიდან.	-	107,225	107,225

წმინდა მოგება სავალუტო დერივატივებიდან, უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან და გაცვლიდან. 2020 წლისთვის შედეგა:

ათას ლარში	2020 ჯგუფი	2020 ბანკი
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოურ ვალუტაში ვაჭრობიდან	(96,484)	(96,289)
წმინდა მოგება/(ზარალი) ვალუტის გაცვლიდან	202,331	204,382
წმინდა მოგება/(ზარალი) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	8	8
<b>წმინდა მოგება სავალუტო დერივატივებიდან, უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან და გაცვლიდან.</b>	<b>105,855</b>	<b>108,101</b>

**ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში, ბასს 16.** 2020 წელს ჯგუფმა შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა მიწის, შენობების და მიმდინარე მშენებლობების შემდგომ გაზომვასთან დაკავშირებით. ჯგუფი ამჟამად იყენებს თვითღირებულების მოდელს, სადაც აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურება. მოცემულ ცვლილებამდე, ჯგუფი იყენებდა გადაფასების მოდელს: მიწას, შენობებს და მიმდინარე მშენებლობებს ჯგუფი აღრიცხავდა გადაფასების თანხით, რომელიც წარმოადგენს სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისთვის, რომელსაც აკლდება შემდგომი დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ჯგუფი თვლის, რომ ხარჯის მოდელი გვაძლევს უფრო რელევანტურ და თანმიმდევრულ ინფორმაციას, ასევე შესაძლებლობას აძლევს ინვესტორებს განახორციელონ ზუსტი შედარებები საბანკო სისტემაში, რადგან ხარჯის მოდელის გამოყენება მიღებული და ფართოდ გავრცელებული საბანკო პრაქტიკაა. შესაბამისად საბალანსო ანგარიშები მითითებულ პერიოდებში დაზუსტდა, ხოლო წინა პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშები იგივე დარჩა იმ ფაქტის გამო, რომ ცვლილებამ არსებითი გავლენა არ მოახდინა მათზე.



## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები გავრცელება

ზემოქმედებები შესაბამის პერიოდებზე წარმოდგენილია ქვემოთ:  
ეფექტი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაზე

ათას ლარში	31 დეკემბერი 2019 (თავდაპირველად ნაჩვენები)	ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში	31 დეკემბერი 2019 (დაზუსტებული)
<b>აქტივები:</b>			
ძირითადი საშუალებები	380,537	(51,008)	329,529
<b>ვალდებულებები:</b>			
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	21,250	(2,444)	18,806
<b>კაპიტალი:</b>			
გაუნაწილებელი მოგება	2,008,397	7,722	2,016,119
შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი	56,286	(56,286)	-

ათას ლარში	31 დეკემბერი 2018 (თავდაპირველად ნაჩვენები)	ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში	31 დეკემბერი 2018 (დაზუსტებული)
<b>აქტივები:</b>			
ძირითადი საშუალებები	366,071	(52,002)	314,069
<b>ვალდებულებები:</b>			
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	22,237	(2,444)	19,793
<b>კაპიტალი:</b>			
გაუნაწილებელი მოგება	1,543,581	7,595	1,551,176
შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი	57,153	(57,153)	-

ეფექტი ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაზე

ათას ლარში	31 დეკემბერი 2019 (თავდაპირველად ნაჩვენები)	ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში	31 დეკემბერი 2019 (დაზუსტებული)
<b>აქტივები:</b>			
ძირითადი საშუალებები	353,198	(51,008)	302,190
<b>ვალდებულებები:</b>			
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	20,790	(2,443)	18,347
<b>კაპიტალი:</b>			
გაუნაწილებელი მოგება	1,925,690	7,722	1,933,412
შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი	56,286	(56,286)	-

ათას ლარში	31 დეკემბერი 2018 (თავდაპირველად ნაჩვენები)	ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში	31 დეკემბერი 2018 (დაზუსტებული)
<b>აქტივები:</b>			
ძირითადი საშუალებები	335,286	(52,002)	283,284
<b>ვალდებულებები:</b>			
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	22,237	(2,445)	19,792
<b>კაპიტალი:</b>			
გაუნაწილებელი მოგება	1,485,812	7,595	1,493,407
შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი	57,153	(57,153)	-

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები **გაგრძელება**

**საქმიანობის გაგრძელების პრინციპი.** აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა სს თიბისი ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ, მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ამ მიმოხილვისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, არსებული გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა. ჯგუფისთვის ცნობილი არ არის რაიმე მატერიალური სახის გაურკვევლობის შესახებ, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინოს ჯგუფის მიერ საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. შეფასებისას დირექტორებმა კონკრეტულად განიხილეს კოვიდ-19 პანდემიის ზემოქმედებები ჯგუფის ეფექტურობაზე, პროგნოზირებულ დაფინანსებაზე, კაპიტალის მოცულობაზე და ასევე გაითვალისწინეს დამატებითი სტრეს სცენარების ზემოქმედება. აღნიშნულ საფუძველზე, დირექტორები დარწმუნებული არიან, რომ ჯგუფი შეინარჩუნებს კაპიტალის და დაფინანსების ადეკვატურ დონეს უახლოეს მომავალში.

**საპრეზენტაციო (საჩვენებელი) ვალუტა.** წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები.** შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიებს, მათ შორის სტრუქტურირებულ ორგანიზაციებს, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს რადგან ჯგუფს (i) აქვს გავლენა მართოს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიების შესაბამისი აქტივობები, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ უკუგებაზე, (ii) აქვს უფლება სხვადასხვა სახის უკუგებაზე ასეთ წილობრივ მონაწილეობის მქონე კომპანიებში მისი მონაწილეობის გამო, და (iii) შეუძლია გამოიყენოს თავისი უფლება წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიების მიმართ საიმისოდ, რომ გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგების თანხაზე. მატერიალური უფლებების არსებობა და ეფექტი, მათ შორის პოტენციური ხმის მიცემის უფლებები, გათვალისწინებულია, როცა ხდება იმის შეფასება, აქვს თუ არა ჯგუფს სხვა საწარმოზე გავლენა. იმისთვის, რომ უფლება იყოს მატერიალური, მის მფლობელს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული უნარი გამოიყენოს აღნიშნული უფლება მაშინ, როცა უნდა მიიღოს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიების შესაბამისი აქტივობების მართვის შესახებ გადაწყვეტილება. ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს გავლენა წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიაზე, მაშინაც კი, როცა ის ფლობს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიაში უმრავლესობის ხმის უფლებაზე ნაკლებს. ასეთ შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს მისი ხმის უფლების ზომას სხვა ხმის უფლების მქონე მფლობელების ხმის მფლობელობის ზომასთან შედარებით საიმისოდ, რომ განსაზღვროს, აქვს თუ არა მას დე-ფაქტო უფლება წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიაზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიის აქტივობებში ფუნდამენტალურ ცვლილებებთან, ან ისეთი უფლებები, რომლებიც მხოლოდ გამოწვევის გარემოებებში გამოიყენება, არ შეაფერხებს ჯგუფს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიის კონტროლისგან. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის გადაცემის თარიღიდან, და ტოვებს ჯგუფს კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები გავრცელება

შვილობილი კომპანიის სახელი	31 დეკემბრისთვის ფლობილი ხმის უფლებებისა და ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალის პროპორცია			საქმიანობისა და რეგისტრაციის ადგილი	რეგისტრაციის წელი	ძირითადი საქმიანობები
	2020	2019	2018			
სს თიბისი ბანკი	99.88%	99.88%	99.88%	თბილისი, საქართველო	1992	საბანკო მომსახურება
სს გავრთიანებული ფინანსური კორპორაცია	99.53%	99.53%	98.67%	თბილისი, საქართველო	1997	ბარათების პროცესინგი
შპს თიბისი კაპიტალი	100.00%	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	1999	საბროკერო
სს თიბისი ლიზინგი	100.00%	100.00%	99.61%	თბილისი, საქართველო	2003	ლიზინგი
შპს თიბისი კრედიტი	100.00%	100.00%	100.00%	ბაქო აზერბაიჯანი	1999	არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტი
შპს საბანკო სისტემის მომსახურების კომპანია	N/A	N/A	100.00%	თბილისი, საქართველო	2009	საინფორმაციო მომსახურებები
შპს თიბისი ფეი	100.00%	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	2009	პროცესინგი
შპს თიბისი ინვესტი	100.00%	100.00%	100.00%	რამათ განი ისრაელი	2011	საზ. ურთიერთობა და მარკეტინგი
Index LLC	100.00%	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	2011	უძრავი ქონების მართვა

ჯგუფს აქვს ინვესტიციები შემდეგ მეკავშირე საწარმოებში:

მეკავშირე კომპანიის სახელი	31 დეკემბრისთვის ფლობილი ხმის უფლებებისა და ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალის პროპორცია			საქმიანობისა და რეგისტრაციის ადგილი	რეგისტრაციის წელი	ძირითადი საქმიანობები
	2020	2019	2018			
სს კრედიტინფო საქართველო	21.08%	21.08%	21.08%	თბილისი, საქართველო	2005	ფინანსური შუამავლობა
სს თბილისის საფონდო ბირჟა	28.87%	28.87%	N/A	თბილისი, საქართველო	2019	ფინანსური მომსახურებები
სს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი	22.87%	27.70%	N/A	თბილისი, საქართველო	2019	ფინანსური მომსახურებები
სს საქართველოს საფონდო ბირჟა	17.33%	17.33%	N/A	თბილისი, საქართველო	2019	ფინანსური მომსახურებები
სს კავკასიურესტრი	10.03%	10.03%	N/A	თბილისი, საქართველო	2019	ფინანსური მომსახურებები
შპს ონლაინ თიქეთსი	N/A	N/A	26.00%	თბილისი, საქართველო	2015	კომპიუტერული მომსახურებები

რეგისტრაციის ან დაფუძნების ქვეყანა ასევე არის თითოეული ზემოთ მითითებული შვილობილი კომპანიის ოპერირების მთავარი ადგილი.

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები გავრცელება**

შვილობილი კომპანიის სახელი	31 დეკემბრისთვის ფლობილი ხმის უფლებებისა და ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალის პროპორცია			საქმიანობისა და რეგისტრაციის ადგილი	რეგისტრაციის თარიღი	ძირითადი საქმიანობები
	2020	2019	2018			
TBC Invest International Ltd	100.00%	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	2016	საინვესტიციო სტრუქტურა
საუნივერსიტეტო განვითარების ფონდი	33.33%	33.33%	33.33%	თბილისი, საქართველო	2007	განათლება
Natural Products of Georgia LLC <sup>1</sup>	25.00%	25.00%	25.00%	თბილისი, საქართველო	2001	ვაჭრობა, მომსახურება
სს მობი პლიუსი <sup>1</sup>	14.81%	14.81%	14.81%	თბილისი, საქართველო	2009	მონაცემთა მონიტორინგი და დამუშავება
GRDC	1.75%	1.75%	1.75%	თბილისი, საქართველო	2008	ინვესტიცია, უძრავი ქონება
სს ჯორჯიან ქარდი	0.15%	0.15%	0.15%	თბილისი, საქართველო	1997	პლასტიკური ბარათების მომსახურება
საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი	0.003%	0.05%	0.05%	თბილისი, საქართველო	1999	ფინანსები, მომსახურება
სს გივი ზალდასტანიშვილის სახ. ამერიკული აკადემია	14.48%	14.48%	14.48%	თბილისი, საქართველო	2001	განათლება
გაერთიანებული კლირინგ ცენტრი	18.75%	18.75%	18.75%	თბილისი, საქართველო	2008	კლირინგის ცენტრი
საქართველოს საბანკო და ფინანსების აკადემია <sup>1</sup>	16.67%	16.67%	16.67%	თბილისი, საქართველო	1998	განათლება
Tbilisi's City JSC <sup>1</sup>	1.80%	1.80%	1.80%	თბილისი, საქართველო	2007	განათლება
TBC Trade <sup>1</sup>	100.00%	100.00%	100.00%	თბილისი, საქართველო	2008	ვაჭრობა, მომსახურება
Mineral Oil Distribution Corporation JSC <sup>1</sup>	9.90%	9.90%	9.90%	თბილისი, საქართველო	2009	მონაცემთა მონიტორინგი და დამუშავება

**საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი.** საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი. საწარმოთა გაერთიანება ხორციელდება შესყიდვის მეთოდის გამოყენებით. შესყიდვის ღირებულება იზომება უზრუნველყოფის, მათ შორის, გაცვლის დღეს პირობითი და ფაქტობრივი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი აღიარებულია, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც იმ პერიოდის ხარჯი, როცა წარმოიქმნა. შესყიდული იდენტიფიცირებული აქტივები, ვალდებულებები და ბიზნესის გაერთიანებით მიღებული გაუთვალისწინებელი ვალდებულებები იზომება შეძენის თარიღისთვის არსებული მათი სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერი არასაკონტროლო წილის მოცულობის მიუხედავად.

ჯგუფი აფასებს არასაკონტროლო წილს, რომელიც წარმოადგენს არსებული მფლობელობის წილს და უფლებამოსილებას ანიჭებს მფლობელს მიიღოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი ლიკვიდაციის შემთხვევაში ოპერაციების მიხედვით, ან: (ა) სამართლიანი ღირებულებით, ან (ბ) შესაძენი კომპანიის წმინდა აქტივების არასაკონტროლო წილის პროპორციული წილის სახით. არასაკონტროლო წილები, რომლებიც არ წარმოადგენს არსებული მფლობელობის წილებს, იზომება სამართლიანი ღირებულებით.

გუდვილი იზომება შესაძენი კომპანიისთვის გადაცემული მთლიანი ანაზღაურებიდან შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების დაქვითვით, შეძენილ კომპანიაში არასაკონტროლო წილის მოცულობით და შეძენის თარიღამდე მყისიერად ფლობილ შეძენილ კომპანიაში წილის სამართლიანი ღირებულებით. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“) აღიარდება მოგება-ზარალში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ხელახლა შეაფასებს გამოავლინა თუ არა მან ყველა შეძენილი აქტივი და ყველა ვალდებულება და აღებული გაუთვალისწინებელი ვალდებულებები, და განიხილავს მათი შეფასების სისწორეს.

<sup>1</sup> უმოქმედო

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები გავრცელება

შესაძენი კომპანიისთვის გადარიცხული მთლიანი უზრუნველყოფა იზომება დათმობილი აქტივების, გაცემული წილობრივი ინსტრუმენტებისა და წარმოქმნილი ან აღებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, მათ შორის, პირობითი უზრუნველყოფიდან აქტივების ან ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ გამორიცხავს შექმენასთან დაკავშირებულ ხარჯს, როგორცაა საკონსულტაციო, იურიდიული, შეფასებითი და მსგავსი პროფესიული მომსახურებები.

წილობრივი ინსტრუმენტების გაცემასთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯი იქვითება კაპიტალიდან; ვალის გაცემასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ოპერაციების ხარჯი იქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შექმენასთან დაკავშირებული ყველა სხვა ოპერაციების ხარჯი განეულია.

ჯგუფში შემავალ კომპანიათა შორის ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის კომპანიებს შორის ოპერაციებზე არარეალიზებული მოგებები იქვითება; არარეალიზებული დანაკარგები ასევე იქვითება, თუ ხარჯის ამოღება შეუძლებელია. ბანკი და ყველა მისი შვილობილი კომპანია იყენებს ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკას.

არასაკონტროლო წილი არის შვილობილი კომპანიის საბოლოო შედეგი და კაპიტალს მიკუთვნებული წილები, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს ბანკი. არასაკონტროლო წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

**დაკავშირებული კომპანიები.** დაკავშირებულია კომპანიები, რომელზეც ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა (პირდაპირ თუ არაპირდაპირ), მაგრამ არა კონტროლი, რაც ზოგადად ითვალისწინებს ხმის უფლების მქონე 20-50% - მდე აქციების ფლობას. დაკავშირებულ კომპანიებში ინვესტიციები აღირიცხება კაპიტალის აღრიცხვის მეთოდის გამოყენებით და, თავდაპირველად, აღიარებულია თვითღირებულებით. დაკავშირებული კომპანიების საბალანსო ღირებულება მოიცავს გუდვილს, რომელიც გამოვლინდება შესყიდვის დროს და აკლდება დაგროვილი გაუფესურებით გამოწვეული დანაკარგით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. დაკავშირებული კომპანიებიდან მიღებული დივიდენდები ამცირებს დაკავშირებულ საწარმოებში ინვესტიციების საბალანსო ღირებულებას. შექმენის შემდეგ დაკავშირებული კომპანიის წმინდა აქტივებში ჯგუფის წილის ცვლილებები აღირიცხება შემდეგნაირად: (i) დაკავშირებული კომპანიების მოგება/ზარალში ჯგუფის წილი რეგისტრირებულია წლის კონსოლიდირებულ მოგება/ზარალში, როგორც დაკავშირებული კომპანიების შედეგის წილი, (ii) ჯგუფის წილი სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და წარმოდგენილია ცალკე, (iii) დაკავშირებული კომპანიების წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების ჯგუფის წილში ყველა სხვა ცვლილება აღიარებულია მოგება/ზარალში დაკავშირებული კომპანიების შედეგის წილის ფარგლებში. თუმცა, როცა ჯგუფის დანაკარგის წილი დაკავშირებულ კომპანიებში ტოლია ან აღემატება მის წილს ამ დაკავშირებულ საწარმოში, მათ შორის ნებისმიერი სხვა დაუცველი დებიტორული დავალიანებები, ჯგუფი არ აღიარებს შემდგომ დანაკარგებს, თუ მას არ წარმოექმნება ვალდებულებები ან არ ექნება გადასახდელები დაკავშირებული კომპანიის სახელით.

ჯგუფსა და დაკავშირებულ საწარმოს შორის ტრანზაქციებზე არარეალიზებული მოგებები გაუქმებულია დაკავშირებულ კომპანიაში ჯგუფის მფლობელობის წილის მიხედვით; არარეალიზებული დანაკარგები ასევე გაუქმებულია თუ ტრანზაქცია განაპირობებს გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას.

**არასაკონტროლო წილის ყიდვა და გაყიდვა.** ჯგუფი იყენებს ეკონომიკური ერთეულის მოდელს არასაკონტროლო წილის მფლობელებთან გაარიგებების აღრიცხვისთვის. ნებისმიერი განსხვავება შექმნილი არასაკონტროლო წილის საბალანსო ღირებულებას და შესყიდვის ფასს შორის, აღირიცხება, როგორც კაპიტალის ტრანზაქცია პირდაპირ კაპიტალში. ჯგუფი აღიარებს სხვაობას გაყიდული არასაკონტროლო წილის საბალანსო ღირებულებას და გაყიდვის ფასს შორის, როგორც კაპიტალის ტრანზაქცია კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში.

**შვილობილი კომპანიების, დაკავშირებული კომპანიების ან ერთობლივი საწარმოების გასხვისება.** როცა ჯგუფი კარგავს კონტროლს ან მნიშვნელოვან გავლენას, საწარმოში არსებული ნებისმერი შენარჩუნებული წილი ხელახლა იზომება მისი სამართლიანი ღირებულებით და მოგება-ზარალში აღიარდება საბალანსო ღირებულებაში ცვლილების გათვალისწინებით. სამართლიანი ღირებულება არის დაკავშირებული კომპანიის, ერთობლივი საწარმოს ან ფინანსური აქტივის შენარჩუნებული წილის შემდგომ აღრიცხვასთან დაკავშირებული თავდაპირველი საბალანსო ღირებულება.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები **გაგრძელება**

გარდა ამისა, აღნიშნულ საწარმოსთან დაკავშირებით მთლიან შემოსავალში ადრე აღიარებული ნებისმიერი თანხა ნიშნავს, რომ ჯგუფმა პირდაპირ გაასხვისა დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები. ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ სხვა მთლიან შემოსავალში ადრე აღიარებული თანხა ხელახლა გადავა მოგება-ზარალში.

თუ დაკავშირებულ კომპანიაში საკუთრების წილი მცირდება, მაგრამ მნიშვნელოვანი გავლენა შენარჩუნებულია, მხოლოდ სხვა მთლიან შემოსავალში ადრე აღიარებული თანხების პროპორციული წილი ხელახლა იქნება კლასიფიცირებული მოგება-ზარალში, თუ შესაძლებელია

**ფინანსური ინსტრუმენტები – გაზომვის მთავარი პირობები.** სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება საიმისოდ, რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი. აქტიური ბაზარი არის ის ბაზარი, სადაც აქტივსა ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირით და მოცულობით ხდება საიმისოდ, რომ უზრუნველყოს ფასების შესახებ მუდმივი ინფორმაცია. აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ გამოტანილი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება იზომება როგორც ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების და ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული რაოდენობის კვოტირებული ფასის პროდუქტი. ასეა მაშინაც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ აითვისოს მფლობელობაში არსებული რაოდენობა და ერთი ოპერაციით პოზიციის გაყიდვისთვის დაკვეთების განთავსებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კვოტირებულ ფასზე.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების, ან სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელი, რომელიც არ არის გამოტანილი აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ, იზომება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულებით იმ ფასის საფუძველზე, რომელიც მიიღება გარკვეული რისკის ქვეშ არსებული წმინდა გრძელვადიანი პოზიციის (ე.ი. აქტივის) გაყიდვის მიმართ, ან რომელიც გამოიყენება გარკვეული რისკის ქვეშ არსებული წმინდა ხანმოკლე პოზიციის (ე.ი. ვალდებულები) გადაცემის მიმართ საიმისოდ, რომ მოხდეს ვალდებულების გადაცემა კანონიერი ტრანზაქციის საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის, გაზომვის დღეს.

შეფასების მეთოდები, როგორცაა დისკონტირებული ფულის ნაკადების მოდელი, ან ბოლო დროს კომერციულ ოპერაციებზე დაფუძნებული მოდელი ან ინვესტიციების მიმღებების ფინანსური მონაცემების ანაზღაურება, გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ, რომლისთვისაც ხელმიუწვდომელია უცხოური საბაზრო ფასების ინფორმაცია. სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხორციელდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში არსებული შემდეგი დონეების მიხედვით: (i) პირველ დონეზე წარმოდგენილია აქტიურ ბაზრებზე იდენტურ აქტივებისა ან ვალდებულებების მიმართ კვოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) შეფასებები. (ii) მეორე დონის შეფასებები არის შეფასებების მეთოდები, რომლებიც კი გამოიყენება აქტივებისა ან ვალდებულებების მიმართ პირდაპირ (ე.ი. როგორც ფასები) ან არაპირდაპირ (ე.ი. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები არის შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ საბაზრო მონაცემებს (ე.ი. ეს შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან ბაზარზე არარსებულ მონაცემებს). სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადაცემები ჩაითვლება განხორციელებულად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

თვითღირებულება არის გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტი ან შექმნის დროს აქტივის შესაძენად გადაცემული სხვა ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება და მოიცავს ტრანზაქციულ დანახარჯს.

ტრანზაქციული დანახარჯი არის ზღვრული ხარჯი, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია ფინანსური ინსტრუმენტების შექმნაზე, გაცემასა ან გასხვისებაზე. ზღვრული ხარჯი არის ხარჯი, რომელიც არ წარმოიქმნებოდა თუკი არ განხორციელდებოდა ტრანზაქცია. ტრანზაქციული დანახარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები) კონსულტანტებისთვის, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ ანაზღაურებას ან საკომისიოს, რომელიც განსაზღვრულია მარეგულირებელი სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟების მიერ, და საკუთრების გადაცემისთვის განსაზღვრულ გადასახადებსა და ბაჟს.

## 2. ფინანსური საკონტრაქტო პოლიტიკები გამრეგება

ტრანზაქციული დანახარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკონტს, ფინანსურ ხარჯს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობასთან დაკავშირებულ ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის, გამოკლებული ნებისმიერი სესხის ძირი თანხის დასაფარად განხორციელებული გადახდები, პლიუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში - გამოკლებული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ჩამონერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებით გადავადებულ საოპერაციო ხარჯს და ნებისმიერი პრემიის ან გადასახდელი თანხის დისკონტის ამორტიზაციას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, რომელიც მოიცავს როგორც დარიცხულ კუპონს, საამორტიზაციო დისკონტს ან პრემიას (წარმოქმნისთანავე გადავადებული გადასახადების ჩათვლით, თუკი არის), არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაკავშირებული პუნქტების საბალანსო ღირებულებაში. სესხების დაფარვები აღირიცხება ჯარიმებში თავდაპირველად, შემდეგ დარიცხულ პროცენტში და შემდეგ ძირ თანხაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის ფინანსური ინსტრუმენტების ვადაზე განაწილების მეთოდი, რათა მიღწეულ იქნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს შეფასებული მომავალი ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შესავლების (მათ შორის საკრედიტო დანაკარგების) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებაში დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მომსახურების სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების ფულის ნაკადებს მომდევნო ფასების გადახედვის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში მითითებულ მცოცავ განაკვეთზე გავრცელებულ კრედიტს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ შეესაბამება საბაზრო განაკვეთებს. ასეთი პრემიები ან დისკონტები ამორტიზირებულია ინსტრუმენტის მთელი დარჩენილი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. დღევანდელი ღირებულების გათვლები მოიცავს კონტრაქტის მხარეებს შორის ყველა გადახდილ ან მიღებულ გადასახადს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს (იხილეთ შემოსავლის და ხარჯის აღიარების პოლიტიკა). აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ შექმნილ ან შექმნილ საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებულ აქტივებს („POCI“) თავდაპირველი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირდება საკრედიტო რისკით, ე.ი. გაანგარიშდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე თავდაპირველი აღიარებისას კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდების ნაცვლად.

**ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება.** ფინანსური ინსტრუმენტები FVTPL (სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში) თავდაპირველად აღირიცხულია სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარებულია სამართლიან ღირებულებით, ტრანზაქციული დანახარჯის გათვალისწინებით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. თავდაპირველი აღიარებისას, მოგება ან ზარალი აღიარდება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულება და გარიგების ფასს შორის, რაც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტში სხვა მიმდინარე საბაზრო ოპერაციებით ან შეფასების მეთოდით, რომელიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებას დაქვემდებარებული ბაზრებიდან მონაცემებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) რეზერვი აღიარებულია ფინანსურ აქტივებში, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით (AC) და ინვესტიციებში სავალო ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია FVOCI-ით (სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში), რაც ინვესტ მყისიერ სააღრიცხვო ზარალს.

იმ ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და გაყიდვა, რომლებიც მოითხოვს რეგულაციით ან საბაზრო კონვერსიით დადგენილ ვადებში მიწოდებას (რეგულარული წესით) შესყიდვები და გაყიდვები) რეგისტრირებულია გარიგების დღეს, რომელ დღესაც, ჯგუფი ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას იღებს. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როცა საწარმო ხდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო დებულებების ნაწილი.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები **გაგრძელება**

**ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები.** ჯგუფი ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შემდეგ შეფასების კატეგორიებად: ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL), სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) და ამორტიზირებული ღირებულებით (AC). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) ჯგუფის ბიზნეს მოდელზე დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის და (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

**ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი.** ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ბიზნეს-მოდელზე. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის და აგრეგაციის დონე ბიზნეს-მოდელის შეფასების დროს. სავაჭრო გარიგებების შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს მათ ისტორიულ სიხშირეს, ვადებს და ღირებულებას, გაყიდვების მიზნებს და მოლოდინებს მომავალი გაყიდვების საქმიანობების შესახებ. სავაჭრო გარიგებები, რომელთა მიზანია კრედიტის გაუფასურებით გამოწვეული პოტენციური ზარალის მინიმუმამდე დაყვანა, შეესაბამება „ამოღებისთვის ფლობილ“ ბიზნეს-მოდელს. სხვა სავაჭრო გარიგებები – დაფარვამდე, რომლებიც არ არის დაკავშირებული საკრედიტო რისკის მართვის საქმიანობებთან, ასევე შეესაბამება „ამოღებისთვის ფლობილ“ ბიზნეს-მოდელს, იმ პირობით, რომ ისინი არ არის ხშირი ან მნიშვნელოვანი ღირებულების თვალსაზრისით, როგორც ინდივიდუალურად ასევე მთლიანობაში. ჯგუფი აფასებს სავაჭრო გარიგებების მნიშვნელობას გაყიდვების ღირებულების პორტფელის ღირებულებასთან შედარებით ბიზნეს-მოდელის შეფასების საფუძველზე, პორტფელის საშუალო ვადაში. გარდა ამისა, ფინანსური აქტივის გაყიდვები, რომელიც მოსალოდნელია მხოლოდ სტრესულ სცენარში ან იმ ცალკეული შემთხვევის საპასუხოდ, რომელიც სცილდება ჯგუფის კონტროლის ფარგლებს, არ არის განმეორებითი და შეუძლებელია გათვალისწინებული ყოფილიყო ჯგუფის მიერ, ითვლება დაკავშირებულად ბიზნეს-მოდელის მიზანთან და გავლენას არ ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე.

ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი“ ბიზნეს მოდელი ნიშნავს, რომ აქტივები ფლობილია ფულადი ნაკადების ამოსაღებად, თუმცა გაყიდვა ასევე არის ბიზნეს მოდელის მიზნის მიღწევის განუყოფელი ნაწილი, როგორცაა ლიკვიდური სახსრების საჭიროებების მართვა, კონკრეტული შედეგის მიღწევა ან ფინანსური აქტივების ვადის შესაბამისობა ვალდებულებების ვადასთან, რომელიც აფინანსებს აღნიშნულ აქტივებს.

ნარჩენი კატეგორია მოიცავს ფინანსური აქტივების იმ პორტფელებს, რომელთა მართვა ხდება ფულადი ნაკადების რეალიზების მიზნით ძირითადად გაყიდვის გზით, როდესაც სავაჭრო სტრუქტურა არსებობს. სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება ხშირად დამახასიათებელია მოცემული ბიზნეს-მოდელისთვის.

**ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები.** თუ ბიზნეს-მოდელი არის აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ფლობა და გაყიდვა, ჯგუფი აფასებს წარმოდგენილია თუ არა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებით (“SPPI”). ფინანსური აქტივები ჩართული წარმოებული ინსტრუმენტებით განიხილება მთლიანობაში იმის განსაზღვრისას შეესაბამება თუ არა მათი ფულადი ნაკადები SPPI მოთხოვნას. შეფასების გაკეთებისას, ჯგუფი განიხილავს შეესაბამება თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზო საკრედიტო შეთანხმებას, ე.ი. პროცენტი მოიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკის, ფულის დროითი ღირებულების, სხვა საბაზო საკრედიტო რისკების და მოგების კოეფიციენტის ასპექტს.

თუ სახელშეკრულებო პირობები განაპირობებს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც არ შეესაბამება საბაზო საკრედიტო შეთანხმებას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირებული და შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL). SPPI შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომ არ ხდება მისი გადახედვა. ჯგუფის მიერ გამოყენებული მსჯელობები SPPI ტესტის განხორციელებისას ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, მოცემულია ქვემოთ:

ფულის დროითი ღირებულების ელემენტი შეიძლება მოდიფიცირდეს, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი პერიოდულად იცვლება, მაგრამ ასეთი ცვლილების სიხშირე არ შეესაბამება სავალო ინსტრუმენტის საბაზო საპროცენტო განაკვეთის ვადას,



## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები გაგრძელება

მაგალითად სესხის გადახდები სამთვიანი ბანკთაშორისო განაკვეთით, მაგრამ განაკვეთი იცვლება ყოველ თვეში. ფულის მოდიფიცირებული დროითი ღირებულების ეფექტი შეფასდა შესაბამისი ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების საბაზო სავალო ინსტრუმენტის SPPI ფულად ნაკადებთან შედარებით, თითოეულ პერიოდში და მთლიანად ინსტრუმენტის ვადაში. ჭგუფმა გამოიყენა 10% ზღვარი იმის განსაზღვრისას არის თუ არა სხვაობები საბაზო ინსტრუმენტების მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული. იმ სცენარის შემთხვევაში, როდესაც ფულადი ნაკადები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება საბაზო ინსტრუმენტის მაჩვენებლებისგან, შეფასებული ინსტრუმენტის ფულადი ნაკადები არ არის SPPI და აღნიშნული ინსტრუმენტი შეფასდება FVTPL-ით.

ჭგუფმა განსაზღვრა და განიხილა სახელშეკრულებო პირობები, რომელიც ცვლის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადას ან ოდენობას. SPPI კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია იმ შემთხვევაში, თუ სესხი ითვალისწინებს ვადამდე დაფარვას და ვადამდე დაფარვის თანხა არსებითად წარმოადგენს ძირითად თანხას და დარიცხულ პროცენტს, რომელსაც ემატება დამატებითი კომპენსაცია ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისთვის. აქტივის ძირითადი თანხა არის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას მინუს შემდგომი ძირითადი თანხის გადახდები, ე.ი. შენატანები პროცენტის გამოქვითვით, რომელიც განსაზღვრულია ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ამ პრინციპის გამონაკლისის სახით, სტანდარტი ასევე ითვალისწინებს ინსტრუმენტებს ვადამდე დაფარვის პირობებით, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს, SPPI შესაბამისობის მიზნით: (i) აქტივი წარმოქმნილია პრემიით ან დისკონტით, (ii) ვადამდე დაფარვის თანხა წარმოადგენს სახელშეკრულებო თანხას და დარიცხულ პროცენტს და დამატებით კომპენსაციას ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისთვის; და (iii) ვადამდე დაფარვის ელემენტის სამართლიანი ღირებულება არის უმნიშვნელო თავდაპირველი აღიარებისას.

**ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია.** ფინანსური ინსტრუმენტები რეკლასიფიცირდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანობაში იცვლება. რეკლასიფიკაციას აქვს სამომავლო ეფექტი და იწყება პირველი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში, ბიზნეს-მოდელის ცვლილების შემდეგ. მიმდინარე პერიოდში ჭგუფმა შეცვალა ბიზნეს-მოდელი ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ ობლიგაციების კონკრეტულ პორტფელთან მიმართებით და შესაბამისი რეკლასიფიკაციები ასახა ფინანსურ ანგარიშგებებში 2021 წლის 1 იანვრიდან პროსპექტულად, როგორც მოითხოვს ფასს.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის რეზერვი ECL-თვის (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).** ჭგუფი, პროგნოზის საფუძველზე, აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ECL ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით (AC) და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) და რისკებისთვის, რომლებიც წარმოიშობა სასესხო ვალდებულებებიდან და ფინანსური გარანტიის კონტარქტებიდან. ჭგუფი აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL) და აღიარებს საკრედიტო ზარალის რეზერვს თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების შეფასებით, (ii) ფულის დროით ღირებულებას და (iii) ყველა გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევების გარეშე, თითოეული ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გასული მოვლენების, არსებული პირობების და მომავალი პირობების პროგნოზების შესახებ.

ჭგუფი იყენებს გაუფასურების სამ ეტაპიან მოდელს, რომელიც ეფუძნება კრედიტის ხარისხის ცვლილებებს თავდაპირველი აღიარების შემდეგ:

- ეტაპი 1: ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული (საკრედიტო თვალსაზრისით) თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირებულია 1 ეტაპზე. ფინანსურ აქტივებს 1 ეტაპზე გააჩნიათ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL), რომელიც შეფასებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადის იმ ნაწილის ტოლი მოცულობით, რომელიც მიიღება დეფოლტის მოვლენებიდან, რომლებიც შესაძლოა მოხდეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაფარვის ვადამდე, თუ აღნიშნული ვადა უფრო მოკლეა („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“).

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები გაგრძელება**

- ▶ ეტაპი 2: თუ ჯგუფი დაადგენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ("SICR") თავდაპირველი აღიარებიდან, აქტივი გადავა 2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) შეფასდება ECL-ს მოქმედების ვადის (არსებობის) საფუძველზე ("ECL მოქმედების /არსებობის ვადა"). იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ("SICR") აღარ აღინიშნება, ინსტრუმენტი გადავა უკან 1-ელ ეტაპზე. იხილეთ შენიშვნა 36 იმის აღწერისთვის, თუ როგორ განსაზღვრავს ჯგუფი პროგნოზულ საფუძველზე, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ("SICR") დადგომას.
- ▶ ეტაპი 3: საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებული აქტივები გადადის მე-3 ეტაპზე და აღიარებულია ECL მოქმედების /არსებობის ვადის რეზერვი. ჯგუფის მიერ საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებული აქტივების განსაზღვრება და დეფოლტის განსაზღვრება ეფუძნებაერთი ან მეტი ზარალის შემთხვევის დადგომას, რომელიც აღწერილია 36 შენიშვნაში.

მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (ECL) ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამისი რეზერვით, რომელიც წარმოდგენილია, როგორც ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ფინანსურ გარანტიებთან და საკრედიტო ვალდებულებებთან დაკავშირებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი წარმოდგენილია, როგორც ვალდებულება ვალდებულებების და ხარჯების რეზერვებში.

მთლიანი საბალანსო ღირებულება და ჩამონერა. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება არის ფინანსური აქტივის ამორტიზირებული ღირებულება, ნებისმიერი ზარალის რეზერვის კორექტირებამდე. ჯგუფი პირდაპირ ამცირებს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას, როდესაც საწარმოს არ აქვს ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ აღდგენის გონივრული მოლოდინები. ეს მოიცავს ჯარიმებს ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად. სესხები კოლექტიურად ფასდება ჩამონერისთვის ვადაგადაცილებული დღეების კრიტერიუმების საფუძველზე ან ფასდება ინდივიდუალურად, რომელიც დამოკიდებულია სესხის სეგმენტზე და პროდუქტის ტიპზე.

**ფინანსური აქტივები – აღიარების გაუქმება და მოდიფიკაცია.** ჯგუფი აუქმებს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულად ნაკადებზე უფლებები სხვაგვარად შეწყდება, ან (ბ) ჯგუფმა გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულად ნაკადებზე უფლებები ან შევიდა საკვალიფიკაციო გამტარ გარიგებაში, რომლის დროსაც (i) ასევე განახორციელა აქტივების მფლობელობით გამოწვეული არსებითად ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ან (ii) არ განახორციელა მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და სარგებელის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, გარდა კონტროლის უფლების შენარჩუნებისა. კონტროლის უფლების შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა მიყიდოს აქტივი მთლიანად კავშირში არ მყოფ მესამე მხარეს გაყიდვებზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე. ჯგუფი პერიოდულად გადახედავს ან სხვაგვარად ახდენს ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირებას. ჯგუფი აფასებს არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია არსებითი, შემდეგი (და არა მხოლოდ) ფაქტორების გათვალისწინებით: საპროცენტო განაკვეთის ცვლილება საბაზრო პირობების ცვლილებების გამო, ცვლილება სავალუტო დენომინაციაში; ორი ან მეტი სესხის გაერთიანება ერთ სესხში; კონტრაგენტის ცვლილება; განრიგის არმქონე სესხი შეიცვალა განრიგიანი სესხით და პირიქით; ქვემოთ მოცემული შიდა ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, არსებობს რამდენიმე კონკრეტული ხარისხობრივი ფაქტორი, რომელიც იწვევს აქტივის აღიარების შეწყვეტას შემდგომი რაოდენობრივი ტესტირების ჩატარების საჭიროების გარეშე. ხარისხობრივი კრიტერიუმები წარმოდგენილია ქვემოთ ჩამონათვალში:

- ▶ სახელშეკრულებო ვალუტის შეცვლა;
- ▶ ორი ან მეტი სესხის ერთ ახალ სესხში გაერთიანება;
- ▶ კონტრაგენტის შეცვლა;
- ▶ განრიგის არმქონე სესხის შეიცვალა განრიგიანი სესხით და პირიქით;
- ▶ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება საბაზრო პირობების ცვლილებების გამო;

ჯგუფი ადარებს თავდაპირველ და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს აქტივებთან იმის დასადგენად არის თუ არა აქტივის რისკი და სარგებელი არსებითად განსხვავებული სახელშეკრულებო მოდიფიკაციების შედეგად. უნდა შეფასდეს არის თუ არა ცვლილება სახელშეკრულებო ფულად ნაკადებ-

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები გავრცელება

ში მნიშვნელოვანი (მნიშვნელობა განისაზღვრება 10% ცვლილებით). თუ ტესტის შედეგები აღემატება 10%-იან ზღვარს, სესხის აღიარება უნდა შეწყდეს, ვინაიდან თუ ტესტი ჩატარდა და შედეგი ტოლია ან ნაკლებია 10%-ზე, ფინანსური აქტივი შეიძლება შეფასდეს, როგორც მოდიფიცირებული.

თუ რისკები და სარგებელი არ იცვლება, მოდიფიცირებული აქტივი არსებითად (10% ტესტი) არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიკაცია არ განაპირობებს აღიარების შეწყვეტას. ჭკუფი ხელახლა გამოთვლის საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დისკონტირებით თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ან შესაბამის შემთხვევაში კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და აღიარებს მოდიფიცირების მოგებას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება კორექტირდება ნებისმიერი განუვლი ხარჯის ან გადახდილი მოსაკრებელის გათვალისწინებით, რომლებიც ამორტიზირებულია მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის მოქმედების დანარჩენ ვადაში

კოვიდ-19-ის პანდემიის რეაგირების მიზნით ჭკუფის მიერ მომხმარებლებისთვის შეთავაზებული გადახდების გადავადებები განიხილება შესაბამისი სესხების და ავანსების სახელშეკრულებო მოდიფიკაციებად, თუ ისინი არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, როგორც განსაზღვრულია ზემოთ მოცემული პოლიტიკით. მთლიან საბალანსო თანხზე მოდიფიკაციების შემოქმედება (წმინდა მოდიფიკაციის ზარალი) წარმოდგენილია მოგება-ზარალში, როგორც ზარალი ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიკაციებიდან.

**ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები.** ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია შემდგომ შეფასებულად ამორტიზირებული ღირებულებით, გარდა (i) ფინანსური ვალდებულებებისა FVTPL-ით: ეს კლასიფიკაცია ვრცელდება წარმოებულ ინსტრუმენტებზე, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგალითად მოკლე პოზიცია ფასიან ქალაქებში), პირობით ანაზღაურებაზე, რომელიც აღიარებულია შემქმნის მიერ ბიზნესის გაერთიანებაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც განსაზღვრულია ამ სახით თავდაპირველი აღიარებისას; და (ii) ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

**ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა და მოდიფიკაცია.** ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როდესაც ისინი ამოიწურება (ე.ი. როდესაც შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება).

გაცვლა ჭკუფსა და მის თავდაპირველ კრედიტორებს შორის სავალო ინსტრუმენტებით არსებითად სხვადასხვა პირობებით, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების არსებითი მოდიფიკაციებით, ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. პირობები არსებითად განსხვავებულია თუ ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება ახალი პირობებით, მათ შორის გადახდილი მოსაკრებლები, მიღებული და დისკონტირებული მოსაკრებლების გამოკლებით, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, არის მინიმუმ 10% სხვაობა თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დანარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებიდან. გარდა ამისა გათვალისწინებულია სხვა თვისობრივი ფაქტორები, როგორცაა ვალუტა, რომელშიც დენომინირებულია აღნიშნული ინსტრუმენტი, საპროცენტო განაკვეთის ტიპის ცვლილებები, დაფარვის ვადების ცვლილების ახალი პირობები, რომელიც ერთვის ინსტრუმენტს. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიკაცია განისაზღვრება დაფარვად, ნებისმიერი განუვლი ხარჯი ან მოსაკრებლები აღიარებულია, როგორც დაფარვიდან მიღებული მოგების ან ზარალის ნაწილი. იმ შემთხვევაში, თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიკაცია არ განისაზღვრება დაფარვად, ნებისმიერი განუვლი ხარჯი ან მოსაკრებლები აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია მოდიფიცირებული ვალდებულების დანარჩენ ვადაში.

ვალდებულებების მოდიფიკაციები, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აისახება, როგორც ცვლილება შეფასებაში კუმულაციური წინა რიცხვით ამორტიზაციის დარიცხვის პროცედურა, მოგება-ზარალში აღიარებული მოგებით ან ზარალით, თუ საბალანსო ღირებულებებში სხვაობის ეკონომიკური არსი არ უკავშირდება კაპიტლით ტრანზაქციებს მფლობელებთან.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები **გაგრძელება**

**ფული და ფულის ექვივალენტები.** ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირდება არსებულ ვალუტებს შორის და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროში ფულადი სახსრების ნაშთს, საქართველოს ეროვნული ბანკიდან (სებ) მისაღებ სახსრებს სავალდებულო რეზერვების გამოკლებით, ყველა ბანკთაშორის განთავსებას და ბანკთაშორის დებიტორულ დავალიანებას სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი დაფარვის ვადით. სამ თვეზე მეტი პერიოდით დაბანდებული სახსრები არ შედის ფულსა და ფულის ექვივალენტებში. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და იმ ფულადი ნაკადების ამოსაღებად, რომლებიც წარმოადგენს SPPI-ს, და (ii) ისინი არ არის განსაზღვრული FVTPL-ში. კანონმდებლობით, როგორცაა რესტრუქტურირაციის კანონი, გათვალისწინებული ელემენტები გავლენას არ ახდენს SPPI ტესტზე, თუ ისინი არ არის შეტანილი სახელშეკრულებო პირობებში, იმ სახით, რომ აღნიშნული ელემენტი გამოყენებული იქნება კანონმდებლობის შეცვლის შემთხვევაშიც კი.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებებში წარმოდგენილი გადახდილი ან მიღებული თანხები ასახავს ჯგუფის მიერ განხორციელებული ფულისა და ფულის ექვივალენტების გადარიცხვებს, მათ შორის ჯგუფში მისივე პარტნიორების მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულ ან ჩამოჭრილ თანხებს, როგორცაა სესხის საპროცენტო შემოსავლის ან ძირი თანხის ჩამოჭრა კლიენტის მიმდინარე ანგარიშიდან ან პროცენტის დარიცხვა და სესხის გაცემა კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე, რომელიც წარმოადგენს ფულს და ფულის ექვივალენტებს კლიენტის პოზიციიდან.

**სავალდებულო ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში.** სავალდებულო ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომლებიც არ გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად და ამიტომ ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისთვის, არ ითვლება ფულისა და ფულის ექვივალენტების ნაწილად.

**სახსრები სხვა ბანკებში.** სხვა ბანკებში სახსრები ფიქსირდება მაშინ, როცა ჯგუფი ავანსად გასცემს თანხას პარტნიორ ბანკებზე. სახსრები სხვა ბანკებში შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, როდესაც: (i) ისინი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და იმ ფულადი ნაკადების ამოსაღებად, რომლებიც წარმოადგენს SPPI-ს, და (ii) ისინი არ არის განსაზღვრული FVTPL-ში. სხვაგვარად ისინი აღირიცხულია სამართლიანი ღირებულებით (FV).

**ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში.** ბიზნეს-მოდელის და ფულადი ნაკადების მახასიათებლების საფუძველზე, ჯგუფი ახდენს ინვესტიციების კლასიფიკაციას სავალო ფასიან ქაღალდებში, როგორც შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით, FVOCI-ით ან FVTPL-ით. სავალო ფასიანი ქაღალდები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს SPPI, და თუ ისინი ნებაყოფლობით არ არის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL) სააღრიცხვო შეუსაბამობის მნიშვნელოვნად შემცირების მიზნით..

სავალო ფასიანი ქაღალდები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, როდესაც ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს და თუ ისინი არ არის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL). აღნიშნული აქტივებიდან საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარებულია მოგება-ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც შეფასებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით, აღიარებულია წლის მოგება-ზარალში. ყველა სხვა ცვლილება საბალანსო ღირებულებაში აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (OCI). სავალო ფასიანი ქაღალდის აღიარების შეწყვეტის შემდეგ, სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებული კუმულაციური მოგება ან ზარალი რეკლასიფიცირდება სხვა სრული შემოსავლიდან (OCI) მოგება-ზარალში. ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL) იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ ამორტიზირებული ღირებულების (AC) ან სამართლიანი ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) კრიტერიუმებს. ჯგუფი ასევე გამოუხმობად განსაზღვრავს ინვესტიციებს სავალო ფასიან ქაღალდებში სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL) თავდაპირველი აღიარებისას, თუ ამ ოფცი-

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები გაგრძელება

ონის გამოყენება მნიშვნელოვნად შეამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობებს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, რომლებიც აღიარებული ან შეფასებულია სხვადასხვა სააღრიცხვო საფუძველზე.

**ინვესტიციები ნილობრივ ფასიან ქაღალდებში.** ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებს ნილის განსაზღვრებას ემიტენტის პოზიციიდან, ე.ი. ინსტრუმენტი, რომელიც არ მოიცავს სახელშეკრულებო ვალდებულებას ფულის გადახდის შესახებ და რომელიც ადასტურებს ნარჩენ ნილს ემიტენტის წმინდა აქტივებში, ითვლება ინვესტიციებად ნილობრივ ფასიან ქაღალდებში ჯგუფის მიერ. ინვესტიციები ნილობრივ ფასიან ქაღალდებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი თავდაპირველი აღიარებისას გადაწყვეტს გამოუხმობად განსაზღვროს ნილობრივი ინვესტიციები, როგორც სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI), როდესაც აღნიშნული ინვესტიციები ფლობილია სტრატეგიული მიზნებისთვის და არა მხოლოდ საინვესტიციო შემოსავლების მისაღებად. FVOCI გადაწყვეტილების გამოყენების შემდეგ, სამართლიანი ღირებულების მოგება და ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (OCI) და შემდეგ არ რეკლასიფიცირდება მოგება-ზარალში, მათ შორის გასხვისებისას. გაუფასურების ზარალი და მათი აღდგენა/რევერსირება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იზომება ცალკე სხვა ცვლილებებისგან სამართლიან ღირებულებაში. დივიდენდები აღიარებული იქნება მოგება-ზარალში, როდესაც განისაზღვრება ჯგუფის მიერ გადახდების მიღების უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი წარმოადგენენ ინვესტიციის ანაზღაურებას და არა შემოსავალს ასეთ ინვესტიციაზე.

**კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები.** კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები აღირიცხება, როცა ჯგუფი ავანსად გაცემს თანხას კლიენტისგან მისაღები სესხის შესყიდვის ან გაცემის მიზნით. ბიზნეს-მოდელის და ფულადი ნაკადების მახასიათებლების საფუძველზე, ჯგუფი ახდენს კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების კლასიფიკაციას შეფასების ერთ-ერთი შემდეგი კატეგორიით: (i) ამორტიზირებული ღირებულება: სესხები ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და იმ ფულადი ნაკადების ამოსაღებად, რომლებიც წარმოადგენს SPPI-ს, და (ii) FVTPL: სესხები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI ტესტს ან ამორტიზირებული ღირებულების ან FVOCI-ის სხვა კრიტერიუმებს, შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL)..

გაუფასურების რეზერვები განისაზღვრება პროგნოზირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელის საფუძველზე. 36 შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას გამოყენებული მონაცემების, დაშვებების და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ, მათ შორის განმარტებულია როგორ შეიტანს ჯგუფი პროგნოზირებულ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელში.

**გირაში დასაკუთრებული ქონება.** დასაკუთრებული ქონება წარმოადგენს გადავადებული სესხების დასაფარად ჯგუფის მიერ შექმნილ არაფინანსურ აქტივებს. ეს აქტივები შექმნილია თავდაპირველად აღიარებული სამართლიანი ღირებულებით და შეტანილია ძირითად საშუალებებში, საინვესტიციო ქონებასა ან სხვა აქტივებში არსებულ მარაგებში მათი ხასიათიდან და ამ აქტივებთან დაკავშირებით ჯგუფის განზრახვიდან გამომდინარე. ისინი ხელახლა ფასდება და აღირიცხება ამ კატეგორიის აქტივებთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. კერძოდ, ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

**სასესხო ვალდებულებები.** ჯგუფი წარმოადგენს სესხის გაცემის ვალდებულებებს. აღნიშნული ვალდებულებები არის გამოუხმობი ან გამოხმობადი მხოლოდ არსებით უარყოფით ცვლილებაზე რეაგირებისთვის. აღნიშნული ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია მათი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული საკომისიო თანხებით. ეს თანხა ამორტიზდება მთელი ვალდებულების პერიოდში წრფივი მეთოდით, გარდა წარმოქმნილი სესხების ვალდებულებებისა, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი შევა კონკრეტულ სესხის გაცემის შეთანხმებაში და არ აპირებს ამ სესხის რეალიზაციას მისი წარმოქმნიდან მოკლე ხანში; ასეთი სესხის საკომისიო გადავადებულია და შეტანილია თავდაპირველი აღიარებისას სესხის საბალანსო ღირებულებაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ეს ვალდებულებები ფასდება (i) თანხის არამორტიზირებული ნაშთით თავდაპირველი აღიარებისას, პლუს (ii) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის საფუძველზე განსაზღვრული ზარალის რეზერვის თანხით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ვალდებულება გულისხმობს სესხის გაცემას საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები **გაგრძელება**

დაბალი განაკვეთით, ასეთ შემთხვევაში ფასდება აღნიშნულ ორ სიდიდეს შორის უდიდესით. სასესიო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ვალდებულებას.

**ფინანსური გარანტიები.** ფინანსური გარანტიები მოითხოვს ჯგუფმა განახორციელოს კონკრეტული გადახდები გარანტიის მფლობელისთვის იმ ბარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მიადგამას იმის გამო, რომ კონკრეტულმა მოვალემ არ განახორციელა გადახდები სავალო ინსტრუმენტის თავდაპირველი ან მოდიფიცირებული პირობების შესაბამისად. ფინანსური გარანტიები თავდაპირველად აღიარებულია მათი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული საკომისიო თანხებით. ეს თანხა ამორტიზდება გარანტიის პერიოდში წრფივი მეთოდით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აღნიშნული გარანტიები ფასდება შემდეგ ორ სიდიდეს შორის უდიდესით: (i) ბარალის რეზერვის თანხა, მოსალოდნელი ბარალის მოდელის საფუძველზე განსაზღვრული გარანტირებული რისკისთვის, და (ii) არაამორტიზირებული ნაშთი თავდაპირველი აღიარებისას. გარდა ამისა, ECL ბარალის რეზერვი აღიარებულია მისაღები საკომისიო თანხებისთვის, რომელიც აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივის სახით.

**შესრულების გარანტიები.** ფინანსური გარანტიები არის კონტრაქტები, რომლებიც უზრუნველყოფს კომპენსაციას, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს საკონტრაქტო ვალდებულებას. ასეთი კონტრაქტები არ იწვევს საკრედიტო რისკების გადაცემას. შესრულების გარანტიები თავდაპირველად აღიარებულია მათი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული მოსაკრებლების თანხით. ეს თანხა ამორტიზირდება წრფივი მეთოდით კონტრაქტის მთელი პერიოდის განმავლობაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, შესრულების გარანტიის კონტრაქტები ფასდება შემდეგ ორ სიდიდეს შორის უდიდესით: (i) არაამორტიზირებული ნაშთი თავდაპირველი აღიარებისას და (ii) იმ დანახარჯის საუკეთესო შეფასება, რომელიც აუცილებელია დისკონტირებულ არსებულ ღირებულებამდე კონტრაქტის დასაფარად თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, თუ დისკონტირების ეფექტი მნიშვნელოვანია. თუ ბანკს აქვს საკონტრაქტო უფლება დაუბრუნდეს თავის კლიენტს იმ თანხების დასაფარად, რომლებიც გადახდილია შესრულების გარანტიის კონტრაქტის დასარეგულირებლად, ასეთი თანხები აღიარებულია როგორც აქტივი გარანტიის ბენეფიციარისთვის ბარალის კომპენსაციის გადარიცხვის შემდეგ. აღნიშნული საკომისიოები აღიარებულია საკომისიო შემოსავლებით მოგება-მარალში.

**ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები.** ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები (რეპო ხელშეკრულებები), რომლებიც ეფექტურად უზრუნველყოფს კრედიტორის დაბრუნებას კონტრაგენტთან, ითვლება უზრუნველყოფილ ფინანსურ გარიგებად. კრედიტორი უზრუნველყოფს სახსრებს მსესხებელისთვის და გირაოს სახით იღებს უზრუნველყოფას. ასეთი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებით გაყიდული ფასიანი ქაღალდების აღიარება არ არის შეწყვეტილი. ფასიანი ქაღალდები არ განიცდის რეკლასიფიკაციას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა შემძენ პირს აქვს უფლება კონტრაქტით ან არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე გაყიდოს ან ხელახლა დააგირაოს ფასიანი ქაღალდები, რომელ შემთხვევაშიც ისინი რეკლასიფიცირებულია სავაჭრო მოთხოვნებად. შესაბამისი ვალდებულება წარმოადგენილია საკრედიტო ინსტიტუტების სახსრებში. გამოსყიდვის უფლების შესახებ ხელშეკრულებები ბუნებით მოკლევადიანებია. გასაყიდად ფლობილი ფასიანი ქაღალდები ან ამორტიზირებული ღირებულებით აღიარებული სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც რეკლასიფიცირებულია სავაჭრო მოთხოვნებში, ისევ აღიარებულია სამართლიანი ან ამორტიზირებული ღირებულებით ამ კატეგორიის აქტივების სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

გადაყიდვის ხელშეკრულებით ნაყიდი ფასიანი ქაღალდები (რევერსული რეპო ხელშეკრულება), რომელიც ეფექტურად უზრუნველყოფს კრედიტორის დაბრუნებას ჯგუფში, რეგისტრირებულია როგორც სხვა ბანკებში არსებული სახსრები ან კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები. გაყიდვისა და ხელახალი შესყიდვის ფასს შორის სხვაობა ითვლება საპროცენტო შემოსავლად და გროვდება რეპო ხელშეკრულებების პერიოდში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კონტრაგენტებისთვის კრედიტის სახით წარდგენილი ფასიანი ქაღალდები, ფიქსირებული განაკვეთით, ისევ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი თავდაპირველი კატეგორიით, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები გაგრძელება

კონტრაგენტს აქვს უფლება კონტრაქტით ან არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე გაყიდოს ან ხელახლა დააგირაოს ფასიანი ქაღალდები, რომელ შემთხვევაშიც ისინი რეკლასიფიცირებულია და წარმოდგენილია ცალკე. კრედიტის სახით მიღებული ფასიანი ქაღალდები ფიქსირებული განაკვეთით არ არის ასახული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი გაიყიდება მესამე მხარეებზე, ასეთ შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვა ასახება წლის მოგება-ზარალში მოგებაში ზარალის გამოკლებით, რომელიც წარმოიშობა სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან. ფასიანი ქაღალდების დაბრუნების ვალდებულება ასახება სამართლიანი ღირებულებით სხვა სასესხო სახსრებით. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების შესაბამისად გაყიდული ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციის საფუძველზე, ჭკუფი ახდენს სავაჭრო მოთხოვნების კლასიფიკაციას შეფასების ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიაში: AC, FVOCI, და FVTPL.

**წმინდა ინვესტიციები ლიზინგში.** თუ ჭკუფი მეიჭარეა იჭარაში, რომელიც გადასცემს მოიჭარეს მფლობელობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, იჭარით გაცემული აქტივები წარმოდგენილია როგორც ინვესტიცია ფინანსურ იჭარებში და აღრიცხულია მომავალი საიჭარო გადასახადების არსებული ღირებულებით. ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში თავდაპირველად აღიარებულია დასაწყისში (როცა იჭარის ვადა იწყება) დისკონტის განაკვეთის გამოყენებით (საიჭარო ხელშეკრულების დასაწყისში და მხარეების მიერ იჭარის მთავარი პირობების შესრულების დღეს).

სხვაობა სრულ დებიტორულ დავალიანებასა და არსებულ ღირებულებას შორის წარმოადგენს მომავალი პერიოდების ფინანსურ შემოსავალს. ეს შემოსავალი აღიარდება ლიზინგის ვადის პერიოდში წმინდა ინვესტიციის მეთოდის გამოყენებით (დაბეგრამდე), რომელიც ასახავს მუდმივ პერიოდულ მოგების ნორმას. იჭარის შეთანხმებასა და უზრუნველყოფასთან უშუალოდ დაკავშირებული ზრდადი დანახარჯი შეტანილია ფინანსური ლიზინგიდან მისაღები თანხების თავდაპირველ შეფასებაში და ამცირებს იჭარის ვადაში აღიარებული შემოსავლის მოცულობას. ფინანსური შემოსავლები იჭარებიდან ასახულია საპროცენტო შემოსავალში მოგება-ზარალში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება იმავე გზით, როგორც სესხები და ავანსები, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით და აღიარებულია რეზერვის ანგარიშში, რათა ჩამოინეროს დებიტორული დავალიანებების წმინდა საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოცემულ ღირებულებამდე, ფინანსური ლიზინგის დისკონტირებული საპროცენტო განაკვეთებით. არსებობს "სამ ეტაპიანი" მიდგომა, რომელიც ეფუძნება ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანებების საკრედიტო ხარისხში ცვლილებებს თავდაპირველი აღიარების შემდეგ. უშუალო ზარალი, რომელიც შეადგენს 12 თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ასახულია ფინანსური იჭარების თავდაპირველი აღიარებისას, რომლებიც არ არის ჩათვლილი გაუფასურებულად კრედიტის თვალსაზრისით. როცა საკრედიტო რისკში არის მნიშვნელოვანი ზრდა, გაუფასურება იზომება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედების დროის გამოყენებით და არა 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოყენებით. შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადები ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას იჭარის შესაბამისად აქტივების შეძენისა და გაყიდვის შედეგად.

ჭკუფი ჩვეულებრივ ადგენს ფინანსური ლიზინგის კონტრაქტებს ისე, რომ მოიჭარემ იჭარის ვადის დასაწყისში გადაიხადოს მინიმალური ავანსი: მოწყობილობის ფასის 20%. ჭკუფი ინარჩუნებს უფლებებს ლიზინგით გაცემულ აქტივებზე იჭარის პერიოდში. კონტრაქტის საფუძველზე აქტივზე უფლება გადაეცემა მოიჭარეს საკონტრაქტო ვადის ბოლოს, რაც გულისხმობს თანხის სრულ გადახდას. ზოგადად სალიზინგო ვადები დაახლოებით ხუთი წელია.

საჭირო საკრედიტო უზრუნველყოფის მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. მიღებული საკრედიტო უზრუნველყოფის მთავარი ტიპებია:

- იჭარით გაცემული აქტივები (ინვენტარი და მოწყობილობა);
- პირველი შენატანი;
- უძრავი ქონება;
- მესამე მხარის გარანტიები.

საკრედიტო უზრუნველყოფის ფინანსური ეფექტი წარმოდგენილია საკრედიტო უზრუნველყოფის ღირებულების მიხედვით ცალკე (i) იმ აქტივებთან დაკავშირებით, სადაც საკრედიტო უზრუნვე-

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები **გაგრძელება**

ლყოფა და კრედიტის სხვა გამყარება ტოლია ან აღემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას („ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები“) და (ii) აქტივები, რომელთა უზრუნველყოფა და სხვა სახის გამყარება ნაკლებია აქტივის საბალანსო ღირებულებაზე („ნაკლებად უზრუნველყოფილი აქტივები“).

კომპანია ახორციელებს თავისი პორტფელის კლასიფიკაციას სამ ეტაპად:

- ეტაპი 1 – აქტივები, რომელთან დაკავშირებითაც რაიმე მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის ზრდა მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ არ ყოფილა გამოვლენილი;
- ეტაპი 2 – აქტივები, რომელთან დაკავშირებითაც გამოვლენილია მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის ზრდა მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ;
- ეტაპი 3 – კრედიტ-გაუფასურების რისკები..

1 ეტაპისთვის რისკებთან დაკავშირებით კომპანიას წარმოექმნა 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ხოლო 2 ეტაპთან და 3 ეტაპთან დაკავშირებით წარმოექმნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალთან დაკავშირებული მომსახურების ვადა.

2 ეტაპის კლასიფიკაციის მიზნით ბანკი იყენებს როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ კრიტერიუმებს, მათ შორის და არა მხოლოდ:

- 30 დღეზე მეტი (DPD) გადავადება;
- მსესხებლის რისკის კატეგორიის შემცირება თავდაპირველი აღიარების შემდეგ;

დეფოლტის განმარტება მოიცავს ისეთ კრიტერიუმებს როგორცაა : (i) 90 DPD გადავადება და (ii) მაღალი რისკის რესტრუქტურისა და (iii) სხვა კრიტერიუმები, რომელიც მიუთითებს, რომ მსესხებელი სავარაუდოდ ვერ გადაიხდის ვალდებულებებს.

ჯგუფი იყენებს მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას (FLI) როგორც ინდივიდუალური ასევე კოლექტიური შეფასებისთვის. მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის მიზნით ბანკმა განსაზღვრა სამი სცენარი:

- საბაზისო (დიდი ალბათობით);
- ზედა (უკეთესი ვიდრე დიდი ალბათობით);
- ქვედა (უარესი ვიდრე დიდი ალბათობით).

ჯგუფი იღებს საბაზისო მაკრო სცენარებს და ითვალისწინებს სხვადასხვა გარეშე წყაროებიდან მიღებულ პროექტებს – საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები - რათა უზრუნველყოფილი იყოს ბაზრის მოლოდინებთან კონსენსუსი. იხილეთ შენიშვნა 36 იმის აღწერისთვის, თუ როგორ შეიტანს ჯგუფი FLI-ს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლებში. ზედა და ქვედა მხარის სცენარები განსაზღვრულია ბანკის მაკროეკონომიკური განყიფილების მიერ შემუშავებული სისტემის ფარგლებში.

ჯგუფი გაიანგარიშებს მოსალოდნელი გაუფასურების ზარალს თითოეული სცენარისთვის. იმისთვის, რომ მიღებული იქნას საბოლოო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მაჩვენებლები ბანკი იყენებს ალბათობის შეწონილ საშუალო მიდგომას, სადაც ალბათობების თითოეული სცენარისთვის გამოიყენება როგორც შეწონილი მაჩვენებლები.

Covid-19-თან დაკავშირებული გადახდების გადავადებები აღირიცხება, როგორც ზემოთ, ფინანსური აქტივების პუნქტში არის აღნიშნული - მოდიფიკაცია და აღიარების შეწყვეტა.

**შეწყვეტილი ლიზინგების შედეგად წარმოქმნილი დებიტორული დავალიანებები.** კომპანია აღიარებს შეწყვეტილი სალიზინგო კონტრაქტებიდან დებიტორულ დავალიანებებს იჯარის კონტრაქტის შეწყვეტის მომენტში. ეს დებიტორული დავალიანებები შეფასებულია თანხით, რომელიც მოიცავს ხელახლა მფლობელობაში დაბრუნებული აქტივების სამართლიან ღირებულებას და ფინანსურ იჯარაში წმინდა ინვესტიციის გადაუხდელ ნაშთებს შორის სხვაობას. დებიტორული დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოკლებით.



## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები გაგრძელება

**საიჯარო აქტივების შესასყიდად გადახდილი ავანსები.** საიჯარო აქტივების შესასყიდად გადახდილი ავანსები მოიცავს პროცენტულ ავანსებს, რომლებიც გადახდილია ისეთი აქტივების შესაძენად, რომლებიც შემდგომში იჯარებში გადაეცემა. ასეთი ავანსები აღირიცხება როგორც არა-ფინანსური აქტივები. იჯარების დასაწყისში, საიჯარო კონტრაქტების მიმართ გადახდილი ავანსები გადაირიცხება ფინანსური იჯარის წმინდა ინვესტიციებში.

**სახსრები საკრედიტო დაწესებულებებში.** საკრედიტო დაწესებულებების მიმართ დავალიანებები წარმოიქმნება, კონტრაგენტი ბანკები ფულს ან სხვა აქტივებს გადაცემს ჯგუფს. არანარმოებული ვალდებულება აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. თუ ჯგუფი შეისყიდის თავის საკუთარ ვალს, ის ამოღებული იქნება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშიდან და ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის სხვაობა შეტანილი იქნება ვალის დაფარვის შედეგად წარმოქმნილ მოგებასა ან ზარალში.

**კლიენტის ანგარიშები.** კლიენტის ანგარიშები არის ფიზიკური პირების, სახელმწიფოს ან კორპორატიული კლიენტების მიმართ არანარმოებული ვალდებულებები და აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

**სუბორდინირებულ ვალი.** სუბორდინირებული ვალის გადახდა ხორციელდება ყველა სხვა კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ ლიკვიდაციის შემთხვევაში და შეტანილია ბანკის "შე-2 რიგის კაპიტალში". სუბორდინირებული ვალი აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

**გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები.** გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს ჯგუფის მიერ გამოშვებულ თამასუქებს, ობლიგაციებს, სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და სავალო ვალდებულებებს. სავალო ფასიანი ქაღალდები წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით. თუ ჯგუფი შეისყიდის თავის გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, ისინი ამოღებული იქნება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშიდან და სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის შეტანილი იქნება ვალის დაფარვის შედეგად წარმოქმნილ მოგებაში.

**წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები.** წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის სავალუტო კონტრაქტები, პროცენტული ფიუჩერსები, მომავალი საპროცენტო განაკვეთის ხელშეკრულებები, სავალუტო და საპროცენტო სვოპები, სავალუტო და საპროცენტო ოფციონები აღრიცხულია მათი სამართლიანი ღირებულებით. ვალუტების გაცვლის მიზნით ჯგუფი ასევე შედის დეპოზიტების საკომპენსაციო შეთანხმებაში თავის პარტნიორ ბანკებთან. ასეთი დეპოზიტები, თუ ისინი კანონიერად გამოყოფილია, დაჯგუფებულია და ასახულია ანგარიშში როგორც ერთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი (სავალუტო სვოპი) ნეტო საფუძველზე თუ (ii) დეპოზიტები გახსნილია ერთდროულად და ერთმანეთის მოლოდინში, (iii) მათ ჰყავთ ერთი და იგივე კონტრაგენტი, (iii) არიან იდენტური რისკის მატარებლები და (iv) არ არსებობს ამკარა მიზეზი ოპერაციების ცალ-ცალკე აღსაღრიცხვად, რომელიც ასევე არ შეძლება განხორციელდეს ერთ ტრანზაქციაში. ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღრიცხულია როგორც აქტივი, როცა სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულება, როცა სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებაში ცვლილებები აღირიცხება მოგება-ზარალში. ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას. სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მიჩნეულია ცალკეულ წარმოებულ ინსტრუმენტებად, თუ მათი მახასიათებლები და რისკები არ არის პირდაპირ დაკავშირებული კონტრაქტში ასახულ მონაცემებთან.

წარმოებული ინსტრუმენტების ჩართვისას დაფინანსების ხარჯის შემცირების მიზნით, შესაბამისი საპროცენტო ეფექტი წარმოდგენილია, როგორც სრული შემოსავლის ანგარიშგების ცალკე ხაზი, წმინდა საპროცენტო შემოსავლის ფარგლებში.

**გუდვილი.** გუდვილი წარმოდგენილია თვიღირებულებას გამოკლებული დაგროვილი გაუფასურების დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ჯგუფი ამომწმებს გუდვილის გაუფასურებას სულ მცირე ყოველ წელს და თუ შეამჩნევს, რომ გუდვილი შეიძლება გაუფასურდეს. გუდვილი მიეკუთვნება ფულის-გენერირების აქტივს ან ფულის გენერირების აქტივების ჯგუფს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სარგებელს ნახავს საწარმოთა გაერთიანებების შედეგად. ასეთი აქტივები ან აქტივების ჯგუფები წარმოადგენს ყველაზე დაბალ დონეს, რომელზეც ჯგუფი აკონტროლებს გუდვილს, და აღარ არის საოპერაციო სეგმენტი. მოგებები ან დანაკარგები იმ ოპერაციის განკარგვა-სთან დაკავშირებით ფულის გენერირების აქტივის ფარგლებში, რომელშიც განაწილდა გუდვილი,

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები გაგრძელება**

მოიცავს გუდვილის საბალანსო ღირებულებას, რომელიც უკავშირება განკარგულ ოპერაციას. ეს ზოგადად იზომება განკარგული ოპერაციის შედარებით ღირებულებების საფუძველზე და ფულის გენერირების აქტივის ნაწილზე, რომელიც დაკავებულია.

**ძირითადი საშუალებები.** ძირითადი საშუალებები, გარდა შენობებისა და მიმდინარე მშენებლობებისა, აღრიცხულია თვითღირებულებით, გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების რეზერვი. შექმნილი შვილობილი კომპანიების ძირითადი საშუალებების ხარჯის ღირებულება არის შექმნის თარიღისთვის შეფასებული სამართლიანი ღირებულება.

მცირე რემონტისა და ტექნომსახურების ხარჯში აღიარება ხდება მათი წარმოქმისთანავე. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზირდება, შეცვლილი ნაწილი კი ჩამოინერება.

თითოეული ანგარიშგების პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს ხომ არ არის ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად თანხას, რომელიც განისაზღვრება აქტივის სამართლიანი ღირებულებას გამოკლებული რეალიზაციის ხარჯსა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უმაღლესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურების თანხამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აქტივისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება თუ ხორციელდება ცვლილება შეფასებებში, რომელიც გამოიყენება აქტივის ღირებულების განსაზღვრისთვის მისი გამოყენებიდან ან სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის, რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით.

მოგება და ზარალი გასხვისებიდან, რომელიც განსაზღვრულია შემოსავლების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, აღიარებულია წლის მოგებაში ან ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავლის ან ხარჯის ფარგლებში). გაუფასურების შემთხვევაში ძირითადი საშუალებები ჩამოინერება შემდეგი თანხებიდან უმაღლესამდე: გამოყენებიდან მათი ღირებულება და სამართლიან ღირებულება, რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით. საბალანსო ღირებულების შემცირება ირიცხება მოგება ზარალში. წინა წლებში აქტივისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება თუ ხორციელდება ცვლილება შეფასებებში, რომელიც გამოიყენება აქტივის ღირებულების განსაზღვრისთვის მისი გამოყენებიდან ან სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის, რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით.

შენობები	30 – 100 წელი;
ავეჯი და მოწყობილობები	5 – 8 წელი;
კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა	3 – 8 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები	4 – 5 წელი;
სხვა აღჭურვილობა	2 – 10 წელი;
აქტივები გამოყენების უფლებით	ძირითადი იჯარის ვადა; და
საიჯარო ქონების გაუმჯობესებები	ძირითადი იჯარის ვადა ან თუ არ არის განსაზღვრული, არაუმეტეს 7 წელი.

**ცვეთა.** მიწა და მიმდინარე მშენებლობა არ ექვემდებარება ცვეთას. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც ჭკუფი მიიღებს აქტივის გასხვისებით, რეალიზაციის ხარჯის შემდეგ, თუ აქტივი უკვე ძველია და არის იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის უნდა იყოს მისი მომსახურების ვადის ბოლოს. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულია, თუ ჭკუფი აპირებს მის გამოყენებას მისი მომსახურების ფიზიკური ვადის ბოლომდე. აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები გაგრძელება

**საინვესტიციო ქონება.** საინვესტიციო ქონება არის ჯგუფის მფლობელობაში არსებული ქონება საიჯარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის ზრდის მიზნით, ან ორივე ერთად, და რომელიც არ აქვს დაკავებული ჯგუფს.

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია თვითღირებულებით, გამოკლებული აკუმულირებული ცვე-თა და გაუფასურების რეზერვი, თუ არსებობს ასეთი. საინვესტიციო ქონება ამორტიზდება წრფივად 30-დან 50 წლამდე მოსალოდნელი ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ საინვესტიციო ქონება შეიძლება გაუფასურდეს, ჯგუფი განსაზღვრავს ამოღების სავარაუდო თანხას გამოსაყენებელ ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (რეალიზაციის ხარჯის შემდეგ) შორის უდიდესით. საინვესტიციო საკუთრების საბალანსო ღირებულება ჩამოიწე-რა ანაზღაურებად ღირებულებამდე წლის მოიგებასა ან ბარალში დარიცხვით. გაუფასურების შე-დეგად წინა წლებში აღიარებული ბარალი შებრუნდება, თუ იქნება შემდგომი ცვლილება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ შეფასებებში.

საინვესტიციო საკუთრებაში შეტანილი მიწა არ იცვითება. საინვესტიციო საკუთრებების სხვა ქო-ნებების გაუფასურება გაანგარიშდება წრფივი დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, რათა გაანაწი-ლონ მათი თვითღირებულება მათ ნარჩენ ღირებულებაზე 30 წლიდან 50 წლამდე გაანგარიშებული ექსპლუატაციის ვადაში. საინვესტიციო საკუთრების ნარჩენი ღირებულება შეფასებულია როგორც ნული.

მიღებული საიჯარო შემოსავალი აღრიცხულია სხვა საოპერაციო შემოსავლის ფარგლებში წლის მოგება-ბარალში.

შემდგომი დანახარჯი კაპიტალიზდება და ზრდის აქტივის საბალანსო ღირებულებას, მხოლოდ როცა ნავარაუდევია, რომ დანახარჯთან დაკავშირებულია მომავალი ეკონომიკური სარგებელის ზრდა და შესაძლებელია ღირებულების საიმედო შეფასება. ყველა სხვა რემონტი და ტექნიკური მომსახურება აღიარდება ხარჯში მათი წარმოქმნისთანავე. თუ საინვესტიციო ქონება არ გაიცემა იჯარით, ის რეკლასიფიცირდება ძირითად საშუალებებში.

**არამატერიალური აქტივები.** ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს, გუდვილის გარდა, აქვთ განსა-ზღვრული ექსპლუატაციის ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგ-რამულ უზრუნველყოფას. შექმნილი კომპიუტერული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზ-დება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ხარჯის საფუძველზე. კომპიუტერულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი ე.ი. მისი ტექნომსახურება, აღიარდება ხარჯში მათი წარმოქმნისთანავე. არამატე-რიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 2-დან 20 წლამდე ექსპლუატა-ციის პერიოდში.

**იჯარების აღრიცხვა ჯგუფის, როგორც მოიჯარის მიერ, 2019 წლის 1 იანვრიდან.** ჯგუფი იჯარით იღებს ოფისებს, ფილიალების და სერვის ცენტრების შენობებს. იჯარები აღიარებულია როგო-რც გამოყენების უფლებით არსებული აქტივები და შესაბამისი ვალდებულება იმ დღეს, როდესაც საიჯარო აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომია ჯგუფის მიერ. თითოეული საიჯარო გადახდა განაწილებულია ვალდებულების და საპროცენტო ხარჯს შორის. საპროცენტო ხარჯი ერიცხება მოგებას ან ბარალს იჯარის პერიოდში მუდმივის პერიოდული საპროცენტო განაკვეთის წარმო-ებისთვის ვალდებულების ნარჩენ ბალანსზე თითოეულ პერიოდში. გამოყენების უფლებით არსე-ბული აქტივი ამორტიზირდება აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადას და იჯარის ვადას შორის უმცირესით წრფივი მეთოდის საფუძველზე.

ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა იჯარიდან თავდაპირველად ფასდება მიმდინარე ღი-რებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი საიჯარო გადახდების წმი-ნდა მიმდინარე ღირებულებას:

- > ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითად ფიქსირებული გადახდები), მინუს საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანებები;
- > ცვლადი საიჯარო გადახდები, რომელიც ეფუძნება ინდექსს ან განაკვეთს;
- > თანხები, რომლებიც სავარაუდოდ გადასახდელია მოიჯარის მიერ ნარჩენი ღირებულების გარანტიების ფარგლებში;
- > შესყიდვის ფასის ოფციონის გამოყენება, თუ არსებობს სათანადო საფუძველი იმისა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს; და

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები **გაგრძელება**

- ჭარბების გადახდა იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს, რომ მოიჯარე იყენებს აღნიშნულ ოფციონს.

საიჯარო გადახდები დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ შეუძლებელია აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა, გამოიყენება მოიჯარის მზარდი სასესხო განაკვეთი, რომელიც არის განაკვეთი, რომელსაც მოიჯარე გადაიხდიდა მსგავსი ღირებულების აქტივის შეძენისთვის საჭირო სახსრების სესხად აღებისთვის, მსგავს ეკონომიკურ პირობებში მსგავსი პირობებით და დებულებებით.

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგ თავდაპირველი აღიარებისას:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა;
- ნებისმიერი საიჯარო გადახდა დაწყების დღეს ან მანამდე, მიწის მიღებული საიჯარო შეღავათები;
- ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები; და
- აღდგენის ხარჯები.

საიჯარო ვადის განსაზღვრისას ჯგუფი ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს გაგრძელების ოფციონის გამოყენების ან შეწყვეტის ოფციონის არ-გამოყენების კუთხით. გაგრძელების ოფციონები (ან პერიოდები შეწყვეტის ოფციონების შემდეგ) შეტანილია საიჯარო ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იჯარის გაგრძელების სათანადო საფუძველი (ან არ შეწყვეტის საფუძველი).

ჯგუფმა გამოიყენა ცვლილებები ფასს 16-ში კოვიდ-19-თან დაკავშირებით შეიჯარეების მიერ მინიჭებულ საიჯარო შეღავათებზე 2020 წლის აპრილიდან - ივნისამდე პერიოდში. ეს შეღავათები აღირიცხა საიჯარო ვალდებულებაში და ცვლად საიჯარო გადასახადში იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა მათი მინიჭება. თანხა არ იყო არსებითი ფინანსურ ანგარიშგებაში.

**საოპერაციო იჯარების აღრიცხვა ჯგუფის, როგორც მოიჯარის მიერ 2019 წლის 1 იანვრამდე.** როდესაც ჯგუფი არის მოიჯარე იჯარაში, და არსებითად ყველა რისკი და შემოსავალი საიჯარო ობიექტების ფლობიდან არ გადაეცემა შეიჯარის მიერ ჯგუფს, მთლიანი საიჯარო გადახდები აისახება წლის მოგებაში ან ზარალში (საიჯარო ხარჯი) წრფივი მეთოდის საფუძველზე, იჯარის მოქმედების ვადაში.

სხვა ხელშეკრულებებში შეტანილი იჯარები გამოცალკევებულია იმ შემთხვევაში, თუ (ა) შეთანხმების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე და (ბ) შეთანხმება ითვალისწინებს აქტივის გამოყენების უფლებას.

**საოპერაციო იჯარების აღრიცხვა ჯგუფის, როგორც შეიჯარის მიერ.** როდესაც აქტივები გადაეცემა საოპერაციო იჯარაში, მისაღები იჯარის გადახდები აისახება, როგორც საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის ვადაში.

**მოგების გადასახადები.** მოგების გადასახადები წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტერიტორიებზე, სადაც ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები ფუნქციონირებენ, ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის დარიცხვა/კრედიტი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ ისინი აღიარებული არ არის უშუალოდ სრულ შემოსავალში, რადგან ის უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც ასევე აღიარებულია იმავე ან სხვა პერიოდში უშუალოდ სხვა სრულ შემოსავალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც სავარაუდოდ გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან მისაღებია მათგან მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრ მოგება-ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება-ზარალი ეფუძნება ვარაუდებს, ნებადართულია თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენა შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსებამდე. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღრიცხულია ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯში.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია საბალანსო ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალში გადატანილ საგადასახადო ზარალთან დაკავშირებით და დაბეგვრის

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები გავრძელება

მიზნით აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობა და მათი საბალანსო ღირებულება ფინანსური ანგარიშების წარმოდგენის მიზნით. თავდაპირველი აღიარების მიხედვით, გადავადებული გადასახადები არ არის აღრიცხული კომპანიების გაერთინების გარდა სხვა ოპერაციაში აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებისას არსებულ დროებით სხვაობის თვალსაზრისით, თუ ეს ოპერაცია, თავდაპირველად აღრიცხვისას, გავლენას არ ახდენს არც აღრიცხვაზე და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები არ არის აღრიცხული გუდვილის თავდაპირველ აღიარებასა და შემდგომში იმ გუდვილს შორის დროებითი განსხვავების თვალსაზრისით, რომელიც არ ექვემდებარება გადასახდის დაქვითვას. გადავადებული საგადასახადო ნაშთები იზომება მოქმედი ან არსებითად იმ ანგარიშების პერიოდის ბოლოს მოქმედი საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ გამოყენებული იქნება პერიოდის მიმართ, როცა დროებითი სხვაობები შებრუნდება ან გამოყენებული იქნება მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების ნეტო მოცულობა შეჭამებულია მხოლოდ ჭგუფის ინდივიდუალური კომპანიების ფარგლებში. გადავადებული საგადასახადო აქტივები დაქვითვას დაქვემდებარებული დროებითი სხვაობებისა და მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალის თვალსაზრისით აღრიცხულია მხოლოდ მაშინ თუ აშკარაა, რომ მომავალი დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება და შესაძლებელი იქნება მისი დაქვითვები.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია შეძენის შემდეგ შვილობილი კომპანიების გაუნაწილებელ მოგებებზე, თუ ჭგუფი არ აკონტროლებს შვილობილი კომპანიის სადივიდენდო პოლიტიკას და აშკარაა, რომ სხვაობა არ შებრუნდება დივიდენდების საშუალებში ან სხვაგვარად უახლოეს მომავალში.

**გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა.** ჭგუფის გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღრიცხულია მოგების გადასახადის პოზიციებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელმძღვანელობის აზრით სავარაუდოდ არ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას, თუ პოზიციები სადაო არ გახდება საგადასახადო ორგანოების მხრიდან. ასეთი შეფასება ეფუძნება საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და ასეთ საკითხებზე ნებისმიერი ცნობილი სასამართლოს ან სხვა განჩინებას. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები, აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯის შეფასებაში, რომელიც საჭიროა საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად.

**ვალდებულებების და გადახდების რეზერვი.** ვალდებულებების და გადახდების რეზერვები არის გაურკვეველი ვადისა ან თანხის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დაგროვება ხდება, როცა ჭგუფს აქვს მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში არსებული მოვლენების გამო და აშკარაა, რომ ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა ეკონომიკური სარგებლების მომცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ვალდებულების მოცულობის საიმედო შეფასების გაკეთება. არსებითი რეზერვები მოიცავს შესრულების გარანტიების, კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების რეზერვებს.

**სააქციო კაპიტალი.** ჩვეულებრივი აქციები გასათვალისწინებელი დივიდენდებით კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯი, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ახალი აქციების გამოშვებას ან ოფციონებს ნაჩვენებია კაპიტალში როგორც შემოსავალიდან დაქვითვა, გადასახადის გარეშე. გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულებით მიღებული უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ნამეტი აღირებულია როგორც კაპიტალში აქციის პრემია.

**დივიდენდები.** დივიდენდები დაფიქსირებულია კაპიტალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადებულია. საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი, წარმოდგენილია მომდევნო მოვლენის შესახებ შენიშვნები.

**შემოსავლისა და ხარჯის აღიარება.** საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღრიცხულია ყველა სავალო ინსტრუმენტთან დაკავშირებით, გარდა FVTPL-ით აღრიცხული ინსტრუმენტებისა, დარი-

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები **გაგრძელება**

ცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, როგორც საპროცენტო შემოსავლის ან დანახარჯის ნაწილი, გადავადებს კონტრაქტის მხარეებს შორის ყველა გადახდილ ან მიღებულ მოსაკრებელს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საოპერაციო ხარჯის და ყველა სხვა შენატანის ან დისკონტის განუყოფელ ნაწილს. ჯგუფს არ აქვს საპროცენტო შემოსავალი სავალაო ინსტრუმენტზე FVTPL-ით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წარმოქმნისას ან შექმნისას ბანკის მიერ მიღებულ ან გადახდილ კრედიტის ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკომისიოს, მაგალითად, კრედიტუნარიანობის შეფასების საკომისიო, გარანტიის ან უზრუნველყოფის შეფასების და აღრიცხვის საკომისიო, ფინანსური ინსტრუმენტის შეთანხმების პირობებისა და საოპერაციო დოკუმენტების დამუშავების საკომისიო. საბაზრო საპროცენტო განაკვეთით სესხების გასაცემად ჯგუფის მიერ მიღებული საკომისიოები წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, თუ აშკარაა, რომ ჯგუფი შევა კონკრეტულ საკრედიტო შეთანხმებაში და არ არის მოსალოდნელი რომ გაცემიდან მოკლე ხანში არ განახორციელდება მიღებული კრედიტის რეალიზაცია. ჯგუფი არ განსაზღვრავს საკრედიტო ვალდებულებას როგორც მოგება-ზარალში წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულებით ფინანსურ ვალდებულებებს.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ფინანსური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა (i) ფინანსური აქტივებისა, რომელიც კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურდა (ეტაპი 3), რომლის საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით მათ ამორტიზირებულ ღირებულებაზე, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით, და (ii) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც წარმოადგენს შექმნილ ან შექმნილ საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებულ აქტივებს, რომელზეც თავდაპირველი საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება ამორტიზირებულ ღირებულებაზე

ყველა სხვა საკომისიო, მოსაკრებელი და სხვა შემოსავლისა და დანახარჯის პუნქტები აღრიცხულია დარიცხვის მეთოდით იმ კონკრეტული ოპერაციის დასრულებაზე მითითებით, რომელიც შეფასდა ფაქტობრივი გაწეული მომსახურების საფუძველზე როგორც გასაწევი მთლიანი მომსახურების ნაწილი.

**საკომისიო შემოსავალი.** საკომისიო შემოსავალი აღიარებულია დროთა განმავლობაში წრფივი მეთოდის საფუძველზე გაწეული მომსახურებების შესაბამისად, როდესაც კლიენტი იმავდროულად იღებს და იყენებს ჯგუფის საქმიანობით მიღებულ სარგებელს. ასეთი შემოსავალი მოიცავს მიმდინარე მოსაკრებლებს ანგარიშის წარმოებისთვის, ანგარიშის მომსახურების საკომისიოებისთვის, ანგარიშის ხელმოწერის საკომისიოებისთვის, წლიური პლასტიკური ბარათებისთვის და სხვა. ცვლადი საკომისიოები აღიარებულია მხოლოდ იმ პირობით, რომ ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, რომ დიდი ალბათობით მნიშვნელოვანი შებრუნება არ მოხდება.

სხვა საკომისიო შემოსავლები აღიარებულია დროის კონკრეტულ მომენტში, როდესაც ჯგუფი აკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას, ჩვეულებრივ ძირითადი გარიგების განხორციელების საფუძველზე. მიღებული ან მისაღები საკომისიო თანხა წარმოადგენს იმ მომსახურებების გარიგების ფასს, რომელიც განსაზღვრულია, როგორც სხვა შესრულების ვალდებულებები. ასეთი შემოსავალი მოიცავს უცხოური ვალუტების ყიდვის ან გაყიდვის საკომისიოებს კლიენტის სახელით, გადახდის ტრანზაქციების დამუშავების საკომისიოებს, პლასტიკური ბარათების ოპერაციებს, მოვაჭრეთა საკომისიოებს, ნაღდი ანგარიშსწორების, ინკასირების ან სხვა ფულადი გადახდების საკომისიოებს და სხვს.

**უცხოური ვალუტის კონვერტაცია.** ჯგუფის ფუნქციური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი. ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული საწარმოს ფუნქციური ვალუტა არის ძირითადად იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ეს საწარმო ფუნქციონირებს. ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღრიცხულია ფუნქციურ ვალუტაში, რომელიც კონვერტირებულია გარიგების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით..

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება თითოეული საწარმოს ფუნქციონალური ვალუტაში შესაბამის საანგარიშო პერიოდში იმ ტერიტორიებზე არსებული ოფიციალური

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები გაგრძელება

გაცვლითი კურსით, სადაც ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები მოქმედებენ. სავალუტო ოპერაციებით და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული საწარმოს ფუნქციონალურ ვალუტაში წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ გამოიყენება არაფულადი პუნქტების, მათ შორის კაპიტალში ინვესტიციების მიმართ. გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა სააქციონერო ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაზე აღრიცხულია როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ნაწილი.

ჯგუფის თითოეული საწარმოს შედეგები და ფინანსური მდგომარეობა (რომელთა ფუნქციონალური ვალუტა არ არის ჰიპერინფლაციური ეკონომიკის მქონე ქვეყნის ვალუტა) წარმოდგენილია საპრეზენტაციო ვალუტაში შემდეგნაირად:

- წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის თითოეულ ანგარიშგებასთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული კურსით;
- შემოსავალი და დანახარჯი კონვერტირდება საშუალო გაცვლითი კურსით (თუ ეს საშუალო არ არის ოპერაციის თარიღებისას მოქმედი კურსების კუმულატიური ეფექტის გონივრული მიახლოებითი მაჩვენებელი, რომელ შემთხვევაშიც შემოსავალი და დანახარჯი კონვერტირდება ოპერაციების განხორციელების დღეს);
- კაპიტალის კომპონენტები კონვერტირდება ისტორიული კურსით; და
- ყველა მიღებული საკურსო სხვაობა აღიარებულია სხვა სრულ მოგებაში.

თუ კონტროლი დაიკარგა უცხოურ ვალუტაში ოპერაციებისას, კურსთაშორის სხვაობა, რომელიც თავდაპირველად აღიარებული იყო სრულ სხვა მოგებაში, რეკლასიფიცირდება მოგება/ზარალის უწყისში მიმდინარე წლისათვის როგორც მოგება ან ზარალი გაყიდვიდან. შვილობილი კომპანიის ნაწილობრივი გასხვიებისას მასზე კონტროლის დაკარგვის გარეშე, დაგროვილი სავალუტო კურსის სხვაობა რეკლასიფიცირებულია როგორც არაკონტროლირებადი პროცენტი კაპიტალში.

გუდვილისა და სამართლიანი ღირებულების რეგულირება, რომელიც წარმოიქმნება უცხოური საწარმოს შექმნისას, მიიჩნევა უცხოური საწარმოს აქტივებად და ვალდებულებებად და კონვერტირება ოპერაციის დასრულების დღეს. 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოური ვალუტის ნაშთებისთვის გამოყენებული საბოლოო გაცვლითი კურსი იყო 1 გირვანქა სტერლინგი = 4.4529 ლარი (2019 წელს: 1 გირვანქა სტერლინგი = 3.7593 ლარი; 2018: 1 გირვანქა სტერლინგი = 3.3955 ლარი); 1 აშშ.დ 3.2766 ლარი (2019 წელს: 1 აშშ.დ = 2.8677 ლარი; 2018: 1 აშშ.დ = 2.6766 ლარი) 1 ევრო = 4.0233 ლარი (2019 წელს: 1 ევრო = 3.2095 ლარი; 2018: 1 ევრო = 3.0701).

**გაქვითვა.** ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაქვითულად აღირიცხება და წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს თანხების გაქვითვის კანონიერი უფლება, და არსებობს განზრახვა მოხდეს ურთიერთიარსიცხვა ან მოხდეს აქტივის რეალიზება და ვალდებულების დარეგულირება ერთდროულად.

**პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები.** ხელფასები, სარგოები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი, ასევე, თანხა გადახდილი წილობრივ ინსტრუმენტზე დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც განუვლი იქნა შესაბამისი მომსახურებები ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

**სეგმენტური ანგარიში.** საოპერაციო სეგმენტები დაანგარიშებულია ჯგუფის მთავარი მოქმედი გადაწყვეტილების მიმღებისთვის წარდგენილი შიდა ანგარიშგების შესაბამისი წესით. სეგმენტები, რომელთა შემოსავალი, შედეგი ან აქტივები წარმოადგენს ყველა სეგმენტის ათ ან მეტ პროცენტს, აღრიცხულია ცალკე.

**წილობრივ ინსტრუმენტზე დაფუძნებული გადახდა.** წილობრივ ინსტრუმენტებზე დაფუძნებული გადახდა არის იურიდიულ პირსა და სხვა მხარეს (თანამშრომლის ჩათვლით) შორის შეთანხმება, რომელიც უფლებას აკისრებს მეორე მხარეს მიიღოს საწარმოს ნაღდი ფული ან სხვა აქტივები, რომელიც ეფუძნება სხვა საწარმოს ან ჯგუფის საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტის (მათ შორის აქციები ან აქციის ოფციები) ფასს (ან ღირებულებას), იმ პირობით, რომ კონკრეტული წინასწარ შესასრულებელი პირობები დაკმაყოფილდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). წილობრივი ინსტრუმენტების კომპენსაციის გეგმის შესაბამისად ჯგუფი იღებს მომსახურებებს ხელმძღვანე-

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები **გაგრძელება**

ლობისგან ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ. წილობრივი ინსტრუმენტების მინიჭების სანაცვლოდ მიღებული მომსახურების სამართლიანი ღირებულება აღიარდება, როგორც დანახარჯი. დანახარჯის მთლიანი ღირებულება განისაზღვრება მინიჭებული წილობრივი ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულებით, არასაბაზრო მომსახურების და წილობრივი უფლებების მიღების პირობების გავლენის გარეშე. არასაბაზრო წილობრივი უფლების მიღების პირობები შეტანილია წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ მოლოდინებში, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია. მთლიანი ხარჯის თანხა აღიარებულია აღნიშნული უფლებების მიღების პერიოდში, ეს არის პერიოდი რომლის განმავლობაშიც უნდა დაკმაყოფილდეს ყველა კონკრეტული უფლების მინიჭების პირობა. თითოეული საბუღალტრო ბალანსის წარმოდგენის თარიღისთვის, ჯგუფი იღებს იმ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის მისეულ შეფასებას, რომელთა მინიჭება ნავარაუდევია არასაბაზრო წილობრივი უფლების მინიჭების პირობებით. ის აღიარებს თავდაპირველი შეფასებების კორექტირებას, თუკი ასეთი არსებობს, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და მეორეს მხრივ კაპიტალში შესაბამისი კორექტირებებით. კაპიტალის ზრდა დარიცხულ აქციებზე, რომელიც გამოწვეულია წილობრივი კაპიტალის ანგარიშსწორების სქემის მიხედვით, აღირიცხება წილობრივი ინსტრუმენტის რეზერვში, როდესაც სახაზინო აქციები შეძენილია თანამშრომელთა ანაზღაურების ტრასტის (EBT) მიერ, ბანკი თანხას უნაზღაურებს TBCG-ს და მეორეს მხრივ ღებეტში ტარდება წილობრივი ინსტრუმენტების რეზერვი კაპიტალში, როცა ერთი გრანტის ნაწილების ვესტინგი განაწილებულია ორ ან მეტ თარიღზე, საწარმო მიმართავს ეტაპობრივ ვესტინგს წილობრივ ინსტრუმენტებზე დაფუძნებულ გადახდის აღსაღრიცხად. თითოეული გრანტის ტრანშისთვის განსაზღვრული პერიოდი სრულდება, როცა თანამშრომელი სრულად განკარგავს აქციებს ფლობის შემდგომი შეზღუდვების გარეშე. ეტაპობრივი ვესტინგის სქემის შესაბამისად, ხარჯი სქემის დასაწყის პერიოდში აღემატება ბოლო წლების ხარჯს. თითოეული ტრანში აღიარდება ხარჯად მისი მომსახურების პერიოდში ხოლო მეორეს მხრივ, აღიარდება კრედიტში წილობრივი ინსტრუმენტების რეზერვი კაპიტალში.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო მოცულობაზე. შეფასებები და ვარაუდები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც სავარაუდოდ გონივრულია არსებულ გარემოებებში

შეფასებების მომცველი დაშვებების გარდა ხელმძღვანელობა ასევე აკეთებს გარკვეულ დაშვებებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე დაშვებები და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ მნიშვნელოვანი ცვლილებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მომდევნო ფინანსურ წელს მოიცავს შემდეგს:

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება.** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება არის მნიშვნელოვანი შეფასება, რომელიც მოიცავს მომავალი ეკონომიკური პირობების პროგნოზირებას, რაც უფრო გრძელვადიანი პროგნოზები, უფრო მეტი მსჯელობები გამოიყენება ხელმძღვანელობის მხრიდან, რაც შესაძლოა გაურკვეველობის წყარო გახდეს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასების მეთოდოლოგიის დეტალები წარმოდგენილია 36 შენიშვნაში. ქვემოთ მოცემული კომპონენტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საკრედიტო ზარალის რეზერვზე: დეფოლტის განსაზღვრება, მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში (SICR), დეფოლტის ალბათობა ("PD"), რისკის პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში ("EAD"), და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD"), ასევე მაკრო-ეკონომიკური სცენარების მოდელები. ჯგუფი რეგულარულად გადახედავს და ამოწმებს აღნიშნულ მოდელებს და მის მონაცემებს ნებისმიერი განსხვავების შესამცირებლად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის.

მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში ("SICR"). ბანკი იყენებს როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ ინდიკატორებს SICR განსაზღვრებაში ყველა გონივრული და ღირებული ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძა-



### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო კოლიტივის გამოყენებისას გაგრძელება

ლისხმევების გარეშე, გასული მოვლენების, არსებული პირობების და კონკრეტული პორტფელის მომავალი ბიჭვიორული ასპექტების შესახებ. ბანკი ცდილობს დაადგინოს ინდივიდუალური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკში ზრდის ინდიკატორები ვალდებულების დარღვევამდე და აღნიშნულ მოდელში შეაქვს მნიშვნელოვანი დაშვებები. ერთ-ერთი ასეთი მსჯელობა გულისხმობს საკრედიტო რისკში მნიშვნელოვანი ზრდის ზღვრების განსაზღვრას. შესაბამისი მგრძობელობის ეფექტები აღწერილია ქვემოთ:

ათას ლარში	2020	2019	2018
20%-იანი ზრდა SICR ზღვრებში	საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა სესხებზე და ავანსებზე 2,543 ლარით. რისკის კოეფიციენტის ცვლილება 2 საბაზისო პუნქტით..	საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა სესხებზე და ავანსებზე 1,954 ლარით. რისკის კოეფიციენტის ცვლილება 2 საბაზისო პუნქტით.	საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა სესხებზე და ავანსებზე 2,056 ლარით. Change of the Bank's cost of credit risk ratio by 2 basis points.
10%-იანი ზრდა 2 ეტაპზე	საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა სესხებზე და ავანსებზე 3,311 ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ცვლილება 2 საბაზისო პუნქტით..	საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა სესხებზე და ავანსებზე 2,380 ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ცვლილება 2 საბაზისო პუნქტით...	საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა სესხებზე და ავანსებზე 2,723 ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ცვლილება 3 საბაზისო პუნქტით....

**რისკის პარამეტრები:** დეფოლტის ალბათობა (PD) ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) პარამეტრები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მთავარი ფაქტორებია შესაბამისი მგრძობელობის ეფექტები აღწერილია ქვემოთ:

ათას ლარში	2020	2019	2018
10% ზრდა (კლება) დეფოლტის ალბათობის (PD) შეფასებებში	საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) სესხებზე და ავანსებზე 24,901 ლარით (26,013 ლარი). ბანკის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ცვლილება 18 (19) საბაზისო პუნქტით	საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) სესხებზე და ავანსებზე 17,427 ლარით (17,547 ლარი). ბანკის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ცვლილება 16 (16) საბაზისო პუნქტით.	საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა სესხებზე და ავანსებზე 18,876 ლარით (18,942 ლარი). ბანკის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ცვლილება 21 (21) საბაზისო პუნქტით.
10% ზრდა (კლება) LGD შეფასებებში	საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) სესხებზე და ავანსებზე 50,719 ლარით (53,813 ლარი). ბანკის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ცვლილება 37 (39) საბაზისო პუნქტით.	საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) სესხებზე და ავანსებზე 24,758 ლარით (26,604 ლარი). ბანკის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ცვლილება 22 (24) საბაზისო პუნქტით.	საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა სესხებზე და ავანსებზე 28,185 ლარით (28,012 ლარი). ბანკის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ცვლილება 31 (31) საბაზისო პუნქტით.

**მაკროეკონომიკური სცენარები:** ბანკი ითვალისწინებს მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას სამ მაკროეკონომიკურ სცენარში მიუკერძოებელი და ალბათობებით შეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად. ამ სცენარებს შორის ერთი არის საბაზისო სცენარი (დიდი ალბათობით) და ორი ნაკლები ალბათობის სცენარი, რომელიც მითითებულია როგორც ზედა (უკეთესი ვიდრე საბაზისო) და ქვედა (უარესი, ვიდრე საბაზისო).

